# ხელისუფლება 500 ათას ადამიანს უსახლკაროდ ტოვებს 4

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№6 (49)
17 - 23 თებერვალი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

3 ლორების სია

4 «ალიანსი» და «ფორუმი» ალიანსდებიან?

5 ბენზინი წინასაარჩევნო ყულაბის შესავსებად გააძვირეს

6 ვინ გადააფიქრებინა ასლან აბაშიძეს «დაღლილი ვირის» დაპატიმრება?

8 მიშატყუილა

«წითელი კუთხიდან» 10 «ნატოს კუთხემდე»

საბერძნეთმა 29 მთელი ევროპა გადაიყოლა

# ვისი თამაში წამოიწყო ზურაბ ნოღაიდელმა? 2



ნოღაიდელი განიხილებოდა, როგორც ხელისუფლების პროექტის ნაწილი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართულ პოლიტიკაში პრორუსული ორიენტაციის ლეგალიზება და მისი დაკავშირება ყოფილი პრემიერის ნაკლებად რეიტინგულ ფიგურასთან, ვიდრე ამ ნიშას სხვა, ხელისუფლებისათვის გაცილებით საშიში (და ჯერაც ამოუცნობი) მოღვაწე დაეპატრონებოდა.

## რას ითვალისწინებდა პოლიტგაერთიანება «ერთობასა» და «ედინსტვოს» შორის 2002 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი? 7

## გიორგი ბარამიძის 15 ავტორიტეტს მხოლოდ ნაგავი კი არა, ქვანახსა და აფრასიძეების სისხლიც მოეცხო



## ის, რაც 13 წლის წინათ ითქვა 9



# დედაქალაქის მერიის 90-მილიონიანი აფერა 16

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# განტვინული

**მოციქულთა სწორი წმიდა ნინოს მიერ ქართველთა მასობრივი ნათლობის ადგილას ხელისუფლება სტუმართა გასართობად აუზსა და პლაჟს აშენებს.**

**ხელისუფლების ყველა დიდ სისულელესა თუ სიბრიყვეს ირონიულად ვხვდები და ველოდები, როდის მოეღება ბოლო ამ დაუსრულებელ საშინელებას, რადგან ასე გაგრძელება, უბრალოდ, აღარ შეიძლება. საზღვარი ყველაფერს აქვს; ალბათ, — სიგიჟესაც, მაგრამ წმინდა მეფის — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს უძველესი სატახტო ქალაქის — მცხეთის სანახებიდან მოსმენილ-გაგონილმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.**

გაფითრებული უავგუსტესის გალურჯებულ ბაგეთაგან მორიგი სისულელე იღვრებოდა, რაც არამხოლოდ ქართველ მართლმადიდებელთა აღშფოთებას გამოიწვევს, არამედ ამ ქვეყანაში მცხოვრები ნებისმიერი ეთნოსისა თუ რელიგიის წარმომადგენელს შეაძრწუნებს თავისი შემზარავი პერსპექტივით.

ის, რაც მცხეთაში 8 თებერვალს ამოინთხა, მრავალგზის შეურაცხყოფილი ქართველისთვის, ალბათ, ყველაზე ამაზრზენი იყო თავისი ცინიზმით, რადგან „ვარდების ხელისუფლების“ აქამდე გაცხადებული მიზნები მთლიანად დაჩრდილა.

**უძველეს ქალაქ მცხეთაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან გასართობი ცენტრის — აუზისა და პლაჟის მოწყობის შესახებ ინიციატივას მხოლოდ უცოდინარობას ნუ მივაწერთ.**

**ეს გამოცდაა.**

**ხალხის მოთმინების კიდევ ერთი გამოცდა.**

**ეკლესიების ნგრევის, ჯვრების აღებისა და ძეგლების აფეთქების შემდეგ ნელ-ნელა მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ქართველთა განმანათლებელმა, მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ IV საუკუნის 20-იან წლებში ქართველები მასობრივად მონათლა.**

მას შემდეგ ეს ადგილი წმინდად ითვლება და ყოველწლიურად ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე აქ შეკრებილი მრევლი ლოცულობს და ახალქრისტიანები ძღვთისას მადლს ეზიარებიან.

ახლა კი ამ განტვინულმა განიზრახა, ყოველთა ქართველთა, ყოველთა ქრისტიანთა წმინდა ადგილი „სტუმრებისათვის გასასვლელ ადგილად“ გადააქციოს:

**„მცხეთის რეაბილიტაციის შემდეგ თბილისს გაუჩნდება გასასვლელი ადგილი სტუმრებისათვის. თბილისელები სიამოვნებით დაისვენებენ აქ შაბათკვირას... თან დილმის შესასვლელში, გზად მცხეთისკენ შენდება სავაჭრო ცენტრი, სადაც გაცილებით მეტი მაღაზია იქნება, ვიდრე თბილისში ერთად აღებული. მცხეთაში შარდენსა და მონმარტრს გავაერთიანებთ...“**

აი, ასე მარტივად და ლაღად გადაწყვიტა არშემდგარმა ანტონიუსმა და კალიგულობაზე მეოცნებე ჰეროსტრატემ ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის შეურაცხყოფა. იმ სვეტიცხოვლისა, სადაც მირონს სცხებდნენ საქართველოს ღვთივკურთხეულ მეფეებს და სადაც „საქართველოს ცხელი გული ასვენია“.

უავგუსტესი იმდენ სისულელეს ამბობს (და, თქვენ წარმოიდგინეთ, კვერის დამკვრელებიც არ აკლია), არ გამიკვირდება სვანეთისა და ანაკლიის უდიდესი პერსპექტივით მოხიბლულმა, ახალი სიბრძნეც რომ გაახმიანოს: **„ახვალთ გუდაურში, ისრიალებთ თხილამურებით, შემდეგ ჩამოსრიალდებით მცხეთაში, აუზში იჭყუმპალავებთ, გაირუჯებით... სხვაგან არსად არის ასეთი ადგილი... პირველად მსოფლიოში (არა, მეორედ, პირველი სვანეთი-ანაკლიაა!) ერთად იქნება მთა და ეეე... მმმ... ზღვა არ არის, მაგრამ ისეთ პლაჟს მოვაწყობთ, თავი ზღვაზე გეგონებათ...“**

ამას მცხეთა და სვეტიცხოველი მხოლოდ ტურიზმის განსავითარებლად სჭირდება და წარმოდგენა არ აქვს ამ ადგილის საკრალურობაზე;

ამას ვერ შეაგნებინეს, რომ მართლმადიდებლობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძველია;

ამას ჰგონია, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მართლა გააკეთებს აუზსა და პლაჟს...

ამას ჰგონია...

არ ვიცი, კიდევ რა ჰგონია, მაგრამ ცხადია, რომ **„ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“...**

დაბოლოს. ამ გამოსვლას რომ უსმენდა, ნეტავ, რას ფიქრობდა მისი მრჩეველი? ნოდარ გრიგალაშვილის აზრი მაინტერესებს, თორემ ვან ბაიბურთს ჩვენი სვეტიცხოველი რაში ემცხეთება?

**ბონდო მძინარაშვილი**

**P.S.** მე ამ განტვინულში ერთი ჩემი ნაცნობი ვიგულისხმე და თქვენ ვისზე იფიქრეთ?

# ვისი თამაში წამოიწყო ზურაბ ნოღაიდელმა?

**ჩვენს მეგობარ ამერიკელებს, მშვიდობიანი სოფლების დაბომბვისა და გაურკვეველი ღირებულების მწვანე ქაღალდების ბეჭდვის გარდა, სხვა, შედარებით უწყინარი, ტრადიციებიც აქვთ. სწორედ მათგან ვისწავლეთ შოუდან მაქსიმალური სიამოვნების მიღება, მრავლისმთქმელი შეძახილი „ვაუ!“ და მხიარული ფრაზა „სად არის ჩემი პოპ-კორნი?“. ყოველივე ეს რეალობის აღქმას ერთობ აადვილებს, განსაკუთრებით ისეთ ეპიზოდებში, როგორსაც ახლა ვუყურებთ. მაშ, ასე! მარჯვენა კუთხეში — თეთრ მაისურსა და ლურჯ ტრუსებში ზურაბ ნოღაიდელი: კაცი-ტერმინატორი, კაცი-ტიტანი და კაცი-ტიტანიკი; მარცხენა კუთხეში — (მასაჟისტისგან მარჯვნივ) მწვანე შარვალსა და წითელ ჰალსტუხში თავად ხედავთ, ვინც. გონგი! Show must go on...**

**იანიჩარი ფინიშის სწორზე. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ამ სანახაობას 2003 წლიდან ელოდნენ. „ვარდების რევოლუციის“ შვილები ებრძვიან ერთმანეთს, როგორც უკანასკნელი ჯამბაზები პროვინციული ცირკის არენაზე; მნიშვნელობა არ აქვს, ამას სრული თუ ნაწილობრივი სერიოზულობით აკეთებენ.**

მაყურებლის განწყობა გასაგებია, თუმცა მოსაწონი, ალბათ, მაინც არაა. არადა, ვერაფერს ვიზამთ, როგორც ეუბნებოდა ზეწარში გახვეული ერთი მამაკაცი მეორეს ცნობილ კინოფილმ „გლადიატორში“: „რომის გული სენატის მარმარილოში კი არა, კოლიზეუმის ქვიშაში ძევს“.

მას, ვისაც შედარება კოლიზეუმთან ერთობ პომპეზურად მოეჩვენება, შეუძლია შეჯიბრებების სულ სხვა სახეობა, სხვა კინო გაიხსენოს, კერძოდ, ბულგაკოვის მიხედვით, 1970-ში გადაღებული გენიალური ფილმი «Бег». ემიგრანტი თეთრგვარდიელი გენერალი ჩარნოტა და მისი თავშესაქცევი „ტარაკანების დოღი“ («Тараканьи бега»), რომელშიც უკანასკნელ გროშებს აგებს. იგი თავს ესხმის შეჯიბრის ორგანიზატორს, რომელმაც თითქოსდა ლუდით დაათრო მისი ფავორიტი ტარაკანი „იანიჩარი“; რადგან იგი ჯერ გაჩერდა სარბენ ბილიკზე, შემდეგ კი სულ სხვა მიმართულებით გაიქცა. ზურაბ ნოღაიდელის მანევრებმა, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დაახლოებით მსგავსი რეაქცია გამოიწვია. ჭარმაგი ექსპერტები მთელი კვირის განმავლობაში არკვევდნენ: დაათვრეს თუ არა იანიჩარი. ო, უკაცრავად, ისინი ადგენდნენ, რა მოტივაცია ამოძრავებდა ნოღაიდელს.

ვიდრე ამ საკითხს განვიხილავთ, თვალი გადავავლოთ იმ დისკუსიის მიმდინარეობას, რომელიც, მართალია, საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნაბიჯების კვალობაზე მოექცა, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვან პრობლემებს ეხებოდა. ის გააფთრება, რომლითაც იგი მედიასა და ინტერნეტ-სივრცეში ვითარდება, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ განსხვავებული მოსაზრებები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტირების თაობაზე არა მხოლოდ არსებობს, არამედ უახლოეს მომავალში, შეიძლება საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი პოლარიზების საწინდარიც შეიქმნას. მითუმეტეს, რომ ცვლილებები საერთაშორისო არენაზე ამას ხელს უწყობს. ნოღაიდელმა ამ შემთხვევაში უბრალოდ დეტონატორის როლი შეასრულა.

ამ პოლემიკის დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ოთხი შესაძლო ვექტორი გამოიკვეთა, რომელთა განხილვა, ალბათ, უსაფრთხოების პრობლემასთან მიმართებაში აჯობებს:

ა) **შემდგომი სწრაფვა ნატოში გაწევრიანებისაკენ; ამ მიმართულებით შესაძლებლობები დღესდღეობით ამოწურულია. საქართველომ მაპის მინიჭების ზღვარს მიაღწია და ველარ გადალახა. ბრიუსელის თავაზიანი რევერანსების მიუხედავად, მეტის მიღწევა უახლოეს პერსპექტივაში შეუძლებელი ჩანს. როგორც ალიანსის, ისე საქართველოს მხრიდან დაახლოებისკენ გადადგმული ნებისმიერი შემდგომი ნაბიჯი, რუსეთის მკვეთრ რეაქციას გამოიწვევს, რადგან მას მნიშვნელოვან საფრთხედ განიხილავს. მეტიც, იგი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს საკითხი არამც თუ არააქტუალური გახადოს, არამედ დღის წესრიგიდან საერთოდ ამოიღოს. ამისთვის კრემლი ორ ძირითად ბერკეტს გამოიყენებს: შეთანხმება ნატოს ევროპელ წევრებთან და ზემოქმედება საქართველოზე სასურველი შედეგის მიღწევამდე. ამასთან, აშშ მზად არ არის საქართველოს ორმხრივ შეთანხმებაზე დაფუძნებული უსაფრთხოების გარანტიები შესთავაზოს;**

ბ) **კურსის აღება რუსეთის პატრონაჟით შექმნილ სტრუქტურებში (ოდკბ, საბაჟო კავშირი და ა.შ) ინტეგრაციაზე; დღევანდელი მდგომარეობით, ეს ასევე შეუძლებელი ჩანს. არც რუსეთი, არც საქართველო ამისთვის მზად არ არიან. უკიდურესად დაძაბული ურთიერთობები მხედველობაში რომც არ მივიღოთ, ორ ქვეყანას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემის მიმართ დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომა აქვთ, რაც უსაფრთხოების ერთიან სივრცეში (ეს მნიშვნელოვანწილად ეკონომიკურ პარტნიორობასაც ეხება) მათ ინტეგრაციას გამორიცხავს. რუსეთთან დაახლოების მომხრეები ხშირად ამბობენ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული კურსი, საბოლოო ჯამში, სეპარატისტულ რეგიონებთან კონფედერაციის შექმნით დაგვირგვინდება, რომელიც კრემლის საფარქვეშ იარსებებს. გარკვეული მინიშნებების მიუხედავად („პუტინის სადღეგრძელო“, კონსტანტინე კოსაჩევის რიგი განცხადებები, ევგენი პრიმაკოვის რამდენიმე ინტერვიუ), ოფიციალური მოსკოვი, გასაგები მიზეზების გამო, მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარების შესაძლებლობას ჯერაც არ ადასტურებს. ამასთანავე, რუსეთთან დაახლოებაზე ორიენტირებულ აქტიურმა ქმედებებს შეიძლება ამერიკელთა მკვეთრი რეაქცია მოჰყვეს, რაც, საქართველოში მათი პოზიციების გათვალისწინებით, ასევე სერიოზულ საფრთხეებს უკავშირდება;**

გ) **სწრაფვა ძირითადი მოთამაშეების მიერ გარანტირებული ნეიტრალიტეტისკენ; ზოგადად, ასეთი სტატუსის მიღწევა საერთაშორისო არენაზე რიგი გარემოებების თანხვედრას მოითხოვს და მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის ნება-სურვილზე დამოკიდებული არ არის. განსაკუთრებულ დიპლომატიურ ძალისხმევას**

## მოკლედ



### აშშ კიდევ სესხულობს

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლის თანახმადაც ქვეყნის საგარეო ვალი 14,3 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება. ამრიგად, აშშ-ის ვალის მაქსიმალური თანხა კიდევ 1,9 ტრილიონი დოლარით მოიმატებს და ამერიკის თითოეულ მოქალაქეს კრედიტორების ვალი დაახლოებით 46 ათასი დოლარი ექნება. ამ პირობებში თუ აშშ-ის ეკონომიკის ზრდა 2010-2011 წლებში პროგნოზს ვერ გაამართლებს და შესაბამისად 2,7 და 3,8 პროცენტს ვერ მიაღწევს, აშშ უმაღლეს საკრედიტო რეიტინგს დაკარგავს.



### ავსტრალიაში ტერორისტები გაასამართლეს

ავსტრალიაში, როგორც იქნა, გაასამართლეს ჯერ კიდევ 2005 წელს დაკავებული ხუთი ტერორისტი, რომელთაც, სიდნეის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 17-დან 25-წლამდე პატიმრობა მიესაჯათ.

ბრალდების მტკიცებით, ისინი ერაყულ და ავღანურ ოპერაციებში ქვეყნის მონაწილეობის საპროტესტოდ ავსტრალიის მთავრობაზე თავდასხმას გეგმავდნენ. ეს ავსტრალიის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სასამართლო პროცესი იყო.



### აშშ-ში ერაყის ომს ნანობენ

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჟოზეფ ბაიდენი თვლის, რომ ერაყის ომი არ ღირდა იმ საშინელ მსხვერპლად, რომელიც ამ ომს მოჰყვა. მისი აზრით, ომი თავიდანვე არასწორად წარიმართა და ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა, აშშ-ის მიერ ავღანეთის მივიწყება იყო.

„მსოფლიოს მხარდაჭერა დავკარგეთ და მის დასაბრუნებლად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა“, — განაცხადა ბაიდენმა. ახლა ამერიკა იმედოვნებს, რომ თავის 90 ათას სამხედროს ზაფხულამდე მშვიდობიანად დააბრუნებს სამშობლოში.

საქართველო
გვსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



**ამ მიმართულებით ადგილი არასოდეს ჰქონია, თანაც დღეს პერსპექტივა გაცილებით ბუნდოვანია, ვიდრე — აგვისტოს ომამდე, როდესაც ასეთი სტატუსი უფრო დიდი ალბათობით შეიძლებოდა კონფლიქტების დარეგულირებაზე ორიენტირებული გეგმის შემადგენელი ნაწილი გამხდარიყო;**

**დ) ბალანსის პოლიტიკის გატარება უსაფრთხოების ერთგვარ ვაკუუმში, მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, ვითარების საბოლოო გარკვევისა და უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბების მოლოდინში, რთული და ერთობ სარისკო თამაში დროის მოგებაზე, დაახლოებით ის, რასაც დღეს აზერბაიჯანი აკეთებს (შეგვიძლია განვიხილოთ ბევრი სხვა ქვეყნის მაგალითიც, თუმცა ეს ყველაზე ახლოა). ეს მოითხოვს საკმაოდ მოქნილი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რომლის რესურსი, რიგი დამკვირვებლების აზრით, ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს; მან ქვეყანა ფაქტობრივ იზოლაციაში მოაქცია და ნდობის ლიმიტიც ამოწურა.**

## სტრატეგიული მოუთმენლობა

სააკაშვილის ხელისუფლება დღეს, კვლავინდებურად ადასტურებს ერთგულებას ნატოში ინტეგრაციის იდეის მიმართ, თუმცა ვაშინგტონის კარნახით (ე.წ. „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკა), იძულებული ხდება, ნაწილობრივ მაინც დაარეგულიროს ურთიერთობები რუსეთთან და შეეჩვიოს იმ აზრს, რომ დასავლელი პარტნიორები საქართველოს მთლიანობის აღდგენის (ისევე, როგორც ნატოში ინტეგრაციის გზაზე შეფერხებების მოხსნის) საკითხს, რუსეთთან მოლაპარაკებებში მთავარ პრიორიტეტად უახლოეს მომავალში ვერ აქცევენ. ეს ხსენებული (ზოგისთვის ავადსახსენებელი) პარტნიორებისათვის სავსებით მოსახერხებელი მიდგომაა, უხეშად რომ ვთქვათ, საქართველო უბრალოდ დაჯდება და დაელოდება (მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში არნახული ეკონომიკური პროგრესის მიღწევას შევძლებთ, დღეს, ალბათ, არაკორექტულია; იმ ქვეყნის მდგრადი განვითარება, რომელსაც უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ გააჩნია, შეუძლებელია).

**საინტერესოა, რუსეთი თუ დაელოდება, სანამ საქართველოს ნატოში გაწევრიანებისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნება? რაღა თქმა უნდა, — არა, იგი ყველანაირად შეეცდება, რომ ეს საკითხი მალევე მოხსნას; ისე, როგორც ეს (მნიშვნელოვან წილად) უკრაინაში მოახერხა. ეს მთავარი გარემოება აუცილებლად უნდა მოვნიშნოთ: დღეს და უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს შემდგომი სწრაფვა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიმართულებით რუსეთთან კონფრონტაციის შემდგომ გამწვავებას ნიშნავს (ეს აქსიომა ვრცელდება საქართველო-აშშ-ის ჰიპოტეტურ სამხედრო ალიანსზეც, რომელიც დღეს მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია).**

მოკლედ, დათვი აღარ დაიძინებს, ისედაც საკმარისზე მეტხანს ეძინა. განსაკუთრებით დაკვირვებულები ამბობენ, რომ იგი სწრაფად გვიახლოვდება.

პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სტუმრობისას მისმა ყოფილმა მოსწავლემ (ისე, ექსპერიმენტები წარმატებით ყოველთვის როდი სრულდება, ასეთ ღრმად პატივცემულ სასწავლებლებშიც კი) მიხეილ სააკაშვილმა დათვთან ურთიერთობებს საკმაოდ ვრცელი პასაჟი მიუძღვნა: „დათვს ბაბაია რომ დაუძახო, სულაც არ ნიშნავს, რომ დათვს მოეწონები და, სხვათაშორის, თუ მოეწონები, კიდევ უფრო კარგად შეგჭამს. და ყველაზე კარგი მეთოდი დათვთან არის, რომ ჯოხი აიღო ხელში, ჯოხი ჩაარტყა და ყველაზე კარგია, თუ გაქვს პისტოლეტი ან თოფი, კიდევ უფრო კარგი, მსხვილკალიბრიანი“. აი, ეგრე! Оцеола, вождь семинолов! პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ ჩამოთვლილი ინვენტარი არ გვაქვს, არაფერი გვაქვს, ერთი (ოდნავ უგემოვნო) ჰალსტუხის გარდა; a la guerre comme a la guerre, ხდება ხოლმე.

ზოგადად, მწვავე კონფრონტაცია, ტოტალური ომიც კი, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება ამა თუ იმ ერს გამოსავლად მოევლინოს, თუმცა მისი წარმატებული წარმოების მთავარ წინაპირობას ეროვნული კონსენსუსი და სოლიდარობა წარმოდგენს. სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელსაც მოსახლეობის ერთი მესამედი ლეგიტიმურად არ თვლის, ხოლო მეორე დასანახად ვერ იტანს, საერთო-ეროვნული ბრძოლის სათავეში ჩადგომა, სავარაუდოდ, ძლიერ გაუჭირდება, მისი წარმომადგენლების სამხედრო კომპეტენციისა და პირადი სიმამაცის საკითხებს ამჯერად რომც არ შევეხოთ.

## ტერმინატორის დეტონატორი

**ისევ ზურაბ ნოღაიდელის საკითხს დავუბრუნდეთ. საქართველოს ხელისუფლებას ასეთ ტონალობაში, დიდი ხანია, არავინ დალაპარაკებია. ნოღაიდელი საზეიმოდ დებს პირობას, რომ არჩევნების გაყალბების (და რიგ სხვა) შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლებს „ხელებს და ფეხებს დაამტვრევს“, ხოლო პირადად მიხეილ სააკაშვილს ისეთი ეპითეტებით ამკობს, რომელთა გამოყენებას შეზარხოშებული ბოცმანებიც კი ერიდებიან.**

თუმცა ეს რიტორიკაა და მხოლოდ მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, არის თუ არა ზურაბ ნოღაიდელი „ატვეჩაი“, უკაცრავად, პასუხისმგებელი თავის სიტყვებზე, ვითარცა ჰანიბალი (თუ კორიოლანი?) რომის კარიბჭესთან. **საინტერესო სულ სხვა რამაა, არც ნოღაიდელის სიტყვებს, არც (რაც მთავარია!) რუსეთთან დასაახლოებლად მიმართულ მის კონკრეტულ ქმედებებს ხელისუფლების მხრიდან, სხვა პარტიებისთვის ესოდენ ნაცნობი, მასშტაბური რეპრესიები არ მოჰყოლია. უნიჭო პროპაგანდისტული კამპანია, რომელმაც ნოღაიდელის „გაშავებაზე“ მეტად ხელი მისი იდეების ტრანსლირებას შეუწყო, სათვალავში ჩასაგდები, ალბათ, არ არის.**

სწორედ ამ ნიადაგზე რიგი კონსპიროლოგიური ვერსიები აღმოცენდა. ნოღაიდელი განიხილებოდა, როგორც ხელისუფლების პროექტის ნაწილი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართულ პოლიტიკაში პრორუსული ორიენტაციის ლეგალიზება და მისი დაკავშირება ყოფილი პრემიერის ნაკლებად რეიტინგულ ფიგურასთან, ვიდრე ამ ნიშას სხვა, ხელისუფლებისათვის გაცილებით საშიში (და ჯერაც ამოუცნობი) მოღვაწე დაეპატრონებოდა. განიხილებოდა, აგრეთვე, თანმდევი თემები, მაგ.: „ნოღაიდელი როგორც კომუნიკაციის არხი“, „ნოღაიდელი როგორც სადაზღვევო პოლისი ხელისუფლების რიგი წარმომადგენლებისთვის“ და ა.შ. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. სტრატეგიული თვალსაზრისით არსებითი, ალბათ, არც ის არის, თუ რამდენად დამოუკიდებელია ნოღაიდელი ხელისუფლებისაგან.

მთავარი, როგორც ჩანს, ისაა, რომ იგი დღეს ქართულ პოლიტიკაში იმ როლს ასრულებს, რომელიც საბჭოთა არქტიკულ ფლოტში ატომურ ყინულმჭრელ „ვლადიმერ ილიჩ ლენინს“ ეკისრებოდა. (ღმერთო ჩემო, ვის არ შევადარეთ დღეს ყოფილი პრემიერი — დეტონატორს, ტერმინატორს, აგერ უკვე, ყინულმჭრელ „ლენინს“; ჯერჯერობით ამით შემოვიფარგლოთ). მისი ფუნქცია ყინულის საფარის მსხვრევა იყო, უკან კი გემების მთელი ქარავანი მოსდევდა. კრიტიკა ნოღაიდელისკენ წამოვიდა, ამასობაში, სხვა პოლიტიკოსებმა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მიმართულებით შედარებით ფრთხილი ნაბიჯები გადადგეს. მან, აგრეთვე, ნებსით თუ უნებლიედ, ქვეყნის საგარეო ორიენტირებზე დისკუსიის ახალი რაუნდის დაწყებას გარკვეული ბიძგი მისცა. მოკლედ, ოსტაპ ბენდერი რომ იტყოდა, „ყინული დაიძრა“, საერთო სურათმა დინამიურობა შეიძინა.

**დიმიტრი მონიავა**

საავტორო სვეტი



# ღორების სია

**ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის შვეიცარიაში ჩასვლამ და იქაური ხელისუფლებისთვის თავშესაფრის თხოვნამ დაახლოებით ისეთივე რეაქცია გამოიწვია საქართველოში, როგორიც 1941 წელს გენერალ ვლასოვისა და მისი არმიის ჰიტლერული გერმანიის მხარეს გადასვლამ.**

ოპოზიციური მედიის ერთსულოვანი აზრით, კომახიძე არის წამებული, ვინც ვერ გაუძლო ხელისუფლების „ზეწოლას“ და იძულებული გახდა, სამშობლოდან გაქცეულიყო.

სახელისუფლო მედიისა და თვით ხელისუფლების მონოლითური აზრით, კომახიძე არის რენეგატი, ბნელი წარსულის მქონე, სეპარატისტებთან კუდგადაბმული, ოჯახისა და სამშობლოს მოღალატე!

მართალია, დიდი „ვახოლოგობით“ ვერ დავიკვეხნი, მაგრამ სუფთა სინდისით შემიძლია ვთქვა, რომ ამ კაცის ჟურნალისტურ მოღვაწეობას მეტ-ნაკლებად ვიცნობ და, წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ ვარ — იმ საქმის კეთება, რითაც ვახო კომახიძე ბოლო წლებში იყო დაკავებული, უკეთესადაც შეიძლებოდა. ვიმეორებ, ეს არის ჩემი კერძო მოსაზრება, რომელიც, შესაძლოა, მცდარიც იყოს.

ამასთანავე, როგორც საქართველოს ერთ უჩინო მოქალაქეს, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს კომახიძის წარსული ჟურნალისტური მოღვაწეობისადმი. ვგულისხმობ, მის აქტიურ თანამშრომლობას აკაკი გოგიჩაიშვილის ავადსახსენებელ „60 წუთთან“ (ტელეკომპანია „რუსთავი 2“) და, საერთოდ, მის როლს სააკაშვილის დაჯგუფების ხელისუფლებაში მისვლაში.

არც ის მომწონს, რომ მან ოჯახის ინტერესებზე მაღლა, თუნდაც გენიალური დოკუმენტური ფილმის ინტერესები დააყენა. არ ვიცი, მსგავს ვითარებაში თვითონ როგორ მოვიქცეოდი და ამიტომ მისი საქციელის განსჯას არ ვაპირებ.

სამწუხაროდ, თავისუფალი საქართველოს მოკლე ისტორიაში მოღალატეობის თემას უზარმაზარი ადგილი უჭირავს — მოღალატედ ცხადდებოდა და დღესაც ცხადდება ყველა, ვისაც, პრეზიდენტს რომ თავი დავანებოთ, მინისტრ თემურ იაკობაშვილის ან დეპუტატ ეკა ხერხეულიძისგან განსხვავებული მოსაზრებები გააჩნია!

თუ მეხსიერება არ მღალატობს, საქართველოში „მოღალატეთა“ მთელი არმიის არსებობის პირობებში, ამ ბრალდებით ორიოდე ადამიანია დასჯილი და, ექსპერტების განმარტებით, ისინიც — ერთობ საეჭვო მტკიცებულებებით, ანუ ისინი დასაჯეს საჩვენებლად, საზოგადოების დაშინების მიზნით.

ხელისუფლების მონდომებით, დღევანდელ საქართველოში მოღალატეობა უამრავ ცნობილ, პატიოსან მოაზროვნე ადამიანს ბრალდება. მოღალატეობა იქცა განსხვავებული აზრის მატარებლობის, ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის, ქვეყანაზე ზრუნვის სინონიმად. მოღალატედ ცხადდება, მაგალითად, ზურაბ ნოღაიდელი, ვინც „რუსთან“ ლაპარაკს ბედავს და პატრიოტია რუსი სამხედრო მოსამსახურე, ვინც თავის სამხედრო ნაწილს ტოვებს და მოწინააღმდეგის მხარეს გადარბის! მოკლედ, „მოღალატის“ ცნებამ სრული დევალვაცია განიცადა. ეს ცნობილი ამბავია სოციალურ ფსიქოლოგიასა და, სხვათაშორის, ჟურნალისტიკაშიც, თუმცა სახელისუფლო მედიის წარმომადგენლებმა, ეტყობა, არ იციან.

ჩემს მშობლიურ სოფელ დაფნარში ცხოვრობდნენ ძმები გაბედავები — დიომიდე და ნიკოდიმე. ერთი ბოლშევიკური პარტიის წევრი და კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო, მეორე — მენშევიკების თანამგრძნობი და ბოლშევიზმის ენამწარე ოპონენტი. ერთხელ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დიომიდემ განაცხადა, რომ იმ წელიწადს შრომადღეზე სამ კილოგრამ სიმინდზე მეტს ვერ გაანაწილებდა, რადგან მეღორეობის ფერმას დიდი დანახარჯები ჰქონდა — თითო ღორზე ხუთი კილო დღეში. ნიკოდიმე სწორედ მაშინ გამოვიდა ისტორიული ინიციატივით: ამომწერეთ კაცების სიიდან და ჩამწერეთ ღორების სიაში!

მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. ხელისუფლება სამშობლოს ღალატზე იმდენს და ისე იოლად ლაპარაკობს, რომ მალე მმართველი პარტიის წევრები კირკიტაძის სახელზე ასეთი შინაარსის განცხადებების წერას დაიწყებენ: ამომწერეთ ნაციონალური მოძრაობის სიიდან და ჩამწერეთ მოღალატეების სიაში.

**თეიმურაზ ქორიძე**

## მოკლედ



## აშშ იემენში ტერორისტებს ეძებს

აშშ-ის ხელისუფლება და მისი მოკავშირეები იემენში მომზადებული ინგლისურენოვანი ტერორისტების ძებნის სპეცოპერაციას იწყებენ.

ამ მხრივ მათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს ნიგერიელი ვერშემდგარი ტერორისტის — უმარ ფაკურ აბდულმუტალაბისაგან, რომელიც 2009 წლის 25 დეკემბერს ამსტერდამ-დეტროიტის რეისის თვითმფრინავის აფეთქებას ცდილობდა.

მუტალაბის მტკიცებით, „ალ-ქაიდას“ იემენის განშტოება ინგლისურენოვან ბოევიკებს ამზადებს და ზოგიერთ მათგანს თავადაც შეხვედრია.




## ცსს საიდუმლოს ამჟღავნებს

ახლახან გამოქვეყნდა ცსს-ის საიდუმლო მასალები იმის თაობაზე, თუ როგორ ცდილობდნენ 30 წლის წინათ ამერიკული სპეცსამსახურები 6 წლის ჩაძირული რუსული წყალქვეშა გემის „კ-129“-ის წყნარი ოკეანიდან ამოტანას და საბჭოთა კავშირის ძალების შესახებ სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვებას.

ოპერაცია 6 წელს გრძელდებოდა და მასზე 1,5 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. ერთადერთი, რაც მაშინ ამერიკელებმა შედეგად მიიღეს, ჩაძირული გემების ფსკერიდან ამოთრევის გამოცდილება იყო.




## რუსი მილიარდელები მდიდრდებიან

რუსეთში მილიარდელთა სიის ლიდერი შეიცვალა და მიხეილ პროხოროვმა, რომელმაც შარშან პირველობიდან ოლეგ დერიპასკა გააძევა, წელს ეს ადგილი ვლადიმერ ლისინს დაუთმო.

ლისინის ქონება 18,8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

მილიარდელთა ათეულის საერთო ქონება წელს შარშანდელ 75,9 მილიარდ დოლარზე თითქმის ორჯერ მეტი — 139,3 მილიარდი დოლარია, მაგრამ ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება კრიზისამდელ მაჩვენებელს — 221 მილიარდ დოლარს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



საავტორო სვეტი

# «ალიანსი» და «ფორუმი» ალიანსდებიან?

**ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მორიგი გადაჯგუფება იწყება. უკვე ბოლი ასდის ხალიჩას, რომლის ქვეშაც პროცესები ვითომ ელექტორატისგან ფარულად ვითარდება, სინამდვილეში კი ყველასთვის ყველაფერი ნათელია.**

**ასე იყო მაშინაც, 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით პროვოცირებული მოვლენები 2003 წლის ნოემბრით რომ დამთავრდა.**

**ახლაც ასეა. მოვლენებმა 2007 წლის შემოდგომაზე აიღო სტარტი, 2008 წლის აგვისტოს სტრატეგიულმა პროვოკაციამ კი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ძალთა ბალანსი საგრძნობლად შეცვალა.**

ამ ფონზე გამოჩნდა ირაკლი ალასანია, რომელმაც მოვლენებს უცებ აუღო ალღო. ამიტომაც ერთ ორბიტაზე ტრიალს გაურბის და ამჯობინებს, ყველასთვის მისაღები გახდეს — მოსკოვისა და ვაშინგტონის გულიც მოიგოს და ჯერ უძრაობითა და გულძმარვით დაღლილი, მერე კი ეშმაკის ბორბალზე შესკუპებული ხელისუფლების რეტდამსხმელი მოძრაობით გულყრამდე გაბეზრებული ხალხის განწყობაც თავისკენ შემოაბრუნოს.

**ალასანიამ ჯერ „ახალ მემარჯვენეებთან“ და „რესპუბლიკელებთან“ „იქორწინა“, სულ მალე კი მის გვერდით ვიხილავთ „ეროვნულ ფორუმსაც“; ამ ახალი „ღვიძლი ძმობის“ პირობა უკვე შეუკრავთ, ოღონდ არა ხიდისთავს. თუმცა მიზანი ერთია — „ჩავუხტეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანია...“**

ვერ გეტყვით, რა გამოცხვება მემარჯვენე კაპიტალისტების, ლიბერალი რესპუბლიკელების, გაპოლიტიკოსებული დიპლომატებისა და ეროვნულად „ფორუმირებულებისგან“ მოზელილი ცომით, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლება სერიოზულად განიცდის ამ ძალების გაერთიანებას. შეტევაც ფართო ფრონტით მიმდინარეობს. ამ ალიანსის პირველი ვიოლინო ირაკლი ალასანია ჯერჯერობით მთავარი პარტიის შესრულებას არ ჩქარობს, თუმცა დარწმუნებით აცხადებს, რომ „ფორუმს“ და „ალიანსს“ აქვს, **„ალბათ, ყველაზე მჭიდრო, ახლო და პოლიტიკურად, ასე ვთქვათ, ღირებულებითი თანხვედრა“**. ამ წინადადებაში ყურს მოგჭრით ერთი სიტყვა **„ალბათ“**. მიუხედავად ამისა, ალასანია ოპტიმისტურად არის განწყობილი: **„ეს ორი პოლიტიკური ძალა შეხების ძალიან ბევრ წერტილს იპოვის“...**

მაინც რომელ წერტილში „შეეხებიან“ ერთმანეთს „ფორუმი“ და „ალიანსი“?

მაგალითად, ალასანია აცხადებს, რომ **„რუსეთთან ადამიანური საუბარი ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური კრიზისის მოგვარების დასაწყისი უნდა იყოს, თუმცა რუსულ-ქართული კონფლიქტის დარეგულირება, უპირველესად, საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივაა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობა ჩვენმა მთავრობამ უნდა აიღოს“.**

გუბაზ სანიკიძის აზრიც მოვისმინოთ: **„გუშინ ყველა ნატოში გარბოდა იმის გააზრებლად, ეს რას მოგვიტანდა, დღეს პირიქით ამბობენ... ქართულ პარლამენტში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის აღდგენას მხარი დაუჭირა ქართულმა ოპოზიციამაც... ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, იყო „ეროვნული ფორუმი“... დღეს კი ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომლებიც მაშინ ხელისუფლებაში იყვნენ და ამ პროექტს მხარი დაუჭირეს... დგება მორალური საკითხი: აქვთ ასეთ ადამიანებს პოლიტიკაში ან ოპოზიციაში ყოფნის უფლება?! მაგრამ ეს ვინ უნდა განსაზღვროს?“**

გუბაზ სანიკიძის ამ შეკითხვას პასუხს ხალხი გასცემს. ოღონდ ჯერ ის უნდა გავიგოთ, რა „ღირებულებითი თანხვედრა“ აქვს „ეროვნულ ფორუმს“ ალასანიას „ალიანსთან“, რომელიც გაფართოებას სწორედ „ფორუმის“ ხარჯზე გეგმავს და, ალბათ, „ფორუმელებიც“ ცოტა პოლიტწაკეკლუცების შემდეგ მორცხვად შევლენ „ალიანსის“ ბუდუარში და სიამოვნებით წამოგორდებიან მწვანე აბრეშუმით გაწყობილ საწოლზე.

უახლოეს დროში შევიტყობთ, რა გაჩნდება ამ პოლიტქორწინების შედეგად. ალბათ, ეს იქნება ლიბერალურად მოაზროვნე ბურჟუა, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ტრადიციებისადმი ერთგულება და დიპლომატიური მოქნილობით ცდილობს, საკუთარი პერსონისადმი პატივისცემით განგვაწყოს.

ხომ არავინ გეცნობათ?

**ბონდო მძინარაშვილი**

# ხელისუფლება 500 ათას ადამიანს უსახლკაროდ ტოვებს

**ქართული ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე, ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობასა და საზოგადოების საკუთრების დაცვაზე საუბარი მაშინ დასრულდა, როდესაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც ბანკი მევალის ქონებას 7 დღეში გაყიდის, უკანასკნელ 10 წელიწადში შეძენილ ქონებას კი დააყადაღებს.**

**ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ვალის არსებობას სასამართლო დაადასტურებს, მის დასაფარად 7 დღე მიეცემათ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ქონებას ბანკი დააყადაღებს. დაყადაღებული ქონება კი აუქციონზე გაიყიდება, დავალიანების მქონე პირს კი მხოლოდ 4 კვირის სამყოფ საკვებს, საწვავ და სანათ საშუალებებს დაუტოვებენ. აღსრულების ბიუროს ინიციატივით, თბილისში მევალეთა რეესტრიც შეიქმნა, რომელშიც ის პირები შეჰყავთ, ვისაც კრედიტორის მიმართ დავალიანება აქვს და, აღმასრულებლის გაფრთხილების მიუხედავად, მის დაფარვას ვერ ახერხებს.**

2007 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბანკებმა აქტიურად დაიწყეს საუბარი კლიენტთა სესხის რესტრუქტურიზაციაზე, მოგვიანებით რესტრუქტურიზაციის გეგმა ბანკების მორიგი „ბლეფი“ აღმოჩნდა.

„საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, ბანკების ხელმძღვანელებისაგან მოესმინა არგუმენტები იმ კანონიდან გამომდინარე, რომელიც ბანკის მევალის 7 დღეში უსახლკაროდ დატოვებას ითვალისწინებს.

ამ მიზნით დავუკავშირდით ბანკების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღანელებს. მათმა უმეტესობამ კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

**თიბისი ბანკის** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **მაიკო ძირკველიშვილმა** მიზეზად სამსახურში არ ყოფნა დაასახელა;

**საქართველოს ბანკის** საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, **სოფო ბალავაძის** განმარტებით კი, მევალეთა რეესტრში ადამიანი მხოლოდ ძალაში შესული კანონიერი გადაწყვეტილების შედეგად ხვდება, ანუ იმ შემთხვევაში, თუ სესხის დაფარვა ვერც ერთი გზით, მათ შორის რესტრუქტურიზაციით, ვერ მოხერხდა და მომხმარებლის საკითხი სასამართლოში წყდება.

## ბანკის მევალეებს ვალის დასაფარად 7-დღიანი ვადა მიეცემათ

„ბანკების თვითმიზანი არ არის, მომხმარებელთან ურთიერთობა სასამართლოს გზით ან მომხმარებლის ქონების გაყიდვით გადაწყვიტოს. ბანკი მონწოდებულია, მომხმარებელს დაეხმაროს სესხის დაფარვაში და მომხმარებელს შეფერხების შემთხვევაში, სესხის რესტრუქტურიზაციას სთავაზობს,“ — აცხადებს ბალავაძე.

**ბაზისბანკის** პიარ მენეჯერის — **თამუნა ხადურის** თქმით, ეს კანონი ქართული საბანკო ეკონომიკის რეალობის ადეკვატურია და მასში პრობლემური არაფერია. ხოლო კლიენტისთვის 7-დღიანი ვადის მიცემა მისი მრავალგზის გაფრთხილების შემდეგ ხდება: „ჩვენ ვაკეთებთ სესხის რესტრუქტურიზაციას კლიენტებისთვის. თუკი ბანკის მევალე მოლაპარაკებაზე წამოვა, რა თქმა უნდა, ჩვენ მასთან ვითანამშრომლებთ“.

ბანკის წარმომადგენლებს უჭირთ კანონთან დაკავშირებით ისეთი არგუმენტების დაპირისპირება, რომელიც გამოდგება აღსრულების ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საპირწონედ.

**მიუხედავად ბანკირების სხვადასხვა პიარ განცხადებებისა, ფაქტი ფაქტად რჩება, უახლოეს მომავალში ასეულობით ათას ადამიანს უსახლკაროდ დარჩენა ემუქრება.**

ახალი კანონის შეფასება ეკონომიკის ექსპერტს — **გია ხუხაშვილს** ვთხოვეთ. ხუხაშვილის თქმით, ეს კანონი პოლიტიკური ფორმაჟორითაა განპირობებული და ხელისუფლება ვალდებულია, პასუხისმგებლობა გადაინაწილოს მეწარმეებთან ერთად: „თუ ხელისუფლება და ბანკები ვალის ამოღების ბლიც მეთოდებს მიმართავენ, ამით თავადვე დაზარალდებიან, ვინაიდან ერთიან თანხას ამოიღებენ და შემდეგ მათი ბიზნესი და ეკონომიკური წინსვლა ფაქტობრივად გაჩერდება. ამას მოჰყვება ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის მეორე ტალღა“.

ექსპერტის აზრით, ხელისუფლება კლიენტებისთვის 7-დღიანი ვადის მიცემით გარკვეულ სარგებელს მიიღებს, მაგრამ შემდეგ რა იქნება? — იქნება ის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ბანკებთან ურთიერთობას შეწყვეტს და ბანკებიც კლიენტების გარეშე დარჩებიან.

„ამგვარი პრაქტიკა ყოფილა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ არა ცივილიზებულსა და განვითარებულში. ბუნებრივია, რომ არანორმალურ ქვეყანაში ყველაფერი ხდება. ეს კანონი მხოლოდ რისკთან თამაშია. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლება, ფაქტობრივად, 500 000 ადამიანზე მეტს უსახლკაროდ ტოვებს,“ — აცხადებს გია ხუხაშვილი.

აღსრულების ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე **ალექსანდრე ბარნაბიშვილი** კი კანონის დეტალებს განმარტავს: „თუკი კრედიტორი სასამართლოს მიმართავს და ვალის არსებობა დადასტურდება, საქმეში აღმასრულებელი ჩაერთვება. კანონი განსაზღვრავს იმ ნივთების ნუსხასა და მოცულობას, რომელთა დაყადაღებაც აღმასრულებელს არ შეუძლია. თუკი აუქციონის შედეგად ვალი არ დაიფარება, დავალიანების მქონე პიროვნებას ნებისმიერ ქონებას თუ შემოსავალს ჩამოართმევენ, რაც მას მომდევნო 10 წლის განმავლობაში გაუჩნდება“.

ექსპერტები აცხადებენ, რომ დღეს ბანკებს აქვთ ფინანსური რესურსი, რომლითაც შესაძლებელია კრედიტორების ვალის რესტრუქტურიზაცია, მაგრამ, ალბათ, ბანკირთა ნებით რესტრუქტურიზაცია არ ხდება.

ოპოზიციური პარტიები ირწმუნებიან, რომ აღნიშნული კანონის მიღებაში ხელისუფლების ბინძური ხელი ურევია და რომ სწორედ მმართველი გუნდის წევრები აპირებენ ამ კანონით (დაზარალებული ადამიანების ხარჯზე) ხელის მოთბობას.

თავად ბანკის მევალეები კი ამბობენ, რომ, თუკი მათ საკუთრებას ჩამოართმევენ, ისინი იძულებული გახდებიან, ჯერ ბანკს მოსთხოვონ პასუხი, შემდეგ — ხელისუფლებას.

**შორენა გოგოლაძე**

## მოკლედ



### აშშ ჩინეთს აბრაზებს

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთმა კატეგორიუად საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა და ფინანსურ-ეკონომიკური სანქციებითაც დაემუქრა, აშშ ტაივანისათვის 6,4 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღის მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას არ ცვლის. აშშ-ს თავისი საერთო საგარეო ვალის 6% ჩინეთისა მართებს. ამერიკელთა განცხადებით, ჩინეთი ამერიკაზე მეტადაა დამოკიდებული საგარეო ვაჭრობით და ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში მისი მხრიდან სანქციების დაწესება აბსურდად მიაჩნია.



### რუსეთი და ინდოეთი ითანამშრომლებენ

მარტში რუსეთის პრემიერ-მინისტრის — ვლადიმერ პუტინის ნიუ-დელიში ვიზიტისას რუსეთსა და ინდოეთს შორის ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საკითხებში თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდება. ეს იქნება საბაზო ხელშეკრულება, რომელიც ამ პერსპექტიულ სფეროში ინტენსიური თანამშრომლობის პირობას შექმნის. რუსული მხარე იმედს გამოთქვამს, რომ კუდანკულამეს ატომურ ელექტროსადგურზე კიდევ ორი ენერგობლოკი რუსეთის მონაწილეობით აიგება.



### რუსეთი და ბელორუსია მორიგდნენ

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა იმ პროტოკოლის რატიფიცირების კანონს, რომლის თანახმადაც ბელორუსიას ნავთობი ბაჟის გადაუხდელად მიეწოდება. ნავთობზე ბაჟი ქვეყნებს შორის კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო. ბელორუსია 2009 წლამდე რუსული საექსპორტო ტარიფის მხოლოდ მესამედს იხდიდა და ამ ნიშნულის შენარჩუნება სურდა. რუსეთი კი მინსკისთვის 6,3 მილიონი ტონა ნავთობის ბაჟის გადაუხდელად მიწოდებას მოითხოვდა. მინსკი დათანხმდა მთელი რიგი კომპრომისების სანაცვლოდ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბენზინი წინასაარჩევნო ყულაბის შესავსებად გააძვირეს

**მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი ეცემა, საქართველოში საწვავის ღირებულება საგრძნობლად მაღალია. გაძვირებული ტარიფით უკმაყოფილოა მომხმარებელი.**

საქართველოში მომუშავე კომპანიები გაძვირებულ ტარიფს დოლარის კურსის გამყარებით ხსნიან, თუმცა ექსპერტები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ვალუტის გამყარება უმნიშვნელოა და ნავთობის ბიზნესზე ასე კატასტროფულად არ უნდა აისახოს. თანაც გაძვირებისაკენ მიმართული ტენდენცია უკვე შეიცვალა, **ფასმა დაიკლო და ამ ეტაპისთვის ბარელი ნავთობის ღირებულება 70 დოლარამდე შემცირდა.**

მომხმარებლები თვლიან, რომ საქართველოში მათ ატყუებენ და ნავტობპროდუქტებზე ფასს უსინდისოდ ზრდიან. ექსპერტები ამ სფეროში არსებულ სირთულეებს ანტიმონოპოლისტური კომპანიების არარსებობით ხსნიან. მოკლედ, მიზეზები დაულეველია. ამას თან ერთვის ისიც, რომ დიდ ბიზნეს კომპანიებს, ძირითადად, სახელისუფლო წრეებში მომუშავე ადამიანები ფლობენ და ბაზარსაც ისინი აკონტროლებენ. ამბობენ, რომ აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარის" სოლიდურ პაკეტს ჰეიდარ ალიევთან ერთად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ფლობს; „ვისოლი" სააკაშვილის ძმას ეკუთვნის, ხოლო „რომპეტროლი" — ვანო მერაბიშვილს. ერთი სიტყვით, საწვავის ბიზნესი საკმაოდ „კარგადაა" გადანაწილებული; ისე მოხერხებულად, რომ გაძვირებული საწვავის მოგება ამჯერად ხელისუფლების წინასაარჩევნო ყულაბაში მიდის. საკითხავია, ვინ და რატომ ატყუებს საქართველოში ნავთობპროდუქტების მომხმარებელს?!

**დროა, კომპანიებმა კეთილსინდისიერება გამოიჩინონ და მომხმარებლის ჯიბეზეც იფიქრონ.**

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** განმარტავს, რომ საწვავის ფასი საერთაშორისო ბაზრებზე ორმა მთავარმა ფაქტორმა განსაზღვრა – დოლარის კურსმა და მაკროეკონომიკურმა მაჩვენებელმა. რაც შეეხება ადგილობრივი ბაზრის ფასებს, იგი თვლის, რომ ეს ცალკეული კომპანიების მენეჯმენტის გადასაწყვეტია.

,,ჩვენი ბაზარი საერთაშორისო ფასებზეა მიბმული, ბოლო პერიოდში დინამიური ვარდნა ფიქსირდება და ეს სერიოზული მომენტია. **1 ბარელი ნავთობის ფასი 680 დოლარს შეადგენს. უფრო ადრე 720 დოლარი იყო, სადღაც 40 დოლარით გაიაფდა, რაც ჩვენთვის პოზიტიური მომენტია და ადეკვატურ ასახვას, ალბათ, ადგილობრივ საცალო ქსელებზეც მოახდენს.** საწვავის არსებული ღირებულება არის ფასი, რომელსაც სხვადასხვა ხარჯები ემატება და შემდეგ ხდება საწვავის თვითღირებულების განსაზღვრა. ფასების თვალსაზრისით, იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისთვის აწყობა ძნელია. საქართველოში რომ იყოს ნავთობის მწარმოებელი ქარხანა, გაცილებით მარტივად იქნებოდა საქმე.

მაღალი ფასი სხვადასხვა ფაქტორითაა გამოწვეული და საგანგაშო არ არის. არ ვამართლებ ვინმეს, მაგრამ ფაქტია, რომ კომპანიებს აქვთ დანახარჯები, რომელზეც დღეს არ საუბრობენ. დიდი შემოსავალი აქვთ ამ ბიზნესით იმ ქვეყნებს, სადაც მოპოვება ხორციელდება. იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისთვის მოგების მაღალი მაჩვენებელი წარმოუდგენელია. ჩვენ პროდუქციის მომხმარებლები ვართ და განსაკუთრებით დიდი მოგებების მიღებას ვერ შევძლებთ.

საქართველოს საცალო ქსელში საწვავის ფასის მატება ეკონომიკური კრიზისის მანძილზე დროის გარკვეული ინტერვალებით ხდებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ნავთობპროდუქტი იყო ერთადერთი პროდუქტი, რომელმაც განიცადა ფასის სერიოზული, თითქმის 100-პროცენტიანი ვარდნა. როგორც წესი, ჩვენთან ბენზინი საერთაშორისო ფასებით შემოდის. ცხადია, ფასის კლება აქაც უნდა აისახოს.** ჩვენი კავშირი ასეთ გადაწყვეტილებას არ იღებს, რადგან ფასების დადგენა კომპანიების მენეჯმენტის გადასაწყვეტია და კავშირის პრეროგატივას სცილდება. ვფიქრობ, დღეს ან ხვალ დაიკლებს," — განმარტავს მთვრალაშვილი.

**მიუხედავად ასეთი პროგნოზებისა, ბენზინგასამართი სადგურების მფლობელები აცხადებენ, რომ ნავთობზე ფასის დაკლებას ჯერჯერობით არ გეგმავენ.** სამწუხაროდ, მათგან ასეთ დამაიმედებელ პროგნოზს არ უნდა ველოდოთ, არც ამჟამად არსებული ფასები მიაჩნიათ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ღირებულების არაადეკვატურად. უცნაურია, მაგრამ ერთხმად აცხადებენ, რომ დინამიკა კლებისკენაა, მაგრამ რატომ არ აისახება ეს კლების დინამიკა ჩვენს ბაზარზე? ამაზე პასუხს რატომღაც ყველა გაურბის.

ექსპერტი გია ხუხაშვილი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისაგან თავს იკავებს. ის თვლის, რომ საწვავის ფასის მაღალი ნიშნული სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებითაა განპირობებული. „ობიექტური მიზეზი ისაა, რომ ნავთობზე ფასების კლება ავტომატურად არ იწვევს საწვავზე ფასების კლებას, რადგან ფასწარმოქმნაში მონაწილეობს ე. წ. აქციზის გადასახადი (ტონა ბენზინზე 250 ლარი), რომელიც ნავთობზე ფასის მიუხედავად, მაინც გადასახდელია. ამიტომაც, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების კლება ავტომატურად შიდა ბაზარზე ფასების კლებას არ იწვევს. ობიექტური მიზეზია ის, რომ დოლარის კურსმა გარკვეული რყევა განიცადა და ეს მცირედით, მაგრამ მაინც აისახა. არის, აგრეთვე, გარკვეული სუბიექტური მიზეზებიც და ეს მიზეზები მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში არ არსებობს ინსტიტუტი, ანტიმონოპოლიურ სამსახურს ვგულისხმობ, რომელიც კონკურენტულ გარემოს შექმნის და დაალაგებს.

**ჩვენთან ბიზნესს ეადვილება ფასის მომატება, მაგრამ, როდესაც საერთაშორისო ბაზარი იაფდება, ამა თუ იმ პროდუქტის გაიაფებას აღარ ჩქარობენ. ეს ბიზნესმენების მცირე ეშმაკობებია და მხოლოდ ამ სფეროს არ ახასიათებს, რაც ცუდი, მაგრამ ჩვეულებრივი ამბავია.** რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ საწვავის ბიზნესით ხელისუფლება ხელს ითბობს, ამაზე კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს და პოლიტიკურ განცხადებას ვერ გავაკეთებ. ერთი რამ ცხადია, შეღავათები უნდა არსებობდეს," — აცხადებს ხუხაშვილი.

ის, რაც პასუხგაუცემელია კომპეტენტური პირებისაგან, კარგად გვიხსნიან მომხმარებლები. ისინი საუბრისას აცხადებენ, რომ **საწვავის ბიზნესს საქართველოში მაფიოზური ძალები კურირებენ მთავრობის მფარველობით; 40%-იან მოგებაზე მუშაობენ და იქიდან შემოსული თანხის დიდი ნაწილი წინასაარჩევნოდ იხარჯება.** მოკლედ, გამოდის, რომ საწვავიდან შემოსული მოგების დიდი ნაწილი საარჩევნო ყულაბაში იყრება.

**ირმა ჩიტაია**

## მოკლედ



### ტიმოშენკოს შემცვლელი უპოვეს

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობისათვის შესაძლო კანდიდატურად დაასახელა ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი სერგეი ტიგიპკო, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მესამე ადგილი ერგო. თუმცა, პრემიერობის კანდიდატთა სიაში სხვა სახელებიცაა ჩამოთვლილი და ამ სიას პარლამენტი მომავალ კვირას განიხილავს. კანდიდატის ოფიციალური წარდგენის უფლება უკრაინაში მხოლოდ საპარლამენტო კოალიციას აქვს.



### სავიზო რეჟიმი გაუქმდება

ისრაელის მთავრობამ უკრაინასთან სავიზო რეჟიმის გაუქმება გადაწყვიტა და პრემიერ მინისტრ ბინიამინ ნათანიაჰუს დავალებით საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ საკითხზე უკრაინულ მხარესთან მოლაპარაკებებს დაიწყებს. შეგახსენებთ, ბოლო დრომდე ისრაელი თვლიდა, რომ მეძავები და ადამიანებით მოვაჭრეები ისრაელის ტერიტორიაზე სწორედ უკრაინიდან შედიოდნენ და ამის გამო კატეგორიულ უარს აცხადებდა სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე. შინაგან საქმეთა მინისტრი ელი იშაი აზრს არც ახლა იცვლის.



### ნატომ 12 ავღანელი იმსხვერპლა

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ჯარების მიერ ავღანეთის ქალაქ მარჯაში განხორციელებულ მასშტაბურ სპეცოპერაციას მშვიდობიანი მსხვერპლი არ უნდა მოჰყოლოდა, მან 12 მოსახლის სიცოცხლე შეეწირა. ინციდენტის მიზეზი გახდა ის, რომ ბოევიკების პოზიციისკენ მიმართულმა რაკეტა მიზანს 300 მეტრით ასცდა და საცხოვრებელ სახლს მოხვდა. ახლა კოალიციის გენერლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და ქვეყნის პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის წინაშე ბოდიშებს იხდიან, მაგრამ ყარზაიმ უკვე დაიწყო გამოძიება.



საავტორო სვეტი

# ჩვენი სოფელი

**ბედნიერ სოფელში ვცხოვრობთ. ბავშვები ცურვას ხმელეთზე სწავლობენ. მშობლები ალტაცებით შესცქერიან, როგორ „ყვინთავენ" პატარები იატაკზე.**

ბედნიერ სოფელში ვცხოვრობთ. ღელეზე პორტს გვიშენებენ და წყალში ფერად-ფერადი „კატერები" ივლიან. იქვე, გოგიას სახლთან ახლოს ყინულის მოედანს დადგამენ და "ბირჟას" გააუქმებენ. რა ეშველება მიხაკო პაპას?.. რა უნდა ეშველოს, მიხაკო პაპა კეთილმოწყობილ "ბუტკაში" ხევსურულ ქუდებსა და ჩურჩხელას გაყიდის და უცხოელ ტურისტ ქალბატონებს გაეარშიყება. " მიხედე, ბალღო, მაგ ვირსა, ისევ არ გაგვექცეს," - გასძახებს ყინულზე მოსრიალე შვილიშვილს და ტურისტებთან ბაასს განაგრძობს: „ველქომ, გენაცვალე, იყიდე ქართული ჩურჩხელა"...

რა კარგია ჩვენი სოფელი. პოლიციის შენობას შუშის ფანჯრები აქვს. ღიად, გამჭვირვალედ მუშაობენ...

თუ ბედნიერი სოფლის წესრიგს დაარღვევ, ცემაში გაგხეთქავენ და აზრზეც მოგიყვანენ; თან უფასოა „ვალიდოლი" და „ანალგინი". სასწრაფოს გამოიძახებ და... სულ „გენაცვალე-შემოგევლეთი" მოგისწრაფებენ სიცოცხლესა.

ყველა ინგლისურად ლაპარაკობს. ინტერნეტიც ვიცით, რა არის და საძიებო სისტემებიც. ეს რა არის, მთელი სოფელი " ფაცებოოკე"-ში ათენებს ღამეებსა.

წინა ვართ, შურიანების ჯინაზე. ევროპამ რო უარი თქვა, ახლა იმ ტრადიციებსა ვნერგავთ. მაყვალა მაროს ცოლად უნდა შევრთოთ. აბა, როგორ... მაყვალასა უფლებები არა აქვს?!...

ეჰ, რომელი ევროპული დასახლება ჯობია ჩვენს სოფელს. ჩვენ, ხომ, ყველა ორღობე ევროპულზე კომფორტული და კეთილმოწყობილი გვაქვს. გაახილეთ თვალი, თქვე, შურიანებო, თქვენა, სტრატეგიული პარტნიორები ვართ ამერიკისა. "ჰამბურგერი" გვააქვს, "ჰამბურგერი" და "კოკა"... და კიდევ სურნელოვანი "პრეზერვატივები", აბა?!... რა ბრძენია ჩვენი სოფლის თავი. იმ დღეს აღმოგვაჩენინა, რომ ჩვენი ეკონომიკა უკრაინულს სჯაბნის. ხედავ, კვამლსა?... ეგ ჩვენი სოფლის ქარხნებიდან ამოდის. დილიდან საღამომდე შრომა-გარჯაში ვართ. შუბლზე ოფლი გვასკდება. დაუსაქმებელ გლეხს ვერა ნახავთ, სულ ხელებაკაპიწებული დავდივართ დიდიან-პატარიანად.

განსაკუთრებით შრომობენ სოფლის ხელმძღვანელი მუშაკები. მათ ცოლებსა და შვილებს ჯერჯერობით ბარსელონაში უწევთ დასვენება, მაგრამ, როცა ღელეზე პორტი აშენდება, აქვე მოისვენებენ. გაშლიან ზოლიან "ზონტიკებსა" და დასხდებიან არაგვის პირზე. ჩვენ კი, მთის გადაღმა რო პატარა რუა, იქ დავისველებთ დაბეგვილ ფეხებსა. აბა, ზოლიანი "ზონტიკები" ყველას როგორ ეყოფა?..

ზოგჯერ ხელმძღვანელი მუშაკები დონეცკშიც გაემგზავრებიან. სპორტულ ქუდებს დაიხურავენ და ჟურნალისტის პროფესიას შეითავსებენ. რატომ? ადამიანებო, უკრაინული დემოკრატიის განმტკიცებასა დახმარება არ უნდა? ხომ უნდა გავუზიაროთ დონეცკელ ძმებს არჩევნების ჩატარების ტექნოლოგია?! მზე და სითბოა ჩვენს სოფელში. ზუსტად საკურორტო ზონაა.

სკოლაში სიარული საჭირო აღარ არის, მაინც ოფიციანტებად და კარისკაცებად ამზადებენ ჩვენს შვილებსა. უდიპლომო სასიძოები და სარძლოები ბედნიერად დაწყვილდებიან და გაამრავლებენ გარსონების თაობას. მთავარია, ერთი წინადადება ეცოდინებათ ბალღებსა: " აი გლედ თუ სი იუ" და მიიღებენ მერე მექსიკელ, ფრანგ, ინგლისელ და ამერიკელ ტურისტებსა. იმას ნუღარ იკითხავთ, რა დამოუკიდებელ-თავისუფალი კედლის გაზეთი გამოდის ჩვენს სოფელში. ამ გაზეთის ჟურნალისტები მარტო შენებასა და ყვავილობაზე წერენ. თუ გააბრაზე, დიდი დიდი რუსეთის აგენტობა დაგაბრალონ, მაგრამ ამისი სოფელში ვილას ეშინია, ან ეუხერხულება?!..

ახლა ცოტა კრიტიკული ამბებიც უნდა გიამბოთ ჩვენს სოფელზე. გაზაფხულობითა ზოგიერთები საპროტესტო აქციებს მართავენ ხოლმე. "მოვედით!" — შესძახებენ და მერე ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად თავკაცის აგარაკზე სტუმრად დაიარებიან. ზაფხულის სეზონზე იშლებიან. 7 თვე დეპრესია აქვთ და მარტის ბოლოდან ისევ იწყებენ პროტესტის გაღვივებასა, მაგრამ სოფელი ბრმა როდია... იმასაც ხედავს, წლიდან წლამდე როგორ იცვლება ზოგიერთი მეამბოხის „ზაპორჟეცი" „ტოიოტას" ჯიპითა... ან კიდევ, როგორ ხსნიან ჩვენი ძმები ახალ დუქნებსა და აჭყვიტინებენ დუდუკსა. ჰოდა, რჩებათ არენა გასაპნულებსა... ვირის ამბავი, ხომ გიამბეთ, კიდევ მოგიყვებით ცხელ-ცხელ ისტორიებსა...

**ირმა ინაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვინ გადააფიქრებინა ასლან აბაშიძეს «დაღლილი ვირის» დაპატიმრება?

**ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ საქართველოში სულ რამდენიმე ადამიანმა იცის და ისიც — ხელისუფლების მაღალ იერარქიებში. ამასთან, არიან ადამიანები, რომლებიც „აჭარული რევოლუციის“ შემდეგ მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ ზედმეტად ინფორმირებულები იყვნენ მომხდარზე.**



მდინარე ჩოლოქის ხიდი ჯერ არ იყო აფეთქებული... ქობულეთში აჭარის ე. წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე აბაშიძის მომხრეთა აქციები იმართებოდა, რადგან ქართული საჯარისო ნაწილების აჭარაში გადმოსროლა იგეგმებოდა, რაზეც „რუსთავი 2“-ის ეთერით მოსახლეობას პირადად სააკაშვილი თითქმის ყოველდღე აწვდიდა ინფორმაციას! ერთი სული მქონდა, ამდენი ტყუილის გამო იქ მობილიზებულ ჟურნალისტთა კორპუსისთვის სამაგიერო გადამეხადა — საპირისპირო ინფორმაცია მომეპოვებინა, რაში მდგომარეობდა სინამდვილეში ე. წ. რევოლუციონერების ნამდვილი ზრახვები.

რამდენიმე დღეებში მართლაც ზე სენსაციური კადრების გადაღება მომიხდა. ცხონებულმა ჯემალ გოგიტიძემ დამირეკა: „სასწრაფოდ ჩოლოქზე ჩამოდი, მაგარ რამეს გადაგაღებინებო.“ რამდენიმე წუთში იქ გავჩნდი... მდინარის მიმდებარე ტერიტორიაზე პატარა კოტეჯები იდგა, სადაც მაშინდელი ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა იკრიბებოდა. რამდენიმე წუთში შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ჯიპში ჩავჯექით, ვიდეოკამერა „ჩახმახზე შევაყენე“ და შემთხვევის ადგილისკენ გავემგზავრეთ. იქამდე ჩოლოქზე მობილიზებული სპეცრაზმის საგანგებო მზადებაც გადავიღე და მივხვდი, რომ სულ მალე რაღაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის გადაღება მომიხდებოდა.

ქობულეთში, რუსთაველის გამზირზე მივედით... ერთ-ერთ სახლთან ქობულეთის მაშინდელი გამგებელი ტარიელ ხალვაში და ადგილობრივი პოლიციის ჯგუფი პატრულირებდა. რაციები ყველას დაბალ ხმაზე ჰქონდათ დაყენებული და ვერაფერს ვიგებდი. ბოლო-ბოლო ვისია ეს სახლი, აღარ მეტყვით-მეთქი, — გავკაპასდი და პასუხის მოლოდინში სისხლმა თავში ამასხა. „ნოღაიდელის სახლია, ახლა ჩოლოქს გადმოივლის, „ბაგაჟნიკში“ რამდენიმე მილიონი აქვს და ფაქტზე უნდა დავაკავოთ, — მითხრა ჯემალმა, — შენ ნუ გადმოხვალ მანქანიდან, ისე გადაიღე აყვანის კადრები.“ რაციაში ხმა გაისმა: „ხიდი გადმოიარა, გაემზადეთ!“ ვიგრძენი, თითები როგორ წამეყინა, რადგან ზურასთან კარგი გამარჯობა და თბილი მოკითხვა მაკავშირებდა. ძალიან შემეცოდა, ძალიან... სპეცრაზმმა მოახლოებული ნოღაიდელის მანქანა მიზანში ამოიღო. როცა ნოღაიდელის მანქანა ჭიშკარს მიუახლოვდა, რაციაში გაისმა ბრძანება: „ოპერაცია მოიხსნა, არ დააპატიმროთ, შეეშვით, შეუშვით ეზოშიო!“. მართლაც, ზურას მანქანა ეზოში ისე შესრიალდა, მისთვის ხელი არავის უხლია!

მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, რატომ გადაიფიქრეს მისი დაპატიმრება? იქნებ, ასლან აბაშიძეს ვინმემ სთხოვა, განზრახვაზე ხელი აეღო, რადგან ნოღაიდელი მისთვის არც მიუღებელი პიროვნება იყო და არც განსაკუთრებული ბოღმა ჰქონდა მის მიმართ? მოკლედ, ეჭვებმა, კითხვებმა და მომხდარმა ისე იმოქმედა ჩემზე, წნევისაგან ლამისაა გული ამერია და ჯემალს ვუთხარი, ძალიან ცუდად ვარ, ბათუმში წამიყვანოს ვინმემ-მეთქი. მოგვიანებით ნოღაიდელის ჩამოტანილი მილიონების წყალობით ქობულეთელები განსაკუთრებით გააქტიურდნენ. დაიწყეს აქციები ჩოლოქის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასლანისტების მიტინგებთან და ქალაქის ცენტრშიც. მოკლედ, ოცდაათმა ვერცხლმა თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ დასაფიქრებლად დღესაც ღირს: რუსეთთან დაახლოებულმა ასლან აბაშიძემ რატომ გადაიფიქრა ზურას დაპატიმრება და ვინ იყო ის პიროვნება, რომელმაც ასლანს ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა?

თბილისური და ბათუმური „ვარდების რევოლუცია“ რომ წმინდა წყლის ფიქცია იყო, ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარება, მაგრამ დღეს, როცა ზურაბ ნოღაიდელის კრემლში ვიზიტები მოხშირდა და მის გვერდზე იური მიხაილოვიჩი (ლუჟკოვი) დავინახე, თანაც მასპინძლის ამპლუაში, ცოტა არ იყოს... დავფიქრდი!

მოგვიანებით, ანუ რამდენიმე საათში კი ისიც შევიტყვე, რომ ნოღაიდელის პუტინთან შეხვედრა ასლან აბაშიძეს „ჩაუწყვია“. ეს ამბავი არ გამიხმაურებია რამდენიმე მიზეზის გამო, რადგან გადამოწმებას აზრი არ ჰქონდა. ასლანს ამის კითხვას ვერც ვაკადრებდი და ვერც დადებით პასუხს მივიღებდი. მაგრამ არ შემიძლია სრულიად საქართველოსთან ერთად არ დავსვა რამდენიმე შეკითხვა:

რატომ არ აპატიმრებენ დღეს ყოფილ პრემიერ-მინისტრს რუსეთის ხელისუფლებასთან ღია ალიანსის გამო?

რატომ არ უყადაღებენ ბიზნესს, რომელიც, საქმეში ჩახედული ადამიანების თქმით, ლამისაა ყვავის და საიდან გაუჩნდა „უპატრონო ქობულეთელ, დედაქალაქში „კალოშებით ჩამოსულ“ ბიჭს მილიონები?”

რატომ იფარგლება ხელისუფლება მხოლოდ სატელევიზიო კომენტარებით და არ მოუწოდებს თავის პრეზიდენტს, რომ ნოღაიდელის გარშემო (პოლიტიკური თუ ბიზნეს საქმიანობისთვის) სისხლის სამართლის საქმე აღიძრას; მაშინ, როცა ყოფილი პრემიერი მათი ნეკროლოგების შედგენას ლამობს?

რატომ გაჩნდა ეჭვი (სრულიად საფუძვლიანად), რომ ნოღაიდელი სინამდვილეში სააკაშვილის შიკრიკია, „დიდი მეფის“ კარზე და ამჯერადაც მოქმედების სრული თავისუფლება აქვს?

როდის უნდა გააკეთოს განცხადება ზურაბ ნოღაიდელმა, თუ რა მოხდა სინამდვილეში 2003 წლის 23 ნოემბერსა და 2004 წლის 6 მაისს აჭარაში? იყო თუ არა რევოლუციად მონათლული ეს სისაძაგლე სახელმწიფო გადატრიელება და რატომ არ თხოულობს იგი (თუ კი ეს ასეა) დამნაშავე პირების სასწრაფოდ დაკავებასა და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას? საინტერესოა, როგორ ახერხებს ბატონი ზურაბი მუდამ მშრალად გამოსვლას ამღვრეული წყლიდან, როცა მისი პარტიული მეგობრები ზოგი მკვდარია, ხოლო ზოგიც მასავით ხელშეუხებელი? მაგალითისთვის, ვფიქრობ, პეტრე მამრაძეც კმარა, რომელიც ჯერ შევადნაძის ხელი, ყური და პირი იყო, ხოლო მოგვიანებით სააკაშვილთანაც მსახურობდა!

მკითხველს, ალბათ, ახსოვს ინგა გრიგოლიას გადაცემაში მონაწილე იგორ გიორგაძისა და პეტრე მამრაძის „დიალოგი“, როცა პანტელეიმონოვიჩმა მას მისი კგბ „კლიჩკა“ შეახსენა და ღიად უთხრა: „შნირი იყავი და შნირადვე დარჩიო.“ ახლა კი ჩვენი გაზეთის მკითხველს გეკითხებით: ასეთი ხალხის მიერ მოპოვებული დემოკრატიის გჯერათ? დაფიქრდით ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე, შეხედეთ დღევანდელი ოპოზიციის უდიდეს ნაწილს და გაიხსენეთ, სად იყვნენ ისინი ჯერ „მოქალაქეთა კავშირის“ დროს, ხოლო მოგვიანებით ვის უკმევდნენ გუნდრუკს. ლოგიკურად დაუსვით თქვენს თავს შეკითხვა: ნუთუ ისევ გვატყუებენ?

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S.** **როცა ზურიკო ნოღაიდელმა 7 ნოემბრის შემდეგ საგანგებო მდგომარეობა გამოგვიცხადა, აგვისტოს ომიც ჩაიბარა სააკაშვილთან ერთად და მომხდარზე კომენტარის გაკეთებაც არ ისურვა და რატომღაც მაშინვე ოპოზიციაში გადმოხტა, ჩვენმა ერთმა საერთო ნაცნობმა ქალბატონმა დამირეკა და მთხოვა: „ზურა თავის შეცდომებს აღიარებს, სააკაშვილს ღიად დაარტყამს, მაგრამ, ძალიან გთხოვ, ამ საქმეში არ ჩაერიო, თავი დაანებეო.“ ამით მიმანიშნა, რომ როგორც ოპოზოციური გაზეთის ჟურნალისტს ზურასთვის ჩამჭრელი შეკითხვები არ დამესვა. ღმერთია მოწმე, ნოღაიდელთან არც ერთი ინტევიუ არ გამომიქვეყნებია, მაგრამ დღეს, თუკი მას გამბედაობა ეყოფა, მზად ვარ, დავჯდე და მეტად მნიშვნელოვან, დახურულ თემებზე ვესაუბრო. დარწმუნებული ვარ, ბატონი ზურაბი ისეთი გაყოჩაღებულია, რომ ჩემს უხერხულ შეკითხვებს არ გაექცევა. არადა, ვაპირებ, პოლიტიკის გარდა, მის ბიზნესზეც დავუსვა შეკითხვები — იგივე „ენერგო-პროსა“ და „ბაზის ბანკის“ შესახებ. ისიც მაინტერესებს, დამიდასტურებს თუ არა, 25-ე არხის ყიდვის ფაქტს, რომლის აპარატურაზეც ბევრს დარბის რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში! სხვათაშორის, 25-ე არხის ყოფილი მფლობელი დიანა აბაშიძეა და ამჟამად, საინტერესოა, რა მანქანებით მოახერხა ნოლაიდელმა არხის შეძენა.**

## მოკლედ



### მოლდავეთს ნატოში არ უნდა

მოლდავეთის ვიცე პრემიერმა, ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა მინისტრმა იური ლიანკემ განაცხადა, რომ რაიმე სახის სამხედრო ალიანსში გაწევრიანება კიშინიოვის სამომავლო პოლიტიკურ გეგმებში საერთოდ არ ფიგურირებს და ქვეყანა ნატოში შესვლას არ აპირებს. ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად მან სახელმწიფოს უმაღლესი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით — კონსტიტუციით დადგენილი მოლდავეთის ნეიტრალური სტატუსის შენარჩუნების სურვილი დაასახელა.



### იაპონია სტატუსს ინარჩუნებს

2009 წლის შედეგების მიხედვით იაპონიამ მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკის სტატუსი შეინარჩუნა. გასული წლის განმავლობაში ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტმა 5,1 ტრილიონი დოლარი შეადგინა და ამით გაცრუვდა პროგნოზები, რომელთა მიხედვითაც მისი ადგილი რეიტინგში ჩინეთს უნდა დაეკავებინა. ბოლო მონაცემებით ჩინეთის საერთო შიდა პროდუქტმა გასულ წელს 4,9 ტრილიონი დოლარი შეადგინა. 2010 წელს სააგენტო „Standard & Poor’s“-მა იაპონიის საკრედიტო რეიტინგი „სტაბილურიდან“ „ნეგატიურამდე“ დაწია.



### საქართველო ისევ სესხულობს

ამ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 3 381 513 000 აშშ დოლარს შეადგენს. ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 2 691 169 000 აშშ დოლარს შეადგენდა, შესაბამისად, საგარეო ვალის მოცულობა ერთი წლის განმავლობაში 26%-ით გაიზარდა. წლეულს საქართველო უკვე არსებულ ვალებზე 463 მილიონი ევროსა და 45 მილიონი დოლარის კრედიტს დაამატებს, 83,9 მილიონი ევრო გრანტის სახით შემოვა, თუმცა მოლაპარაკებები ჯერაც გრძელდება და მონაცემები საბოლოო არაა.



### საინვესტიციო პროგნოზი — 2010

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ედუარდ გარდნერმა განაცხადა, რომ 2009 წელს საქართველოში 800 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა და 2010 წელსაც, სავარაუდოდ, აღნიშნული მაჩვენებელი დაფიქსირდება. ასე რომ, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დაპირებული 2-მილიარდიან ინვესტიციას 1,2 მილიარდამდე შემცირებაც არ აკმარეს, სამაგიეროდ ანუგეშეს, საქართველოში ინვესტიციების შემოსვლის ზრდის პოტენციალი არსებობსო.



### ბიუჯეტის დეფიციტი

საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის — ირაკლი მატკავას განცხადებით, 2010 წლისათვის ქვეყანა 1,2 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ელოდება. ყველაზე საინტერესო და უცნაური ისაა, რომ საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი ვერაფრით აკონკრეტებს, თუ საიდან ელის ის ან ქვეყანა ამ კაპიტალის შემოდინებას. მეორეს მხრივ, წელს საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო ბიუჯეტის 7%-იან დეფიციტს ვარაუდობენ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით კი, ეს მაჩვენებელი წელს 7.4%-ს გაუტოლდება.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რას ითვალისწინებდა პოლიტგაერთიანება «ერთობასა» და «ედინსტვოს» შორის 2002 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი?

**ეს ერთი ხანია, ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი იშვიათად გამოჩნდება ხოლმე ტელეეკრანზე, არც ინტერვიუებით ანებივრებს „მწერალ ჟურნალისტებს“. არადა, პოლიტიკური მოძრაობა „ერთობა“, რომელსაც იგი და ალექსანდრე ჭაჭია თავმჯდომარეობდნენ, სერიოზულ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და რეალური პრეტენზიებიც ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში წამყვანი ადგილის ოფიციალურად დამკვიდრების.
მაგრამ, იმ სამწუხარო პრაქტიკის გამო, რომელიც ზეობდა და ზეობს ქართული სახელმწიფოს მმართველობაში, გამარჯვება ხელიდან გამოაცალეს, პატიოსნად მოპოვებული გამარჯვება.
დაყარეს ფარ-ხმალი? „დიდი შესვენება“ გამოაცხადეს თუ „უკეთეს დროს“ ელოდებიან?**



## ჯუმბერ პატიაშვილი:

## ჩვენ აფხაზეთი დავკარგეთ არა 1993 წლის 27 სექტემბერს, როცა სოხუმი დავტოვეთ, არამედ — 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა სოხუმში შევედით

**— შთაბეჭდილება ისეთია, რომ თქვენ და პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“ პოლიტიკას ჩამოსცილდით.**

*(ბატონი ჯუმბერი ჯერ პოლიტგაერთიანება ერთობაში მის პარტნიორსა და თანათავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭიაზე, მის ერუდიციაზე, პოლიტიკური კურსის სიმყარეზე, პრინციპულობასა და ენერგიულობაზე საუბრობს, ხაზს უსვამს, რომ ბატონი ჭაჭიას შინაგანი ცეცხლის ჩაქრობა წარმოუდგენლად მიაჩნია და შემდეგ დასძენს):*

— არა მგონია, რომ დღეს ადამიანი, საქართველოს მოქალაქე, პოლიტიკის მიღმა დარჩეს. მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს რომ ვაკვირდები, გააქტიურებას აზრი არ აქვს.

რაც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ყველა ხელისუფლებას ერთნაირად ახასიათებდა და „მემკვიდრეობით“ გადადიოდა, იყო ძებნა პიროვნებისა, რომლისგანაც მტრის ხატს შექმნიდნენ, ხელს შეაწმენდდნენ და არა პრაქტიკულ საქმიანობას გაშლიდნენ არსებული პრობლემების შედეგიანად გადაწყვეტისთვის. საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იგრძნოს ამის გამო პირადი პასუხისმგებლობა. მე ამ პასუხისმგებლობით ვცხოვრობ.

**— ესე იგი პოლიტიკაში დარჩით?**

— დავრჩით. ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს. პასიურობა კი განპირობებულია იმ დამოკიდებულებით, რომელიც საქართველოს წინა და ახლანდელმა ხელმძღვანელებმა ჩვენ მიმართ გამოიჩინეს — არასახელმწიფოებრივი, არადემოკრატიული დამოკიდებულებით. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის არჩევნების შედეგების გაყალბებაზე, რამაც საერთოდ დაანგრია საქართველოს პოლიტიკური სივრცე და ჩვენს „ერთობასაც“ შეეხო.

ის ადამიანები კი, რომლებმაც ეს დანაშაულებრივი სისტემა შექმნეს, დღესაც აღზევებულნი არიან.

ჩემი პოლიტიკური ხედვა და მრწამსი არ შემიცვლია, ძალაში რჩება ჩემი ის სამოქმედო პროგრამა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოვაქვეყნე.

**— მთავარი საკითხი?**

— რა თქმა უნდა, დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი, ერთიანი, მთლიანი საქართველოს სახელმწიფო აშენება.

**— ეს ყველას პროგრამაში წერია.**

— მეთოდებია განსხვავებული. ჩვენ, მაგალითად, მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი კონფრონტაციის პოლიგონად საქართველოს გადაქცევის საშიშროების თავიდან აცილებაა: საქართველო არ უნდა იქცეს რუსეთ-ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისპირების ასპარეზად.

სამწუხაროდ, ეს ყურად არავინ იღო.

ვფიქრობ, და არა მარტო მე, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა დაბალანსების პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს. დაბალანსებული პოლიტიკა უნდა გვქონდეს ყველა ქვეყანასთან, მათ შორის, რუსეთთან, რომელიც, ჯერ ერთი, მეზობელია და, ამასთან, ისტორიულად ყოველთვის ბევრი რამ გვაერთიანებდა.

დღეს, როცა ეს საკითხი დგება, თავს წამოყოფენ პოლიტიკოსები, რომლებსაც ქვეყნისთვის არასოდეს არაფერი შეუქმნიათ და იწყება იმ ხატის შექმნა, რომელიც უკვე ვახსენეთ და რომელსაც ზოგჯერ იმ ქვეყნის იმპულსური ქმედებაც საფუძველს უმაგრებს. მხედველობაში მაქვს 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომი, რომელმაც დაგვაკარგვინა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ღმერთმა არ ქნას, რომ საბოლოოდ. მაგრამ დღეს სწორედ ასეთი პირი უჩანს.

ეკონომიკური განვითარება ერთ-ერთი პირობაა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა, სხვა სახელმწიფოების ხელისშემყურეობა დამღუპველია. ჩვენი გაერთიანების პროგრამის ეს დებულება იგნორირებულია დღევანდელი ხელისუფლების მიერ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ძმების — აფხაზებისა და ოსების საქართველოს ერთიან ოჯახში დაბრუნება, უნდა მოხდეს მათთან უშუალო ურთიერთობის გზითა და საშუალებით.

აი, ახლა ვკითხულობ წიგნს — ეგაძის „Летопись Грузии“, რომელშიც დეტალურად აღწერილია საქართველო-რუსეთის ურთიერთობა რომანოვების მმართველობის პერიოდში. არ ვარ დარწმუნებული, რომ ბევრ ჩვენს პოლიტიკოსს წაკითხული და შესწავლილი აქვს ეს ისტორია. სამაგიეროდ დაზეპირებულივით იმეორებენ ორჯონიკიძისა და მახარაძის გვარებს...

მოკლედ, აფხაზებთან და ოსებთან უშუალო ურთიერთობის განახლება, როგორც პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი კი — რუსეთის (რომელთანაც, ვიმედოვნებ, აღვადგენთ კეთილმეზობლურ ურთიერთობას) ფაქტორის სრულად ამოქმედება — აი, ძირითადი მიმართულება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

**— დღეს ეს ურთიერთობები საერთოდ გაწყვეტილია, ჟენევის ფორმატში მონაწილეობა კი ფორმალობად იქცა.**

— აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას ვერ მოახერხებენ ის ადამიანები, ვისაც ამ ურთიერთობაში ბევრი რამ მიუღებელი ჩაუდენია.

ორივე მხარეს ვგულისხმობ.

მომხდარის ობიექტურად შეფასება და საკუთარი შეცდომების პატიოსნად აღიარება პირველი ნაბიჯი იქნება შერიგებისკენ.

მე რომ მკითხოთ, ჩვენ აფხაზეთი დავკარგეთ არა 1993 წლის 27 სექტემბერს, როცა სოხუმი დავტოვეთ, არამედ — 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა სოხუმში შევედით...

**— რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობის შესახებ ბრძანეთ. თქვენს მოძრაობას ხომ ჰქონდა საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, ხელშეკრულებაც კი გააფორმეთ „ერთობასა“ და, როგორც რუსეთის მმართველ პარტიას, ასევე დუმაში ამ პარტიის ფრაქციას შორის 8 წლის წინათ — 2002 წელს? როგორც ვიცი, „ედინსტვომ“ საპატიო მედლითაც დაგაჯილდოვათ.**

— კი, ჩვენ მაშინ დავდეთ მნიშვნელოვანი ხელშეკრულება რუსეთის მმართველ პარტიასთან. ეს იყო ქართულ სინამდვილეში პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი, რომელსაც სერიოზული დადებითი შედეგების მოტანა შეეძლო, პარტიის გარდა ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია „ედინსტვოსთან“, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჰიდრომშენებელი ინჟინერი პეხტინი. არნახულად უყვარდა ამ კაცს საქართველო, ენგურჰესის მშენებლობაში გვეხმარებოდა. იცნობდა ჩვენს სისტემას, ესმოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისთვის საქართველოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

**— თქვენ ჩაგიყრიათ საფუძველი მოღალატეობისთვის და ეგაა, ბატონო ჯუმბერ.**

— (*იცინის*) რა თქმა უნდა, თუ მოღალატეობად შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტუდენტთა ჯგუფების გაცვლა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დელეგაციების ურთიერთსტუმრობა...

ძალიან საინტერესო და საჭირო, ურთიერთსასარგებლო ღონისძიებები გვქონდა გათვალისწინებული. მაგრამ 2003 წლის შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, ურთიერთობა აიჭრა. არადა, დღევანდელისაგან განსხვავებით, მაშინ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს რუსეთი უპირობოდ აღიარებდა. ღიად იდგა ქვეყნის გაერთიანების საკითხი: აფხაზებთან რაც შეიძლება ეფექტიან ურთიერთობაზე, მათ ჩამოყვანაზე, ყველა სფეროში, განსაკუთრებით, სამეურნეო და კულტურულ სფეროებში კონტაქტებსა და თანამშრომლობაზე იყო გამახვილებული ყურადღება.

რუსეთს პრობლემების მოგვარების პროცესში მედიატორის როლი უნდა ეთამაშა. თუ უარს იტყოდა ამ კეთილშობილურ საქმეზე, გამოაშკარავდებოდა მისი ჭეშმარიტი განზრახვა.

საქმე დაპირისპირებისკენ არ მიდიოდა. პირიქით, საქართველოდან რუსეთს სამხედრო ბაზებიც კი ეტაპობრივად გაჰყავდა.

უბედურებაა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა, გახლეჩილია ამ უმტკივნეულეს საკითხშიც კი.

აბა, ნახეთ ამ კონფლიქტებისა და საქართველოს დანაწევრების პროცესში ვინ მოითბო ხელი და ვინ რა ხეირი ნახა!

მათ, ვისაც ქვეყნის სასიკეთოდ ხელი არასდროს გაუნძრევია, არ უმუშავია საერთოდ, ხელთ იგდეს წინა თაობების მიერ შექმნილი დოვლათი, ხალხი კი მშიერ ულუფაზე დასვეს. გაალატაკეს! ყველას და ყველაფერს ხაზი გადაუსვეს და საზოგადოებრივი აზრიც უკუღმართად მომართეს.

ვის ახსოვს, მაგალითად, სახელოვანი მშენებელი შუქრი აბაკელია. რამდენიმე წლის წინათ ზუგდიდში შევხვდი და ძლივს ვიცანი, ისე იყო შეცვლილი ეს ვაჟკაცი კაცი.

ნოღაიდელთან რა მაქვს გასაყოფი, მაგრამ, რაც მწვანეებმა ჩაიდინეს ჰუდონჰესთან დაკავშირებით, სწორედ ის იყო, არ მინდა, ვიხმარო სიტყვა ღალატი, მაგრამ ხომ იყო მავნებლობა?

საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ხელმძღვანელობისთვის გაუგებარი იყო, რატომ ვეწინააღმდეგებოდით ხუდონჰესის აგებას. ენგურჰესზე პრაქტიკულად მთელი საქართველო დღესაცაა ჩამოკიდებული. წარმოიდგინეთ, რამდენ პრობლემას ავიცდენდით, როგორ შევინარჩუნებდით სახალხო მეურნეობის უამრავ ენერგოტევად დარგსა და საწარმოს, ჰუდონჰესიც რომ გვქონოდა, რამდენ გაჭირვებას ავარიდებდით საქართველოს მოქალაქეებს!

ენერგეტიკის საკავშირო მინისტრმა მაშინ თავისი მოადგილე გამოგზავნა საქართველოში, პრობლემა ადგილზე რომ შეესწავლა. მოვიგონე რაღაც მიზეზები, რომ გათვალისწინებული არ არის ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი დაფინანსება და სხვა... ერთ დღეში გამოიყო 72 მილიონი მაშინდელი მანეთი სვანეთის რეგიონის განაშენიანებისა და მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. იმდროინდელი კურსით, ეს უზარმაზარი თანხა იყო. ეს მოხდა 1989 წლის 28 მარტს.

**— რახან კვლავ აფხაზეთი გაიხსენეთ, მითხარით, თუ შეიძლება, აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა დროის ამბავია?**

— ამ იმედით ვცხოვრობ მე პირადად და პოლიტიკასაც ამიტომ შევრჩი. მაგრამ როდის, როცა საამისოდ გადადგმული ნაბიჯებიც კი არ ჩანს?

ჩვენ ყოველდღიურად სულ უფრო ვშორდებით აფხაზებსაც და ოსებსაც.

ამ სიტუაციის შემობრუნება რუსეთს შეუძლია. ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა კი ამ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, რაც ფრიად სამწუხაროა.

**— „ერთობის“ მიერ დადებულმა ხელშეკრულებამ, თუ ავამოქმედებთ, შეიძლება შეასრულოს დადებითი როლი?**

— მინიშნებით გეტყვით: საქართველომ ამ პერიოდის განმავლობაში დაკარგა ის, რისი დაკარგვაც სურდათ გარკვეულ ძალებს საქართველოშიც, რუსეთშიც და მათ საზღვრებს გარედაც.

აგვისტოს ომმა დაგვარწმუნა, რომ ძალისმიერი მეთოდებით ჩვენი კონფლიქტები ვერ მოგვარდება. ჩვენ კი დავრწმუნდით და მანამდეც ეჭვი არ გვეპარებოდა, მაგრამ საეჭვოა, რომ ასევე ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება.

აი, სულ ბოლო მაგალითი:

ზოგიერთი ჩვენი მინისტრი რუსეთის მიერ ფრანგულ ავიამზიდ „მისტრალის“ რუსეთის მიერ ყიდვაზე გადაირია — საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებისთვის შეიძინა ჩრდილოელმა აგრესორმაო. გაამწვავეს და გააძლიერეს შეტევითი რიტორიკა რუსეთის წინააღმდეგ, რითაც ყოველთვის გამორჩეულები ვიყავით. რა არის ეს — გულუბრყვილო თავდაჯერებულობა თუ ბოროტი პროვოცირება ახალი დიდი სამხედრო დაპირისპირებისა?

„უმისტრალოდ“ ომის დაწყება გაუჭირდება რუსეთს?

ეს არა მარტო მცდარი პოლიტიკაა, არამედ დიდი ტრაგედიის წინაპირობაც შეიძლება გახდეს. ვთქვი და ვიმეორებ: ქართულმა საზოგადოებრიობამ მაქსიმალური ძალა უნდა მოიხმოს, რათა ჩვენი ქვეყანა არ გახდეს რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისრების პოლიგონი.

დაბალანსების პოლიტიკა შეიძლება და კიდეც უნდა განხორციელდეს საქართველოში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

* * *

**მორალი: მზე ჩრდილოეთიდან რომ არ ამოდის, გავიგეთ. მაგრამ საიდან უბერავს ჩრდილო-დასავლეთის ცივი ქარი, რომელსაც საფრანგეთში მისტრალი ჰქვია?**

17 — 23 თებერვალი, 2010 წელი. №6 (49)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# მიშატყუილა

**ჩვენი პრეზიდენტი რომ მატყუარა და ტრაყუნაა, მთელმა მსოფლიომ გაიგო. ვისაც ეს სიტყვა ემცხეთა, მათ დასამშვიდებლად ვიტყვი, რომ ტრაყუნი უცენზურო სიტყვა კი არა, მადლიან ქიზიყში ტრაბახის სინონიმია.**
**რომელი ქართველი ნაცარქექია ან ევროპელი ბარონი მიუნჰაუზენი მივა მიშასთან ტრაყუნ-ტყუილებში, ისეა ამ საქმეში დაოსტატებული. თუმცა ერთიც არის — ზღაპრების პერსონაჟთა ტრაბახ-სიცრუე, როგორც ზღაპრების წესია, უწყინარი და ღიმილისმომგვრელია, ხოლო პრეზიდენტის ნაცარქექიობა თუ მიუნჰაუზენობა, ყველაზე ცოტა, საზოგადოების იმედგაცრუებას, სიმწრის ღიმილს იწვევს და, მაგას ვინღა დაეძებს, — ხალხის მოთქმა-გოდება თუ ვაივიშიც არა ერთხელ გამოუწვევია.**



აბა, მიშატყუილას ყველა დანაპირებს, ტრაყუნ-ტყუილებს ვინ გაიხსენებს?! ანუ, აკაკის პერიფრაზით, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან მიშას ტყუილები?! მაგრამ მაინც ვეცდები და „ტკბილ მოგონებებს“ იქიდან დავიწყებ, როდესაც მიშა ჯერ კიდევ არ იყო მსოფლიო დემოკრატიის მანათობელი შუქურა, არამედ — მხოლოდ შევარდნაძის ოპოზიციის ვარსკვლავბიჭუნა; ანუ იქედან, როდესაც, დღევანდელივით, არც ხალხმრავალ მიტინგებზე ეშინოდა გამოჩენა და არც ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრას გაურბოდა.

გთავაზობთ ინტერვიუდან ამონარიდს, რომელიც 2002 წლის ნოემბრის ბოლოს გამოქვეყნდა „რეზონანსში“, ანუ მაშინ, როდესაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა: **„რაც შეეხება ქალაქის მერს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ მერის არჩევითობას. იცით, რატომ არ მოხსნა პრეზიდენტმა ზოდელავა? ზოდელავას მოხსნით პრეზიდენტი საკუთარი თავის წასვლის პრეცედენტს შექმნიდა“.**

ხედავთ, ჩემო მკითხველო, რას ამბობდა სააკაშვილი 2002 წლის ნოემბრის ბოლოს? მას შემდეგ პრეზიდენტიც გახდა, მაგრამ თბილისის მერის არჩევითობის გახსენებას აგვისტოს ომი და შარშანდელი საპროტესტო აქციები დასჭირდა. მისი მაშინდელი ნათქვამი უტყუარი ნიშანია იმისა, თუ როგორი არჩევნების ჩატარებას აპირებს — უგულავას „მოხსნით“ საკუთარი წასვლის პრეცედენტს შექმნის? ეს ისე, რიტორიკული კითხვა არჩევნების მომხრე ოპოზიციის საყურადღებოდ.

ახლა ვნახოთ, რას ამბობს მიშა იმავე ინტერვიუში ე. წ. ხელშეკრულება თბილისთან მიმართებაში, რომლის მდიდრულად გამოცემული ბუკლეტიც წინ მიდევს: **„ჩვენ ეს ხელშეკრულება უმრავლესობაში (საკრებულოს უმრავლესობა. — ავტ.) მოსვლის პირობით გავაფორმეთ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ხელშეკრულების პუნქტები შესრულებადია და ჩვენ მას შევასრულებთ. ეს ეხება კომუნალურ მომსახურებას: ლიფტების, სახურავების, სამედიცინო მომსახურების თუ ყოველ ახალ შობილზე ასი ლარის გაცემასა და სხვა მრავალ პრობლემას, რომელთა მოგვარების ტენდენციას სულ მალე იგრძნობენ თბილისელები“.**

ჰა, როგორია? რამდენიმე ლიფტი და სახურავი მართლაც შეკეთდა გლდანში, სადაც მიშა პირადად დახტოდა „კრიშებზე“ ტელევიზიებთან ერთად და ელდარ კვერნაძის თანხლებით, რომელიც მაშინ ამ სამუშაოების „პრარაბი“ იყო. ანუ, როგორც ამბობენ, მაშინ „კაი მაყუთი მოღუნა“ და დღეს მიშას საპარლამენტო უმრავლესობის უერთგულესი „ინტელექტუალური“ წევრია!..

100 ლარის დარიგებაც დაიწყეს ახალშობილებზე, მაგრამ ყველაფერი მაშინ დამთავრდა, როდესაც მიშა პრეზიდენტი გახდა, ხოლო „ნაცები“, ვის უმრავლესობასაც მიშა საკრებულოში ნატრობდა, არა თუ თბილისის საკრებულოში, რაიონების საკრებულოებშიც და პარლამენტშიც აბსოლუტურ უმრავლესობაში არიან. რაც შეეხება „სხვა მრავალ პრობლემას, რომელთა მოგვარების ტენდენციას სულ მალე იგრძნობენ თბილისელები“, ანუ თბილისთან ხელშეკრულების სხვა პუნქტებს: პენსიებს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, ანაბრების დაბრუნებას, უფასო სამედიცინო დაზღვევა-მომსახურებას, მთელი ქვეყნის მასშტაბით „მოგვარებულია!“

გაყიდული საავადმყოფოების ნაცვლად 100 დაპირებული საავადმყოფოს აშენების პირობა ქიზიყურ ტრაყუნად დარჩა ისევე, როგორც სტაჟის მიხედვით პენსიებზე „ნადბავკა“ არის ტყუილი. რაც შეეხება ანაბრების დაბრუნებას, დედამიწის უკულმა „დაბრუნება“ უფრო რეალურია. აღარაფერს ვიტყვი ერთ-ერთ ბოლო ტყუილზე, პენსიების 100 დოლარამდე გაზრდაზე. ერთადერთი „წინსვლა“ პენსიებზე 10 ლარის დამატებაა. აპრილში აიღებენ პენსიონერები გაზრდილ პენსიას, რათა 30 მაისის არჩევნებამდე გაჰყვეთ უგულავას მიმართ მადლიერების გრძნობა.

**ყველაზე დიდი ტყუილი მაინც ის იყო, რომ 2004 წლიდან, დღიდან სააკაშვილის გაპრეზიდენტებისა, ყოველი წელი ცხადდებოდა აფხაზეთის თუ ცხინვალის დაბრუნების წლად, რაც 2008 წლის ჩათვლით გრძელდებოდა.**

ყველაზე დიდი ტყუილი მაინც ის იყო, რომ 2004 წლიდან, დღიდან სააკაშვილის გაპრეზიდენტებისა, ყოველი წელი ცხადდებოდა აფხაზეთის თუ ცხინვალის დაბრუნების წლად, რაც 2008 წლის ჩათვლით გრძელდებოდა. აგვისტოს ომში დამარცხებამ ერთი „დადებითი შედეგი“ მაინც მოგვიტანა — მეორე წელიწადია, მიშას აღარ დასცდენია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თარიღი. სწორედ თარიღების, წლების დათქმა, ანუ უსაფუძვლო ტრაყუნი აღმოჩნდა საფუძველი აგვისტოს ომის ტრაგედიისა, რის გამოც ტერიტორიების 20% დაკარგა საქართველომ, სამუდამოდ თუ არა იმდენი ხნით მაინც, რომ ერთი და ორი თაობის ძალისხმევა არ ეყოფა დაკარგულის დაბრუნებას. აღარაფერს ვამბობ ათობით ათას ახალ ლტოლვილზე და ათასობით დაღუპულსა და სამუდამოდ გამწარებულ მათ ჭირისუფლებზე!

გახსოვთ, ალბათ, „კატოკიდან“ დაწყებული, კომბაინგრეიდერ-ტრაქტორით გაგრძელებული და ავიაგამანადგურებლით დამთავრებული, რაც კი არსებობს, ლამის ყველა სატრანსპორტო სახეობის საჭე-შტურვალთან გვიხილავს ჩვენი ბედნიერი პრეზიდენტი და გვეგონა, მისი ექსტრავაგანტობა ამ მხრივ ამოწურული იყო, მაგრამ...

ამას წინათ, თბილისი-სოხუმის ტრასის 25-კილომეტრიანი მონაკვეთის გახსნისას, **ფორმულა 3**-ის საჭესთანაც ვიხილეთ. თავი დავანებოთ იმას, რომ თბილისი-სოხუმი ცოტა ხმამაღლა ნათქვამია; იმასაც, რომ სასაცილოდ გამოიყურებოდა სპორტული მანქანის ძარაში ჩატენილი, რადგანაც ჟოკეების არ იყოს, სპორტული ბოლიდების პილოტებიც, როგორც წესი, მცირე ზომა-წონისანი არიან. ანუ, მიშას სიგრძე-სიგანეზე, ზომა წონაზე არ არის გათვლილი ასეთი მანქანების კონსტრუქცია, რადგანაც ზედმეტ კილოგრამებს, ცხენოსნობისა არ იყოს, ავტოსპორტშიც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ერთი სიტყვით, ხომ ვიხალისეთ მიშას „კაბინკაში“ ჩატენვა-ამოტენვის ყურებით, მაგრამ მთავარი ხალისობა წინ გველოდა, როდესაც ვილაც თენგიზ გოგოტიშვილმა გვამცნო, რომ 25 კმ **ფორმულა 3**-ზე ამხედრებულმა მიშამ 4 წუთში დაფარაო. უბრალო არითმეტიკით გამოდის, რომ მიშას 450 კმ/სთ სიჩქარით უვლია, რაც ყველაზე სწრაფი **ფორმულა 1** ბოლიდებისთვისაც კი შეუძლებელია.

ეგეც არ იყოს და ვთქვათ, მანქანის ძრავისთვის შესაძლებელი ყოფილიყო ეს, ზემოთ ცხენოსნობა და მხედარი ვახსენე, ჰოდა, გვანჯ აფაქიძისა არ იყოს — კაი ცხენი ვინ თქვა, კაი ვაჟკაცის გარეშე, მახარია! ანუ, ვისაც ის უნახავს, თუ როგორი პლასტიკით ურტყამს პენალტებს სპორტული მოედნების გახსნისას ან ის, თუ როგორი გრაციით სრიალებს მწვანე შარვლით თხილამურებზე, დამეთანხმება, რომ მიშასთვის სპორტი, ნამდვილად არ არის ძლიერი მხარე!

ისე, კაცმა რომ თქვას, სიჩქარის რეკორდი მიშას არ დაუტრაბახებია და ყველაფერი არითმეტიკის უცოდინარი, მიშას მეხოტბე გოგოტიშვილის ბრალია. რაც შეეხება მიშას, ერთი მაინც წაიტრაყუნა — ამ ტრასით მალე სოხუმში ჩავალთო! ისემც კარგი დაგემართოთ, როგორც სოხუმამდე ისე „შორია“, რომ მიშა კი არა, მისი სეხნია მიხეილ შუმახერი, ანდა ნიკი ლაუდაც, რომ დაჯდნენ საჭესთან, სოხუმამდე დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ ჩავალთ!

ბოლოს, როგორც იტყვიან, ცინცხალი ტყუილი — ახლახან გამართულ მიუნჰენის კონფერენციაზე მიშა დაპატიჟეს, მაგრამ ისეთი მოუცლელია, რომ არ წავიდაო. ვინმე დაიჯერებს ამას, რომ იქ არ წავიდა, სადაც მისი მამა-მარჩენალი ჯონ მაკეინი განცხრომით იჯდა? აღარაფერს ვამბობ ჰილარი კლინტონსა თუ მსოფლიო პოლიტიკის სხვა ლიდერებზე.

სამაგიეროდ, მოიცალა და ვანკუვერის ოლიმპიადის გახსნაზე წავიდა, როგორც გვაუწყეს, ოფიციალური ვიზიტით — სპორტული ნაგებობების მშენებლობების გამოცდილების გასაზიარებლადო. გაგონილა ამისთანა ტყუილი და თვალებში ნაცრის შეყრა? თავი დავანებოთ იმას, რომ ჯერჯერობით არც ერთი კადრი გვინახავს, ვინმემ, მასპინძელმა პოლიტიკოსმა მიშას ხელი რომ ჩამოართვა. ეგეც არ იყოს, როდიდან არის, რომ პრეზიდენტები იზიარებენ სპორტული ობიექტების მშენებლობების გამოცდილებას? შესაბამისი დარგის მინისტრი ან ოლიმპიური კომიტეტი რის მაქნისია? ცოდო არ არის მიშა, ყველას გასაკეთებელი საქმე მარტო მაგან უნდა აკეთოს? მაგრამ მინისტრი და ოლიმპიური კომიტეტი რა სახსენებელია თვით პრეზიდენტის შესაძლებლობებთან? მიშა ვანკუვერში, მართლაც, გამოცდილების გასაზიარებლად წავიდა, თუმცა მან კი არ უნდა გაიზიაროს კანადელების გამოცდილება, იქეთასწავლოს, როგორ იცხოვრონ უფრო მხიარულად მესტიაბათუმის ანალოგიურად, როგორ დაეშვნენ ვანკუვერიდან და ჩასრიალდნენ პირდაპირ ფლორიდაში ოკეანეში საჭყუმპალაოდ. მერე რა, რომ ვანკუვერი კანადაშია და ფლორიდა აშშ-ში, მიშას ფანტაზიები რომელი სახელმწიფოს საზღვრებში ჩაეტევა?! კანადელები რას დაუჯერებენ მის ტრაყუნს, მაგრამ ხომ მოგვჭრის თავს კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ?

კიდევ ერთი — გახსოვთ, ალბათ, შარშანდელი საპროტესტო აქციების დროს „მაესტროს“ ეთერში მოტრიალე კლიპი, სადაც შსს შენობის ფონზე, რომელსაც ხალხმა „სიყვარულით“ ფაჩიკოს გარმონი შეარქვა, გარმონივით გაბადრული მიშა რომ ამბობს: „არც სახელმწიფო დაატერორებს და ნურავის ექნება ილუზია, რომ პირადად მე დავატერორებინებ რომელიმე ჟურნალისტს“!

ამ ტყუილ-ტრაყუნის შემდეგ დაუხეთქეს თავები ჟურნალისტებს პოლიციის სამმართველოსთან, ამის შემდეგ დაარბიეს მეორედ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია და აგერ სულ ახლახან ვახო კომახიძე შვეიცარიაში დარჩა, სადაც პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს!

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო მკითხველო, და ყოველივე ზემოთ თქმულიდან თუ არ თქმულიდან გამომდინარე (ყველაფერს რას გაიხსენებს და რა საგაზეთო ფართი ეყოფა), ტიციან ტაბიძის პერიფრაზით, ერთ მოკლე ფრაზაში ჩაეტევა მთელი წერილის პათოსი: ვიტრაყუნებ? — ცამ ქუხილი დაიწყოს; ტყუილს ვიტყვი? — ცის ქუხილი რა არის!

ან კიდევ უფრო მოკლედ: პრეზიდენტო და პრეზიდენტის აშკარა თუ ფარულო მაამებლებო! მაშ, მტყუანის?..

**რამაზ კაციტაძე**

## მოკლედ



### სააკაშვილი პასუხს აგებს

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ტომსკის სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად დაისჯება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამო. „ვფიქრობ, რომ ბატონმა სააკაშვილმა პირველ რიგში პასუხი უნდა აგოს საკუთარ ხალხთან, რომელიც ომში ჩაითრია, მსხვერპლისთვის გაწირა და საბოლოო ჯამში ამ ყველაფერმა მისი სახელმწიფოს რღვევა გამოიწვია... იმის გათვალისწინებით, რომ ტრანსლაცია მიმდინარეობს, იმედია, დღეს მას ამის შესახებ მოახსენებენ“, — განაცხადა მედვედევმა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ის, რაც 13 წლის წინათ ითქვა

## წერილი პირველი

**მე ერთი მკვლევარის წიგნიდან ორ ამონარიდს შემოგთავაზებთ და თქვენ, ჩვენო განათლებულო მკითხველო, შეეცადეთ, გაარკვიოთ, როდისაა გაკეთებული ეს მნიშვნელოვანი დასკვნები.**



**„ჩვენ თავს მოგვახვიეს სხვის კმაყოფაზე ყოფნის, მუქთახორის ფსიქოლოგია და ნელ-ნელა გადაგვაჩვიეს მუშაობას, საკუთარი ეკონომიკის შექმნისა და განვითარებისაკენ მისწრაფებას“.**

ეს ერთი. ახლა მეორე:

„...ბოლო წლების მოვლენების ანალიზი, სხვადასხვა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული კონცეფციების, მსოფლიო პოლიტიკური ელიტის პერსპექტიული გეგმების გაცნობა გვიჩვენებს, რომ **არსებობს ძლიერთა ამა ქვეყნისათვის მისაღები თვალსაზრისი, რომ არ არის საჭირო მაინცდამაინც საქართველომ და ქართველმა ხალხმა შეასრულოს რეგიონში ფუნქციური როლი“.**

როდის? რა თქმა უნდა, დღესო, იქნება თქვენი პასუხი და შეცდებით. თუმცა სრული საფუძველი გაქვთ თქვენეული დასკვნის გასაკეთებლად, რადგან ის სოციალურ-პოლიტიკური გარემო, ეკონომიკის ის კოლაფსი, რომელშიც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება, დღევანდელი საქართველოსთვისაა დამახასიათებელი.

ასე წერდა ჯერ კიდევ 1997 წლის ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, წერდა და აქვეყნებდა თავის ნააზრევს, აფრთხილებდა ქართულ საზოგადოებრიობას, რომ **ის კურსი, რომელიც აღებული ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას, სამადლოდ სარჩენად აქცევდა ჩვენს ქვეყანასაც და ჩვენს მოქალაქეებსაც.**

ცნობილია, რომ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ძლიერ ეკონომიკას უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ სწორედ ეკონომიკის ნგრევით დავიწყეთ სუვერენიტეტის „განმტკიცება“ საქართველოში. ალბათ, გახსოვთ 90-იანი წლების დასაწყისის მთავარი ლოზუნგი — ძირს ყველაფერი საბჭოური! მოსწრებაზე იყო — ვინ უფრო მეტს დაიტაცებდა კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის ქონებას, ვინ უკეთ დაარბევდა ქარხანასა თუ ფაბრიკას...

და აღმოვჩნდით ჩვენივე ხელით კუდის რიკამდე გატყავებულები.

ასეთ ვითარებაში ცის მანანად მოგვევლინა, ასე ჩანდა, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის მიერ მოწოდებული კრედიტები და გრანტები.

თითქოს ამოვისუნთქეთ.

მაგრამ თურმე ვაგებთ პერსპექტივას. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ქართულად თარგმნილი ჯონ პერკინსის წიგნი „ეკონომიკური მკვლელი“ და ფართო მასას გაცნობიერებული არ ჰქონდა, ასეთი „უანგარობის“ საშიშროება.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეჭვის ჭია მაინც დაღოღავდა ჩვენს ცნობიერებაში — ყურმოკრულ ამბად ვიცოდით, როგორ კარგავდა სახელმწიფოებრიობას აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა, რომელთაც მეფის მდიდრული ქურქი მხრებზე მოარგო სავალუტო ფონდმა.

სწორედ ამ დროს თქვა ალექსანდრე ჭაჭიამ: **„ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზე სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი“.**

ეს თქვა 13 წლის წინათ და დღეს ყველაზე მწვავე პრობლემად დგას საქართველოს წინაშე. გრძნობს ამას ჩვენი ისტებლიშმენტი? რა თქმა უნდა, გრძნობს და ხედავს. მაგრამ არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციას გამომუშავებული რომ არ აქვს შხამსაწინააღმდეგო ეფექტიანი საშუალება, სამწუხარო რეალობაა. ერთნი ამტკიცებენ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა მტკიცდება და მყარდება, მეორენი პატრიოტული მოწონებებით იმაგრებენ გულს.

## თანამედროვე ქართული საზოგადოების ყველაზე საშინელი უბედურება, რომელმაც განაპირობა ყველა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ჩავარდნა, არის უპასუხისმგებლობა...

საქართველო კი შაგრენის ტყავივით დაილია და პერსპექტივა არ ჩანს უკეთესი.

საოცარია, მაგრამ ალექსანდრე ჭაჭიამ სწორედ მაშინ შეამჩნია საქართველოს ტერიტორიული დაკნინება ტენდენციური ხასიათისა რომ იყო, როცა ყველანი დარწმუნებულები ვიყავით — აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სეპარატისტული მიდრეკილება, განდგომა დროებითი მოვლენა და დამოუკიდებლობის მოპოვების საყმაწვილო სენი იყო, რომელიც მალე გაივლიდა.

თითქოს აქეთკენ მივდიოდით — არძინბას მაქსიმალისტობისა და ანტიქართული განწყობილების მიუხედავად, კონტაქტები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, თბილისისა და სოხუმის ინტელიგენციის, ჟურნალისტების შეხვედრები სისტემატურ ხასიათს ატარებდა, სამხრეთ ოსეთის ლიდერი ლუდვიგ ჩიბიროვი კი დარწმუნებით ამბობდა, რომ მისი ხელმეორედ არჩევის შემდეგ ერთიანობის პრობლემა გადაწყდებოდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის იღვწოდნენ გაეროს გენერალური მდივნის მეგობრები საქართველოს საკითხში, რუსეთისა და აშშ-ის პოზიციაც ერთიანი იყო, აი, ამ დროს ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა: **„აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს უკვე აღარ ეკუთვნის, თანაც აფხაზეთი ზუსტად ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას განაპირობებს“** (გაზეთი „საქართველო“, 1997 წლის თებერვალი).

### შავი წინასწარმეტყველება თუ ურწმუნო თომას სინდრომი?

არც ერთი, არც მეორე.

ღრმა ანალიტიკურ მეთოდთან ერთად, რომელსაც ავტორი ერთგულებს, აქ, როგორც ჩანს, განსაკუთრებული როლი ითამაშა ერუდიციის ნოყიერ ნიადაგზე აღმოცენებულმა ინტუიციამ.

ალექსანდრე ჭაჭიამ შეამჩნია რაღაც განსაკუთრებული, თუნდაც მიკროსკოპულად მცირე, მაგრამ ჯაჭვური რეაქციის თვისების მქონე ნიუანსები, რომლებიც პერსპექტივაში ნეგატიური აფეთქების შედეგით შეიძლება დამთავრებულიყო.

დამთავრდა კიდეც. მხოლოდ გამოუსწორებელ ოპტიმისტს შეუძლია იკამათოს და ამტკიცოს საწინააღმდეგო.

პოლიტოლოგიის დოქტორის დაკვირვებულ თვალს მხედველობიდან არ გამოჰპარვია, რომ ასეთივე ტენდენციის ნიშნები სამცხე-ჯავახეთშიც შეიმჩნევა.

ეს კუთხე ჩვენს ხელისუფლებას — ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის პერიოდში მხოლოდ დრო და დრო ახსენდებოდა: კომუნისტების წლებში — როცა ხალხთა მეგობრობის დემონსტრაცია იყო საჭირო; დამოუკიდებლობის გამოცხადების მოკლე პერიოდში — იმისთვის, რომ შეეხსენებინათ იქ დამკვიდრებული სომეხი მოსახლეობისთვის — არ აჰყოლოდა სუვერენიტეტის აღლუმს და აქაური ცხელი თავების „ავტონომიურ სისულელეებს“ (ამ სტრიქონების ავტორი თავად იყო მოწმე სახელდახელო, მაგრამ მწვავე დებატებისა, რომლებიც მურმან ომანიძემ, იმ დროს პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ, აჟიტირებული აუდიტორიის წინაშე რომ გამართა „ჯავახის“ აქტივისტებთან წალკის ცენტრში — „საველე პირობებში“); ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას — მხოლოდ მაშინ, როცა მის სომეხ კოლეგასთან ერთად ეწვეოდა ადგილობრივების მიერ „საქართველოს ციმბირად“ წოდებულ ამ რეგიონს.

და ყველა ეტაპზე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის პრობლემები, რომლებიც უმთავრესად სოციალური ხასიათის იყო, არა მხოლოდ უცვლელად მეორდებოდა, არამედ სულ უფრო მწვავე, დაბოლოს, გადაუჭრელ ხასიათს იძენდა.

ამიტომ იყო მნიშვნელოვანი და ყურადსაღები პროფესორ ჭაჭიას პირუთვნელი შენიშვნა: **„...საქართველოს ხელისუფლება არ ღებულობს არავითარ ზომებს, რომლებიც მიმართული იქნებოდა სომეხი მოსახლეობის ქართულ ეროვნულ სხეულში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტეგრირებაზე“.**

დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც შარშან, წლის ბოლოს სომხეთის მთავარი ორდენით დააჯილდოვეს, განწყობილია რაიმეს სასიკეთოდ შესაცვლელად ამ რაიონში.

### მაკეინის საქართველო თუ სუვერენული სახელმწიფო?

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ, რაც აქამდე დაფარული იყო, გაცხადდა და, თუ დოკუმენტურად ვერ დასტურდება, საზოგადოებრივი აზრისთვის სავსებით საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი ხელისუფლება, მიხეილ სააკაშვილი ამერიკის თამაშს თამაშობს, თანაც არა პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკით ნაკარნახევს, არამედ სენატორ მაკეინის კერძო მოსაზრებებზე დაყრდნობით.

მარიონეტობა ერთი უბედურებაა, კერძო მარიონეტობა — იმაზე უარესი.

**ალექსანდრე ჭაჭია იდგა და დგას საქართველოს ხელისუფლების მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების პოზიციაზე, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ისეთ სახელმწიფო წარმონაქმნად საქართველოს ჩამოყალიბებას, რომელსაც, როგორც ბრმას, გამძღოლი ძაღლის გარეშე გადაადგილების უნარი ექნება წართმეული.**

იგი ვრცლად მიმოიხილავს ევროპაში ჩამოყალიბებულ მდგომარეობას და ასკვნის, რომ შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში უკვე შეუძლებელია აშშ-მა „ევროპის ჟანდარმის“ როლის შესრულება განაგრძოს.

**„იქმნება ისეთი სიტუაცია,** — წერს იგი, — **როცა ამერიკას აღარ შეუძლია ევროპის ეკონომიკურად „დაკავება“: გერმანია უკვე გახდა ევროპის ცენტრი, განახორციელებს ძლიერ დამოუკიდებელ პოლიტიკას და ცდილობს, განდევნოს ამერიკა რეგიონიდან; საფრანგეთს, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის გაძლიერების ეშინია, აღარ სურს, ამერიკა თავისი პატრონის როლში იხილოს... იტალიის, ესპანეთის ეკონომიკური ინტერესები ასევე არ შეესაბამება ამერიკის ინტერესებს“.**

ჩვენ რატომ ვიდებთ ქედზე უმცროსი და უუფლებო „პარტნიორის“ უღელს, რომელსაც ევროპა ვერ შეეგუა?!

ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს ალექსანდრე ჭაჭია წერდა, რომ „შესაძლო კონფლიქტებში სამხედრო ჩარევა ამერიკელებისთვის არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად არ არის მომგებიანი“.

გაითვალისწინა ვინმემ ეს დასკვნა? არა.

თავქუდმოგლეჯით გადავეშვით აგვისტოს ომში და დავმარცხდით. მაკეინმა, ამ ამერიკელმა ქორმა, ასე ისურვა და სააკაშვილმა კონდოლიზა რაისს ყური არ ათხოვა (აშშ სახელმწიფო მდივანმა აგვისტოს ომის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ბუშის ადმინისტრაცია სამხედრო ძალით კონფლიქტის გადაჭრას არ ურჩევდა). მაგრამ სააკაშვილმა „მომავალ პრეზიდენტთან“ თანამშრომლობა და მეგობრობა არჩია.

შედეგი ცნობილია.

მაკეინის წინადადებით გააგზავნაო საქართველომ იულია ტიმოშენკოს მხარდასაჭერად 2000 ფსევდოდამკვირვებელი უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

შედეგი აქაც ცნობილია: სახელის გატეხვა მეგობარი სახელმწიფოს თვალში.

ვინმემ აგო პასუხი ამის გამო? არა. სადაა გამოსავალი?

ალექსანდრე ჭაჭია ჯერ კიდევ 1995 წელს წერდა: **„ჩემი აზრით, თანამედროვე ქართული საზოგადოების ყველაზე საშინელი უბედურება, რომელმაც განაპირობა ყველა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ჩავარდნა, არის უპასუხისმგებლობა...“** ამიტომ მიაჩნია, რომ ერთობლივი ძალისხმევით **უნდა მივაღწიოთ „კანონის მიღებას სახელმწიფო მოღვაწეთა თავიანთ საქმიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის შესახებ“.**

იგი გვარწმუნებდა, რომ „ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებისკენ ლტოლვა განპირობებული იქნება... ქვეყნისა და ხალხის ინტერესებით“.

ასეთი კანონი დღემდე არ არსებობს საქართველოში, ეჭვი არც უნდა შეგვეპაროს, რომ როგორც აქამდე, დღეის ამას იქითაც იპარპაშებს საქართველოში უმწიფარიძეების უვიცობასთან შერწყმული თავნებობა.

სამაგიეროდ მიიღებენ კანონს ლუსტრაციის შესახებ და ამის გამო ისეთ ტაშფანდურს ატეხენ, რომ ობივატელს დაარწმუნებენ, საქართველოში კვლავ ანათებს დემოკრატიის შუქურა.

**არმაზ სანებლიძე**

## მოკლედ



### გერმანიის ეკონომიკა აღარ იზრდება

ევროპის უმსხვილესი ეკონომიკა 2009 წლის უკანასკნელი კვარტლის მანძილზე ოდნავაც არ გაზრდილა. ოფიციალური პროგნოზით, წელს ის 1,6%-ით უნდა გაიზარდოს. შარშანდელი ბოლო კვარტლის შესახებ ერთდროულად გამოაქვეყნეს ანგარიში ევროპის სხვა უმსხვილესმა ქვეყნებმაც. იტალიის საერთო შიდა პროდუქტი 0,2%-ით შემცირდა, ესპანეთისა — 0,1%-ით. 0,6%-იანი ზრდა დაფიქსირდა საფრანგეთში და ამის ხარჯზე ევროზონამ 0,1%-იანი ზრდა მიითვალა. საერთო ჯამში ევროზონამ პროგნოზები ვერ გაამართლა.



### სკანდალი პალესტინურად

პალესტინის ავტონომიის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა სამსახურიდან დაითხოვა თავისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რაფიკ ჰუსეინი, რომელიც სექსუალურ სკანდალში მონაწილეობაშია ეჭვმიტანილი. მამხილებელი კადრები რამდენიმე დღის წინ გადაიცა ისრაელის ერთ-ერთი ტელეარხით. იანვრის ბოლოს აბასის ფინანსურ, ადმინისტრაციულ და სექსუალურ კორუფციაშიც ადანაშაულებდნენ. ახალი ფაქტების შემდეგ კი მისი ქმედებების გამოძიება სპეციალურ კომისიას დაევალა.

17 — 23 თებერვალი, 2010 წელი. №6 (49)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# «წითელი კუთხიდან» «ნატოს კუთხემდე»

**საბჭოთა კავშირში — „წითელი კუთხე“, დამოუკიდებლობის პირველი წლებში — „ხატების კუთხე“, სააკაშვილის მმართველობისას — „ნატოს კუთხე“. როგორ შეიცვალა წლების განმავლობაში საქართველოს ღირებულებები და რამ ჩაანაცვლა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში წმიდა ხატები? როგორ აფასებს დღევანდელი სტუდენტობა „ნატოს კუთხეების“ გახსნას უმაღლეს სასწავლებლებში და რატომ შემოიღეს ერთ-ერთ სასწავლო საგნად უნივერსიტეტებში „ევროკავშირი და ნატო“?**





**ტრანსფორმაცია დროში — დიდი ბელადის ოთახს არც ისე დიდი დრო აშორებს დიდი ალიანსის ოთახთან**

კიდევ ერთი „ბედნიერი დღე“ დაგვიდგა ქართველებს. ნატოს საინფორმაციო ცენტრმა სოხუმის უნივერსიტეტში „ნატოს კუთხე“ მოაწყო და საზეიმოდ გახსნა. ამ ცენტრის ორგანიზებით, უნივერსიტეტებში ეს უკვე მეექვსედ კეთდება. ანალოგიური კუთხეები საქართველოს თითქმის ყველა საჯარო სკოლაშია.

გვიხარია ყველას, დიდსა თუ პატარას, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, მშიერსა თუ მაძღარს, მდიდარსა თუ ღარიბს. სკოლები მოირთო ლურჯად, მოსწავლეებს ყელზე ლურჯი ყელსახვევები უკეთიათ. სკოლის კედლებზე კი დიდი ასოებით წერია: **„გააერთიანე საქართველო ნატოსთან ერთად.“**

სკოლის პერიოდში ჩვენი თაობა წითელ ყელსახვევებსა და „ლენინის კუთხეებს“ ვერ მოესწრო, მაგრამ უფროსი თაობისგან ბევრი გვსმენია წითელ ყელსახვევზე.

საქართველო ხომ პარადოქსების ქვეყანაა. სხვაგან თუ ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს საპროტესტო აქციებით ხვდებიან, ჩვენთან მარტო ალმების ფრიალს არ სჯერდებიან და ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს მამაპაპურ მწვადებსა და შოთებს არ აკლებენ.

გაუგებარია, წელიწადში რამდენჯერ შეიძლება შეიღებოს სკოლებისა თუ უნივერსიტეტების კედლები ცისარტყელას ფერებით და რატომ უნდა ვწეროთ, რომ ამერიკა ჩვენი მშველელია, ნატოს გარეშე საქართველოს სუვერენიტეტს ფასი არ ექნება და ა.შ. არადა, წმ. ილია მართალი გვმოძღვრავდა, „ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“, ეს ხელისუფლება კი საპირისპიროს გვარწმუნებს, იმის მაგივრად, რომ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მშობელი ქვეყნის ისტორია ისწავლებოდეს, ახლა ევროკავშირისა და ნატოს შექმნის ისტორიაა მოდური. ასევე იყო საბჭოთა კავშირის დროსაც, როდესაც სასწავლებლებში საბჭოთა კავშირის ისტორიის სწავლება იყო უმთავრესი.

დღეს ეს ხელისუფლება იმით ბაქი-ბუქობს, რომ საბჭოთა და შევარდნაძის დრო საქართველოში აღარასდროს დაბრუნდება. არადა, რა აქვს საბაქიბუქო ამ ჩვენს უდღეურ ხელისუფლებას?! სკოლებისა და უნივერსიტეტების იმ კუთხეებში, სადაც უწინ ლენინის სურათები, წითელი დროშები და სხვა საბჭოთა სიმბოლიკები იყო გამოფენილი (მას „წითელი კუთხე“ ეწოდებოდა), დღეს ნატოს სიმბოლიკები და დროშები რომაა გაშლილი?

ისტორიული ქარტეხილებისა თუ დროის წყალობით, საბჭოთა კავშირი დაიშალა, „წითელი კუთხე“ „ხატების კუთხემ“ შეცვალა. ღვთისკენ მობრუნებულ ხალხს, გეყოფათ ღმერთზე ლოცვა, ახლა ნატოზე ილოცეთო, მთავრობამ ხატები და ჯვრები სასწრაფოდ ჩამოუხსნა და მის ადგილას ნატოს სიმბოლო, ოთხქიმიანი ვარსკვლავი ჩამოუკიდა — ახლა ნატოში უნდა შევიდეთო.

და „ჯვარი აქაურობას“ „ნატო აქაურობას“-ით შეგვიცვალეს (გინდა, ილოცე და გინდა, ფერხთით ჩაუვარდი, ვინ გიშვებს ნატოში!).

საბჭოთა პერიოდში თუ სკოლებში რევოლუციის ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბიუსტი იყო გამოჯგიმული, ახლა მას, ალბათ, ნატოს გენერალური მდივნის — ანდრეს ფოგ რასმუსენის თავი ჩაანაცვლებს; თუ კომუნისტების დროს უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ნორჩი ლენინელები და კომკავშირელები იყვნენ, ახლა ნორჩი ევროკავშირელები და ნატოელები იქნებიან; აქამდე თუ ნორჩ ოქტომბრელებს ეკითხებოდნენ, მზად იყვნენ თუ არა, ერთგულად ემსახურათ კომუნისტური პარტიისთვის, დღეს უკვე გვეკითხებიან, მზად ვართ თუ არა ერთგულად ვემსახუროთ ნატოს.

ჩვენ კი, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ **მაპი** „გადმოგვიგდონ“, ერთხმად გავიძახით: „მზად ვართ!“ (თუ არ დავიძახებთ, პლებისციტს ჩაატარებენ, მერე მის შედეგსაც გააყალბებენ და ხალხის სახელით იტყვიან, გვინდა ალიანსშიო) და აქედან დაიწყება სვლა დიდი ნატოსკენ.

ვლადიმერ ილიას ძისაგან განსხვავებით, ქვეყნის თავკაცი, დიდი ბელადი მიშიკო მჭექარე ხმით მოგვიწოდებს: „არც ერთი ნაბიჯი უკან, მხოლოდ წინ — ნატოსკენ!“, მაგრამ ნატომ, — ნურას უკაცრავად, ვერ მოგართვით, ჩაიარა თქვენმა მატარებელმაო. ჩვენ კი მაინც იხტიბარს არ ვიტეხთ, მივსდევთ ამ მატარებელს ლურჯი დროშების ფრიალით და თან ვყვირით: „რასმუსენ ბიძია, შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, ერთი მაპი გვაჩუქე, რაა!“.

რაც შეეხება სტუდენტებს, მათ უმეტესობას უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ასეთი კუთხეების გახსნა ხელისუფლების მხრიდან მატრაკვეცობად და ამერიკელებისთვის თავის მოწონების მცდელობად მიაჩნია, ვიდრე საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვად.

**მაგდა კლდიაშვილი, ალექსანდრე აკობია**




**იმ დროს ხელისუფლება თაობებს ლენინის გზისკენ უთითებდა...**



**...ახლა კი ხელისუფლება მხოლოდ ნატოსკენ მიდის.**

## მოკლედ



### უკრაინაში წესრიგს დაამყარებენ

ვიქტორ იანუკოვიჩი თვლის, რომ თავისი საპრეზიდენტო მოღვაწეობა, ქვეყანაში წესრიგის დამყარებით და ხალხისთვის მიცემული სოციალური დაპირებების შესრულებით უნდა დაიწყოს, თუმცა ამისთვის აუცილებელია საპარლამენტო კოალიციის შექმნა. „დეტალურად ჩემი გეგმების შესახებ, ცნობილი გახდება, მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელებას ოფიციალურად შევუდგები“, – განაცხადა იანუკოვიჩმა, რომლის ინაუგურაცია, სავარაუდოდ, 24 თებერვალს გაიმართება.



### აშშ და რუსეთი მოილაპარაკებენ

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჟენევაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირების შესახებ მოლაპარაკებები გაგრძელდება. ამ დროისათვის არსებული მდგომარეობით მხარეები დოკუმენტის რამდენიმე პრინციპულ საკითხზე ვერ თანხმდებიან. ჟენევაში რუსეთის მხარეს უსაფრთხოებისა და განიარაღების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანატოლი ანტონოვი, ამერიკულს კი — სახელმწიფო მინისტრის მოადგილე როუზ გეტმიულერი წარმოადგენს.



### ამერიკა დახმარებას გვიზრდის

2011 წლის ამერიკის ბიუჯეტში, კავკასიისთვის გათვალისწინებული დახმარება აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ უცვლელად დარჩება, საქართველოსთვის განკუთვნილი თანხები კი 10 მილიონი დოლარით გაიზრდება და 68.7 მილიონ დოლარს მიაღწევს. ეს თანხა „საქართველოს სტაბილურობის მხარდაჭერას და 2008 წლის კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრას მოხმარდება“. რაც შეეხება საგარეო-სამხედრო დახმარებას, ის კვლავაც 16 მილიონი დოლარის ოდენობით განისაზღვრება.




### ამერიკამ გადაიფიქრა

ერთი წლის წინ შეერთებულმა შტატებმა ტაჯიკეთისთვის და ყირგიზეთისთვის დახმარების გაორმაგება გადაწყვიტა, მაგრამ ტერორიზმთან ბრძოლასა და ავღანეთის ოპერაციაში აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირეებს 2011 წელს დახმარება შეუმცირდებათ. ყაზახეთი ეკონომიკური დახმარების ფარგლებში დაგეგმილი 46 მილიონი დოლარის ნაცვლად 40.3 მილიონს მიიღებს, 1 მილიონით — 41.5 მილიონ დოლარამდე შემცირდება ტაჯიკეთის დახმარებაც. შემცირებას დაექვემდებარება სამხედრო დახმარებაც.



### აშშ-ს ბიუჯეტი მეძავებზე იხარჯება

კერძო დაცვის სამსახურის „Blackwater“-ის ორი თანამშრომელი ფირმის ხელმძღვანელობას ორმაგი ბუღალტერიის წარმოებასა და ფიქტიური კონტრაქტების გაფორმებაში ადანაშაულებს. მათ სარჩელში წერია, რომ ავღანეთში აშშ-ის მთავრობაზე მუშაობისას ბიუჯეტის ფული ფილიპინელი მეძავების დაქირავებასა და ჩაყვანაზე იხარჯებოდა. ქარიშხალ „კატრინას“ შემდგომი სამაშველო სამუშაოების პერიოდში წარდგენილი „დალაგების ხარჯები“ კი სინამდვილეში სტრიპტიზის მოცეკვავეებს მოხმარდათ.

# მაკურთხე ან მაფურთხე, ანუ «ჩამშლელი» ქართულად



**შეიძლება რეალურ სიტუაციას კარგად ვერ ვაფასებთ, მაგრამ ინტუიციით მაინც ყველანი ვხვდებით, რომ თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნებზე სახელისუფლო კანდიდატს მხოლოდ ერთი კანდიდატი თუ გაუწევს(და) კონკურენციას; კანდიდატი, რომელზეც მთელი ოპოზიციური სპექტრი შეთანხმდებოდა, თუმცა ეს არ მოხერხდა და სხვადასხვა პარტიებმაც „შემოყარეს“ თავიანთი კანდიდატები. მტრის დამარცხება თუ გინდა, მისივე მეთოდებით უნდა იბრძოლო, სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ ასპარეზზე გამოვიყვანოთ ფსევდოპარტია, რომელიც სახელისუფლო პარტიისა და კანდიდატის ძირითადი კონკურენტი იქნება მომავალ არჩევნებში.**

ფეხბურთში არსებობს ასეთი სტრატეგია — „ჩამშლელი“, რომელსაც ჩამშლელი ფეხბურთელი ახორციელებს მწვრთნელის დავალებით. მთელ თამაშს მოედანზე გამოსულ მოწინააღმდეგე გუნდის ფორვარდების ფეხებქვეშ ატარებს და მათ შეტევებს აფერხებს.

გაინტერესებთ, რა საერთო აქვს ამ სტრატეგიას ქართულ პოლიტიკასთან? — ახლავე აგიხსნით: „გაიძვერა“ თარგამაძემ („შადიმანამ“, როგორც მას ეძახიან, თუმცა ამ ფუნქციას ის უკვე ველარ ასრულებს), „ნაციონალებზე“ უფრო „ნაციონალმა“ თორთლაძემ (პადოშამ) და სხვა მერობის მაძიებელმა კანდიდატებმა მოიფიქრეს (ცხადია, ვისი დაკვეთითაც), ფეხბურთის სტრატეგიიდან პოლიტიკაში შემოეტანათ „ჩამშლელი“ ფეხბურთელის პრეცენდენტი. ყველაზე წარმატებული ნახევარმცველ (ყოველშემთხვევაში, ამით ცნობილი) იტალიელებს ჰყავთ გატუზოს სახით, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს ფეხებს ამტვრევს, რათა შეტევები ჩაშალოს (ჩვენც გვყავდა ასეთი — სულაქველიძე, იტალიელებს რომ არ „მივდგეთ“). ფეხბურთში ეს მიღებულია და ამის გამო არავინ დაძრახავს ამ ჩამშლელებს.

ამ სტრატეგიის პოლიტიკურ ბრძოლაში გადმოტანა კი ამორალური და მიუღებელია, მაგრამ ჩვენს გაიძვერა პოლიტიკოსებს რაკი მორალი არ გააჩნიათ, ამიტომ შემოყარეს ამდენი „გატუზოები“ საარჩევნო სივრცეში. ამ ტიპს განეკუთვნებიან: ჭანტურია, თოფაძე, იაკობიძე, ძიძიგური (ყველაზე „თბილისელი“ კანდიდატი) და კიდევ ვიღაცები, ეშმაკმა იცის მათი ვინაობა, ალბათ.

სწორედ ამიტომ თბილისის მერობის სახელისუფლო კანდიდატთან გიგი უგულავასთან საბრძოლველად და მის „ჩასაძირად“ ფეხს იკიდებს რადიკალ-პიდარასტ და სატანისტ ფსევდო-ლიბერალთა ფარული კათოლიკური პოლიტიკური პარტია **„მაკურთხე ან მაფურთხე“**.

პარტიაში მიიღებიან ახალგაზრდა, პროგრესულად მოაზროვნე, ენერგიული, ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური სულის ადამიანები (განა ასეთები არ გვყავს ხელისუფლებაში?).

პარტიის ძირითადი სლოგანია: **ჩაშალე!**

თუმცა სხვა სლოგანებიც არის:

**გაიხადე!**
**შუქი ჩააქრე!**
**მოდე აქ!**

პარტიის მიზანია, ორად გაყოს საზოგადოება და ნათლად გამოკვეთოს განსხვავებული აზრები და მათ, ვისაც ჯერაც ვერ გაურკვევია, რომელ სულისკვეთებას განეკუთვნება, თვალები აუხილოს და არჩევის საშუალება მისცეს.

**„მაკურთხე ან მაფურთხე!“** — დღეს საქართველოს საზოგადოება ამ დილემის წინაშე დგას.

**დროა, შენც აირჩიო ამ ორიდან ერთი და ჭეშმარიტი!**

ნუ ჩაეფლობი უსასრულო გაურკვევლობაში, დასვი საკითხი ასე და პასუხსაც მიიღებ!

**დედაქალაქის მერს ახალი ხერხით ავირჩევთ, რაშიც გატუზოს მეთოდები გამოგვადგება**

P.S. პარტიას ესაჭიროება მედროშეები, ტაშმეიკერები და დემაგოგობაში ჭიპმოჭრილი ადამიანები (მაგალითად, აიღეთ „წარმატებული „კმარელები“). **დაგაფინასებთ სოროსი! ან, იქნებ, თავად ხელისუფლებამ?**
განა ასეთი ხალხისგან არ არის დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება დაკომპლექტებული? რატომაც არა, ჩვენ რით ვართ მათზე „უკეთესები“(და არა უარესები)? კურსები გაიარეთ თეა თუთბერიძესა და ლევან რამიშვილთან. როგორც გამოკითხვებმა ცხადყო, ახალი პარტია „მაკურთხე ან მაფურთხე“ თბილისის მერის არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც ღირსეულ კანდიდატს წარადგენს. ამასთან, სწორედ ამ პარტიის კანდიდატი იქნება გიგი უგულავას მთავარი კონკურენტი.
**რატომ გვგონია, რომ არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვებთ?
საიდან გვაქვს ასეთი თავდაჯერება?
„მარჯვნიდან“, ბატონებო, „მარჯვნიდან“!!!**

# როგორ უნდა გახდე ჭეშმარიტი ნაცი

**თბილისის ფორუმზე forum.ge ამჯერად ნაციონალური მოძრაობის წევრობის კანდიდატების ფიცი დადეს. იმისთვის, რომ გახდე „ჭეშმარიტი ნაცი“, ზედმიწევნით უნდა გაითავისო აქ მოყვანილი პუნქტები. ფიცი 10 პუნქტისგან შედგება, „სრულყოფის მიზნით“ მას კიდევ რამდენიმე პუნქტს ჩავუმატებთ, რათა სრულყოფილი ნაციონალის სახე მივიღოთ. ილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, მაშინაც კი, როდესაც ეს სიმართლე სიმართლეს არ შეესაბამება; გადაიცვა ზეინკლის ფორმა და ფონი გაუკეთო ბატონ პრეზიდენტს — როგორია სინამდვილეში „ჭეშმარიტი ნაცის“ სახე?**



„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს ახსოვს, ალბათ, „ნორჩი მიშისტის გზამკვლევი“, დაახლოებით, იგივე შეინიშნება აქაც, თუმცა ავტორისგან განსხვავებით, ამ წესდებას უფრო ხელისუფლების ცხოვრების კრედოს დავარქმევდი, ვინაიდან ის, რაც აქ წერია, გაგიჭირდებათ, გაიხსენოთ ხელისუფლების რომელიმე წევრი, რომელსაც აღნიშნული წესდების ყველა მუხლი არ ჰქონდეს „შესრულებული“.

მაშ ასე:

**„მე, ნაციონალური მოძრაობის წევრობის კანდიდატი, წევრად არჩევის შემთხვევაში, ვდებ საზეიმო ფიცს, რომ:**

**1. პრეზიდენტი მაგარია! დავდგები მის გვერდით ნებისმიერ სიტუაციაში, თანამდებობის მისაღებად;**

**2. დავთანხმდები ნებისმიერ შემოთავაზებულ თანამდებობას, თუნდაც ამ სამსახურის არაფერი გამეგებოდეს;**

**3. ვილაპარაკებ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს, მაშინაც კი, როცა ეს სიმართლე სიმართლეს არ შეესაბამება;**

**4. მზად ვარ, პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავიდე ოპოზიციაში, მოვევლინო მათ ერთ-ერთ ლიდერად და გადამწყვეტ სიტუაციაში ისევ უკან დავბრუნდე;**

**5. პრეზიდენტის და პარტიის დასაცავად, მზად ვარ, უკმაყოფილო ხალხის შეკრების შემთხვევაში, აღვიჭურვო წყლის პარკებით, კისტის თოფითა და სხვა საშუალებებით, გამოვიყენო ისინი სამშობლოს დასაცავად;**

**6. თუ ზემდგომი ორგანოები დამდებენ პატივს და ჩამსვამენ რომელიმე ბიზნესის წილში, მზად ვარ, პირად კეთილდღეობასთან ერთად, აღნიშნული წილი მოვახმარო არჩევნებს, ოპოზიციონერთა მოსყიდვასა და, ასევე, ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს;**

**7. არჩევნების წინ, ქუჩაში მოსახლეობის გამოკითხვის დროს მზად ვარ, დავდგე „რუსთავი 2“-ის კამერის წინ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე და ვილაპარაკო ხელისუფლების წარმატებებზე;**

**8. ჩემი პარლამენტის დეპუტატად გაყვანის შემთხვევაში, მზად ვარ, ოთხი წლის განმავლობაში ვიჯდე მდუმარედ და ხმა მივცე უმრავლესობის მიერ შემოტანილ ნებისმიერ კანონპროექტს, თუნდაც ეს კანონპროექტი წაკითხული არ მქონდეს;**

**9. პიარის საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ, გადავიცვა ზეინკალ-შემდუღებლის ფორმა (მიუხედავად იმისა, რომელ თანამდებობაზე ვიქნები) და შევასრულო პრესკონფერენციის ფონის ფუნქცია;**

**10. თუ ამ პუნქტებიდან რომელიმეს დარღვევა გადავწყვიტე, მზად ვარ, წავიკითხო ამ ფიცის პირველი პუნქტი.**

პირველივე პუნქტის წაკითხვისას, „ვარდების რევოლუცია“ გაგახსენდებათ, „კმარას“ ბევრმა აქტივისტმა, რომლებმაც წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ, უცებ მოგვევლინენ მაღალ პოსტებზე. იმიტომ იყო, რომ სადაც მივიდნენ, ყველა სფერო ჩაკლეს და რომ მიხვდნენ, არაფერი იცოდნენ, მერე მოუნდათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთში წასვლა. ეს უკანასკნელიც ამ წესდებაშია ჩადებული. პრინციპში, რა მოხდა ამით? მთავარია, კარგი მენეჯერი იყო, მოვიდა ბენდუქიძე, ეკონომიკა ხომ ვერ აგვიყვავა, სამაგიეროდ, სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდეს უზბეკებს, რუსებს თუ მანქურთებს.

რამდენი კადრი ჩამოიყვანეს, რომლებსაც ფეხი რუსეთში ჰქონდათ ადგმული, მისი მოქალაქე იყო და რუსეთს ლანძღავდა კიდეც. ვაშაძე ომის პერიოდშიც რუსეთის მოქალაქე იყო და ძლივს დათმო ორმაგი მოქალაქეობა. ჰოდა, ამ წესდებას დავამატოთ:

● **თუ არ იქნები ორმაგი მოქალაქე, საქართველოსა და რუსეთის, და არ დაიწყებ რუსების ლანძღვას, ისე მინისტრთა კაბინეტში ცხვირს არ შეგაყოფინებთ;**

და კიდევ ერთი პუნქტი:

● **მზად ვარ 24-საათიან რეჟიმში დუჟმორეულმა ქვეყნის მტერი და რუსეთის აგენტი ვუძახო ნებისმიერს, ვისი აზრიც მიუღებელი იქნება ჩვენთვის და პარალელურად უპრობლემოდ დავუჭირო მხარი სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვას;**

და არ გამოგვრჩეს, უცხო ქვეყანაში საქმიანი ვიზიტის დროს, ჩემ წინ გაჩერებულ ტაქსისტს დედას ვაგინებ და რესტორნის ტუალეტამდე მივყვები ცხვირ-პირის დასალეწად, რადგან ვიცი, ჩემი მიშიკოს ავტორიტეტი არ დამაღალატებს და, დიპლომატიური პასპორტების ხარჯზე, ხელშეუხებელი ვარ უცხოეთშიც კი (ვაი, ჩვენს პატრონს ასეთი ხელისუფლების ხელში!).

აუცილებელი პუნქტია: **„დავარბიოთ, აღვგავოთ პირისაგან მიწისა ყველა, ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს, დავარბიოთ მასმედიის საშუალებები, წავიღოთ კომპიუტერები, ტელეფონები, წიგნები, უბის წიგნაკებიც კი. რასაც ვერ წავიღებთ, დავამტვრიოთ სიამოვნებით. გიტოვებთ მხოლოდ ტუალეტის ქაღალდს, მადლობა საჭირო არ არის...**

ამ ფიცის დადებაზე „რიგები“ იქნება და უარსაც არავის ეუბნებიან, ალბათ. ვინიცობაა, უარი უთხრეს „მსურველს“, ბოლო პუნქტიც დავამატოთ — **თუ არ მიმიღებთ ნაცების რიგებში, გადავდივარ ოპოზიციაში, თქვე მკვლელებო, მასონებო, ტაძართმნგრეველნო, გამყიდველებო... საკნები, საკნები, საკნები ჩქარა!!!**

გვერდი მოამზადა **მაგდა კლდიაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: 4 მილიარდ დოლარად არ შეიძლება შეფასდეს აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვა

**„ვარდების რევოლუციის“ თანაავტორებმა და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილმა აქტივისტებმა — ნოღაიდელმა, ძიძიგურმა, დავითაშვილმა და სხვ., რომლებიც ყოველთვის ნატოში ინტეგრაციაზე ოცნებობდნენ, ბოლო პერიოდში პოლიტიკური ორიენტაცია რადიკალურად შეიცვალეს. ამჟამად მათი მზერა ჩრდილოეთისკენაა მიმართული — რუსეთთან ურთიერთობის აღდგენით ცდილობენ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. რატომ შეიცვალეს პოლიტიკური ორიენტაცია, რამდენად წარმატებული იქნება მათი მცდელობა და არიან თუ არა რუსეთთან დიალოგის მომხრე პოლიტიკოსები საქართველოს მოღალატეები — ამ საკითხებზე პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვესაუბრეთ.**



**— ბოლო პერიოდში გაიზარდა რუსეთთან დიალოგის მომხრე პოლიტიკოსთა რაოდენობა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს?**

— ზოგიერთი პოლიტიკოსი მიხვდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღსდგება. ეკონომიკა წელში ვერ გაიმართება და ა.შ. სამწუხაროდ, ბევრმა პარტიამ ეს დღეს გააცნობიერა, როდესაც ურემი უკვე გადაბრუნებულია. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ეს თუნდაც ათი წლის წინათ დაენახათ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც და დღეს რუსეთთან ისეთივე ურთიერთობა გვქონოდა, როგორიც დასავლეთთან გვაქვს. ნატოში შესვლაზე ყვირილი საჭირო არ იყო; მით უმეტეს, როდესაც ნატოში ჩვენი შესვლა ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ცხინვალთან ომის შემდეგ კი საერთოდ გამოირიცხა. ასე რომ, რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს წყალივით სჭირდება.

**— კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ, თუ რუსეთი ცხინვალსა და აფხაზეთს არ აღიარებს, სანაცვლოდ არც საქართველო შევა ნატოში. რამდენად სერიოზულია ოპოზიციის მხრიდან ულტიმატუმის ენით საუბარი?**

— მიმაჩნია, რომ ასეთი პირობების წაყენება სასაცილოა, თითქოს საქართველო მომგებიან პოზიციაში იყოს. არადა, ჩვენი ქვეყანა ყველა პარამეტრით წაგებულია (დაკარგულია ტერიტორიები; საქართველოს არ გააჩნია სერიოზული ეკონომიკური ბაზარი, რუსეთთან კინკლაობის გამო; დასავლეთში ჩვენი იმიჯი საკმაოდ შელახულია) და ულტიმატუმის ენით რუსეთთან ლაპარაკი კარგს არაფერს მოგვიტანს. რუსეთმა საქართველოზე უკეთესად იცის, რა განწყობა აქვს დასავლეთს ნატოში საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით. ნატოში საქართველოს არავინ მიიღებს. აქედან გამომდინარე უწოდა ლავროვმა ქართველი პოლიტიკოსების ამ წინადადებას ეგზოტიკური. ასე რომ, კობა დავითაშვილის განცხადებები ბავშვურ პოლიტიკად მიმაჩნია. დავითაშვილს და მის მსგავსებს მეტი არც არაფერი მოეთხოვებათ, რადგან ისინი შორს არიან ნამდვილი პოლიტიკისაგან.

**— როდესაც ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის კატეგორიული წინააღმდეგია, რამდენად შედეგიანი იქნება ოპოზიციის მცდელობა?**

— ცხადია, ოპოზიცია ხელისუფლებაში არაა და მას არ შეუძლია რუსეთთან სრულმასშტაბიანი ურთიერთობის აღდგენა. ეს ხელისუფლების გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ, თუ დღეს 3-4 პარტია აცხადებს რუსეთთან დიალოგის სურვილს, დარწმუნებული ვარ, ხვალ ამ პარტიების რაოდენობა გაიზრდება. ამას მოჰყვება ერთმანეთთან დაახლოება, რუსულ-ქართული პოზიციების შეჯერება და, როდესაც სააკაშვილი და მისი „ნაციონალები“ აღარ იქნებიან ხელისუფლებაში, ეს დღე კი არც თუ ისე შორსაა, რუსეთთან ურთიერთობები რეალურად გამოსწორდება. ეს დიალოგი დღევანდელი ცვლილებებისთვის არ არის გამიზნული, ეს, ასე ვთქვათ, გრძელვადიანი ინვესტიციაა.

**— როდესაც რუსეთს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებული აქვს და ცალკეული პოლიტიკოსები, თუნდაც ნოღაიდელი, მასთან დიალოგს მართავენ. წინასაარჩევნოდ ეს მათ რეიტინგზე უარყოფითად არ იმოქმედებს?**

— დარწმუნებული ვარ, მათი რეიტინგი გაიზრდება, რადგან საზოგადოების გარკვეულ ნაწილს (და ეს არც ისე მცირე ნაწილია) რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილი აქვს. კერძოდ, ქართულ სოფლებს უხარიათ რუსეთთან დიალოგის დაწყება, რადგან მოსავალი (ბოსტნეული, ხილი, ყურძენი, ღვინო), რომელიც წინათ რუსეთში გაჰქონდათ და სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ, დღეს სახლში ულპებათ. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს რუსეთთან მშვიდობიანი თანაარსებობა სურს, ყოველგვარი პრობლემების გარეშე, და რაკი ამ ადამიანებმა ამ ურთიერთობის მოგვარება დაიწყეს, ამის გამო მათ მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს.

## როდესაც სააკაშვილი და მისი „ნაციონალები“ აღარ იქნებიან ხელისუფლებაში, ეს დღე კი არც თუ ისე შორსაა, რუსეთთან ურთიერთობები რეალურად გამოსწორდება.

**— ქუთაისში სტუდენტებმა ნოღაიდელის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს. „ედპ“-მ კი მოღალატე ქართველების სიაში შეიტანა ნოღაიდელი, დავითაშვილი, ძიძიგური და ა.შ. არ თვლით, რომ მათი საქციელი მართლაც ღალატის ტოლფასია?**

— არავითარ შემთხვევაში. სამწუხაროდ, ქართველებს იარლიყების მიკერება ახასიათებთ. მოღალატედ უნდა გამოცხადდეს სწორედ ის, ვინც ცხინვალში ომი დაიწყო და ტერიტორიები დაკარგა. ხოლო ვინც ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის აღდგენას და ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობს, ის არ შეიძლება ორჯონიკიძეს გაუთანაბრო. საერთოდ, რა ვუთხრა იმ პარტიას, რომელსაც ბაჩუკი ქარდავა, აბსოლუტურად ულიმღამო პოლიტიკოსი, ხელმძღვანელობს. 90-იანი წლებიდან დაწყებული საქართველოში საფუძვლიანი განათლების მიღების შესაძლებლობა არ იყო, ვინაიდან მთელი სტუდენტობა დროშებითა და ლოზუნგებით ქუჩებში დარბოდა. პოლიტიკაში კი განათლება საჭიროა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დიდ პოლიტიკოსობაზე დებს თავს. საქართველოში განათლებული პოლიტიკოსები ძალიან მცირეა და ერთმანეთს რომ მოღალატეებს ეძახიან, ეს იმაზე მეტყველებს, რამდენად დაბალია ჩვენში პოლიტიკური აზროვნება და განათლება. ნოღაიდელი მიხვდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაა საჭირო და არა — ახალი კონფრონტაციის შექმნა. ის წავიდა რისკზე და თქვა, დამიძახონ მოღალატე, ამას ავიტან და ეს ქვეყნისთვის უკეთესი იქნება.

**— ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ეს პოლიტიკოსები ფინანსური დაინტერესების გამო მართავენ რუსეთთან დიალოგს. როგორ ფიქრობთ, საფუძვლიანია მათი განცხადება?**

— არა მგონია, რომ რუსეთმა ასე იოლად გადაყაროს ფული. 20 წელია, რაც საქართველო დამოუკიდებელია და ამ ხნის მანძილზე რუსეთი ჩვენს საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში არასდროს ჩარეულა. მხედველობაში მაქვს ცალკეული პოლიტიკოსების მოქრთამვა, მათთვის ფულის მიცემა და ა.შ. რაც შეეხება აშშ-სა და დასავლეთს, მათ ძალიან ბევრი ფული გაიღეს „ვარდების რევოლუციის“ მოსაწყობად. ამის შესახებ აღიარეს კიდეც სოროსმა და აშშ-ის ოფიციალურმა წრეებმა.

**— რუსეთისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ჩვენი ქვეყნის სათავეში?**

— ცხადია, აქვს, მაგრამ ამ გზით მოსული ხელისუფალი სააკაშვილის მსგავსი იქნება. სააკაშვილი თავიდან ბოლომდე ამერიკის ინტერესების გამტარებელია და შესაბამისად — საქართველოს ინტერესების უგულვებელმყოფელი.

**— ნოღაიდელი, ძიძიგური, დავითაშვილი და სხვები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იყვნენ და ნატოში ინტეგრაციის გარეშე ვერ წარმოედგინათ საქართველოს მომავალი. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიცვალეს პოლიტიკური ორიენტაცია?**

— 2008 წლის 7-8 აგვისტოს მოვლენებმა მათ დაანახა რუსეთთან დიალოგის აუცილებლობა და არა მისი ლანძღვა-გინება. საქართველოს, საფრანგეთის გარდა, არც აშშ დაეხმარა და არც დასავლეთის რომელიმე ქვეყანა. რუსები უკვე თბილისთან იყვნენ მოსულები და, რომ არა სარკოზი, შესაძლოა, სხვანაირად განვითარებულიყო მოვლენები. ცხადია, აშშ-მა და ევროპამ მატერიალური დახმარება გაგვიწიეს, მაგრამ 4 მილიარდ დოლარად არ შეიძლება შეფასდეს აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვა.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

## მოკლედ



### პირველი გამარჯვება ავღანეთში

13 თებერვალს ავღანეთში, თალიბების მიერ კონტროლირებად ყველაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტზე, ჰილმენდის პროვინციის ქალაქ მარჯუზე განხორციელდა 2001 წლის შემდეგ ყველაზე ფართომასშტაბიანი შეტევა, რომელშიც 4000 ამერიკელი საზღვაო ქვეითი და ავღანეთის სამთავრობო ძალების 1500 სამხედრო მონაწილეობდა. ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაციის განმავლობაში პირველად, ავღანეთის სარდლობა სამხედრო ოპერაციის დაგეგმვის პროცესში, ავღანელი ჯარისკაცები კი შეტევით ოპერაციებში დასავლელი მოკავშირეების თანასწორად მონაწილეობენ.



### მთავრობა ცირკის კარვებში

ნევადელმა სამშენებლო მაგნატმა ტომ შრეიდმა ჰაიტის მთავრობას მოძრავი საცირკო კარვები აჩუქა. საჩუქრის დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ ყველა სამთავრობო დაწესებულება, რომელიც აქამდე იძულებული იყო, ჩამონგრეულ შენობებში განთავსებულიყო, ამ კარვებში განაგრძობს მუშაობას. კონსტრუქციები სულ 180 ტონას იწონის და მათ ტრანსპორტირებას კონრად ჰილტონის ფონდი აფინანსებს. კარვების შიდა ფართობი 3065 კვ.მ-ია, მათში დამონტაჟებულია გათბობის, კონდიცირებისა და განათების სისტემები.



### გაკოტრების მსოფლიო ეპიდემია

ევროკომისიის შეფასებით, ევროკავშირის მრავალი ქვეყნის სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის 100%-ს აჭარბებს. ბრიტანეთის ანალიტიკური ცენტრის ექსპერტები კი რამდენიმე ქვეყნის გაკოტრებაზე საუბრობენ. მათ შორის პირველ ადგილზე ვენესუელაა. მას სულ ოდნავ ჩამორჩებიან უკრაინა და არგენტინა. გაკოტრების საფრთხე მხოლოდ სახელმწიფო ვალის მოცულობით კი არა, პირველ რიგში, სახელმწიფოსადმი ინვესტორების ნდობით იზომება. თუ ქვეყანას ვალის მომსახურების პერსპექტივა არ აქვს, ვალები იზრდება.


CORRIERE DELLA SERA

Le invenzioni di Leonardo in mostra: dagli Usa a Tokyo, ma non a Milano

### რამდენს ხარჯავს ევროკავშირი?

გაზეთმა „Corriere della Sera“ ევროპარლამენტის ის საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელშიც უცხოეთის წარმომადგენლობისა და საკონსულოების ხარჯებია აღწერილი. მთელ ევროპაში გაბნეული 33 საინფორმაციო ოფისზე 2008 წელს 41 მილიონი ევრო დაიხარჯა, დაქირავებულ იურისტებზე — 5,4 მილიონი. 1,8 მილიონი გვერდიდან 39% დაქირავებულ თარჯიმნებს ათარგმნინეს და თითო გვერდში 30 ევრო გადაუხადეს. სინქრონული თარგმანის, პარლამენტართა ახალი მანქანებისა და შენობების რემონტის ხარჯები არ კონკრეტდება.



### ობამა დალაი ლამასთან არ მიუშვეს

აშშ-ის ხელისუფლება 18 თებერვლისათვის პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და ტიბეტის სულიერი ლიდერის — დალაი ლამას შეხვედრას გეგმავდა, მაგრამ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩინეთი აშშ-ის პრეზიდენტის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის დალაი ლამასთან რაიმე ფორმით ურთიერთობის კატეგორიული წინააღმდეგია. 2009 წელს აშშ-ში მყოფ დალაი ლამას პრეზიდენტი არ შეხვდა. ახლა ის ტიბეტს ინდოეთიდან მართავს და ირწმუნება, რომ ჩინეთიდან მის გამოყოფას არ ცდილობს.

## გოდერძი ოთარაშვილი:

# ყველაფერი ვაიინტელიგენციის ბრალია, რომელმაც ორი ლუკმის სანაცვლოდ ხან ერთ გარეწარს დაუკრა ტაში, ხან — მეორეს

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (3-9 თებერვლის №4(47)-ში) დაიბეჭდა სტატია სათაურით: „მეგობრობა ილხამისეულად, ანუ ნეპალიდან საინგილომდე“. სტატიაში საუბარი იყო საინგილოში მცხოვრები ქართველების ყოფაზე და მათ მიმართ აზერბაიჯანის ხელისუფლების ზეწოლაზე. გაზეთის ამ ნომრის გამოსვლის შემდეგ, რედაქციაში დაგვიკავშირდა კახის რაიონის მკვიდრი, მოძრაობა „სამეფო დარბაზის“ თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო კავშირ „ჰერეთის“ თავმჯდომარე ბატონი გოდერძი ოთარაშვილი. მან გვითხრა, რომ ინგილოებს აზერბაიჯანის ხელისუფლება არ ავიწროებს. ხოლო ტერმინს — საინგილო შეურაცხყოფად იღებს ჰერეთში მცხოვრები თითოეული ქართველი.**



## ჰერეთში მუსლიმანი ქართველები უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან, ვიდრე მართლმადიდებლები.

— დავიწყოთ იქიდან, ჩვენ ვართ ჰერები. ტერმინი **საინგილო** და **ინგილო** არასწორია. როგორც **თურქი მესხი** არ არსებობს, ასევე არ არსებობს **მართლმადიდებელი ინგილო**. ინგილო სპარსული სიტყვაა და ერთი რჯულიდან მეორეზე გადასულს ანუ რჯულგამოცვლილს ნიშნავს. ეს შაჰ აბასის შერქმეულია. მე-17 საუკუნეში, როდესაც საქართველოს სპარსელები შემოესივნენ, შაჰ აბასის დავალებით ისინი ჰერეთის გამაჰმადიანებას ცდილობდნენ. ამდენად, მართლმადიდებლები მხოლოდ დღევანდელ კახის რაიონში შემორჩნენ. არსებობის შენარჩუნების სანაცვლოდ გამაჰმადიანებულ ქართველებს ინგილოები, ანუ რჯულშეცვლილები უწოდეს. მოგვიანებით კი ინგილოებად ყველა ჰერეთელი „მონათლეს“.

**— ჰერეთში მცხოვრები ბევრი ადამიანი სიტყვა ინგილოს სულაც არ ღებულობს შეურაცხყოფად.**

— მერწმუნეთ, რომ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვაა თითოეული იქ მცხოვრები ქართველისთვის. ეს ტერმინი მტრის მიერაა შემოგდებული; ეს ვითომ ინტელიგენციის წარმომადგენლები ვერ ხვდებიან, რომ ამით ერს აქუცმაცებენ. სხვა სახელმწიფოები ისტორიებს ქმნიან, რაღაცებს აკოწიწებენ და წერენ, ჩვენ კი ჩვენს მდიდარ, ძირძველ ისტორიას ვანაწევრებთ.

## რა უნდა ვედაო აზერბაიჯანის ხელისუფლებას, როდესაც ჩვენი ხელისუფლება მასზე უარესია.

**— რა მდგომარეობაა დღეს ჰერეთში, როგორ ცხოვრობს იქაური მოსახლეობა?**

— დღესდღეობით ჰერეთში ქართველობა იმაზე უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე აქ ნებისმიერი კუთხის წარმომადგენელი. მაღალი ხელფასი და პენსია, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები... ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანელებთან, ერთად ვართ ჭირშიც და ლხინშიც. რა თქმა უნდა, არის გაჭირვებაც, თუმცა საქართველოში რომ სულიერი გაჭირვებაა, მსგავსი ჰერეთში ნაკლებად შეინიშნება.

**— ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიის გარდა, კახში თუ არის სხვა მოქმედი ეკლესია?**

— კახში სხვა ეკლესიაც გვაქვს. მინდა ვთქვა, რომ, დღეს რაც ხდება, ჩვენი ცოდვების გამოა, ეს ღვთისგან მოვლენილი სასჯელია ჩვენს გამოსაფხიზლებლად. ხომ არის მოქმედი ეკლესია კახში; მიდი, ჯერ იქ ილოცე. როცა უფალი დაინახავს, რომ ეკლესიაში მრევლი აღარ ეტევა, ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიაც გაიხსნება.

**— რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის ფაქტი, თითქოს ჰერეთში მცხოვრები ქართველი წარმატებას ვერ მიაღწევს?**

— წარმატების მიღწევას რაც შეეხება, მართალია. იქ ქართველი კაცი კარგ სამსახურს იშვიათად იშოვის და ამის მიზეზი ისაა, რომ ქართველი ხარ, დიდი-დიდი, შეიძლება ქართული სკოლის დირექტორი გახდე ან კახის პოლიციაში რაღაც თანამდებობა დაიკავო. ესეც ჩვენი ხელისფლების ბრალია, რადგან ყურადღებას არ გვაქცევს, არ გვპატრონობს. რა უნდა ვედაო აზერბაიჯანის ხელისუფლებას, ამას რა აზრი აქვს. ჩვენ სხვა არაფერი შეგვიძლია, ქართველობის შენარჩუნების გარდა. დათვი რომ მოგერევა, ბაბაია უნდა დაუძახო.

## საქართველოს ხელისუფლებისგან უფრო გვიწევს თავდაცვა, ვიდრე — აზერბაიჯანის.

**— გეტყობათ, რომ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებით უკმაყოფილო ხართ, რატომ?**

— დღევანდელ ხელისუფლებას რა აქვს მოსაწონი?! მაგრამ ხელისუფლებაზე უფრო არ მომწონს ოპოზიცია, არაფერს მოველი დღევანდელი ხელისუფლებისგან და არც ოპოზიციისგან. თავდაცვა უფრო ხშირად საქართველოს ხელისუფლებისგან გვიწევს, ვიდრე აზერბაიჯანისა. დარწმუნებული ვარ, რომ სოროსელები, იაღოველები, სატანისტები ცდილობენ, ჰერეთში არეულობა შემოიტანონ, ქართული სული დასცენ. რამე რომ მოხდეს, ხმას არავინ ამოიღებს, არავინ დაგვიცავს. აზერბაიჯანელებს შეუძლიათ ერთ ღამეში სასტიკად გაგვისწორდნენ. ვინ იტყვის რამეს? **ერთმა-ორმა ვიღაცამ გამოთქვას შეიძლება აღშფოთება და მერე ისიც მიყუჩდება.**

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, რამე რომ მოხდეს, ჩვენ საქართველოში ლტოლვილებად არ წამოვალთ. ჩვენი მიწა იქაა, ჰერეთში. რას ჰქვია საკუთარი მიწიდან გამოიქცე და იყვირო, დევნილი ვარო. არავის არ ვაყენებ შეურცხყოფას, მაგრამ **ქართველმა კაცმა არ უნდა იკადროს სიცოცხლის გადასარჩენად თავისი მიწა-წყლის დატოვება და გამოქცევა.** ჩვენი საქმე იმის მერე წავიდა უკან, როცა ქართველ კაცს სიკვდილის შეეშინდა და საკუთარი მიწა-წყლისთვის თავგანწირვა დაივიწყა.

**— იმ დევნილებს, ვისზეც თქვენ ამბობთ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. თქვენ თვითონ თქვით, დათვი რომ მოგერევა ბაბაია დაუძახეო.**

— იცით რა, იმათ არ ვამტყუნებ, მაგრამ პირადად ჩემთვის, ნებისმიერი ჰერეთელისთვის და ნამდვილი ქართველისთვის საკუთარი მიწა-წყლის დატოვება წარმოუდგენელია. არ არსებობს საკუთარი მიწიდან დევნილი. სადაც დაიბადე, იქ უნდა დაიმარხო. უფალმა მოგცა ის ადგილი საპატრონოდ და ერთი გოჯიც კი არ უნდა დათმო.

**— სიმართლეა, რომ ჰერეთის ქართულ სკოლებში ქართული ენის საათები მცირდება?**

— ქართული ენის საათების შემცირებაზე რა მოგახსენოთ. ჩვეულებრივი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. აზერბაიჯანული ენა კი დაამატეს. ამაზე არ შეიძლება აჟიოტაჟის ატეხვა.

**აზერბაიჯანში ხარ და იქაური ენა რომ იცოდე, ამით არაფერი დაშავდება. ნეტავ, აქაურმა მთავრობამაც იგივე გააკეთოს, რასაც აზერბაიჯანელები აკეთებენ. იმათ ჩამოყალიბებული ეროვნული იდეოლოგია აქვთ, იციან, რა გააკეთონ თავიანთ ქვეყანაში. მე ცუდად ვიცი აზერბაიჯანული ენა და ძალიან ვნანობ, რადგან უამრავი აზერბაიჯანელი მეგობარი მყავს.**

ამაზე არ უნდა ავტეხოთ ყვირილი, პირიქით, უნდა ვთხოვოთ, გვასწავლონ, რადგან იქ ვცხოვრობთ. მთავარია, რომ ჩვენს ენას არ გვართმევენ.

**— როგორც ვიცით, ქართული სახელების პრობლემაც არის.**

— ეს პრობლემა ზაქათალასა და ბელაქანში რამდენიმე წლის წინათ იყო, მერე, როგორც ვიცი, გამოსწორდა. დღეს არავის არ უშლიან ქართული გვარ-სახელების ტარებას. დღეს უკვე ჩვეულებრივად არქმევენ ბავშვებს ქართულ სახელებს. თქვენ ყველაფერს ნუ დაიჯერებთ, ბევრ ტყუილსაც ამბობენ. რაზეც ამ ბოლო ხანებში აჟიოტაჟი ატყდა, ყველაფერი ტყუილი იყო. ეს ზოგ ვაი პოლიტიკოსებს აწყობს, თუნდაც ხატების ამბავი გავიხსენოთ.

**— თქვენ ამბობთ, რომ ის ფაქტი, თითქოს საინგილოში მცხოვრებმა ქართველებმა ხატები არ მიიღეს, სიცრუე იყო?**

— ეს წმინდა წყლის ტყუილია, ასეთი რამ არ მომხდარა, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია?

წარმოუდგენელია, ქართველ კაცს ხატი აჩუქო და არ აიღოს. ვინც ეს დაწერა, ქართველობის დაუძინებელი მტერია.

**— როგორც მასმედიის საშუალებით გახდა ცნობილი, ზაქათალისა და ალიაბადის რაიონებში ქართული დელეგაცია იყო ჩასული, რომლის შემადგენლობაში იყვნენ დედოფლისწყაროს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილი, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ გონაშვილი და გამგებელი ლევან ბაღაშვილი. სწორედ მათ ჩაიტანეს ხატები.**

— იმ დელეგაციამ ძალიან კარგად იცოდა, რა სიტუაცია იყო და რა ხდებოდა ამ რაიონებში. გამოდის, რომ სიტუაციის ასარევად ჩავიდნენ. ალბათ, ბოლმა ახრჩობთ, რომ იქ მოსახლეობა მშვიდად ცხოვრობს. საერთოდ, მათ იცოდნენ ხატებს ვის აძლევდნენ? შეიძლება აზერბაიჯანელებს მისცეს, ანდა მაჰმადიან ქართველს. რა თქმა უნდა, ის ტელევიზიებისა და იქაური მოსახლეობის თანდასწრებით იმ ხატებს არ აიღებდა. იმის გამო კი არა, რომ მას ხატი არ უნდა, უბრალოდ ეშინია. შეიძლება სახლში უამრავი ხატი აქვს, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ამბობს. ჰერეთში მუსლიმანი ქართველები უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან, ვიდრე მართლმადიდებლები.

**— ე.ი. ცუდ მდგომარეობაში მაინც არიან, შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება?**

— ამ ხელისუფლების ხელში რომ არაფერი მოგვარდება, ფაქტია. მე უფლის მჯერა და, თუ უფალი ინებებს, მაშინ გადავრჩებით და ავღორძინდებით. მთავარია, სულიერებისკენ შემოვბრუნდეთ. ჩვენ მხოლოდ უწმინდესის იმედი გვაქვს და ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს.

ესაუბრა
**ალექსანდრე აკობია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ფსიქიატრიულის «თვალსმიფარებული» პაციენტები და სიმართლის გამომზეურებისთვის დასჯა დარბევით

**ძველი შენობები, ანტისანიტარია ოთახებში, არასაკმარისი მედიკამენტები, ჰიგიენური მოხმარების საგნები და საკვები — აი, როგორ პირობებში უწევთ მკურნალობა და ცხოვრება ფსიქიურად დაავადებულ ადამიანებს. ასეთია სახალხო დამცველის ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის „გაბედული“ შედეგები. სიმართლის თქმისთვის სახალხო დამცველის ოფისსაც დაარბევენ?**



**„თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (გლდანში) აბაზანა და საპირფარეშოები ამორტიზირებულია. პაციენტების უმრავლესობას არ აქვს პირადი სივრცე, დაწესებულებებში პირადი ჰიგიენის ნივთების დეფიციტია (დასაბანად სარეცხ საპონს ხმარობენ, ქალები ჰიგიენური პაკეტების ნაცვლად, დახეულ ზეწრებს იყენებენ). თეთრეული ჭუჭყიანი და დახეულია; სეირნობა უკიდურესად შეზღუდულია; თუმცა გასულ წლებთან შედარებით კვების საკითხი მოწესრიგდა, მაგრამ პაციენტებს მაინც არ აქვთ ოთხჯერადი კვება.**

**დაწესებულებაში პაციენტის ცემის პრაქტიკა აღმოიფხვრა, ფიზიკური შეზღუდვა ნორმების დაცვით ხორციელდება, თუმცა ხშირად აღზგნებულ პაციენტს თავისივე საწოლზე აფიქსირებენ სხვა პაციენტების თანდასწრებით“** (სტილი დაცულია).

ეს არის ამონარიდი სახალხო დამცველის მონიტორინგიდან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. გაბედულება უნდა შევუქოთ სახალხო დამცველს, რამდენადაც მას „ნაცების“ კანდიდატად მოიხსენიებენ.

შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ 2009 წლის ბოლოს სამ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ) ენაზე გამოსცა წიგნი „უუფლებობის ზონა“, რომელშიც საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის არაერთი შემთხვევაა აღწერილი, მათ შორის — ფსიქიატრიული დაწესებულებების ბინადართა ყოფა და სოციალური პირობები. ამ წიგნის დაბეჭდვიდან რამდენიმე დღეში კი ორგანიზაციის ოფისი დაარბიეს და წიგნის სრული ტირაჟი გაიტანეს. როგორც ჩანს, ვილაცებისთვის ეს სახიფათო იყო, არ აწყობდათ, მასში გაშუქებულ ფაქტებს საზოგადოება გასცნობოდა.

**ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული რენტგენის ოთახი საღორეს უფრო ჰგავს. იქამდე მისასვლელად პირბადეები დაგვჭირდა, რადგან ირგვლივ ამორტიზებული ტუალეტებიდან გამოსული „სურნელი“ იდგა.**

თუკი ამ წიგნს დღის სინათლეზე გატანა არ დასცალდა და რედაქციაც მთლიანად „გაიტანეს“, არ არის გამორიცხული, მალე სახალხო დამცველის ოფისიც დაარბიონ და ყველაფერი მოიპარონ.

ჩვენ ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიული დაწესებულება მოვინახულეთ. ჟურნალისტებს იმ კორპუსებში შესვლის უფლება არ მოგვცეს, სადაც პაციენტები არიან განთავსებულნი, მაგრამ მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობაზე თვალის შევლება და მისი დათვალიერებაც კი ნათელია, რა მდგომარეობა იქნება იმ კორპუსებში, სადაც ავადმყოფები არიან მოთავსებულნი.

როგორც საავადმყოფოს დირექტორმა დავით ზურაბაშვილმა გვითხრა, მხოლოდ მოსამართლის ბრძანების შემდეგ შეიძლება პაციენტებისა და მათი საცხოვრებელი პირობების ნახვა. გასცემს თუ არა მსგავს ბრძანებას მოსამართლე, რათა დაანახოს საზოგადოებას იქ არსებული პირობები, ეს უკვე მკითხველმა განსაჯოს.

აღნიშნული საავადმყოფო 1960 წელს აშენდა და მისი სტანდარტები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. საინტერესოა, თავად პაციენტები როგორ ძლებენ ისეთ დაწესებულებაში, სადაც სამოძრაო სივრცე საკუთარ პალატას არ სცილდება, არც გათბობაა წესიერი და არც — ადამიანური მოპყრობა.

ერთადერთი, რის ნახვაც მოვახერხეთ, ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული რენტგენის ოთახია. ეს ოთახი საღორეს უფრო ჰგავს, ვიდრე რენტგენის ოთახს. ამ ოთახამდე მისასვლელად პირბადეები დაგვჭირდა, რადგან ირგვლივ ამორტიზებული ტუალეტებიდან გამოსული „სურნელი“ იდგა.

როგორც ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორი დავით ზურაბაშვილი ამბობს, პრობლემები მართლაც არსებობს, მიუხედავად ამისა, მათ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტთათვის სხვებთან შედარებით უკეთესი პირობებია.

ამ საავადმყოფოს სახელმწიფო აფინანსებს. თითოეულ პაციენტზე დღიურად 20 ლარია გამოყოფილი. დავით ზურაბაშვილის თქმით, ეს თანხა არ არის საკმარისი, რადგან მასში შედის — კვების, მკურნალობისა და კომუნალური გადასახადები.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ამჟამად 230 პაციენტია, მათგან სახელმწიფო მხოლოდ 225 ადამიანს აფინანსებს. ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორის განცხადებით, ეს თანხა საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ დაწესებულებამ თუნდაც ხუთი ადამიანით მეტი შეინახოს და საჭირო გადასახადებიც დაფაროს:

**„ჩვენს კლინიკაში 230 პაციენტია მოთავსებული. აქედან 225 საწოლს სახელმწიფო აფინანსებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ რაოდენობის საწოლი დგას, საწოლები საკმარისად გვაქვს. მაგრამ ეს ხუთი პაციენტი ამ 225 ადამიანის ხარჯზეა დაფინანსებული“.**

სახალხო დამცველის ანგარიშში წერია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჰიგიენური მოხმარების საგნების დეფიციტია. დავით ზურაბაშვილი ამბობს, რომ მას თვიურად მარტო 400 000 ცალი ხელსახოცი სჭირდება, ვინაიდან მათთან ოთხჯერადი კვებაა.

საინტერესოა, რატომ არ ჰყოფნით საჭირო ინვენტარისთვის თანხა აღნიშნულ საავადმყოფოში, როდესაც თვეში სახელმწიფოსგან მინიმუმ 135 000 ათასი ლარი ერიცხებათ და, წესით, დამატებით ხუთი ადამიანის შენახვაც არ უნდა უჭირდეთ. საავადმყოფოს მედპერსონალს, როგორც ზურაბაშვილი ამბობს, ფიქსირებული ხელფასი საშუალოდ 300 ლარი აქვს. თითოეული პაციენტის თვიური დაფინანსება 600-620 ლარი გამოდის. შეუძლებელია, ამ თანხით საავადმყოფომ ერთი ადამიანისათვის ვერ შეძლოს საჭირო მოხმარების ნივთების შეძენა, კომუნალური გადასახადების გადახდა. მით უფრო, როცა, როგორც ზურაბაშვილმა განმარტა, — იმის გამო, რომ ელსადენები მოძველებულია, იგი დატვირთვას ვერ უძლებს და შესაბამისად, შენობის გათბობაც საკმარისად ვერ ხერხდება.

სახალხო დამცველი თავის მოხსენებაში იმასაც ამბობს, რომ პაციენტებს შეზღუდული აქვთ სეირნობის უფლება. ამასთან დაკავშირებით დავით ზურაბაშვილი მეტად საინტერესო კომენტარს აკეთებს: **„პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება მისი გაშვება სასეირნოდ. თუ გაიქცევა და არ დაბრუნდება, მისი პრობლემაა“.**

საინტერესოა, სად უნდა ისეირნონ პაციენტებმა, როდესაც მათ არ აქვთ სპეციალური სასეირნო ტერიტორია.

სახალხო დამცველის მოხსენებაში საუბარია სიკვდილიანობაზეც. დავით ზურაბაშვილის თქმით, სიკვდილიანობის შემთხვევები მათთანაც იყო, მაგრამ ეს მედპერსონალის ბრალი არ ყოფილა:

**„სახელმწიფო ურგენდულ გადაუდებელ დახმარებასაც აფინანსებს. როგორც კი პაციენტს ექმნება პრობლემა და სჭირდება სასწრაფო ოპერაცია, ვიძახებთ „კატასტროფას“, სწორედ მათ გადაჰყავთ მრავალპროფილიან სომატურ დაწესებულებაში პაციენტი. სიკვდილიანობის შემთხვევებიც არის, მაგრამ ყველა გარდაცვლილს პათანატომიური გაკვეთა უტარდება და დგინდება დიაგნოზი, თუ რის გამო გარდაიცვალა იგი. საჩივარი ჩვენთან ჯერ არ შემოსულა. 90 წლის ადამიანი სიბერით ან ანევრიზმით გარდაიცვლება, რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ბრალი არ არის და შარსაც ვერავინ მოგვდებს“.**

რა თქმა უნდა, ბატონო დავით, თქვენ შარს ვერც ვერავინ მოგდებთ. განა ვინმეს ეძლევა საშუალება იმის გასარკვევად, სიბერით გარდაიცვალა თქვენი პაციენტი თუ თქვენი მედპერსონალის უხეში მოპყრობით? თან მაშინ, როდესაც სახალხო დამცველმა თქვენს დაწესებულებაში კვალიფიციური კადრების არარსებობაზეც აღნიშნა მოხსენებაში?

თქვენ კი, ბატონო სახალხო დამცველო, კარი მაგრად ჩაკეტეთ, თორემ ვანოს ზონდერბრიგადები უკვე გზაში არიან. სიმართლის გამომზეურება ისჯება!.. თანაც დარბევით!!!

**მაგდა კლდიაშვილი, ალექსანდრე აკობია**

## მოკლედ



### რიგში დგომის გაკვეთილები

ბრიტანელები შეშფოთებულნი არიან მათი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელების ტრადიციული ქმედებით და აცხადებენ, რომ სტუმრებს ან ადგილობრივი წესების სწავლა მოუწევთ, ან ქვეყნიდან აბარგება. ამრიგად, იმიგრანტებს, რომლებსაც ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღება სურთ, რიგში დგომის წესების სწავლა დასჭირდებათ. ამ თემასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები სულ მალე იმ საკვალდებულო ტესტის ნაწილი გახდება, რომლებსაც მიგრანტები მოქალაქეობის მიღებამდე აბარებენ.



### ნეონაცისტებს მარში ჩაუშალეს

დრეზდენის 15 ათასზე მეტმა მოქალაქემ ცოცხალი ჯაჭვი შეკრა და მეორე მსოფლიო ომის დროს ავიაციის მიერ ქალაქის დაბომბვის 65 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილი ნეონაცისტების სამგლოვიარო მსვლელობა ჩაშალა. ცოცხალი ჯაჭვის ინიციატივა ქალაქის მერს ჰელმე ოროშს ეკუთვნოდა და როგორც მერიაში განაცხადეს, აქციის მიზანი იმის დემონსტრირება იყო, რომ ქალაქი „ღიაა მშვიდობისათვის, მაგრამ არ შეეგუება ძალადობასა და ქსენოფობიას“.



### მედვედევმა იანუკოვიჩი დაპატიჟა

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი მოსკოვში დაპატიჟა. „ვსარგებლობ სიტუაციით და უახლოეს პერიოდში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საკითხების განხილვისთვის რუსეთში გეპატიჟებით“, — ნათქვამია მიმართვაში. მედვედევი იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი და უკრაინა პარტნიორულ ურთიერთობებს დაუბრუნდებიან. რუსეთის პრეზიდენტმა იანუკოვიჩს ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა არჩევნებში გამარჯვება.



### ევროკომისია 4 მილიონი ჯდება

ევროკომისიის 27 წევრის მივლინებებსა და სხვა ხარჯებზე შარშან ევროპელმა გადასახადების გადამხდელებმა 4 მილიონი ევრო დახარჯეს. ყველაზე ძვირი შესანახი ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუა — მისი მოღვაწეობა 730 ათასი ევრო ჯდება. შიდა კავშირების ევროკომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა მივლინებებში 429 ათასი ევრო დახარჯა, ჰუმანიტარული დახმარების ევროკომისარმა — 215 ათასი. 2009 წლის ბოლოს ევროკომისიამ ინფლაციის გადასაფარავად თანამშრომელთათვის ხელფასების გაზრდა მოითხოვა.



### ეუთოს მისია ბრუნდება

ავღანეთსა და პაკისტანში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური წარმომადგენელი რიჩარდ ჰოლბრუკი 22 თებერვალს საქართველოს ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში განიხილება უსაფრთხოებისა და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში ქართული სამხედრო კონტიგენტის მონაწილეობის საკითხები. 16 თებერვალს კი საქართველოს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე ეწვია. ვიზიტის მიზანი საქართველოში ეუთოს მისიის აღდგენაზე მოლაპარაკებებია.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# გიორგი ბარამიძის ავტორიტეტს მხოლოდ ნაგავი კი არა, ჟვანიასა და აფრასიძეების სისხლიც მოეცხო

**ადამიანთა უმრავლესობა თავის თავს თამაშობს, ზოგს ეს ნიჭიერად გამოსდის, ზოგს — ვერა. არიან, ასევე, შებოჭილი, ამა თუ იმ მიზეზითა და გარემოებით დაკომპლექსებული ადამიანები. მაგრამ მხოლოდ ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანები იქცევიან ბუნებრივად და ძალდაუტანებლად. სახელმწიფო მინისტრის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში — გიორგი ბარამიძის ფსიქოპორტრეტის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, მკითხველი გვეკითხება, ღირს კი იმის გაგება, როგორია ჩვენი სულიერი სამყარო. ეს ხომ ძალიან დელიკატურია, სხვის სულში ხელი აფათურო?**

— რიგითმა ადამიანმა შეიძლება ამას თავი აარიდოს, მაგრამ პიროვნებას, რომელსაც ქვეყნისა და ერის ბედი აბარია და პასუხისმგებლობა აკისრია, როგორც საჭესთან მდგომს, თუ საით აიღებს მიმართულებას, აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს მისი ფსიქიკა, უნარები, მიდრეკილებები, პირადი ღირსებები, შინაგანი სიმტკიცე, მისი მორალური სახე, ზნეობრივი მოდუსები და მიზანდასახულობა — რისი მიღწევა სურს.

გიორგი ბარამიძეს უკავია სახელმწიფო მინისტრის პოსტი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში. იგი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამ დროს მშვიდობის ფონდის შედგენილ უუნარო სახელმწიფოთა სიაში საქართველო წითელ ზონაში მოხვდა. სომალის, ზიმბაბვესა და მსგავსი სახელმწიფოების შემდეგ. საქართველოზე უკეთეს მდგომარეობაშია ნიკარაგუა, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ჩვენი მეზობელი არც ერთი რესპუბლიკა წითელ ზონაში არ მოხვედრილა. რატომაა საქართველო უუნარო, როდესაც ფსიქოანალიზით, პირიქით, კონკურენტუნარიანი ერი ვართ? იმიტომ, რომ საქართველოს უუნარო ხელმძღვანელობა ჰყავს, იმიტომ, რომ გიორგი ბარამიძის ფსიქოსტრუქტურის სახელმწიფო მინისტრები გვყავს.

XXI საუკუნის პოლიტიკა ვითარდება ფსიქოლოგიური ომის პირობებში. უამრავი ინფორმაცია ეძლევა ტვინს გარედან და შიგნიდან. მისი მიღება, გადამუშავება და ადეკვატური რეაქცია დაკავშირებულია ინდივიდის გონებრივ და სულიერ უნარებზე, მის ტემპერამენტსა და პიროვნულ ტონუსთან, ემოციებთან, ყურადღებასთან. თითოეულ ადამიანს ათვლის თავისი სისტემა აქვს. გიორგი ბარამიძის გონებრივი და სულიერი დიაპაზონი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ამას ვერ გაწვდება. ბატონი მინისტრი შენელებული ფსიქიკური ტემპის კლასიკური მატარებელია. მისი აჩქარება და მისადაგება დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკის ტემპთან შეუძლებელია. ქვეცნობიერში ჩამჯდარი აქვს შიში, თუ რამე მოიფიქრა — გამოხატვისას „ბუქსაობს". მისი სულიერება არაა თავისუფალი, ლაღი და უშუალო, ნებელობაც სუსტი აქვს და — არც თუ უმიზეზოდ. ის ბევრი რამის შემსწრე და თვითმხილველია, ბევრი უკულმართობის თანამზრახველი. იცის, ფრთხილად უნდა იყოს, ამიტომ შებორკილია. მართალია, ატარებს მცირე შინაგან პროტესტსა და უსიამოვნო ასოციაციებს, შინაგან შფოთვას, მაგრამ მის სულიერებაში თავისუფლების სივრცე სავსებით ანულირებულია. ამიტომ სახელმწიფო მინისტრი სხვისი ნების ავტომატური შემსრულებელია.

**ზურაბ ჟვანიას გაზით გაგუდვის ამბავი მას, როგორც ჟვანიას უახლოეს მეგობარს, პირველს აცნობეს. მან მაინც ვერ შეძლო პროცესების გაცნობიერება, რეალობისთვის თვალის გასწორება და მდგომარეობის ობიექტური შეფასება. შიშით დამფრთხალმა ნანახს საიდუმლო საკეტი დაადო და მეგობრის გაწირვით საკუთარი კარიერის გადარჩენის არჩევანი გააკეთა. შემდეგში კი ეყო თავხედობა, განეცხადებინა: „მე ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური სკოლის წარმომადგენელი ვარ და მიმაჩნია, რომ, სანამ კაცს აქვს საქმის კეთების საშუალება და ამ საშუალებას ხელისუფლებაში ყოფნა აძლევს, უნდა აკეთოს... თუ გინდა ნაგავი გაწმინდო, ნაგავში უნდა ჩადგე, შესაძლოა, ამ დროს რაღაც მოგეცხოს კიდეც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბინძური ხარ". გიორგი ბარამიძის ავტორიტეტს მარტო ნაგავი არ მოსცხებია, მას სისხლი მოეცხო ჯერ მეგობარ ზურაბ ჟვანიასი და შემდეგ აფრასიძეების. შემდეგ კი, როგორც ხდება ხოლმე, უფრო და უფრო ჩაეშვა ცოდვათა მორევში. მან გოგა ჟვანიაზე უკეთ იცის, რომ ზურაბ ჟვანიას სიკვდილი ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციას, ერთი კლანის მეორე კლანით ჩანაცვლებას, დიდი ქონების გადანაწილებას უკავშირდებოდა.** მაგრამ აცხადებს: „არ შემიძლია კომენტარი გავაკეთო ზურას ოჯახის წევრების ნათქვამზე, რომელიც ხშირად პოლიტიკური განცხადების სახეს იღებს. ჩვენ, ყველა, ზურას გულშემატკივრები და ჭირისუფლები ვართ... კარგად მესმის მათი... ემოციურად მეც მათი თანამოზიარე ვარ, მაგრამ ფაქტებით უნდა ვიმსჯელოთ, ხელს ვერავის დავადებ, მკვლელი ხარო". ამ პასუხს აკლია ბუნებრივი დამაჯერებლობა, მშვიდი განსჯა. აშკარაა მცდელობა — ისეთი ვარიანტი და სვლა მოძებნოს, რაც ბეწვის ხიდზე გაატარებს, მაგრამ ამას ნიჭი სჭირდება და თანაც ზომიერი ფანტაზია, რომელიც არ გააჩნია. მას ეშინია საკუთარი თავის, აწუხებს მოუსვენრობა, ქვეცნობიერიდან მოდის „ემოციურად მეც მათი თანამოზიარე ვარ", მაგრამ საქმით?! მან ვერაფრით მოახერხა შინაგანი ნერვიული ენერგოველის შემოტევის გამო ნეიტრალურ პოზიციაზე გადასვლა.

**— ბატონო ზურაბ, რატომ უკავშირდება, თანაც მუქ ფერებში, გიორგი ბარამიძის სახელს აფრასიძეების სისხლიანი ინციდენტი?**

— თუ ამ ტრაგედიას ფსიქოასპექტში განვიხილავთ, მივხვდებით, რამხელა ტვირთად აწევს ეს სისხლიანი ოპერაცია გიორგი ბარამიძის ცნობიერებას. ფსიქოლოგიური აქსიომაა, რომ თავის მართლება დანაშაულის აღიარებაა ან საკუთარი საქციელის შემამსუბუქებელი ქმედება. უდანაშაულო ადამიანს აზრად არ მოსდის თავის მართლება. ფსიქომდგომარეობა მაშინ გაწუხებს, როდესაც გრძნობ დანაშაულს და მის სიმძიმეს. ამგვარი შეგრძნება მარყუჟს ჰგავს, რომელიც უფრო და უფრო გიჭერს... გახრჩობს. დამნაშავის სინდრომს ადამიანი დეგრადაციამდე მიჰყავს.

როდესაც გიორგი ბარამიძეს ჟურნალისტი ეკითხება აფრასიძეების შესახებ — „ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს შეცდომა იყო!" — ის პასუხობს: „როგორ გეკადრებათ?! შეცდომა კი არა, პირიქით... დაიღუპა ორი კაცი, რომელთაც ტყვიამფრქვევითა და ყუმბარსატყორცნებით გაუწიეს წინააღმდეგობა პოლიციას... სხვა არავინ დაზარალებულა... აფრასიძეებს თავიანთი მეზობლები ჰყავთ დახოცილი. 16 წლის განმავლობაში ხელისუფლება ვერ ეკარებოდა მათ, ხალხი შიშით ვერ ადიოდა სვანეთში... მკვლელობის გარდა, მათ ბრალდებათ მრავალი გატაცება და გაუპატიურება... და ჩვენ თავზე ხელი უნდა გადაგვესვა მათთვის?" ამაზრზენია საკითხის ასე დასმა, თავდაცვითი გრძნობითაა გამოწვეული ეს პასუხი, თან ახლავს ნერვიული განცდის კვალი, ცნობიერების პარადოქსულობა.

აი, რის ფასად აქვს მოპოვებული მყარი მდგომარეობა ხელისუფლებაში, საკუთარი ცხოვრების მოწყობის შესაძლებლობა, სუბარიტობა, ფუფუნება, განსხვავებული ცხოვრების წესი. მან ისწავლა გარიგება და მოხერხებული მიდგომა სულიერი სისუფთავის დანაგვიანების ხარჯზე. მაგრამ **მის „ნეტარ" ცხოვრებაში, როგორც ღრმა ჭაში, ტივტივებს, ჩნდება და თავს ახსენებს ბნელი მოგონებები, თანაც განმეორებითი და მრავალჯერადი ციკლით. ის განიძარცვა სულიერად, აღარ შეუძლია ვინმეს მიენდოს, იმპულსებს გაქანება მისცეს, გულწრფელად ისაუბროს...**

**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ ბატონ ბარამიძეს, როგორც სახელმწიფო მინისტრსა და როგორც პროფესიონალს?**

— თავისუფალი ნების წინააღმდეგ ის ჩაბმულია სამთავრობო კარუსელში. ის იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ვიცე პრემიერი, სახელმწიფო მინისტრი. ამ მონაცვლეობაში ჩადებულია ფსიქოლოგიური ომის მნიშვნელოვანი ფსიქოშტრიხი, ასეთი ტემპი თვით პროფესიონალებს ურევს გონებას, უფუჭებს განწყობილებასა და უქრობს ენთუზიაზმს, რაც ქვეყნის შენების ყველაზე დიდი ხელისშემშლელი ფაქტორია. რა მოუვა გამოცდილებასა და ცოდნასმოკლებულ, უწყვეტი გადაადგილებებით დაღლილ, შიშის მარწუხებში მოქცეულ, სულიერ სიმტკიცეს მოკლებულ სახელმწიფო მინისტრს. ამიტომაცაა, როდესაც დღევანდელობა უზარმაზარ, წინასწარ გათვლილ და გაზომილ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

განა ღირს ჩვენი დემოგრაფიული ქვეყნის გენოფონდის განადგურების ფასად ნატოში შესვლა? ამავე დროს სააკაშვილი ჟურნალ „ზე უოლ სტრიტ ჯორნალში" საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების იმედს „ფაქტობრივად მკვდარს" ეძახის. ჩვენი მინისტრებისა და პრეზიდენტის დამოკიდებულება ნუთუ ისეა — „მარჯვენამ არ იცის, რასა იქმს მარცხენა", არც თუ უსაფუძვლოდ ჩნდება ეჭვი, რომ მათ ეს ყველაფერი მიღწეული ძალაუფლებისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად სჭირდებათ. **ამიტომაა სახელმწიფო მინისტრის ნება აღრეული ვნებასთან, რომელიც მასში მომხვეჭელ მხეცს აღვიძებს, არ ერიდება იდეებით სპეკულირებას, მამონას ტყვეობა მას სულიერად ხრწნის.** ძალაუფლებას თუ გემოს გაუგებ, ძნელია გაუძლო ცდუნებას და შეინარჩუნო თვითკონტროლი. ქვეყნის მესაჭეებს კი ეს სისუსტე არ ეპატიებათ, ამიტომ ინგრევა ქვეყანა და ერი ზარალდება.

**— ბევრი უწინასწარმეტყველებდა გია ბარამიძეს ოპოზიციაში გადასვლას, მაგრამ მტკიცედ დგას ხელისუფალთა გვერდით, ამ ფაქტს როგორ ახსნით?**

— მან განაცხადა: „არასოდეს არავინ მიმიტოვებია და არც ახლა მივატოვებ". ხედავთ, რა სუსტი მეხსიერება ჰქონია?! დაავიწყდა, რომ იყო მწვანეთა პარტიის წევრი, მოქალაქეთა კავშირის წევრი და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე, გაერთიანებული დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარე. **მას ოპოზიციაში წასვლის ეშინია, რადგან იცის, იმ კომპრომატებს დაუდებენ ცხვირწინ, რისი გამჟღავნების შესაძლებლობა თავზარს სცემს. მას ოპოზიციური აზრების ფრქვევა მაშინაც კი გაუჭირდება, როცა „ურემი გადაბრუნდება". იცის, ურემი ლაფშია ჩაფლული, მაგრამ თვითონ, კოფოზე კომფორტულად მოთავსებულს, არავითარი სურვილი არ აქვს, ქვემოთ ჩაიხედოს და იმ ტალახის სიგრძე-სიგანე დაინახოს.** ამიტომ აცხადებს რიხიანად: „რუსეთი საქართველოს თავს დაესხა და ხელისუფლებას სხვა არჩევანი არ ჰქონდა — ქვეყანა უნდა დაეცვა". საინტერესოა, ყოფილი თავდაცვის მინისტრის აზრით, როგორ დაიცვეს ქვეყანა, როდესაც არ ყოფილა საჯარო დანაყოფებს შორის სტრატეგიული მართვა, კავშირგაბმულობა, ტექნიკური და ომისთვის სხვა აუცილებელი საჭიროებების უზრუნველყოფა და, რაც ყველაზე უარესია, არ იყო გათვალისწინებული სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელ პირთა კომპეტენტურობა. მის შეზღუდულ, სქემატურ აზროვნებას ისევ რუსეთის აგენტები ელანდება, ეს ხომ მისი ჩლუნგი უნარებით მტრის ხატის შექმნის მცდელობაა. ოპოზიციაში გადასვლას კი ასე აფასებს: „ამ ხელისუფლების გემის ჩაძირვას, უპირველეს ყოვლისა, პუტინი ცდილობს. ასეთ დროს ქვეყნისა და ხელისუფლების დასუსტება არ უნდა დავუშვათ". თუ არა და, სააკაშვილის ხელისუფლებას არაკომპეტენტური მინისტრები და უღირს კაცთა გარემოცვა უფრო ასუსტებს. **ბარამიძე გამიზნულად, ნებით, შეგნებულად დგას იმის გვერდით, ვინც „ტახტზე" ზის და ვისაც „კვერთხი" უპყრია ხელთ, რათა მისგან გამოწუროს ყველა სიკეთე საკუთარი თავისთვის. ანგარებით ირჩევს არეალს**. ოპოზიციის მიერ დიდი ემოციით გაკეთებულ ფილმში „სისხლის სამართლის დანაშაულებრივ საქმიანობაზე" საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მესტიაში ჩატარებულ სპეცოპერაციას აფრასიძეების ლიკვიდაციაზე. თუმცა ცდილობს შიშს აჯობოს და იქადნის: „როცა იქნება, კიდევ ვიქნები ოპოზიციაში", ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ **გიორგი ბარამიძე და ძმანი მისნი კიდევ მრავალჯერ გამოიცვლიან ტყავს...**

**ბატონ გიორგის ახასიათებს ნორმალური, შინაგანი ზნეობრივი ნორმების რღვევა, სულიერი უნარების გამრუდება, ღირებულებათა აღრევა, ამაოებისადმი ზედმეტი მიდრეკილება, შიშის შედეგად განვითარებული მონური კომპლექსი, ინტელექტუალური და გონებრივი უნარების რესურსის უკმარობა. დიდი და ღრმაა მასში დაბუდებული შინაგანი დრამა, რომელიც შესაძლოა სულიერ კრიზისად ჩამოყალიბდეს...** თუმცა ანალიზს პროგნოზები არ უყვარს, ის ფაქტებს ეყრდნობა, ხოლო მომავალს ყველაზე უკეთესად დრო წარმოაჩენს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# დედაქალაქის მერიის

**თბილისისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობის საკითხი. საინტერესოა, რამდენად მიზანშეწონილია, მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში, დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელობის მხრიდან ამ პრობლემასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები ეკოლოგიური, საპროექტო-სამშენებლო, ფინანსური და მოძრაობის განმუხტვის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ჩვენ დავინტერესდით პარკ „მზიურთან“ გამავალ მდინარე ვერეზე ბეტონის საავტომობილო-სამაგისტრალო კომპლექსის მშენებლობით, რომელიც დააკავშირებს თამარაშვილის ქუჩას გმირთა მოედანთან.**



**ეს ფაქტები დედაქალაქის მერის — გიგი უგულავასთვის რომ არ იყოს ცნობილი, იგი, როგორც თბილისის მერიის პირველი პირი, პასუხს აგებს, სულ მცირე, გულგრილი დამოკიდებულებისთვის.**

## არის თუ არა მშენებლობა კანონიერი?

„გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, რკინიგზისა და მათზე განთავსებული ხიდების, გზაგამტარი გვირაბის, აგრეთვე, საავტომობირო გზის, რკინიგზისა და მათი ტერიტორიების საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება“...

კომპლექსის მშენებლობა საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგებას ითვალისწინებს, რასაც არ უარყოფენ **პროექტის ავტორი (შპს „საქგზამეცნიერება“, დირექტორი თამაზ შილაკაძე, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე)** და **მშენებელი (შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“, დირექტორი პაატა ტრაპაიძე, მედიკოსი),** ხოლო კომპლექსის **დამკვეთი (თბილისის მერია)** საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარკვეული სამსახურების მისამართით გაგზავნილ წერილებში უარყოფს კომპლექსის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და გარემოზე ზეგავლენის ნებართვის მიღების აუცილებლობას, რასაც შემდეგი დოკუმენტების არსებობა ადასტურებს:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ეკატერინე ბენდელიანმა** ასოციაციის „მწვანე ალტერნატივა“ აღმასრულებელ დირექტორს — **ნინო გუჯარაიძეს** წერილობით აცნობა, რომ **„თბილისში ვარაზისხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ მონაწილეობდა“...**

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსმა **ნიკოლოზ ჭახნაკიამ** იმავე სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროს **ნიკოლოზ ჩიმაკაძეს** აცნობა, რომ **„...გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის საფუძველია ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, რკინიგზისა და მათზე განთავსებული ხიდების, გვირაბების, აგრეთვე, საავტომობილო გზის, რკინიგზისა და მათი ტერიტორიების საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება“.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპლექსის პროექტში საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება ფიგურირებს, უდაოა, რომ ხსენებული კანონი ავალდებულებს დამკვეთს, პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩაატაროს და, დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მიიღოს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის — **ნიკოლოზ ჩიმაკაძისთვის** გაგზავნილ წერილში ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია (ხელს აწერს ქ. თბილისის მერის მოადგილე **დავით ალავიძე**) აღნიშნავს, რომ **„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრება საავტომობილო გზების სახეობანი და კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზე თავისი დანიშნულების მიხედვით საავტომობილო გზები იყოფა საერთო სარგებლობისა და საუწყებო გზებად. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები სამეურნეო და თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად. მშენებლობა, მისი შენახვა და განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და მასზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემას კანონი არ ითვალისწინებს“.**

როგორც ხედავთ, თბილისის მერის მოადგილე **დავით ალავიძე** თავისივე ხელმოწერით ადასტურებს, რომ, როგორც სახელმწიფო მოხელე კომპლექსთან მიმართებაში ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას — ცდილობს საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის არა მარტო იგნორირება მოახდინოს, არამედ გააყალბოს კიდეც.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსს — **ნიკოლოზ ჩიმაკაძეს** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი **გიორგი ლიპარტია** უცხადებს, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება **„საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზების“** მშენებლობა. **გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი არ განეკუთვნება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას“.** სახეზეა დასტური იმისა, რომ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი **გიორგი ლიპარტია** ბოროტად იყენებს დაკავებულ თანამდებობას, რადგან კომპლექსის პროექტთან მიმართებაში მოქმედებს ისევე, როგორც მისი ზემდგომი ხელმძღვანელი პირი **დავით ალავიძე.**

უდაოა, რომ სახელმწიფო მოხელეებმა, თბილისის მაღალი რანგის თანამდებობის პირებმა **დავით ალავიძემ** და **გიორგი ლიპარტიამ** ამგვარი ქმედებით ეჭვქვეშ დააყენეს საპროექტო გადაწყვეტილების კანონიერება, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული და სახელმწიფოს ან დედაქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა.

ჟურნალისტური გამოძიების მხოლოდ ამ ეტაპზე გამოვლენილი ზემოთ აღნიშნული ფაქტები დედაქალაქის მერის — გიგი უგულავასთვის რომ არ იყოს ცნობილი, იგი, როგორც თბილისის მერიის პირველი პირი, პასუხს აგებს, სულ მცირე, გულგრილი დამოკიდებულებისთვის.

გამოდის, რომ კომპლექსის მშენებლობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, უნდა შეჩერდეს, როგორც უკანონო, რაც პირდაპირ ავალდებულებს თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (უფროსი **ზვიად კერვალიშვილი**), გაერკვეს შექმნილ მდგომარეობაში და მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება.

საინტერესოა, რატომ წაუყრუეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობამ, კერძოდ **ნიკოლოზ ჭახნაკიამ** და **ნიკოლოზ ჩიმაკაძემ,** როცა მათ თბილისის მერიის ხელმძღვანელობამ წერილობით აცნობა იმის შესახებ, რომ კომპლექსის პროექტში არსებობს საინჟინრო დაცვის ნაგებობები, მათ კი არ ჩათვალეს სავალდებულოდ, დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელებისგან მოეთხოვათ პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღება.

სახეზეა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების — **ნიკოლოზ ჭახნაკიასა** და **ნიკოლოზ ჩიმაკაძის** მხრიდან გამოვლენილი თანამდებობრივი გულგრილობა, რითაც მათ, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელმა პირებმა, ხელი შეუწყვეს თბილისის მერიის ხელმძღვანელობას ჩაედინათ კანონსაწინააღმდეგო ქმედება — დაეწყოთ კომპლექსის უნებართვო მშენებლობა.

## წინასაარჩევნო ფორს-მაჟორი, ანუ არსებობს თუ არა კომპლექსის სრული პროექტი?

ჩვენთვის დღემდე უცნობია, არსებობს თუ არა კომპლექსის სრული პროექტი, რომელიც შედგება დამკვეთისგან მიღებული ტექნიკური დავალებისგან, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისგან, ტექნიკური პროექტისა და მუშა ნახაზებისგან. ერთ თვეზე მეტია, რაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მივმართეთ კომპლექსის დამკვეთს. მიუხედავად ამისა, პასუხი დღემდე არ მიგვიღია. **დამკვეთი, ამ შემთხვევაში გიგი უგულავა, მოქმედი კანონმდებლობის სრული იგნორირებით არღვევს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადებს.**

**პროექტის ავტორთან** და **მშენებელთან** საუბრების შედეგად კი შევიტყვეთ, რომ კომპლექსის საავტომობილო გზის უმთავრესი ნაწილი დაეყრდნობა რკინა-ბეტონის ბურჯებს. გზის გარკვეული უბნები განლაგდება რკინა-ბეტონის კედლებსა და მათ მიერ განთავსებულ, უცხოეთიდან ჩამოტანილ, რკინის (შიგნიდან და გარედან თუთიით დაფარულ) რამდენიმე ოვალური ფორმის გარკვეული სიგრძის კონსტრუქციებზე, რის შედეგადაც მდინარე ვერეს ხსენებული მონაკვეთები ამგვარი საინჟინრო დაცვის ნაგებობების შიდა სივრცეში მოექცევა. გმირთა მოედანზე რამდენიმე მიმართულებით გაივლის საავტომობილო ესტაკადები, რომლებიც ამ ავტომაგისტრალის გაგრძელებას დაუკავშირდება.

**მშენებლის** პირველი პირის — **პაატა ტრაპაიძის** აზრით, კომპლექსი ვაკე-საბურთალოს რაიონში არსებული და ყოველწლიურად ზრდადი მოძრავი საავტომობილო ძირითადი მიმართულებების ნაკადების განმუხტვას შეძლებს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დედაქალაქის საავტომობილო ტრანსპორტის ზრდის ინტენსიურობას, იგი არ აკონკრეტებს, რა დროში შეძლებს კომპლექსი „ზრდადი ნაკადის“ განმუხტვას;

პროექტის ავტორ **შპს „საქგზამეცნიერების“ ხელმძღვანელმა თამაზ შილაკაძემ** განგვიმარტა, რომ პროექტი შედგენილია ისე, რომ მასში გათვლილია ხსენებული განმუხტვის მაღალი მაჩვენებელი. არც ის აკონკრეტებს, განმუხტვის მაჩვენებელი რა დროის განმავლობაში „იმუშავებს“.

**პროექტის ავტორი** და **მშენებელი** ირწმუნებიან, რომ, **დამკვეთის** მოთხოვნით, პროექტის შექმნა და მშენებლობა პარალელურად ხორციელდება.

თუ ეს ასეა, მაშინ **დამკვეთს** უნდა ჰქონდეს საქართველოს მთავრობის (თუ დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) ან თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებები (თუ დაფინანსება ხორციელდება დედაქალაქის ბიუჯეტიდან), რომლებშიც უნდა იყოს დასაბუთებული არსებული ფორს-მაჟორული ხასიათის მიზეზი ან მიზეზები, რომელთა შედეგად პროექტირება და მშენებლობა აუცილებლად უნდა განხორციელდეს პარალელურ რეჟიმში. ამ დოკუმენტების არსებობას თამაზ შილაკაძე და პაატა ტრაპაიძე არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

საკამათო არ არის, რომ

**პროექტის ავტორი და მშენებელი ირწმუნებიან, რომ, დამკვეთის მოთხოვნით, პროექტის შექმნა და მშენებლობა ერთდროულად ხორციელდება.**

# 90-მილიონიანი აფერა

**თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე ხელმოწერით ადასტურებს, რომ, როგორც სახელმწიფო მოხელე კომპლექსთან მიმართებაში ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას — ცდილობს საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის არა მარტო იგნორირებას, არამედ გაყალბებასაც.**

ფორს-მაჟორული სიტუაცია დედაქალაქში, საავტომობილო ტრანსპორტის განმუხტვის თვალსაზრისით, არ არსებობს. თუმცა პიკის საათებში ყოველდღიურად, კერძოდ, ვაკე-საბურთალოს რაიონს, გმირთა მოედანს, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირებს, პეკინისა და მერაბ კოსტავას ქუჩებს ახასიათებს ე. წ. საცობები.

ამავე დროს თამაზ შილაკაძე და პაატა ტრაპაიძე არ ადასტურებენ, რომ პროექტის შექმნისა და მშენებლობის ტენდერები სინამდვილეში ერთდროულად ჩატარდა. უფრო მეტიც, ისინი აცხადებენ, რომ საპროექტო და სამშენებლო ტენდერები დამკვეთმა — თბილისის მერიამ სხვადასხვა დროს ჩაატარა. კერძოდ, ჯერ ჩატარდა საპროექტო, რამდენიმე თვის შემდეგ კი — სამშენებლო ტენდერები.

**პროექტის ავტორი** ირწმუნება, რომ მის მიერ შედგენილი საპროექტო დოკუმენტაცია დროულად გადასცა **დამკვეთს**. ეს კი უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მას და დამკვეთს კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაცია სრულყოფილი ფორმით აქვთ.

გაურკვეველია, ვინ განსაზღვრა და რამდენად გამართლებულია, როგორც ფინანსური, ასევე კონსტრუქციის მდგრადობის თვალსაზრისით, მთის მდინარის (მდინარე ვერეს) პირობებში უცხოეთიდან ჩამოტანილი ხსენებული რკინის გვირაბის გამოყენება, როცა მის სანაცვლოდ შეიძლებოდა გამოყენებულიყო რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, რომლის მდგრადობა მთის მდინარეებისთვის საქართველოში ექსპლუატაციის პირობებში გამოცდილია თითქმის ასი წლის მანძილზე.

პროექტის ავტორი გვიცხადებს, რომ უცხოეთში დამზადებული აღნიშნული რკინის გვირაბის ტიპის კონსტრუქციის გამოყენება მის მიერ შედგენილ პროექტში არ ფიგურირებს. იგი აცხადებს, რომ **დამკვეთს** განსახილველად **წარუდგინა** საპროექტო გადაწყვეტილების რამდენიმე ვარიანტი. ამავე დროს **ავტორი არ ადასტურებს**, რომ ერთ-ერთ მათგანში ფიგურირებდა უცხოეთში დამზადებული კონსტრუქცია, რომლის ღირებულება მისთვის დღესაც არ არის ცნობილი.

თუ ვიგულისხმებთ, რომ პროექტის ავტორმა დამკვეთს მშენებლობის ტენდერამდე ჩააბარა სრული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც აღინიშნებოდა პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება და მის მიერ შედგენილ პროექტში არ ფიგურირებდა უცხოური კონსტრუქცია, უდაოა, რომ მისი არსებობა „გაჩნდა“ ან სამშენებლო ტენდერზე, ან მის შემდეგ **დამკვეთისა და მშენებლის ინიციატივით**.

თუ **დამკვეთმა** შეიტანა პროექტში ცვლილება, რასაც ოფიციალურად არ დაეთანხმა **პროექტის ავტორი**, სახეზეა დამკვეთის მხრიდან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის იგნორირების მცდელობა.

ცნობილი სამამულო ჰიდროლოგების, ჰიდრომორფოლოგებისა და მეტალურგების შეფასებით, მთის მდინარეების პირობებში ექსპლუატაციის დროს ხსენებული უცხოური კონსტრუქციის გამძლეობა მათთვის უცნობია, რადგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათთვის არავის მიუმართავს. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული კონსტრუქცია საქართველოში პირველად გამოიყენება, **დამკვეთი** ვალდებული იყო, შესაბამისი პროფილის სპეციალისტებისთვის მიემართა, რათა ამ კონსტრუქციის მიზანშეწონილობაზე მდინარე ვერეზე ექსპლუატაციის დროს მათგან დასტური მიეღო.

ჩვენი წინასწარი მონაცემებით, უცხოეთში დამზადებული რკინის კონსტრუქციის გამოყენება დაუშვებელია მთის მდინარის პირობებში, რადგან მისი არსებობა ეჭვქვეშ დააყენებს მასზე განთავსებული ბეტონის საავტომობილო მაგისტრალის მონაკვეთის მდგრადობასა და უსაფრთხო ექსპლუატაციას.

**პროექტის ავტორი** გვიცხადებს, რომ მის პროექტში საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც მდინარე ვერეს გასწვრივ გადის, ეყრდნობა მრავალ ბურჯს; რომ უცხოეთში დამზადებული კონსტრუქციის დანიშნულებაა, მდინარე ვერე ამ კონსტრუქციაში „მოთავსდეს“ და მასში ჩაედინებოდეს მის ფერდობებზე განლაგებული საცხოვრებელი სახლების საკანალიზაციო სისტემებიდან გამოდინებული ფეკალური მასები, რომლებიც კომპლექსის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე დააბინძურებს არა მხოლოდ მდინარე ვერეს, არამედ მტკვარსაც, რადგან ჩვენთვის უცნობია, არსებული პროექტის მიხედვით, მდინარე ვერემდე ფეკალური მასები გაივლიან თუ არა გამწმენდ ნაგებობებს.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე — დავით აბულაძე) ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორ დავით ავალიანს მრავალჯერ მოსთხოვა ამ პროექტის საჯარო განხილვა.

იქმნება პარადოქსული სიტუაცია, როდესაც **პროექტის ავტორი** უცხადებს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს, რომ **დამკვეთი** უკრძალავს მას, მისი თანხმობის გარეშე გააცნოს საპროექტო დოკუმენტაცია. ამ დროს საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კომპლექსის პროექტის მფლობელად, ანუ განმკარგველად აღიარებს მხოლოდ პროექტის ავტორთა ჯგუფს და არა — დამკვეთს.

სწორედ ამიტომ შესაძლებელია, რომ კომპლექსის **პროექტის ავტორი** სინამდვილეში სულაც არ არის შპს „საქგზამეცნიერება“, რომლის კოლექტივი, კულუარული საუბრების დროს, კომპლექსის პროექტის შედგენაში მონაწილეობას უარყოფს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობა, თუ გავითვალისწინებთ ამ ორგანიზაციის დებულებას, არ თვლის საჭიროდ, თუნდაც ოფიციალურად დააფიქსიროს თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ანუ წერილობით მიმართოს მერიის ხელმძღვანელობას.

უკვე რამდენიმე თვეა, კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. არ არის გამორიცხული, რომ **დამკვეთმა** ამ კომპლექსის გარკვეული ნაწილის ექსპლუატაციაში მიღების თარიღი „შეუკვეთოს“ და **მშენებელიც** დაამთხვევს ამა წლის მაისში დაგეგმილ დედაქალაქის მერის არჩევნებს. თბილისელებიც კიდევ ერთხელ მოიხიბლებიან.

**„თბილისში ვარაზის ხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ მონაწილეობდა“...**



## რა არის ცნობილი კომპლექსის მშენებლობის ღირებულების შესახებ?

პროექტის ავტორი ამ კითხვას არ პასუხობს. **მშენებლის** განმარტებით კი დაიხარჯება თითქმის 90 მილიონი ლარი.

ვნახოთ საავტომობილო გზების დარგის სპეციალისტების შეფასებები და გაანგარიშებები:

საქართველოში საავტომობილო ესტაკადის ერთი კვადრატული მეტრის მშენებლობის თვითღირებულება დღემდე არ აღემატებოდა 2,5 ათას ლარს. **პროექტის ავტორისა** და **მშენებლის** განმარტებით, კომპლექსის ესტაკადების მაქსიმალური სიგრძე არ აღემატება 500 მეტრს, ხოლო სიგანე 10-16 მეტრის ფარგლებში მერყეობს. კომპლექსის ესტაკადების ჯამური ფართი არ აღემატება რვა ათას კვადრატულ მეტრს. შესაბამისად, ესტაკადების მშენებლობის ღირებულება 20 მილიონ ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ერთკილომეტრიანი ორრიგიანი ბეტონის საავტომობილო გზის მშენებლობის თვითღირებულება საქართველოში დღემდე არ აღემატებოდა ორ მილიონ ლარს. კომპლექსის ორრიგიანი ორი მიმართულების საავტომობილო გზის ჯამური სიგრძე არაუმეტეს 6 კილომეტრია. ეს ნიშნავს, რომ ამ გზის მშენებლობის ღირებულება 15 მილიონ ლარს არ სცილდება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **პროექტის ავტორი** პროექტის შექმნაში საქართველოში იღებს მშენებლობის ღირებულების მაქსიმუმ 4-5%-ს, გამოდის, რომ პროექტის შექმნის ღირებულება არაუმეტეს 4,350 მილიონი ლარია.

ამ არითმეტიკით გამოდის, რომ უცხოეთიდან ჩამოტანილი რკინის კონსტრუქციის, მდინარე ვერეს გზის გასწვრივ არსებული ფერდობების გამწვანებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების ჯამური ღირებულება (რასაც, პროექტის ავტორისა და მშენებლის განმარტებით, ეს პროექტი ითვალისწინებს) უნდა მერყეობდეს 50-51 მილიონი ლარის ფარგლებში.

რამდენად დამაჯერებელია, რომ დამკვეთი კომპლექსის ესტაკადების, საავტომობილო გზის მშენებლობაზე და პროექტის შექმნაზე ჯამური გამოსახულებით იხდის თითქმის 1,5-ჯერ ნაკლებ თანხას, ვიდრე იმავე კომპლექსში გათვალისწინებული უცხოეთიდან ჩამოტანილი რკინის კონსტრუქციის, საკანალიზაციო სისტემისა და მდინარე ვერეს გასწვრივ არსებული ფერდობების გამწვანების ჯამურ ღირებულებაში?

ჩვენი შეფასებით, კომპლექსის ღირებულება, რომელიც დაასახელა მშენებლობის ტენდერში მშენებელმა და, რაზედაც დათანხმდა დამკვეთი, საფუძვლიან ეჭვს იწვევს.

სწორედ ამიტომ დასადგენია მდინარე ვერეს ფერდობების გამწვანებისა და საკანალიზაციო სისტემის შექმნის სრული ღირებულება საბაზრო ფასებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, გასარკვევია, უცხოეთში ხსენებული კონსტრუქციის შესაძენად (რომელიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, უკვე ჩამოტანილია) მისი ღირებულების საფასურს ვინ (**დამკვეთი** თუ **მშენებელი**) ვის ურიცხავს და თანხობრივად რას წარმოადგენს აღნიშნული საბანკო ოპერაცია. აგრეთვე, ეს თანხა ჩაირიცხა თუ არა პირდაპირ უცხოეთის იმ საწარმოს საბანკო ანგარიშზე, რომელმაც დაამზადა ეს კონსტრუქცია, თუ იგი სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშზე გადაირიცხა? იქნებ, ეს გვირაბი საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, საჩუქარია?

### დასკვნის მაგიერ

**საქართველოს კონტროლის პალატა და მთავარი პროკურატურა უნდა გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში, რათა კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით ობიექტური სურათი შეიქმნას, რაც ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ემსახურება. სახეზეა დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ჩადენილია ორგანიზებული სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის „წამყვან“ ფიგურებს წარმოადგენენ დედაქალაქის მერიის გარკვეული თანამდებობების პირები, რომელთა ხელმძღვანელია თბილისის მერი გიგი უგულავა.**

**თენგიზ ჩხიკვაძე**,
ჟურნალისტური გამოძიების
სააგენტო „დრო და სივრცე“.

**P.S.** გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მომავალშიც განაგრძობს თანამშრომლობას ჟურნალისტური გამოძიების სააგენტოსთან „დრო და სივრცე“. ჩვენ მზად ვართ, ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მოკვლეულ ფაქტებთან დაკავშირებით მოვუსმინოთ მხარეებს. ვისაც სურვილი აქვს, აქტიურად ჩაერთოს სიმართლის დადგენაში, დაგვიკავშირდით რედაქციაში (ტელ. 38-41-97) ან დაუკავშირდით სააგენტოს „დრო და სივრცე“ (ტელ. 890 76-76-61, 897 76-76-61).

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ნატოს კურსით — წინ არარსებობისკენ!

**„საქართველო და მსოფლიოს“ მეხუთე ნომრის პუბლიკაციაში „ბალკანური ომები კარსაა მომდგარი“ საუბარი იყო ბოსნიის ფრონტის გახსნის შესაძლებლობაზეც, რითაც დაგვემუქრა ხორვატიის ლიდერი სტიპე მესიჩი პრეზიდენტის პოსტიდან წასვლისას; განაცხადა რა, რომ ხორვატიის არმია განახორციელებს სამხედრო ოპერაციას ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკის წინაალმდეგ, თუ ეს უკანასკნელი ჩაატარებს რეფერენდუმს თვითგამორკვევის საკითხზე კოსოვოს მაგალითისამებრ.**




მკერდზე მუშტების ასეთი ბრაგუნი პოლიტოლოგთა ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა.

სტიპე მესიჩის გამბედაობის მკვებავი ძალის გარკვევას დიდი კვლევა-ძიება არ დასჭირვებია: **ასეთი განცხადებებით საჯაროდ გამოსვლას ხორვატიის ლიდერები დასავლეთის კარნახისა და მხარდაჭერის გარეშე ვერ გაბედავდნენ.**

გადაბმული კუდები პარტნიორობის წყაროა: ჯერ კიდევ 1995 წლის ანტისერბული ეთნიკური წმენდის დროიდან მოყოლებული ხორვატია აშშ-ის ყველაზე ერთგულ რეგიონულ პარტნიორად არის აღიარებული.

არც ისტორიის ანალების დიდი ჩხრეკა დასჭირვებიათ, რომ დაედგინათ: ხორვატია-სერბეთის დღევანდელი დაპირისპირება იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელსაც სერბების წინააღმდეგ ახორციელებდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფაშისტების მიერ შექმნილი „ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფო“. მაშინ ძლიერმა და აგრესიულმა ფაშისტურმა მოძრაობამ მოიკიდა ფეხი უნგრეთის, ბოსნიისა და ალბანეთის მუსლიმანთა წრეებში. მხოლოდ ბერძნებმა და სერბებმა ახლოს არ გაიკარეს ჰიტლერელთა ანტისაკაცობრიო იდეოლოგია.

ხორვატიაში, ადასტურებს ისტორიული დოკუმენტები, ფაშისტებს აღფრთოვანებით შეხვდნენ: ქვეყანაში ანტე პაველიჩის ფაშისტური რეჟიმი დამყარდა. ნაციონალისტურად განწყობილმა ამ კათოლიკემ მართლმადიდებელი სერბების მასობრივი მკვლელობის ორგანიზებით დაიწყო სახელმწიფო მოღვაწეობა. მხოლოდ ერთ დასახლებულ პუნქტში — იასენოვაცში 700 ათასი ადამიანი, უმეტესად სერბები დახოცეს. მათ შორის ბევრი რუსი იყო. ხორვატი მოხალისეები აღმოსავლეთ ფრონტზეც იბრძოდნენ, მონაწილეობდნენ სტალინგრადის ოპერაციაში, ბომბავდნენ საბჭოთა ქალაქებს.

სტალინგრადის კამპანიამ, ეტყობა, იქ დახოცილი მოხალისეების შთამომავლებს ბევრი ვერაფერი ასწავლა. 90-იანი წლების განმავლობაში ნახევარი საუკუნისწინანდელი ისტორია ერთგვარად გამეორდა. კვლავ შეიქმნა ხორვატიის სახელმწიფო და მასთან ერთად კვლავ აღორძინდა გენოციდი, ან, იქნებ, რელიქტურია ეს თვისება იქაურებში? 1955 წელს ხორვატები თავს დაესხნენ სერბების ტერიტორიას, აშშ-ის მხარდაჭერით **განდევნეს იქაური მოქალაქეები მიწიდან, რომელიც ათადან-ბაბადან მათ წინაპრებს საუკუნეების მანძილზე ეკუთვნოდა. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი ეთნიკური წმენდა ევროპაში, რომელიც რელიგიური** და ნაციონალისტური დაპირისპირების ნიადაგზე განხორციელდა.

ასეთია ისტორიული და თანამედროვე რეალობა, რომლის დაფარვას მონდომებით ცდილობს ხორვატიის ხელისუფლება. მაგალითად, ავრცელებენ მოსაზრებას, რომ იასენოვაცში 700 ათასი კი არა, „მხოლოდ“ 100 ათასი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.

**მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ბოლო 20 წელიწადში ფაშისტური მოძრაობის აღორძინება ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში არის ნატოს სტრატეგიული შეტევის შემადგენელი ნაწილი.**

ჩვენი მკითხველების ყურადღებას კვლავ და კვლავ მივაპყრობთ ნატოს აღმოსავლეთისკენ გავრცელების საშიშროებას, რადგან ეს სტრატეგიული კურსი უშუალოდ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებზე გადის — არცთუ პოზიტიურად.

კოსოვოს მაგალითმა დაგვარწმუნა, ბალკანეთის ომების შესაძლებლობა კვლავ შეგვახსენებს, რომ **კოსოვო დღეს არის საქართველო ხვალ.**

პრინციპულად ასეა, ხოლო მოვლენები, რომლებიც ამ ბოლო დროს საქართველოში განვითარდა, გვიდასტურებს, რომ ტენდენცია, რომელსაც აღარ მალავენ დასავლეთელი იდეოლოგები — ფაშიზმზე გამარჯვება მთლიანად ამერიკას მიაწერონ, ცოტა — დიდ ბრიტანეთსა და კიდევ უფრო ცოტა — საფრანგეთს, ხოლო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თანაბრად გაანაწილონ პასუხისმგებლობა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო, ძალას იკრებს, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება.

**ქუთაისში დიდების მემორიალის ვანდალური განადგურება იმდენად მიხეილ სააკაშვილის ახირება კი არ იყო, რამდენადაც მისი ამერიკელი პატრონების მითითების განხორციელება.**

აღმოსავლეთისკენ მიმართული ნატოს მოძრაობა, რომლის სულისკვეთება ძალიან ჰგავს ჰიტლერელთა მოწოდებას — „დრანგ ნახ ოსტენ!“, მკვლევარებს ახსენებს **ს. ხანინგტონის** „ცივილიზაციათა შეტაკების“ კონცეფციას, რომლის არსი გმირული დასავლეთის „ყველა დანარჩენი“ არადასავლეთელი ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაა.

ამ კონცეფციის მიხედვით ცდილობენ, შეცვალონ არადასავლეთელი ხალხების მსოფლმხედველობა და, უწინარეს ყოვლისა, დაავიწყონ საკუთარი ისტორია, ფაშიზმის მსხვერპლთა და ჰიტლერიზმზე გამარჯვებულ წინაპართა სახელები.

**კოსოვო დღეს არის საქართველო ხვალ ნიშნავს, რომ, თუ ჩვენი საზოგადოებრიობა წინ არ აღუდგება იმ ექსპერიმენტის განხორციელებას, რომელსაც გლობალისტები (უცუდესი გაგებით) საქართველოზე განახორციელებენ, ჩვენ სხვათა ნების მორჩილ ერად გადავიქცევით და ყოფიერების უცხო მოდელით ცხოვრებისთვის გავწირავთ მომავალ თაობებს.**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**
უცხოური
პუბლიკაციების მიხედვით

# ოპოზიცია ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სააკაშვილის რეჟიმისათვის პასუხის მოკითხვას არ აპირებს

**ოპოზიციის ლიდერები გამუდმებით საუბრობენ საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებზე — სააკაშვილმა იმდენი ცუდი გაუკეთა ქვეყანას, რომ ის აქ ცხოვრებას არ იმსახურებს და ქვეყნიდან გაძევების ღირსიაო. ლაპარაკი ერთია, საქმის გაკეთება კი — მეორე. „საქართველო და მსოფლიომ“ ოპოზიციის ლიდერებს შორის ჩაატარა გამოკითხვა, რათა გაერკვია, რა სასჯელს იმსახურებენ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი პირები. როგორც აღმოჩნდა, ტრიბუნაზე მყვირალა ოპოზიციონერები განცხადებებში კატეგორიულობასა და სიმკაცრეს მხოლოდ აქციებზე და იმპროვიზებულ სცენებზე იჩენენ.**

**— თქვენ რომ ხელისუფლებაში მოხვიდეთ, რას მოიმოქმედებთ სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების მიმართ?**

**ირაკლი ბათიაშვილი, რესპუბლიკური პარტია:**

— მართალი გითხრათ, ამაზე არასოდეს მიფიქრია. სააკაშვილმა, მერაბიშვილმა თარგამაძემ და მათნაირებმა რომ დაგვღუპეს, ეს ფაქტია. ვფიქრობ, რომ თითოეულის საქმიანობა უნდა გადაიხედოს და, სისხლის სამართლებრივად რადმენადაც დასჯადი იქნება, ისე უნდა მიესაჯოთ. კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს ყველაფერი.

**კახა კუკავა, კონსერვატიული პარტია:**

— მე რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყო, ვანო მერაბიშვილს დავაპატიმრებდი; მის საქმეს სასამართლოს გადავცემდი და ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად მივუსჯიდი.

**— როგორ დასჯიდით მიხეილ სააკაშვილს?**

**ნესტან კირთაძე, ლეიბორისტული პარტია:**

— სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ბოლო 6 წლის განმავლობაში იმდენი ცოდვა და უკანონობა ჩაიდინეს, მთელი ერთი საუკუნე გაჰყვება ჩვენს ქვეყანას. მიხეილ სააკაშვილი მეტად როგორღა უნდა დაისაჯოს? ჩემი აზრით, ის უკვე დასჯილია, არაადეკვატურია, მას ყველა დასცინის. მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ადამიანების დასჯა ჩემი საქმე არ არის, ამაზე მე ვერ ვისაუბრებ, ეს უნდა გააკეთოს სამართლიანმა სასამართლომ.

**ზურაბ ტყემალაძე, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“:**

— რასაც დაიმსახურებდა სამართლებრივად, იმას მივუსჯიდი. ჰაერზე რომ ვილაპარაკო, ჩამოსახრჩობია თარგამაძე-მეთქი, არ იქნება სწორი. ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ თვითონ ასამართლებენ ადამიანებს. ჩვენ თუ მოვედით ხელისუფლების სათავეში, ამ შეცდომას არ გავიმეორებთ. დასჯა სასამართლოს პრეროგატივაა და ასეც უნდა იყოს.

**დავით ბერძენიშვილი, რესპუბლიკური პარტია:**

— სასამართლოს პრეროგატივაა ეს, როგორ დასჯიან მათ. თუმცა ვვარაუდობ, რომ სასამართლოს განაჩენი იქნება ძალიან მძიმე.

**ბაჩუკი ქარდავა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია:**

— არასერიოზულად მიმაჩნია პოლიტიკური დაჭერები. მიუღებელია პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრება. ხვალ რომ ხელისუფლების სათავეში მოვიდე, ყველა ხელისუფლების წარმომადგენელის, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი და, საერთოდ, კანონი დარღვეული, თუ ეს ჩემს კომპეტენციაში იქნება, მათი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებდი, რადგან ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს ბევრი დანაშაულებრივი ქმედება აქვთ ჩადენილი.

**თინა ხიდაშელი, რესპუბლიკური პარტია:**

— ამას გადაწყვეტს მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანი სასამართლო. ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რომ სასამართლო მათი მარწუხებიდან გათავისუფლდეს. ერთადერთი დასჯის ფორმა, რაც მსოფლიოშია მიღებული, ეს არის პატიმრობა; მადლობა ღმერთს, რომ ხელის მოჭრა და გილიოტინა აღარ არსებობს. ასე რომ, მხოლოდ ერთადერთ სასჯელს ვხედავ და ეს არის დაპატიმრება.

**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია:**

— მიხეილ სააკაშვილის ერთდერთი დასჯის გზა სამართლიანი სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება. ვინმეს დასჯა პოლიტიკური პირების გადასაწყვეტი არ არის.

## თარგამაძეს, ბოკერიას, სააკაშვილსა და მისთანებს ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა განაჩენი.

**გიორგი ცაგარეიშვილი, პარლამენტის წევრი:**

— ყველას კარგად ახსოვს, რასაც გივი თარგამაძე 7 ნოემბერს ლაპარაკობდა. როგორ უნდოდა სულის ამოხდა რუსთაველის გამზირზე მდგარი ოპოზიციისა და ქართველი ხალხისთვის. გივი თარგამაძემ (და არამარტო თარგამაძემ) უნდა აგოს პასუხი იმ დანაშაულისთვის, რაც ჩაიდინეს. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს ორი მხარე აქვს — მორალურ-ზნეობრივი და კანონიერი. თარგამაძეს, ბოკერიას, სააკაშვილსა და მისთანებს ქართველმა ხალხმა უკვე გამოუტანა განაჩენი. მე იურისტი ვარ და უდანაშაულობის პრეზუმფციას ვიცავ. თუკი მათი ბრალეულობა დამტკიცდება, ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს.

**ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე:**

— სააკაშვილს მივუსჯიდი სამუდამო პატიმრობას, როგორც სახელმწიფოს მოღალატეს. ის უარესსაც იმსახურებს.

**მეორე მხრივ, საინტერესოა, ოპოზიციის მუქარის ფონზე, სააკაშვილის მმართველობის დასრულებისა და რომელიმე ოპოზიციური პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ეშინიათ თუ არა ქართველ ჩინოვნიკებს მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების. ქართველ მოხელეებთან დაკავშირება არც თუ იოლი აღმოჩნდა, „საქართველო და მსოფლიოს“ ზარს, მხოლოდ პარლამენტარმა ხათუნა ოჩიაურმა უპასუხა.**

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის წასვლის შემდეგ, ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს დაშვებული შეცდომების გამო არ მოთხოვენ პასუხს, არ დააპატიმრებენ?**



**ხათუნა ოჩიაური, საქართველოს პარლამენტის წევრი:**

— მხედრიონმა მოიყვანა შევარდნაძე და მერე თავად დაიწყო მათი დაჭერა, ეს კრიმინალური ბანდა იყო, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მხოლოდ ის ჩინოვნიკები დაიჭირეს, რომლებიც კორუფციულ გარიგებებში იყვნენ გარეულნი. სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში კრიმინალური ვითარება გამოსწორდა. არ მეშინია, რატომ უნდა მეშინოდეს? საქართველოში თუკი ისეთი ხელისუფლება მოვიდა, რომლის დროსაც მე და ჩემნაირი ადამიანები დასაჭერები გავხდებით, საქართველოს მდგომარეობა იმ დროს ძალიან მძიმე იქნება. ასეთი ხელისუფლება საქართველოს სათავეში კი დემოკრატიული არჩევნების გზით ვერასოდეს ვერ მოვა.

ესაუბრა
**მაგდა კლდიაშვილი**

# ფერადი რევოლუციებით დაბრმავებულები



**ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პროდასავლური მოძრაობების წარმატება დემოკრატიის გამარჯვებაა.**

იმ დროს, როდესაც ბევრს იანუკოვიჩის უკრაინის პრეზიდენტად არჩევა შეშფოთების წყაროდ მიაჩნია, რეალურად ის ზეიმის საფუძველს წარმოადგენს. „ნარინჯისფერი რევოლუციის" ლიდერების — ვიქტორ იუშჩენკოსა და იულია ტიმოშენკოს — დამარცხება, სინამდვილეში კარგი ამბავია.

2004 წელს იანუკოვიჩმა გაყალბების გზით გამარჯვება სწრაფად მოიპოვა. 2010 წელს კი მან ოპონენტები სამართლიანად დაამარცხა არჩევნებში, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებად შეაფასეს. მარტო ეს ერთი ფაქტი უზარმაზარ პოზიტიურ პოლიტიკურ ცვლილებაზე მიუთითებს.

ბოლოს და ბოლოს, უკრაინელებისთვის დასრულდება იუშჩენკო-ტიმოშენკოს წლობით მიმდინარე მუდმივი ჩხუბი, ხოლო დასავლეთს უკრაინული არჩევნები შესაძლებლობას აძლევს, გადააფასოს საუკუნის დასაწყისის „ფერადი რევოლუციების" ბუნება.

უკრაინის „ნარინჯისფერმა რევოლუციამ", საქართველოს „ვარდების რევოლუციამ" და ლიბანის „კედრების რევოლუციამ" დემოკრატიზაციაზე მითის შექმნას შეუწყო ხელი. ამ მითის თანახმად, მასები კორუმპირებული ელიტების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ანალოგიურად, ირანის გახანგრძლივებულმა საპროტესტო აქციებმა ზოგიერთებს აფიქრებინა, რომ სულ მალე შესაძლებელი გახდებოდა „მწვანე რევოლუციის" განხორციელებაც, მაგრამ „ფერადი რევოლუციები" არასდროს არ არის ისეთი, როგორიც ჩანს.

მაგალითად, უკრაინაში „რევოლუციონერი" ლიდერები, იუშჩენკო და ტიმოშენკო არსებული სისტემის მაღალი რანგის წარმომადგენლები იყვნენ. მეტიც, 2004 წლის ბოლო ტურის არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩმა ხმების 40%-ზე მეტი მიიღო. „ნარინჯისფერი რევოლუცია" არ ყოფილა ცალსახად მთელი უკრაინელი ხალხის აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ, ის უფრო ერის, რომელიც ღრმად გახლეჩილია, პოლიტიკურ ბრძოლაში ერთი ნაწილის დროებითი გამარჯვება იყო.

„ნარინჯისფერი რევოლუციონერები" არაკომპეტენტური მმართველები აღმოჩნდნენ. იგივე შეიძლება ითქვას სხვაგან მათ კოლეგებზე, მაგალითად: საქართველოში, სადაც მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ რუსეთთან ომის პროვოცირება მოახდინა, რითაც, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაკარგა ქვეყნის ორი რეგიონი.

რაც შეეხება ირანს, გასულ კვირას ორგანიზაცია World Public Opinion-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, რომელიც არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ ჩატარებული მთელი რიგი გამოკითხვების ანალიზს ეფუძნება, აჩვენა, რომ გაყალბების ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, საბოლოო შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. იმ შემთხვევაშიც კი, მაჰმუდ აჰმადინეჯადის გამარჯვებაზე თუკი ოფიციალური მონაცემები გაზვიადებული იყო, ირანის პრეზიდენტმა ხმების 50% აშკარად მოიპოვა. ირანელების უდიდეს უმრავლესობას მისი არჩევა ლეგიტიმურად მიაჩნია. რეჟიმს არანაირი საფრთხე არ ემუქრება და პრეზიდენტიც თავისი ხალხის ნებას უფრო გამოხატავს, ვიდრე მისი ოპონენტები.

ჩვენი ენთუზიაზმით ვიპოვეთ სხვები, ვინც თითქოს ჩვენს მიზნებს იზიარებენ, საკუთარ თავს სისულელეში ვარწმუნებთ, რომ ნებისმიერი, ვინც ჩვენ არ მოგვწონს, არალეგიტიმურია, რომ ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მეგობარია და ნებისმიერი, ვინც დემოკრატიაზე საუბრობს – დემოკრატია. შედეგად, ჩვენი და ჩვენი სავარაუდო მოკავშირეების ინტერესები ზარალდება.

ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია უკრაინასთან და საქართველოსთან დაკავშირებული იმედები, რომ ისინი თითქოს ოდესმე ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში (ნატო) გაწევრიანებას შეძლებდნენ. უკრაინის შემთხვევაში ეს ყოველთვის სულელური იდეა იყო, რადგან უკრაინელების დიდი ნაწილი ნატოს წევრობის წინააღმდეგია. ამ კონცეფციის კულტივირებით, დასავლეთი მხოლოდ ხაზს უსვამდა ქვეყნის დანაწევრებას და მისი მხარდაჭერილი მთავრობის მიმართ ნდობას არყევდა, მაგრამ, თუკი ამ შემთხვევაში, ამას ბოლომდე უარყოფითი შედეგები არ მოჰყოლია, საქართველოს შემთხვევაში, ნატოს მხარდაჭერის იმედმა, როგორც ჩანს, სერიოზული როლი ითამაშა სააკაშვილის წახალისებაში, რუსეთთან ეს გაუთვლელი ომი წამოეწყო.

ამასთან, ყალბი წარმოდგენები, რომ „მწვანე რევოლუცია" ირანის რეჟიმს დააჩოქებს, აშშ-ს კონგრესის ბევრ წევრს ირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისკენ უბიძგებს. დიდი ალბათობაა, რომ რეჟიმი არ დაემხობა და სერიოზული მოლაპარაკების შანსი დიდი ხნით დაიკარგება.

უკრაინული არჩევნების შედეგი ჩვენ იმის შანსს გვაძლევს, რომ ყალბი წარმოდგენები გვერდზე გადავდოთ, ვაღიაროთ რომ მსოფლიო გაცილებით ნიუანსურია, ვიდრე ამას ჩვენ ვაღიარებთ და უარი ვთქვათ იმ ქედმაღლურ წარმოდგენაზე, რომ ჩვენ განვსაზღვრავთ ისტორიის მდინარებას. საკუთარი ქვეყნის რევოლუციური წარმომავლობის გათვალისწინებით, ამერიკელები ფერად რევოლუციებზე არსებული მითისგან უნდა გათავისუფლდნენ. უფრო კონსერვატიული და ანტირევოლუციური ფესვების გათვალისწინებით, ჩვენ, კანადელები, უფრო ფრთხილები უნდა ვიყოთ.

**პოლ რობინსონი,**
**ოტავას უნივერსიტეტთან არსებული საზოგადოებრივ და საერთაშორისო საქმეთა უმაღლესი სკოლის პროფესორი.**

# როდის გაუშვებენ «სასწავლებლად» გოგა ხაჩიძეს?

**გარემოს დაცვის სამინისტროში უკვე ტრადიციად იქცა, კვირაში ერთხელ თუ არა, თვეში ერთხელ მაინც, ქრთამის აღებისთვის ან ხე-ტყის უკანონო ჭრისთვის, ან უკანონო ნებართვის გაცემისთვის ვინმეს დაჭერა. მართლა ასეთი „ბარდაგია" გარემოს დაცვის სამინისტროში თუ ქვეყნის ხერხემალი „ეპარება" „ლელიანს ამოფარებულ" ბლანჟეიან მინისტრს?**



— ეს მცირე ამონარიდები, რომლებიც გარემოს დაცვის სამინისტროში არსებულ კორუფციაზე გვამცნობს, ბოლო ორი თვის ქართული პრესიდანაა.

მინისტრ ხაჩიძეზე დიდი ხნის წინათ საუბრობდნენ, რომ მინისტრობიდან სომხეთში ელჩად გაშვებას უპირებენო, მაგრამ, ეტყობა, ქართული პოლიციისთვის ჰიმნის დაწერამ მას მინისტრობა გაუხანგრძლივა.

ხაჩიძე ნამუსს რომ შეეწუხებია, აქამდე საკუთარი ნებით უნდა წასულიყო პოსტიდან, მაგრამ „ზემოთ" ხალხს „აბამს", ახალ სიმღერას დაგიწერ ან სერიალის ნოდარივით („ჩვენი ოფისი") ბლანჟეს მოვიპარსავ, ოღონდ არ მომხსნა, დიდი ვალები მაქვსო.

დაჭერების ამბავი უფრო სხვა რამეზე მიანიშნებს, ვიდრე რეალური დანაშაულებების გამოვლენის მცდელობაა. მაგალითად, შიდა ქართლში მექრთამეობაში ეჭვმიტანილები მხოლოდ თანამდებობებიდან გაათავისუფლეს, კახეთში კი უმრავლესობა დაიჭირეს. როგორც ჩანს, ქართლში მათ სამართალდამცავი სტრუქტურიდან მაღალი თანამდებობის პირი მფარველობდა.

არ არის გამორიცხული, რომ ყველა ამ დანაშაულიდან წილი „ზემოთ" მიდიოდა. ეს დაჭერები უფრო „ფარდას" ჰგავს და არა წმენდას. მინისტრი ან თუნდაც მინისტრის მოადგილეები რომ დაეკავებინათ, ეს ოპერაციები უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. ისევ საწყალ ხალხზე გადატეხეს ჯოხი — დაჭერილთა უმეტესობას სახეზეც ეტყობა, რომ გამომძალველი არ არის.

ერთი სიმღერა მიშაზე ჩვენს ქვეყანას „ძვირი" დაუჯდა. „მაგარია" ხაჩიძე, დონი (ანუ მაფიოზი) გახდა. არადა, ჩვენთან კორუფცია ნოლზეა, მექრთამეობა კი ხალხმა საერთოდ დაივიწყა. ყველაზე კარგი აპარატურა თურმე ამ უწყებაში დაუმონტაჟებია „ხერხემალს", ხაჩიძე, ეტყობა, მაგარი გოიმია და ჯერ ვერ ხვდება.

თუ თავად არაა მექრთამე და კორუმპირებული, მისმა და მისი კადრების სისუსტემ და უმაქნისობამ ხომ ნამდვილად გაულღვიძა ზოგიერთს ქრთამის აღების წადილი; ეს როდემდე გაგრძელდება, კაცმა არ იცის.

გამოვა ხაჩიძე ტელევიზიით და განაცხადებს, მექრთამეების გამოსავლენად ბოლომდე ვიბრძოლებთო. საკითხავია, როდემდე? „ვანოს ბიჭები" კი „აზიან" გარემოს დაცვის სამინისტროს და მოსახლეობას ყოველდღე ახალ-ახალი დაჭერების შოუებს უმართავენ.

ჩნდება ეჭვი, რომ ვიღაცას მიზანმიმართულად სჭირდება იმ ფაქტის აფიშირება, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში სრული განუკითხაობაა. მარტივი სქემაა: ვანიჩკას ყელში ამოუვა ე. წ. დაჭერები და ამ სამინისტროსაც თავის დაქვემდებარებაში ოფიციალურად გააფორმებს. პრინციპში, თუ გავიხსენებთ, რომ გოგა ხაჩიძე თავის დროზე სამცხე-ჯავახეთში გუბერნატორად იმიტომ გაამწესეს, რომ იმედოვნებდნენ, ვანო მერაბიშვილის სურვილებს კარგად შეასრულებდა, არც ეს არის გამორიცხული.

ხაჩიძეს, ალბათ, ნელ-ნელა ეპარებიან, მაგრამ „ხერხემალს" აბამს — ახალ სიმღერას დაგიწეროთ და „გარეთ" ამის გამო რჩება.

ერთ-ერთ იუმორისტულ გადაცემაში იხუმრეს, გარემოს დაცვის სამინისტროში დამლაგებლებისა და მინისტრის გარდა ყველა დაიჭირესო.

საინტერესოა, როდის მოუწევს „სასწავლებლად წასვლა" მომღერალ მინისტრს.

**მაგდა კლდიაშვილი, ალექსანდრე აკობია**

# რატომ ჩავარდა სასწავლო პროცესი?

## მოშლილი და დეზორიენტირებული სკოლები

**საქართველოში უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, ხელისუფლებაში გატარებულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკამ მოსახლეობის ტოტალური გაღატაკება, უმუშევრობა, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალშისაცემი დეგრადაცია, განათლების დონისა და ხარისხის საგრძნობი გაუარესება გამოიწვია.**

„ვარდების რევოლუციით" მოსული ხელისუფალნი თავს იწონებდნენ განათლების სფეროში გატარებული წარმატებული რეფორმით, თუმცა არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ რეფორმის წარმატება-წარუმატებლობის კრიტერიუმი შედეგია და არა — მეთოდი. გავიდა რამდენიმე წელი და ამ ე. წ. წარმატებულმა რეფორმამ სრული კრახი განიცადა. დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია სრული ქაოსი. განათლების სფეროში ჩატარებული ცრუ რეფორმისა და ხელისუფლების მიერ ამჟამად გასატარებელი პროცესების შესახებ თავის მოსაზრებას „საქართველო და მსოფლიოს" უზიარებს განათლების სფეროს სპეციალისტი, ექსპერტი (არ ისურვა ვინაობის გამხელა):

„ლოტოტრონით შერჩეულმა დირექტორებმა ვერ გაამართლეს იმედები. ვერც პედაგოგებზე მოახდინეს ზეგავლენა, არჩევნებში ხელისუფლების მხარეს დამდგარიყვნენ და ვერც სასწავლო პროცესს უშველეს. მოიშალა სასწავლო დისციპლინა, გაიზარდა არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი მოქმედებები. სკოლები გაარემონტეს, მაგრამ ჩავარდა სასწავლო პროცესი არასწორი სასწავლო გეგმების გამო (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა ისწავლება თითო ტრიმესტრი), უმაღლეს სასწავლებლებში ბარდება ზოგადი უნარები. დღემდე ეს საგანი სკოლაში არ ისწავლება, გარბიან მოსწავლეები რეპეტიტორებთან, სახელმწიფო კი ტყუილუბრალოდ იხდის თითოეულ მოსწავლეზე სოლიდურ თანხას ვაუჩერის სახით. ყველა საგნის სწავლება გაუთანაბრდა ფიზკულტურის სწავლებას. რეგიონებში პედაგოგები აქტიურად არიან ჩაბმულნი არჩევნებში ხელისუფლების სასარგებლოდ.

მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი ათვისებულია, პედაგოგები გადამზადებულნი არ არიან და აიძულებენ სერტიფიცირებას. მათთვის მთავარია, სერტიფიცირებაზე მასწავლებლებს მიაღებინონ მონაწილეობა, ხოლო ჩააბარებენ თუ არა, არც კი აინტერესებთ."

ასეთი მოსაზრება აქვს განათლების სფეროს სპეციალისტს განათლების სისტემაში ჩატარებულ რეფორმაზე, რომლის შედეგი მოშლილი და დეზორიენტირებული სკოლებია.

**ლადო ქირია, ზუგდიდი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი «ტელეიმედის» წინააღმდეგ

**რამდენიმე თვის წინათ ქართულ ტელესივრცეში, კერძოდ „იმედის“ არხზე, გაჩნდა ყველაზე სექსუალური, ყველაზე თამამი და ყველაზე ექსცენტრიული გადაცემა „ღამე შორენასთან ერთად“. გადაცემის წამყვანი უდაოდ მომხიბვლელი და სექსუალური ქალი შორენა ბეგაშვილია. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის ახალგაზრდა ლამაზმანია, რომელმაც „თეატრალური სარდაფის“ მსახიობობისას გაითქვა სახელი, მერე იყო მისი პირველი სახალხო გაშიშვლება ქართული „ფლეიბოის“ ფურცლებზე, სკანდალი ბაგრატიონთა ტახტის ახლადდაქორწინებულ მემკვიდრესთან... ასე შეიქმნა უკომპლექსო, სექსუალური ქალის იმიჯი რუსთაველმა ბეგაშვილმა და მერე ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში პირველი ქართული ეროტიკული შოუ განახორციელა — გადაცემა „ღამე შორენასთან ერთად“. წამყვანის ეროტიულმა მიხვრა-მოხვრამ, უტიფარმა საუბარმა სექსზე, როგორც ჩანს, გადაცემას პოპულარობა მოუტანა, თუმცა, ძირითადად, იგი უარყოფითად უფრო შეფასდა, ვიდრე დადებითად.**



## ავთანდილ უნგიაძე: შეწყდეს საზოგადოების «შორენიზაცია»!

**განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ის გადაცემა, რომელშიც საუბარი „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“ იყო. წამყვანი აქტიურად ცდილობდა, გადაცემის მსვლელობისას გაემყარებინა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოსთვის ქალიშვილობის ინსტიტუტი ისტორიულად და მენტალურად სრულიად უცხოა, უფრო მეტიც, თავსმოხვეული ხილია. ბეგაშვილმა თვალისდაუხამხამებლად მიაყენა შეურაცხყოფა თავადაზნაურთა შთამომავლებს, როცა ქართველი დიდგვაროვანი ქალბატონები საკმაოდ თავაშვებულ სექსუალურ ცხოვრებაში „ამხილა“. საინტერესოა, რომელ ცნობილ და ძალიან კარგ ისტორიკოსს გულისხმობდა ქალბატონი შორენა, როცა აცხადებდა, რომ თურმე არსებობს წყაროები იმის შესახებ, რომ შაჰის ჰარამხანაში წასაყვანი ქალებისთვის დაწერილი კანონები მათი ხელშეუხებლობის შესახებ იმიტომ არ ვრცელდებოდა ქართველ ქალებზე, რომ საქართველოში ქალწულები იმ დროისათვის რთული მოსაძებნი იყვნენ. ჩვენ დავინტერესდით, მართლაც არსებობს თუ არა ასეთი წყაროები საქართველოს ისტორიაში და ამის გასარკვევად საკმაოდ ცნობილ და კომპეტენტურ ისტორიკოსებს — რისმარგ გორდეზიანსა და ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს ვესტუმრეთ.**

**მარიკა ლორთქიფანიძე:** — მსგავს ცნობებს ისტორიულ წყაროებში არასდროს შევხვედრივარ. ამდენად, როდესაც ქალბატონი შორენა ისტორიულ წყაროებზე საუბრობს, ზუსტად უნდა მიუთითოს ისტორიკოსის სახელიც და წყაროც, რომელზე დაყრდნობითაც აკეთებს ასეთ განცხადებებს. ვინაიდან ის არ აკონკრეტებს არც ერთს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წყარო საერთოდ არც არსებობს.

**გარდა ისტორიული ცნობებისა, ქალბატონმა შორენამ ქართველი ხალხის მრავალფეროვანი სექსუალური ცხოვრების ამსახველ საშუალებებად ქართული ფოლკლორი და ზეპირსიტყვიერება დაასახელა. ასევე დასძინა, რომ მთაში მთელი რიგი კოდექსებიც კი არსებობდა, რომელიც ადამიანთა სექსუალურ ცხოვრებას არეგულირებდაო და ამის ერთ-ერთ მაგალითად წაწლობა მოიშველია. როგორც მოველოდით, საპირისპირო აღმოჩნდა ამ ფაქტზე ეთნოლოგების, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების — ლია მელიქიშვილისა და თინათინ იველაშვილის აზრი.**

მათ აღნიშნეს, რომ ქართული ფოლკლორი ყოველთვის სიყვარულსა და ტრფიალზე იყო აგებული. როცა წამყვანი ქალწულობაზე საუბრობდა, შეიძლება მას მხედველობაში პირველი ღამის უფლება ჰქონდა. ბატონყმობის პერიოდში არსებული ეს წესი ბატონს ყმისგან პირველი ღამის უფლებას აძლევდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წესი ზედმიწევნით სრულდებოდა და ყოველთვის ასე ხდებოდა. მაგალითად, ჯავახეთში მოხდა ასეთი ფაქტი: ქორწილი იყო და ხერთვისის ბეგმა პირველი ღამის უფლება მოითხოვა, თუმცა ცნობილია, რომ მან მხოლოდ საქორწინო სარეცელს გადააბიჯა, ისე, რომ არც კი შეხებია პატარძალს. უბრალოდ, ეს წესი სიმბოლურად შეასრულა და მეტი არაფერი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ბატონს პირველი ღამის უფლება ჰქონდა და ქალიშვილმა ეს იცოდა, მას თავი ქალწულად უნდა შეენახა, ამიტომ ის თავის ქალწულობას მოუფრთხილდებოდა. ქალწულობის ინსტიტუტში ბევრი მისაღები რამ დევს, იგივე ჰიგიენა, მორალი და ა.შ. მედიცინის თვალსაზრისით, მიღებულია, რომ 18-19 წლის ასაკი ყველაზე საუკეთესო პერიოდია დეფლორაციისთვის. ქალწულობა, როგორც რაღაც საშინელება, ჩამორჩენილობა, მიუღებელი და სიბნელე არაა. ჩვენ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს ამ მიზეზით ხშირად ლახავენ, რაც მიუღებელია.

რაც შეეხება წაწლობასა და სწორფერობას, ეს არის რთული ინსტიტუტი, რომელიც მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ხალხის კულტურაში არსებობდა. ქართულ სინამდვილეში ეს წეს-ჩვეულება ტრფიალს ეძღვნებოდა, მაგრამ სექსუალური ურთიერთობის გარეშე. სექსუალური კავშირი სწორფერებსა და წაწლებს შორის, უბრალოდ, აკრძალული იყო. თუმცა დარღვევები, ანუ გამონაკლისები, როგორც ყველა წესს, ამასაც ჰქონდა. ამ ტრფიალში ხშირად უყვარდებოდათ ერთმანეთი, თუმცა, წესის მიხედვით, მათ დაქორწინების უფლება არ ჰქონდათ. თუკი ასეთი რამ მოხდეობდა, შეყვარებულები უნდა გასცლოდნენ თემს და მოკვეთილებს სხვაგან ეცხოვრათ. ამიტომ წაწლობისა და სწორფერობის აღვირახსნილობად მიღება არ შეიძლება. პირიქით, ეს ინტიტუტი სექსუალური კავშირის ტაბუს თავისთავად გულისხმობდა.

ანუ ჩვენ უნდა განვასხვავოთ წესი და გამონაკლისი, როდესაც ეს წესი ირღვეოდა. დღესაც გვაქვს ბევრი კანონი, რომელსაც ვარღვევთ და ციხეები სავსეა პატიმრებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვთქვათ, ქურდობა ჩვენი წესი ან ტრადიციაა.

## ის, რასაც ესენი ლიბერალიზმს ეძახიან, გარყვნილებაა!

როდესაც ურჩევენ, რომ ქორწინებამდე ქალმა შეარჩიოს პარტნიორი, ანუ მან რამდენიმე მამაკაცს შორის აარჩიოს თავისთვის სასურველი, ისიც ნუ დაავიწყდებათ, რომ ამ საქმის „კარგად მოგვარებას“ არც თუ პატარა დრო და მრავალი მამაკაცის გამოცდა სჭირდება. წაიკითხონ სტატიები იმის შესახებ, რომ არსებობენ ქალები, რომლებიც ცხოვრების მანძილზე 10-20 და შეიძლება მეტ მამაკაცს იცვლიან, მაგრამ მაინც ვერ პოულობენ თავისთვის შესაფერის სექსუალურ პარტნიორს. ეძებონ, თუ უნდათ, მაგრამ ეს, მორალური თვალსაზრისით, მისაბაძი სულაც არ არის. რაც შეეხება ქალწულობის ინსტიტუტის არსებობას საქართველოში, ის არც ირანელებს, არც მონღოლებს არ უკავშირდება. ეს ინსტიტუტი ებრაელებმა შემოიტანეს. ებრაელები კი ჩვენთან ოცდაექვსი საუკუნის წინათ მოვიდნენ.

**როგორც წესი, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ ასეთ თემებს უყურადღებოდ არასდროს ტოვებს. ამჯერად მათ საპროტესტო აქციებს სამართლებრივი გზა ამჯობინეს და „იმედის“ რედაქციაში საჩივარი შეიტანეს. ამის თაობაზე კავშირის თავმჯდომარეს — ავთანდილ უნგიაძეს ვესაუბრეთ.**

**— ბატონო ავთანდილ, რას ფიქრობთ ამ გადაცემასთან დაკავშირებით?**

— გადაცემა ჩვენთვის მიუღებელია, ამიტომ შევიტანეთ საჩივარი „იმედში“ და ველოდებით რეაგირებას. მოვითხოვთ „ტელეიმედმა“ შეწყვიტოს მცდარი ისტორიული ინფორმაციის გავრცელება, ჩვენი ეროვნული და სარწმუნოებრივი ტრადიციების შეურაცხყოფა, აღვირახსნილობის პროპაგანდა — საზოგადოების „შორენიზაცია“. თუ ჩვენი სარჩელი არ დაკმაყოფილდება, სასამართლოს მივმართავთ. ჯერჯერობით სამართლებრივი გზით ვიმოქმედებთ და იმედია, ღმერთიც შეგვეწევა ამ საქმეში. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ გადაცემამ, რომელშიც ქალიშვილობის ინსტიტუტზე იყო საუბარი. **ქალიშვილობის ინსტიტუტით ხშირად ინტერესდება საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას ცდილობს, მაგრამ სინადვილეში რასაც ისინი ლიბერალურს ეძახიან, აშკარა გარყვნილებაა. ზუსტად იმ თემებს უტრიალებენ, რასაც ზნეობა ემყარება.** უნდათ, ტრადიციები დაამსხვრიონ და ყველა ნორმალური ადამიანისთვის მიუღებელი ცნობიერება დაამკვიდრონ. ეს ყველაფერი იმდენად მტკნარი სიცრუეა, ისეთი ადამიანისგანაც გაგიკვირდება, როგორიც ქალბატონი შორენა ბეგაშვილია. რაც შეეხება უშუალოდ ამ გადაცემას, გაყალბებული იყო ისტორიული წყაროები. კერძოდ, გადაცემა შეიცავდა ყალბ ცილისმწამებლურ, ტენდენციურ მონაცემებს, რამაც შეიძლება ყალბი წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას საქართველოს ისტორიასა და ზნეობრივ ფასეულობებზე. ამას გარდა, ხსენებულ მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ტელეიმედის“ გადაცემაში დაუფარავად კეთდებოდა მოწოდება ქორწინებამდე სექსისკენ, ადრეული სექსუალური ცხოვრების დაწყებისკენ. ეს კი, ჩემი აზრით, ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელია და ფასდება, როგორც მოწოდება გარყვნილებისკენ და მრუშობისაკენ. როცა წამყვანი საუბრობს იმაზე, ვიღაც ისტორიკოსმა მითხრა, საქართველოში მონღოლებამდე ქალწულობა არ ყოფილაო და თურმე ჰარამხანაში წასაყვანად ჩვენთან ქალწულები არ მოიძებნებოდნენო, ეს არის ყველაზე დიდი სიცრუე. ჩვენი ქრისტიანული ისტორია ემყარება ქრისტიანულ ზნეობრიობას. ჩვენ მცნებაშიც გვაქვს მოცემული „არა იმრუშო“!

**— წამყვანმა გადაცემაში აღნიშნა, რომ ქალწულობა აქტუალური მონღოლების შემოსევამდე არ ყოფილა. რამდენად შეესაბამება ეს რეალობას?**

— ვიღაც ისტორიკოსის სავარაუდო დასკვნას არაფერი აქვს საერთო საქართველოს ისტორიასთან. საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, მისი მფარველია მარად ქალწული და უბიწო ღვთისმშობელი. ჩვენი განმანათლებელია ქალწული ნინო. სწორედ რომ ქალწულობა იყო ჩვენი ზნეობრივი ორიენტირი. ქალწულობა და უბიწოება ღმრთის მცნებებია და მისი დაცვა განუყოფელია ქრისტიანობისგან. ეს იყო ჩვენი ერის ისტორიული და



შორენა ბეგაშვილი სექსზე გვესაუბრება

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# „ტელეიმედის“ მიერ ქორწინებამდე სექსისკენ მოწოდება მეშვიდე მცნების — არა იმრუშოს დარღვევისკენ მოწოდებაა

ტრადიციული ორიენტაცია მონღოლებამდე და მონღოლების შემდეგაც, რასაც ადასტურებს არა ვილაც ისტორიკოსის ვარაუდები, არამედ საქართველოს მთელი ქრისტიანული ისტორია. ეკლესია დღესაც ქადაგებს ქორწინებამდე ქალწულობას და ქორწინებაში ერთგულებას. სწორედ ამის მოშლას ცდილობენ.

**— გადაცემაში საუბარი იყო იმაზეც, რომ ქორწინებამდე სექსი ოჯახის სიმყარეს უწყობს ხელს...**

— უწინ, როცა ტრადიციებზე დაფუძნებული ოჯახები იქმნებოდა, პრაქტიკულად არ ხდებოდა განქორწინებები. როცა დაიწყო სექსუალური რევოლუცია და გამრავლდა სიძვა-მრუშობა, ქორწინებამდე სექსი კატასტროფულად გაიზარდა განქორწინებათა რაოდენობა. გარდა ამისა, არსებობს მეცნიერული დადასტურება იმის თაობაზე, რომ მათ, ვისაც ქორწინებამდე სექსი აქვს, ოჯახების დანგრევის რისკფაქტორი ეზრდებათ. **გლობალიზაციის პროცესი, ეკლესიური თვალსაზრისით, მზადებაა ანტიქრისტესათვის. ამ გზაზე ყველაფერი მართვადი უნდა იყოს, ამიტომ გლობალიზაცია განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებს ებრძვის, რომლებშიც რელიგიური მომენტი წინ წამოწეულია. განსაკუთრებით, მართლმადიდებლობაა ამოღებული მიზანში. ასევე მიზნად აქვთ დასახული ოჯახის მოშლა. მათ უნდათ, ოჯახები აღარ შეიქმნას. ეს გადაცემაც ამას ემსახურება, ადრეც არა ერთხელ იყო ასეთი მცდელობა, მაგრამ ასეთი შეურაცხმყოფელი არ ყოფილა. გადაცემის ფორმატშიც კარგად გამოიხატება, რაც უნდათ. ქალბატონი შორენა ბეგაშვილი დაქირავებულია, რომელიც დავალებას ასრულებს, თუმცა კარგად — ვერა.** როდესაც რედაქციაში ჩვენს სარჩელს განიხილავდნენ, განგვიცხადეს, რომ ეს ქალბატონ შორენას პირადი აზრია და არხი არაფერ შუაშია, კერძო აზრს არსებობის უფლება აქვსო. ეს არ არის მართებული. ეს რომ ყოფილიყო განსხვავებულ აზრთა შორის წარმოჩენილი მოსაზრება ან დებატები, მაშინ შეგვეძლო ჩაგვეთვალა ერთი ქალის პირად აზრად, მაგრამ, როცა ცალსახად მიდის მსჯელობა, თანაც ყალბ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ეს უკვე რედაქციის პოზიცია უფროა.

**— რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მსგავსი ტიპის გადაცემებმა მოზარდებზე?**

— არა მარტო მოზარდებზე, მოზრდილებზეც კი მოქმედებს ეს. ის, რაც დღეს ტელევიზიით გადის, 20-30 წლის წინათ წარმოუდგენელი იყო. ეს რომ მაშინ ტელევიზიით ეჩვენებინათ, ხალხი აღშფოთდებოდა, მაგრამ დღეს უკვე ნელ-ნელა შეეჩვია ამ ყველაფერს და აღარ რეაგირებს.

ესენი 14-15 წლის ბავშვებს ადრეული სექსუალური ცხოვრებისკენ მოუწოდებენ, ფსიქოლოგიურად კი დამტკიცებულია, რომ ადრეული სექსუალური ცხოვრება ბავშვის ფსიქოლოგიას ანგრევს. მართალია, გადაცემა გვიან ღამით, 12 საათის შემდეგ, გადის, მაგრამ ანონსი ხომ დღის განმავლობაში ტრილებს და მისი ნახვა ინტერნეტ-საიტებზეც ყველასთვის ხელმისაწვდომია.

**გადაცემაში ქალბატონი შორენა ქალწულთა ბუნებრივ მორცხვობას კომპლექსს უწოდებს და ქალიშვილებს ამ კომპლექსისაგან გათავისუფლებისაკენ ღიად მოუწოდებს; ურჩევს, ქორწინებამდე დაკავდნენ სექსით და რჩევებსაც აძლევს, როგორ განახორციელონ იგი. კერძოდ, ქალიშვილებს ურჩევს, ქალიშვილობის დაკარგვისას თავად იყვნენ აქტიურები, ხოლო ბიჭებს — გამოიჩინონ „ჯენტლმენობა“ და სექსის წარმოების ინიციატივა გოგონებს დაუთმონ.**

**ამერიკაში 70-იან წლებში დაიწყეს სექსუალური განათლების შეტანა სკოლებში. მიზანი ვენერიული დაავადებების, არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება და მსგავსი პრობლემები იყო, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ 2002 წლიდან მათ საპირისპირო პროგრამების განხორციელება დაიწყეს, ესაა ქალწულობის, ქორწინებაში ერთგულებისა და ერთქორწინების პროპაგანდა. მილიონებს ხარჯავენ ამ პროგრამებში იმიტომ, რომ საფრთხე სახელმწიფოებრიობას შეექმნა. ის, რაც ამერიკისთვის საფრთხეა, ჩვენ მთლიანად დაგვანგრევს და გაგვანადგურებს. მოვა თაობა, რომელიც იქნება სასტიკი და უზნეო. უკვე ვიმკით შედეგებს. შეხედეთ, ჩვენს სკოლებში რა ხდება, ბავშვები ერთმანეთს ხოცავენ.**

**თეო ტაბატაძე, ლილი მიროტაძე**



არველაძე შორენას რჩევებს ზედმიწევნით ასრულებს

**P.S** არავინ იცის, დაკმაყოფილდება თუ არა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მოთხოვნები ან მოიხდის თუ არა „ტელეიმედი“ ბოდიშს ისტორიული წყაროების გაყალბებისა და ჩვენი წინაპრების შეურაცხყოფისთვის. ჩვენ, უბრალოდ, შევეცადეთ, გადაგვემოწმებია გადაცემაში გაჟღერებული „ჭეშმარიტებები“ და, როგორც აღმოჩნდა, სულაც არ შეესაბამება ისინი სიმართლეს. მაყურებლის გადასაწყვეტია, რას უყუროს და რას — არა, მაგრამ იმედია, ქალბატონი შორენა, ამიერიდან მაინც უფრო სწორ და საიმედო არგუმენტებს დაასახელებს თავისი პოზიციისა და მოსაზრების გასამყარებლად.

# რევერსი, ანუ გიორგი არველაძე საზოგადოების წინააღმდეგ!

**„სიმართლის დრო“, „ღამე შორენასთან ერთად“, „სპეციალური რეპორტაჟი“ — ეს ის გადაცემებია, რომლებიც „იმედის“ სამაუწყებლო ბადეში გიორგი არველაძის გადირექტორების შემდეგ გაჩნდა. გადაცემები, რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებას იწვევს, რაც, როგორც ჩანს „იმედის“ ბორდის მიზანმიმართული პოლიტიკაა, რის დასტურადაც ის ფაქტი კმარა, რომ მიუხედავად მართლმადიდებელ მშობელთა პროტესტისა, მაზოხისტური სიამოვნებით გაიმეორეს შორენას ის შოუ, სადაც ქართველი ქალები ისტორიულად კახპებად იყვნენ შერაცხულნი.**

რაც შეეხება „სიმართლის დროს“, არ ვიცი, რამდენად სიმართლეა ის, რაც ცოტნე გამსახურდიას შესახებ იბოდიალა მისმა ყოფილმა მეუღლემ, მაგრამ, დრო რომ ზუსტად შეურჩიეს, ნაღდია! ამ ტუტუცმა დედაკაცმა, ყოფილი ქმრის წინააღმდეგ პრაქტიკულად აღიარებითი ჩვენება მისცა, მაგრამ თურმე მთავარი „სიამოვნება“ წინ გვქონდა, „სიმართლის დროში“, როდესაც ტრანსსექსუალი კესოდ გადაკეთებული ბესო წარადგინეს ჩვენს წინაშე, ნანკა კალატოზიშვილის შესაბამისი კომენტარით. თურმე ნუ იტყვით და საზოგადოება ნელ-ნელა ტოლერანტული ხდება ე.წ. სექსუალურ უმცირესობათა მიმართ, რადგანაც ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან! შორენასავით „ინტელექტუალი“ ნანკა საზოგადოებაში, ალბათ, იმ ხალხს გულისხმობს, ვინც პეროვსკაიაზე არსებულ ცისფერთა ბარში დაეთრევა; ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ და კესარიასნაირი რძლები შეუვიდეს სახლებში გიორგი არველაძესა და მის თანამოაზრეებს!



ველარაფერი აჩერებს ყოველივე ქართულის ნგრევის „კაიფში“ მყოფ არველაძეს

დაბოლოს, „რევერსი“, დიტო ცინცაძის ეს ფილმი ვინც ნახა, დამეთანხმება, რომ „იმედის“ შოუების ღირსეული გაგრძელებაა. ფილმი, რომელიც რევერსივით საითაც გინდა, იქით „გადაახვიე“, თუნდაც ბოლოდან უყურე, მაინც ვერაფერს გაიგებ იმის გარდა, რომ ძმაკაცებმა ერთმანეთის ცოლები უნდა იხმარონ, მაგრამ მე სხვა რევერსი უფრო მაღელვებს, ანუ ის, რომ...

## პატარკაციშვილის აღმა ხნულს, არველაძე დაღმა ფარცხავს!

ყველას გვახსოვს, რომ ბადრისდროინდელი „იმედი“ მართლაც იმედი იყო — ქართული ტრადიციების, სულიერების დამცველი. აღარაფერს ვამბობ ამ ტელევიზიის მამხილებელ საინფორმაციო პათოსზე. კვირა არ გავიდოდა, რომ ბადრის გამოზრდილი გიორგი თარგამაძის „დროებაში“ ქართულ კულტურაზე, ცალკეულ ეროვნულ მოღვაწეებზე გადაცემა არ გასულიყო. აღარაფერს ვამბობ სხვადასხვა კუთხეების თუ თბილისური უბნების წარმომადგენელთა სუფრების, კოლორიტული თამადების შესახებ, რისი ხილვაც ქართული სიმღერების თანხლებით, მართლაც, აკადემია იყო ქართული სუფრისა.

ეს მაშინ იყო, როდესაც ბადრი ჯერ კიდევ ბადრი იყო და არა ქვეყნის მოღალატე არკადი, რომელმაც არ იცოდა, რომ გიორგი თარგამაძის სახით გველს ზრდიდა უბეში.

ახლა გიორგი თარგამაძის მაგივრად, რომელსაც რეზო ამაშუკელმა „სიყვარულით“ ჰალსტუხიანი ხვლიკი შეარქვა, კიდევ ერთი გიორგი მოაჯდა „იმედს“, რომელიც დაუნდობლად ანგრევს ბადრი პატარკაციშვილის რუდუნებით ნაშენებს. თუმცა რაღა ანგრევს, რევერსი ისეა ჩართული უკუსვლაზე, რომ ველარაფერი აჩერებს ყოველივე ქართულის ნგრევის „კაიფში“ მყოფ არველაძეს.

ალბათ, ამერიკის ყოფილი ელჩისგან, ჩვენი ამომგდები რიჩარდ მაილსისგან მიღებულ დირექტივებს ასრულებს გიორგი არველაძე, რომლის სახლშიც თავის დროზე ცხოვრობდა „ვარდების რევოლუციის“ სცენარის ერთ-ერთი ავტორი რიჩარდ მაილსი.

ეს არის, ღმერთო, სამართალი? ბადრი, ეს დიდი კაცი პატარკაციშვილი უნდა იყოს და მართლაც პატარა კაცუნები, რომლებიც მატლებივით შესევიან ქართული სულიერების სხეულს: თევზაძეები, რამიშვილები, პაიჭაძეები, არველაძეები და ა.შ. სხვა მრავალნი ქართულ გვარებს უნდა ატარებდნენ?

13 თებერვალს 2 წელი შესრულდა დიდი მამულიშვილის — ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან. „არკადიაში“ გამართულ სუფრაზე, როგორც ამბობენ, მთელი ჩვენი უდღეური ოპოზიცია შეკრებილა, რომლებმაც, არც კი დაფიქსირებულან, ისე უგანეს და „ხელი დაიბანეს“ ბადრიზე, როგორც კი კოდუას ჩაწერილი და ნიკა გვარამიას დამონტაჟებული „მამხილებელი“ მასალა გავიდა ეთერში.

დიახ, ყველა გაემიჯნა მაშინ ბადრის, ნონა გაფრინდაშვილის, გოგა ხაინდრავასა და ლერი ხაბელოვის გარდა. ეს ისე, მცირე ლირიული გადახვევა წერილის ბოლოს, განსჯისთვის!..

**დავით მხეიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კაცი, რომელმაც მსოფლიო იხსნა

**სტანისლავ ევგრაფის ძე პეტროვი... საეჭვოა, დღეს ვინმეს ახსოვდეს ეს სახელი. ეს კაცი ყოფილ სსრკ-სა და ახლა უკვე რუსეთშიც ნაკლებად ცნობილია. არადა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე უნდა ითქვას, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, იმ დღეს მთელი პლანეტის ბედი პეტროვის ხელში იყო!**



1983 წლის 26 სექტემბერს საბჭოთა ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი სტანისლავ პეტროვი საკომანდო პუნქტზე „სერპუხოვ-15“ მორიგეობდა. იმ ღამეს მოწინააღმდეგის ტერიტორიიდან რაკეტების გაშვების ადრეული აღმოჩენის შედარებით ახალმა სისტემამ აშშ-ის მხრიდან რამდენიმე კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის გამოშვება დააფიქსირა. წესდების თანახმად, პეტროვს ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოეხსენებინა ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის, კერძოდ კი, ანდროპოვისთვის. თუმცა პოდპოლკოვნიკმა ჯერ გააანალიზა სიტუაცია, რის შემდეგაც დაასკვნა, რომ რეალური საფრთხე არ არსებობდა, ხოლო სისტემა, ალბათ, მოიშალა. ასეთი გადაწყვეტილება პეტროვმა იმის საფუძველზე მიიღო, რომ არალოგიკური იქნებოდა რამდენიმე რაკეტის გაშვება ერთი წერტილიდან, რადგან ამერიკელებს რომ ბირთვული შეტევის განხორციელება განეზრახათ, იერიში ერთობ მასირებული იქნებოდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს მართლაც სისტემის ბრალი იყო. მან რეაგირება მოახდინა ღრუბლებზე არეკლილ მზის ათინათებზე — ისინი რაკეტების ცეცხლოვან ნაკვალევად მიიღო. მოკლე ხანში სისტემა გამართეს, მთელი ეს ისტორია კი გაასაიდუმლოეს და ის მხოლოდ 1998 წელს გამოაშკარავდა. პოდპოლკოვნიკ პეტროვს რაიმე განსაკუთრებული ჯილდო არ მიუღია. ერთადერთი ჯილდო, რომელიც 2006 წელს გადაეცა ნიუ იორკში, იყო ბროლის ქანდაკება, „ხელი, რომელსაც დედამიწა ეკავა.“

**იმ ავბედით დღეს სტანისლავ პეტროვს რომ აშშ-ის მხრიდან მოსალოდნელი ბირთვული იერიშის შესახებ ანდროპოვისთვის ეცნობებინა, ეს უკანასკნელი 99 %-ის ალბათობით, მასშტაბური საპასუხო შეტევის განხორციელებას ბრძანებდა.** მაშინ ხომ გაგანია ცივი ომი მიმდინარეობდა და ბირთვული ომის დაწყების ალბათობა მართლაც ძალიან დიდი იყო.

ასე იხსნა პეტროვმა პლანეტა განადგურებისაგან, თუმცა წესდება დაარღვია...

**ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში საბჭოთა ჯაშუშების გამოაშკარავებას ეხებოდა, „ბირმინგემული ხუთეულის“ ისტორიაა. საბჭოთა აგენტების ჯგუფებმა ფორინ ოფისში, მინისტრთა კაბინეტის კანცელარიაში, ხაზინაში, ბრიტანული დაზვერვის ხელმძღვანელობასა და დიდი ბრიტანეთის დედოფლის უახლოეს გარემოცვაშიც კი შეაღწია.**

# ხაფანგში

## საბჭოთა აგენტები ბრიტანეთის დაზვერვაში

### „შესანიშნავი“ ხუთეული

#### გერმანული ფარი ბრიტანეთისათვის

1940 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა ბრიტანეთის მთავრობას, ჩერჩილმა მტკიცედ გადაწყვიტა გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყება. პრემიერისა და მისი თანამოაზრეების მთავარი მიზანი ჰიტლერული აგრესიისგან ევროპის ხსნა და ნაციზმის ლიკვიდაცია კი არა, გერმანიის, როგორც ქვეყნის, განადგურება იყო, სახელმწიფოსი, რომელიც ექსპანსიონიზმისა და მილიტარიზმის მუდმივ წყაროსა და დიდი ბრიტანეთისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა...



ბლანტი, მაკლინი, ბეჯესი და ფილბი

ჩერჩილსა და ომის სხვა მოსურნეებს „დაშოშმინების“ მომხრეთა გავლენიანი ჯგუფი ეწინააღმდეგებოდა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ გერმანიასთან ომი მხოლოდ დაასუსტებდა დიდ ბრიტანეთს და საბჭოთა კავშირის წისქვილზე დაასხამდა წყალს. ინგლისის მმართველი წრეების მრავალი წარმომადგენლის აზრით, კომუნიზმი, რომლისთვისაც არ არსებობდა სახელმწიფო საზღვრები, გერმანულ ნაციზმზე გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. მათი შეხედულებით, ევროპაში ბოლშევიკური ურდოების შეჩერებას მხოლოდ ძლიერი გერმანია შეეწინააღმდეგებოდა.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენი და მისი კოლეგა-თანამოაზრენი: ლორდი ჰალიფაქსი, ჰორას უილსონი, სემუელ ჰორი, ჯონ საიმონი და სხვა ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსები და დიპლომატები ჰიტლერის მადის დაკმაყოფილებას მისთვის ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის დათმობით ლამობდნენ, თუმცა პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ, ნათელი შეიქნა, რომ დათმობები ნაცისტების აგრესიას მხოლოდ ააქტიურებდა. 1940 წლის აპრილში გერმანიის ჯარების მიერ დანიისა და ნორვეგიის დაპყრობამ „დაშოშმინების“ პოლიტიკის საბოლოო კრახი დაადასტურა.

იმ დროს, როცა ჰიტლერის „დაშოშმინებისკენ“ მიმართული ჩემბერლენისა და ჰალიფაქსის კურსი დისკრედიტებული აღმოჩნდა, ბრიტანელ კონსერვატორთა სხვა ჯგუფმა წინადადება წამოაყენა, მხარი დაეჭირათ ანტიჰიტლერული ოპოზიციისთვის, გერმანიაში სამხედრო გადატრიალების მიზნით.

#### შეთქმულთა საიდუმლო დიპლომატია

გერმანელი გენერლებისა და არისტოკრატების ხელით ჰიტლერის დამხობის იდეას აქტიურად დაუჭირეს მხარი ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა. 1939 წელს ინგლისელმა მზვერავებმა ნეიტრალურ ქვეყნებში კონტაქტები დაამყარეს გერმანელ ემისრებთან. შვეიცარიაში ინგლისელები საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ „საიდუმლო დიპლომატიის“ დიდოსტატთან, პრინც მაქს ეგონ ფონ ჰოჰენლოესა და როზენბერგის ნდობით აღჭურვილ პირთან — ბარონ დე როპოსთან; შვეციასა და ჰოლანდიაში გერინგის რწმუნებული ბიზნესმენი ბირჰერ დელარუსი მოქმედებდა, ხოლო იტალიაში აბვერის ხელმძღვანელობამ ადვოკატი იოზეფ მიულერ-ოქსენზეპი მიავლინა, რომელსაც კავშირები ჰქონდა ვატიკანთან. ლონდონთან კონტაქტების დამყარებას გერმანული სამ-

# უცნაური სამხედრო ექსპერიმენტები

**ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყოველი ქვეყნის სამხედროებს თავიანთი საიდუმლო ოთახები აქვთ, სადაც ათასგვარ საოცრებას იგონებენ და ხშირად ამაზე მილიარდებსაც ხარჯავენ. გთავაზობთ სამხედრო პროექტების ჰიტ-პარადს, რომლებიც ყოველგვარი სალი წარმოსახვის ფარგლებს სცილდება...**

## №10 – ღამურა-გამანადგურებლები

რაკიღა ღამურებს მოზრდილი ტვირთის ზიდვა და შენობებში შეღწევა შეუძლიათ, სამხედროებმა გადაწყვიტეს, მათგან მფრინავ კამიკაძეთა არმია შეექმნათ და ისინი იაპონიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. ამისათვის სპეციალური ყუთები გამოიყენეს, რომლებიც ბომბდამშენ D-29-ს უნდა ჩამოეყარა, იქიდან კი ნაპალმისმუხტებიანი ღამურები ამოფრინდებოდნენ, გამთენიისას თავს შენობებს შეაფარებდნენ, შემდეგ კი ტაიმერები მათ პატარა ბომბებს გააააქტიურებდნენ.

მაგრამ, როცა რამდენიმე შეიარაღებული ღამურა შემთხვევით სამხედრო-საჰაერო ბაზის ავტოფარეხში შეფრინდა და ყველაფერი ნაცარტუტად აქცია, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, განზრახვაზე ხელი აეღოთ და 2-მლნდოლარიანი პროექტიც შეწყდა. თანაც, მანჰეტენის პროექტის მონაწილე ბიჭები რაღაც ახალ ბომბზე ალაპარაკდნენ, რომელსაც მილიონი კამიკაძის შეცვლა შეეძლო...

## №9 – დიდი PANJANDRUM-ი

მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევა ყოველთვის ძნელია, განსაკუთრებით თუ ის აღჭურვილობისთვის ქვასა და სხვა მყარ მასალას იყენებს, როგორც მესამე რაიხის ბეტონის ღობურის შემთხვევაში მოხდა, რომელიც ევროპის კონტინენტის მთელ დასავლეთ სანაპიროზე გადაჭიმეს. ამიტომაც გამოიგონეს ბრიტანელებმა Panjandrum-ი. მათ ხის ორი ვეებერთელა ბორბალი ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ბარაბნით დააკავშირეს და თითოეულ ბორბალს მიაბეს რაკეტა, რომლებსაც ისინი საათში 60 მილის სიჩქარით უნდა გადაეადგილებინათ.

ცხადია, ცდების დროს ეს რაკეტები ბორბლებს ძვრებოდა, რის შედეგადაც მთელი კონსტრუქცია გეზს ცდებოდა. რაკეტებისა და კიდევ ერთი ბორბლის დამატების შემდეგ კონსტრუქცია კვლავ გამოცადეს; ამჯერად მან პირდაპირ ზღვაში გაადინა ტყაპანი და აფეთქდა. ამგვარად, ეს პროექტიც ჩაიშალა.



პროექტი ORCON

## №8 – პროექტი ORCON-ი

მეორე მსოფლიო ომის დროს მოწინააღმდეგე, სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, გამუდმებით ცდილობდა დაბომბვებისათვის თავის არიდებას. ამიტომ გადაწყდა დამიზნების ისეთი ხერხის გამოყენება, რომელსაც ხელს ვერაფერი შეუშლიდა. ბ. ფ. სკინერმა საამისოდ მტრედების გამოყენების წინადადება წამოაყენა. დაე, მტრედი ბომბში მოთავსდეს, ხოლო მიზანი მის თვალწინ დისპლეიზე გამოისახება. მტრედი კურსის კორექტირებას მოახდენს, რადგან დისპლეის ცენტრში მოთავსებული საკენკის აკენკვას ეცდება. აბა, გაუმკლავდით ასეთ მტრედს, ნაცისტებო!

მიუხედავად იმისა, რომ პროექტზე უამრავი ფული დაიხარჯა, სამხედროებმა მასზე უარი თქვეს, რადგან ეს მაინც ბომბი იყო, რომელიც ფრინველს უნდა ემართა!

## №7 – მზის ქვემეხი

ცოტამ თუ იცის, რომ მტრის კოსმოსიდან განადგურება ფაშისტების სანუკვარი ოცნება იყო. მათი აზრით, კოსმოსური სადგურისა და სიკვდილის სხივის შეერთებით ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომ გერმანელმა ფიზიკოსებმა დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ გაეყვანათ ორბიტაზე გიგანტური სარკე, რომელიც მილიონი ტონა ლითონის ნატრიუმით დამზადდებოდა და ქალაქებს დაფერფლავდა, წყალსატევებიდან წყალს ააორთქლებდა და ადამიანებს ბეკონივით შებრაწავდა.

სარკე მაგნიტისფეხსაცმლიანი (უწონობის დასაძლევად) ფაშისტი კოსმონავტებით დასახლებულ კოსმოსურ სადგურზე უნდა განეთავსებინათ, სადაც ჟანგბადს ბორტზე — გოგრების მოშენებით, ხოლო ელექტრობას მზის ბატარეებზე მომუშავე ორთქლის დინამო-მანქანებით გამოიმუშავებდნენ.

როცა ნათელი შეიქნა, რომ საბჭოთა კავშირი ომს იგებდა, აშშ-მა ყველა გერმანელი მეცნიერი ქვეყნიდან გააძევა და ეს პროექტი, სხვა მრავალი გეგმის მსგავსად, წარსულს ჩაბარდა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჩერჩილისათვის


უინსტონ ჩერჩილი

ხედრო და კონსერვატიული ოპოზიციის ლიდერები: არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ლუდვიგ ბეკი და იმპერიის ყოფილი კომისარი ფასწარმოქმნის პრობლემათა საკითხებში, კარლ ჰერდელერი ლამობდნენ.

1939 წლის ზაფხულში გერმანული აბვერის (სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის) ხელმძღვანელმა, ადმირალმა კანარისმა და არმიის დაზვერვის დასავლეთი მიმართულების მეთაურმა ულრიხ ლისმა ინგლისში თავიანთი სპეციალური წარმომადგენელი გრაფი გერჰარდ ფონ შვერინი მიავლინეს. ლონდონში ფონ შვერინი ბრიტანული საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელ სტიუარტ მენზისს, საზღვაო დაზვერვის უფროს, ადმირალ ჰოფრის, საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ მოადგილე ალექსანდრე კადოგანსა და დაზვერვის სამსახურებისა და ინგლისური დიპლომატიის სხვა გავლენიან წარმომადგენლებს შეხვდა. გერმანელმა ემისარმა ისინი გააფრთხილა, რომ ჰიტლერი პოლონეთზე თავდასხმას აპირებდა და ბრიტანელებს რიგი დემონტრაციული აქციების გატარება სთხოვა, ფიურერს უარი რომ ეთქვა აგრესიულ გეგმებზე.

სწორედ იმ დროს, როცა ფონ შვერინი ლონდონში ინგლისელებს ხვდებოდა, ბერლინში ჰიტლერის წინააღმდეგ მორიგი შეთქმულება მზადდებოდა, რომელშიც მონაწილეობდა პრაქტიკულად მთელი სამხედრო სარდლობა, გენშტაბის ხელმძღვანელის — ფრანც ჰალდერისა და აბვერის მეთაურის ვილჰელმ კანარისის მეთაურობით. შეთქმულები ჰიტლერისა და მისი უახლოესი თანამემწეების „ნეიტრალიზებას,“ სამხედრო-კონსერვატიული ხელისუფლებისთვის ძალუფლების გადაცემასა და ინგლისთან დაზავებას გეგმავდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში შეთქმულებამ მარცხი განიცადა.

## ჩერჩილის მარცხი

ანტიჰიტლერულ ოპოზიციასთან მოლაპარაკება ჩერჩილს ხელს არ აძლევდა. თავდაჯერებულ პრემიერ-მინისტრს ომი სწყუროდა, რადგან ეგონა, რომ გერმანიის განადგურება განამტკიცებდა დიდი ბრიტანეთის, როგორც ზემძლავრი სახელმწიფოს, სტატუსს.

ამავე დროს საფრანგეთის დაცემის გამო ბრიტანეთი მარტო დარჩა ნაცისტური აგრესიის საფრთხის წინაშე — საბჭოთა კავშირი ჰიტლერული გერმანიის მოკავშირე იყო, ხოლო აშშ-მა, რომელიც იაპონიასთან მეტოქეობდა, ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი ევროპულ კონფლიქტში. სავსებით ნათელი იყო, რომ ძლიერი მოკავშირეების გარეშე ინგლისელები ჰიტლერს ვერ გაუმკლავდებოდნენ. ჰოდა, ჩერჩილმაც სრულებით მართებულად გათვალა, რომ ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ყველაზე ერთგული მოკავშირე ბოლშევიკური რუსეთი იქნებოდა. გამჭრიახ პოლიტიკოსს არ სჯეროდა ჰიტლერისა და სტალინის ხანგრძლივი მეგობრობისა და იმ დროს ელოდებოდა, როცა საბჭოთა და ნაცისტური ექსპანსიის შეჯახება ევროპაში ორ აგრესიულ სახელმწიფოს შორის უცილობელ ომს გამოიწვევდა. ამიტომ ბრიტანეთის პრემიერი მოსკოვთან დასაახლოებელ გზებს ეძებდა: დიპლომატიურ რევერანსებს უკეთებდა სტალინს და სამთავრობო ორგანოებიდან იმ კონსერვატიულად განწყობილი მოღვაწეების მოშორებას ცდილობდა, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი ანტისაბჭოთა ანდა „რეაქციული“ შეხედულებებით. ასეთი წმენდის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ინგლისური სპეცსამსახურები გახდა.

ჩერჩილმა დაითხოვა საიმპერიო პოლიციის სადაზვერვო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი ქენეტ დე კურსი (მომავალი ჰერცოგ დე გრანტმესნილ-ლორეინი) ბრიტანეთის ხელმძღვანელობაში „მშვიდობიანი ლობის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. თუმცა ჩერჩილის ყველაზე დიდი შეცდომა მაინც უსაფრთხოების სამსახურის (MI-5) შიდა კონტრდაზვერვის სამსახურის დამაარსებლისა და უფროსის ვერნონ ქელის გათავისუფლება იყო. ქელი ყველაზე კომპეტენტური და გათვითცნობიერებული კონტრმზვერავი გახლდათ, მისი ხელმძღვანელობით უსაფრთხოების სამსახურმა ბრიტანეთში ყველა ანტისახელმწიფოებრივი დაჯგუფება (როგორც პრონაცისტული, ასევე კომუნისტური) მკაცრ კონტროლქვეშ მოაქცია. MI-5 განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში წარმოქმნილ პროსაბჭოურ წრეებს, რომლებიც მალე ინგლისში საბჭოთა შპიონაჟის კერად იქცა.

**ქელის გათავისუფლებით ჩერჩილმა აიძულა კონტრდაზვერვა, ხელი აეღო საბჭოთა შპიონაჟთან ბრძოლაზე და ამით თავად გაუღო კარი ბრიტანეთის ხელმძღვანელობაში კომუნისტთა აგენტებს.**

## დაგებული ხაფანგი

ჩერჩილის ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირი იმათგან, ვინც „წმენდის“ შემდეგ ბრიტანეთის კონტრდაზვერვაში მოვიდა, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატის წევრი და მესამე ბარონ როტშილდი — ლორდ ნათანიელ ვიქტორ როტშილდი იყო. ის ჩერჩილის პოლიტიკური კამპანიების დაფინანსებაში მონაწილეობდა და მეუღლესთან ერთად პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური გუნდის წევრი გახლდათ. 1940 წელს ლორდი როტშილდი სათავეში ჩაუდგა უსაფრთხოების სამსახურის საბოტაჟთან ბრძოლის განყოფილებას. ომის დროს როტშილდს დიდი ბრიტანეთის სამეცნიერო-ტექნიკურ საიდუმლოთა დაცვა ევალებოდა და პლუტონიუმის მიღების მიზნით ჩატარებულ გამოკვლევებშიც მონაწილეობდა.

თუმცა ლორდ როტშილდის ცხოვრების მეორე მხარე უცნობია. ჯერ კიდევ კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლისას 20 წლის როტშილდი კომუნისტური პარტიის წევრი გახდა და იმ პროსაბჭოურ ჯგუფში გაერთიანდა, რომლის წევრებიც იყვნენ ენტონი ბლანტი, კიმ ფილბი და გაი ბერჯესი. 1941 წელს კიმ ფილბის რეკომენდაციით, რომელიც უკვე თანამშრომლობდა საბჭოთა დაზვერვასთან, როტშილდი საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის უცხოეთის განყოფილებამ გადაიბირა.

საბჭოთა რეზიდენტმა ოტომ (უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის დაზვერვის საკადრო თანამშრომელი თეოდორ მალი) აგენტს კომპარტიის დატოვება და საბჭოთა კავშირისადმი თავისი სიმპათიების დამალვა ურჩია. **1937 წელს როტშილდი ინგლისის პერი გახდა და ადგილი დაიკავა ლორდთა პალატაში,** ხოლო ხელისუფლებაში ჩერჩილის მოსვლის შემდეგ სწრაფად ჩაინერგა ბრიტანეთის სპეცსამსახურებში. რაკი კონტრდაზვერვის მაღალჩინოსანი თანამშრომელი და ჩერჩილთან დაახლოებული პირი იყო, ლორდმა როტშილდმა იოლად მოაწყო სამთავრობო ორგანოებსა და დაზვერვაში თავისი კემბრიჯელი მეგობრები — საბჭოთა აგენტები. კიმ ფილბიმ საპასუხისმგებლო პოსტი დაიკავა საგარეო დაზვერვის სამსახურში, ენტონი ბლანტმა — კონტრდაზვერვის სამსახურში, დონალდ მაკლინმა და გაი ბერჯესმა — საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხოლო ჯონ კერნკროსმა ჯერ — პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში, ხოლო ომის შემდეგ დაზვერვასა და ხაზინაში.

**1939-1940 წლებში მოსკოვი მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფლის მთავრობის ყველაზე საიდუმლო დოკუმენტებსა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების მოღვაწეობაზე სრულ ინფორმაციას იღებდა. ჩერჩილისა და მისი მინისტრების ყველა საიდუმლო რამდენიმე დღის შემდეგ სტალინის მაგიდაზე იდებოდა.** მხოლოდ 1951 წელს გავიდა ინგლისის კონტრდაზვერვა დონალდ მაკლინსა და გაი ბერჯერსზე, მაგრამ კიმ ფილბის მიერ გაფრთხილებულმა ჯაშუშებმა საბჭოთა კავშირს შეაფარეს თავი. 1963 წელს კი მათ მაგალითს კიმ ფილბიმაც მიბაძა. 1964 წელს ბლანტი და კერნკროსი გამოააშკარავეს, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ სკანდალის ჩაფარცხვა არჩია.

სამაგიეროდ, ყველაზე მაღალჩინოსანი საბჭოთა აგენტი ლორდ როტშილდი სიკვდილამდე (1990წ.) თვალსაჩინო როლს თამაშობდა დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ის ნავთობკომპანია „შელის“ გამგეობის წევრი და როტშილდების ბანკის დირექტორი გახლდათ და სათავეში ედგა აზარტული თამაშების სახელმწიფო კომისიას. **მხოლოდ ვიქტორ როტშილდის სიკვდილის შემდეგ გამოუტყდა ჰერცოგი დე გრანტმესნილ-ლორეინი ბრიტანულ პრესას, რომ ჩერჩილის ნდობით აღჭურვილი პირი და მაღალჩინოსანი მზვერავი საბჭოთა ჯაშუში იყო...**

## №6 – პროექტი HABBAKUK-ი

უინსტონ ჩერჩილს დიდი გეგმები ჰქონდა — სურდა, ოკეანეში აეგო კუნძული, რომელსაც მოგვიანებით პროექტი Habbakuk-ი ეწოდა. ეს უზარმაზარი ავიამზიდი იყო, რომელიც ყინულისგან უნდა აეგოთ. მისი ჩაძირვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ავიამზიდის სიგრძე 200 ფუტი იქნებოდა. როცა გაირკვა, რომ ყინული სამშენებლო მასალად არ გამოდგებოდა, გადაწყვიტეს პაიკრიტის გამოყენება, რომელიც გაყინული წყლისა და ნახერხისგან შედგებოდა. მასალა იმდენად მკვიდრი გამოდგა, ტყვიებს ისხლეტდა. ავიამზიდის შემცირებული ასლი კანადაში ააგეს. ის 1000 ტონას იწონიდა და სიგრძით 60 ფუტს აღწევდა. სრულმასშტაბიანი ავიამზიდის აგებას 70 მლნ დოლარი, 8000 კაცი და 8 თვე დასჭირდებოდა. თანაც ის საათში მხოლოდ 6 კვანძის სიჩქრით გადაადგილდებოდა, ხოლო დანიშნულების ადგილზე მიღწევისას ყინულის ლოდად გადაიქცეოდა. ამიტომ ამ განზრახვაზეც ხელი აიღეს.

## №5 – „ვარსკვლავური კარიბჭე“

„ვარსკვლავური კარიბჭის“ პროექტის მიზანი შორ მანძილზე ტელეპათიური ხედვის საშუალების განსაზღვრა იყო, რადგან თუ ეს შესაძლებელი გახდებოდა, მაშინ ჯაშუშებს სამუშაო გაუადვილდებოდათ.

ეტყობა, ცივი ომის დროს კომუნისტები ბევრ ფულს ხარჯავდნენ პარანორმალურ გამოკვლევებზე. სანამ ისინი ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებული, ცსს-ც ფხიზლობდა, რადგან არ სურდა, რომ მავანს მათი პრეზიდენტი აზრის სიძლიერით მოეკლა. ამიტომ 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო პროექტი „ვარსკვლავური კარიბჭე,“ რომელშიც საიენტოლოგიის ეკლესიიდან ცნობილი და ნიჭიერი ექსტრასენსების ჯგუფი მონაწილეობდა.

ისინი მაინც მიხვდნენ (ამას 25 წელის დასჭირდა), რომ ტელეპათიური ხედვა შორ მანძილზე პრაქტიკულად განუხორციელებელი პროექტი იყო, რადგან, მართალია, ექსტრასენსებს რაღაცების დანახვა შეეძლოთ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. არადა, „ვარსკვლავურ პროექტი“ 20 მლნ დოლარი დაჯდა.

## №4 – „ცისფერი ბომბი“

ამ ბომბს სახელწოდება უნდა გაემართლებინა — მტრები ჰომოსექსუალურ ვნებებს უნდა შეეპყრო. რაითის ლაბორატორიამ პენტაგონს რამდენიმე არასასიკვდილო იარაღი შესთავაზა, მაგალითად, მოწინააღმდეგის ბანაობა ძლიერ აფროდიზიაკში, რათა მტრის ყველა ჯარისკაცს მხოლოდ სექსზე ეფიქრა. მეცნიერებმა ვერაფრით მიაგნეს საშუალებას, რომელიც მამაკაცთა ნებისმიერ ჯგუფს ჰომოსექსუალებად აქცევდა. ამის მიუხედავად, პენტაგონი 7 წლის განმავლობაში მუშაობდა აღნიშნული იდეის ხორცშესხმაზე, რასაც საფუძვლად, ალბათ, რომელიმე დაუკმაყოფილებელი გენერლის ფანტაზიები ედო...

## №3 — ტკივილის სხივი

ADS, ანუ როგორც მას სხვაგვარადაც უწოდებდნენ „ტკივილის სხივი“ ბრბოს დასაშოშმინებლად შემუშავდა და სახელსაც ამართლებს — ტკივილს იწვევს მანძილზე!

გარკვეულ სიტუაციებში სამხედროებს არ სურთ, რომ მათი ხალხი მეტისმეტად მიუახლოვდეს საფრთხის წყაროს, თუმცა არც მოჯანყე ბრბოს ჩაცხრილვა სურთ სნაიპერების მეშვეობით, რადგან ეს ძალიან არ მოეწონება პრესას. ამიტომ არასასიკვდილო იარაღის გამოგონება, რომელიც ხალხს გარკვეული პირების ნებაზე ათამაშებს, ბოლო ხანებში ერთობ პოპულარულ საქმიანობად იქცა. მოკლედ, ამ შორეული მოქმედების იარაღში მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივება გამოიყენება, რომელიც მიზნისკენ 50 იარდის მანძილზეა მიმართული. მისი მოქმედების შედეგად, ადამიანის კანში წყლის მოლეკულები „აღიგზნება“, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანი ისე იბრაწება, როგორც მიკროტალღოვან ღუმელში, თუმცა ხსენებული იარაღი შეუქცევად დაზიანებებს არ იწვევს.


ტკივილის სხივი

ეს იარაღი მოქმედია და ამერიკელებს ერთი სული აქვთ, როდის გამოიყენებენ მას ერაყში...

## №2 – მყრალი სითხე

არასასიკვდილო იარაღის კიდევ ერთი სახეობა მყრალი სითხეა, რომელიც იმდენად ეფექტურია, რომ ადამიანებს მისგან გული მისდით. თუმცა ამ იარაღს ერთი ნაკლი აქვს, ის ერთნაირად იმოქმედებს მოწინააღმდეგეზეც და მის გამომყენებელზეც. სუნი ხომ არავის ემორჩილება!

## №1 – აკუსტიკური ფისო

60-იან წლებში ცსს-მ კატისგან მოსასმენი ხელსაწყოს შექმნა სცადა. ფისოს მიკროფონიანი ბატარეა ჩაუნერგეს, ანტენა კი კუდში გაუტარეს. მას შემდეგ, რაც ცსს-მ აღნიშნულ გამოგონებაზე რამდენიმე მილიონი დოლარი, ხოლო საკვლევ სამუშაოებზე რამდენიმე წელი დახარჯა, კატას საცდელი გასეირნება მოუწყვეს. საბრალო ცხოველს ტაქსი დაეჯახა და პროექტიც შეჩერდა...

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კვირის კალენდარი

4/17 ოთხშაბათი. ხსენება ღირსისა მამისა ევაგრესი, შიომღვიმელის თანამოღვაწისა (VI); ღირსისა ისიდორე პელუსიელისა (436-440);

6/19 პარასკევი. ღირსისა მამისა არსენ იყალთოელისა (1127); ღირსისა ბარსანუფი დიდისა და იოანე წინასწარმეტყველისა (V); წმ. ფოტისა კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (891);

7/20 დიდმარხვის I შაბათი. დიდმოწამე თეოდორე ტირონისა (306); წმ. მეფისა სოლომონ II სამშობლოსთვის თავდადებულისა (1815);

8/21 დიდმარხვის I კვირა. მართლმადიდებლობის ზეიმი. დიდმოწამე თეოდორე სტრატილატისა (319);

10/23 სამშაბათი. ღირსისა იოანე ჯიმჯიმელისა, ფილოსოფოსისა (XII) მღვდელმოწამე ხარლამპისა და მისთანათა (202).

# ღირსი მამა არსენ იყალთოელი



არსენ იყალთოელი (არსენ ვაჩეს ძე) მოღვაწეობდა XI—XII საუკუნეების მიჯნაზე; იყო ფილოსოფოსი და მთარგმნელი. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით მან განათლება კონსტანტინოპოლის (მანგანის) აკადემიაში მიიღო, შემდეგ შავ მთაზე მოღვაწეობდა და ეფრემ მცირეს ხელმძღვანელობით მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. ეფრემის გარდაცვალების შემდეგ არსენ იყალთოელი მანგანის აკადემიაში დაბრუნდა. 1114 წელს კი დავით აღმაშენებლის მოწვევით ახლადაგებულ გელათის აკადემიაში დამკვიდრდა, შემდეგ კახეთში გადავიდა და იყალთოს აკადემია დააარსა. ის დავით აღმაშენებელთან დაახლოებული პირი იყო და მეფესთან ერთად სომეხთა წინააღმდეგ პაექრობაში მონაწილეობდა. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. სიცოცხლის ბოლო წლები შიო მღვიმის მონასტერში გაატარა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არსენ იყალთოელს ახასიათებს, როგორც „თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათა“. არსენი მიმდევარი იყო იმ მთარგმნელობითი სტილისა, რომელიც ბერძნული ტექსტის ზედმიწევნით სისრულით გადმოცემას მოითხოვდა.

არსენ იყალთოელმა თარგმნა დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული „დოგმატიკონი“. მასში 9 ცნობილი ავტორისა და 11 ანონიმის თხზულებები შედიოდა. მან თარგმნა ფოტო პატრიარქისეული რედაქციის 14-ტიტლოვანი „ნომოკანონი“, რომელსაც არსენის თარგმნით „დიდი სჯულისკანონი“ ეწოდა.

„ღმერთი, მოყვასი და მე — აი, ის ღვთაებრივი სამკუთხედი, რომელიც სიყვარულით უნდა იყოს შეერთებული. თუ ამ სამთაგან ერთი რგოლი დაირღვა, დაირღვევა თვით სიყვარული“.

**უწმინდესი და უნეტარესი ილია II**

„ეცადე, შეიცნო საკუთარი თავი და მაშინ ბევრი გეცოდინება“.

**წმ. ტიხონ ზადონელი**

ირაკლი თოდუა თანაუგრძნობს
ვანო ხვიბლიანს დედის
ელენე თამლიანის
გარდაცვალების გამო.

## მამა თომა:

# ვისაც მეტი მისცა უფალმა, მას მეტი მოეთხოვება

**„მაცხოვრის დედამიწაზე მოსვლის, ჯვარცმისა და აღდგომის შესახებ ძველი აღთქმიდან იყო ცნობილი. თუ არ გწამს, რომ უფალი იესო იშვა ამქვეყნად, ჩვენი ცოდვების გამო ჯვარს ეცვა და აღსდგა, ამის გარეშე ყველაფერი აზრს კარგავს. ქრისტიანობის არსი მაცხოვრის აღდგომაშია და სწორედ ეს არის ჩვენი რწმენის საფუძველი,“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას წმიდა გიორგის ტაძრის მოძღვარმა მამა თომა ყალაბეგაშვილმა, რომელსაც აღდგომის მარხვის დაწყების წინ ტაძარში ვეწვიეთ.**



**— მამა თომა, დიდმარხვის დაწყებასთან დაკავშირებით, იქნებ, განგვიმარტოთ, რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანისთვის მარხვას?**

— ქრისტიანი მაცხოვრის აღდგომას ღირსეულად რომ შეეგებოს, მოსამზადებელი დრო სჭირდება. დიდმარხვა მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ პროდუქტებზე უარის თქმა და დიეტას არ ნიშნავს. მისი არსი გაცილებით ფართოა. დიდმარხვას ერთმანეთისთვის შენდობის მიცემით ვიწყებთ, ერთმანეთის მიმართ ჩადენილი დანაშაულისა თუ წყენის პატიების თხოვნით. ამ მარხვაში ყოველდღიურ ლოცვებთან ერთად დამატებითი ლოცვები იკითხება, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას. საერთოდ, დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით არაცხოველური პროდუქტებით ისეთი საკვები მზადდება, რომელიც მარხვას თითქოს არ შეეფერება. ლამის სამარხვო მწვადებიც კი მოიგონონ. ყოველი ადამიანი ისე მარხულობს, როგორც მის ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სულიერ მდგომარეობას შეეფერება. აქედან გამომდინარე ზოგს გარკვეულ შეღავათებს ვაძლევთ მარხვის შენახვისას, ზოგს პირიქით — ვუმძიმებთ. ღვთის გულისთვის ერთი ლუკმაც რომ დათმო და, მაგალითად, ათიდან ცხრა ლუკმა მიიღო, ამით უკვე მარხულობ, თუმცა, მარხვის ყველაზე რთული ფორმა უმი პროდუქტების მიღებაა, რაც, ძირითადად, მონასტრებისთვის არის დამახასიათებელი. წმიდა მამები გვასწავლიან მარხვასთან დამოკიდებულებას. ეფრემ ასურს ასეთი რამ აქვს ნათქვამი: „როდესაც მარტო ვარ, ერთ ცალ ორცხობილასაც ვერ ვჭამ. თუ ძმათაგანს შევხვდი და ვესაუბრე, ორი ორცხობილა მჭირდება, ერისკაცთან ყოფნის დროს კი სამიც აღარ მყოფნისო. განმარტოებით მყოფ მეუდაბნოეს შეუძლია ერთი მუჭა მუხუდოთი გაიტანოს თავი. ერში მცხოვრები კი მარხვის უფრო იოლ ფორმას უნდა მიმართავდეს. ზოგიერთი თვლის, რომ მარტო პურითა და წყლით ხელეწიფება მარხვის შენახვა. ეს შიმშილობაა და ამას მარხვასთან კავშირი არ აქვს.

**— მარხვაზე მყოფი ადამიანი უნდა მოერიდოს თუ არა წვეულებებზე სიარულს?**

— მაქსიმალურად უნდა ერიდოს წვეულებებზე სიარულს, მაგრამ, თუ სხვა გამოსავალი არ არის, უნდა ეცადოს, გარშემომყოფთა ყურადღება არ მიიქციოს. შეიძლება სხვა მიზეზის დასახელებით აარიდოს თავი არასამარხვო კერძის მიღებას, მაგრამ მარხვის გატეხვა სჯობია, მარხულობით თავის მოწონებას, ამით თითქოს ამბობს: „მე ვმარხულობ, თქვენზე კარგი ვარ და სულიერებაში ჩემგან რა შორს ხართ“.

**— ზოგიერთი ადამიანი, მართალია, მარხვას ინახავს, მაგრამ არ დადის ტაძარში და არ ეზიარება. რამდენად შეიწირავს უფალი მარხვას ზიარების გარეშე?**

— როცა ადამიანი უფლის სახელით რამეს აკეთებს, ეს შემოქმედისთვის გარკვეულწილად უკვე სათნოა, მაგრამ ყოველი საქმის დაწყების წინ საკუთარი შესაძლებლობები უნდა გათვალო და ბოლომდე მიიყვანო. მაგალითად, ძალიან კარგია, როცა გაჭირვებულებისთვის თავშესაფარს აშენებ, მაგრამ, თუ შენობის საძირკველს გათხრი და მშენებლობას მიატოვებ, ამით არამარტო სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდები, არამედ შეიძლება ვინმეს ზიანიც მიაყენო. არ არის გამორიცხული, შენ მიერ გათხრილ ორმოში შემთხვევითი გამვლელი ჩავარდეს და დაზარალდეს. ადამიანი, რომელიც მარხულობს, აუცილებლად უნდა მივიდეს ტაძარში, შეხვდეს მოძღვარს, მისი რჩევითა და კურთხევით იმარხულოს, აღსარება თქვას და ეზიაროს.

**— ხშირად რატომ უჭირთ მოძღვრის არჩევა? არიან ისეთი კატეგორიის ადამიანები, რომლებიც თითქმის ქრისტიანული მოძღვრების შესაბამისად ცხოვრობენ, მაგრამ არ ჰყავთ სულიერი მოძღვარი.**

— ალბათ, მაინც არაქრისტიანული აღზრდის ბრალია. ამასთან, პირველი ნაბიჯის გადადგმა ყოველთვის ძნელია. ჯერ საკუთარ ცხოვრებას უნდა გადახედო კრიტიკული თვალით და მერე მოძღვარს გაუზიარო. ადამიანებს ხშირად შინაგანი ამპარტავნება ამოძრავებთ. ისინი თვლიან, რომ არანაირი ცოდვა არ აქვთ ჩადენილი. თუმცა ზოგიერთი მათგანი მეორე უკიდურესობაში ვარდება და გამოგონილი თავმდაბლობით ამპარტავნობს.

**— წმიდა მამებიც ხომ ყველაზე ცოდვილად მიიჩნევდნენ საკუთარ თავს?**

— პავლე მოციქულმა თქვა: „ქრისტე მაცხოვარი მოვიდა სოფლად, ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ“. ის მოციქული იყო, ჩვენ მას თავს ხომ არ გავუტოლებთ, რა იქნება ეს თუ არა ამპარტავნება?

**— მამა თომა, თუკი გულწრფელად თვლი, რომ ყველაზე ცოდვილი ხარ?**

— თავს ცოდვილად რომ გრძნობ, იმიტომ მიდიხარ ეკლესიაში და აღსარებას აბარებ. პავლე მოციქული ჩვენთან შედარებით ბევრად უფრო ახლოს იყო უფალთან, ამდენად, მისი ცოდვილობის განცდა ჩვენსას ბევრად აღემატება. ასევე, რიგით ერისკაცზე მეტი მოეთხოვება ბერს, სასულიერო პირს. რაც მეტი იცი და რაც უფრო მეტი მოგცა უფალმა, მით მეტი მოგეთხოვება.

**— მარხვაში რამდენად მატულობს სულიერი განსაცდელი?**

— ბოროტს არ სძინავს და ცდილობს, ადამიანი ცოდვაში ჩააგდოს, რისთვისაც ყველანაირ საშუალებას იყენებს — მრისხანებას, ხიბლს, ცრუ სწავლებას. ამიტომ ქრისტიანი მარტო საკუთარ სულზე კი არა, გარშემომყოფებზეც უნდა ზრუნავდეს, ყველას სწორი ქრისტიანული ცხოვრების მაგალითს აძლევდეს. ჭეშმარიტებას ასწავლიდეს და თავისი ქმედებით არ დააბრკოლოს. საქართველოში ასეთი რამ მოხდა ერთ-ერთი ეკლესიის მოძღვართან, სამწუხაროდ, იგი დღეს ცოცხალი აღარ არის, ღმერთმა აცხოვნოს მისი სული, ძველი მეგობარი მეუღლესთან ერთად მივიდა და ეკლესიას საკანონიკური ჯვარცმა შესწირა. ამ ადამიანმა შესაწირი გულწრფელად გაიღო, მას მართლმადიდებლობის შესახებ ზოგადი ცოდნა ჰქონდა, კანონიკაში ვერ ერკვეოდა და უნებლიე შეცდომა მოუვიდა. მოძღვარმა ჯვარცმა გამოართვა, ტაძარში დააბრძანა, მადლობა უთხრა და დალოცა. მეორე დღეს ეკლესიაში მისულ მღვდელს ჯვარცმა აღებული დახვდა. ტაძრის მნათეს, როგორც არაკანონიკური ნივთი, ტაძრიდან გაეტანა. მოძღვარმა მნათეს ჯვარცმა უკან დააბრუნებინა და უთხრა: „ვინც ეს ჯვარცმა მოიტანა, მას უნდა, რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი გახდეს, ყველაფერი არ იცის, გაერკვევა და ამ ჯვარცმას თავისი ხელით აიღებს“. მართლაც ასე მოხდა. რამდენიმე თვეში იმ კაცმა არაკანონიკური ჯვარცმა ტაძრიდან გაიტანა და მის ნაცვლად ბევრად უკეთესი მართლმადიდებლური ჯვარცმა შეწირა.

**— მამა თომა, გთხოვთ, ჩვენი გაზეთი დალოცოთ.**

— ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, სიმართლეს ემსახურეთ!

# ასგზის ნეტარია ის, ვისაც უფალი ღირსს გახდის, ატაროს უხილავი შინაგანი ჯვარი

**წმ. მიტროპოლიტი ინოკენტი:**

როგორც ყველა ადამიანს არ აქვს ერთნაირი სიკეთე და ერთნაირი ცოდვა, ასევე უხილავი ჯვარი ყველასთვის ერთნაირი არ არის. ერთისთვის ის უფრო მძიმეა, მეორესთვის — შედარებით მსუბუქი, ერთისთვის უფრო ხანგრძლივი, მეორესთვის — უფრო ხანმოკლე. ყველას სხვადასხვაგვარად უხდება მისი გადატანა. ეს ყველაფერი დამოკიდებულია თითოეული სულის მდგომარეობაზე, ისევე როგორც ავადმყოფობის მკურნალობის ხანგრძლივობა და საშუალება დამოკიდებულია ავადმყოფის მდგომარეობაზე და არ არის მკურნალი დამნაშავე იმაში, რომ ის ზოგჯერ ვალდებულია გამოიყენოს ძლიერი და ხანგრძლივი საშუალება სახიფათო და გამჯდარი ავადმყოფობის განსაკურნებლად, ავადმყოფობისა, რომელიც შეიძლება თავად ავადმყოფმა გაალიზიანა და გააძლიერა. ვისაც სურს, იყოს ჯანმრთელი, თანახმაა გადაიტანოს ყველაფერი. უხილავი ჯვარი ზოგისთვის ისე მძიმეა, რომ იგი ვერაფერში პოულობს სიმშვიდეს. ნეტარია, ასგზის ნეტარია ის კაცი, რომელსაც უფალი ღირსს გახდის, ატაროს უხილავი, შინაგანი ჯვარი, რადგან იგია ჭეშმარიტი მკურნალი, ნამდვილი და საიმედო საშუალება — გახდე იესო ქრისტეს მსგავსი. შესაბამისად, იგია ძირითადი და აშკარა წყალობა ღვთისა და ხილული ზრუნვა ადამიანის გადასარჩენად. ნეტარია ასეთი ადამიანი იმიტომ, რომ ის ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რასაც უფლის წყალობის გარეშე არა თუ ვერ მიაღწევდა, არც თვლიდა საჭიროდ თავის გადასარჩენად. თუ მცირე და მწირი წარმავალი მიწიერი სიმდიდრისთვის დიდი შრომა და გარჯაა საჭირო, მაშ, როგორ შეიძლება, მიიღო შრომის გარეშე ულევი სიმდიდრე?



გვერდი მოამზადა **ნათია ქადაგიშვილმა**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# მშვიდი ცხოვრების წესი შეიძლება ნაადრევი სიკვდილის მიზეზი გახდეს

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მშვიდი ცხოვრების წესსა და ნაადრევ სიკვდილს შორის არსებობს კავშირი. კვლევები 12 წლის განმავლობაში ტარდებოდა, რითაც დადგინდა, რომ მშვიდად მცხოვრებ ადამიანებს, ასაკის განურჩევლად, ხშირად აწუხებთ გულსისხლძარღვთა დაავადებები, რაც შემდგომში მათ ნაადრევ სიკვდილს იწვევს. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ ასეთ დროს მარტო მყოფი ადამიანები ხშირად მიმართავენ ალკოჰოლსა და სიგარეტს, რაც მათი ნაადრევი სიკვდილის მიზეზი ხდება.



# მუსიკის მოყვარულ მოზარდებს თავის ტკივილი აწუხებთ

გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თავის ტკივილი ხშირად აწუხებთ ისეთ მოზარდებს, რომლებიც ყოველდღიურად ელექტრონულ ტექნიკას მოიხმარენ. მათი აზრით, ყოველდღიურად თავის ტკივილი აწუხებთ, ასევე 13-დან 17 წლამდე იმ მოზარდებს, რომლებიც ხშირად და დიდხანს უსმენენ თანამედროვე მუსიკას.

ამ მიგნების მიუხედავად, მეცნიერთათვის ჯერ უცნობია, თუ რა ახდენს ასეთ ძლიერ გავლენას მათ ფსიქიკასა და ნერვულ სისტემაზე.



# ინსულტის განკურნება ღეროვანი უჯრედით მოხდება

ბრიტანეთის ბიოტექნოლოგიის სამედიცინო კომპანიამ მიიღო უფლება, აწარმოოს პრეპარატი, რომელიც დამზადებული იქნება ემბრიონის ღეროვანი უჯრედისაგან და მას გამოიყენებენ ინსულტის შემდგომ პაციენტების სამკურნალოდ. მეთოდიკა გულისხმობს იმას, რომ ამ ღეროვან უჯრედს, პაციენტს ტვინში გადაუნერგავენ.

კვლევები ამ კუთხით ამჟამად ბრიტანეთში მიმდინარეობს და ის 2010 წლის მეორე კვარტალში დასრულდება და მასში მონაწილეობას მიიღებს 12000 მოხალისე.



# თამბაქოს მწეველის ოთახი საშიშია ჯანმრთელობისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თამბაქოს კვამლი კიბოს იმ შემთხვევაშიც იწვევს, თუ ადამიანი არ ეწევა, მაგრამ მწეველთა ოთახში იმყოფება, მწეველთა იქ არყოფნის დროს. მეცნიერთა აზრით, ოთახის განიავების შემთხვევაშიც კი, ავეჯსა თუ ხალიჩაზე, ისევე როგორც ნივთებზე, რჩება თამბაქოს შეუმჩნეველი ჭვარტლი, რომელიც კანცეროგენული მოქმედებისაა და ძალიან საშიშია ბავშვებისა და იმ ადამიანებისათვის ჯანმრთელობისათვის, რომლებიც შემდგომში ამ ნივთებს ეხებიან. ამ დროს აზოტმჟავა, რომელიც ჰაერშია, რეაქციაში შედის ნიკოტინის შემცველ კანცეროგენთან და ხდება ჰაერის დაბინძურება, რაც შემდგომში ოთახში განთავსებულ ნივთებზე გადადის.



# იმპოტენციის განკურნება ულტრაბგერით მოხდება

ევროგაერთიანების საერთაშორისო საზოგადოების სექსოლოგ-მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ულტრაბგერითი იმპულსური თერაპია საუკეთესო მეთოდია იმპოტენციის სამკურნალოდ.

მათ კვლევები ჩაატარეს 1200 მოხალისეზე და მათგან ყოველი 20 შემთხვევიდან 15 პაციენტს მდგომარეობა საგრძნობლად გაუუმჯობესდა.

მეცნიერთათვის ეს ძალიან საგულისხმო ფაქტია, რადგანაც პაციენტი ამ მეთოდის გამოყენებით პრეპარატს არ ღებულობს და თერაპია უვნებელია მამაკაცის ჯანმრთელობისათვის.



# მოზარდის ტკბილეულობისაკენ მიდრეკილება მის დეპრესიულ ხასიათზე მეტყველებს

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბავშვებში ტკბილეულის მიღების გაზრდილი მოთხოვნილება იმაზე მეტყველებს, რომ მათ გააჩნიათ მომავალში დეპრესიისა და ალკოჰოლიზმისაკენ გენეტიკური განწყობა.

ამიტომ აუცილებელია ადრეულ ასაკშივე მოზარდთათვის ამ განწყობის შეჩერება, რათა ისინი შემდგომში არ დაავადდნენ.

მეცნიერები იმასაც მიუთითებენ, რომ ადრეულ ასაკში ამისგან თავის დაღწევა სრულიად შესაძლებელია, აუცილებელია ტკბილეულის სხვა პროდუქტით ჩანაცვლება.



# შეიქმნა ახალი პრეპარატი, რომელიც მალარიას განკურნავს

ფარმაკოლოგიურ კომპანია „გლაზგოსმითკინემ“ კვლევების შემდეგ შექმნა ახალი პრეპარატი, რომელიც საუკეთესო საშუალება იქნება მალარიის საწინააღმდეგოდ. ამ ინფექციის დასამარცხებლად მათ 2 მილიონი ნივთიერება და 13 ათას 500 შემადგენლობა შეისწავლეს, ვიდრე ამ უკანასკნელ დასკვნამდე მივიდოდნენ. მეცნიერთა აზრით, ეს ბოლო თაობის პრეპარატი საუკეთესო არის ადრე შექმნილ პრეპარატებთან შედარებით იმიტომაც, რომ ის სრულიად ამარცხებს მალარიას, ისე, რომ ავადმყოფობის კვალი არ რჩება და არანაირ გართულებას არ იწვევს.



# მცენარეული პრეპარატები სიფრთხილით უნდა მიიღოთ

ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი მცენარეული პრეპარატის თავისუფლად გაყიდვა, რადგანაც ზოგიერთი მათგანი, რომელიც ცნობილია როგორც საუკეთესო მცენარეული პრეპარატი, შეიცავს გარკვეული დოზით დარიშხანს, ტყვიასა და ვერცხლისწყალს. ძირითადად, ასეთ მცენარეულ პრეპარატებს უნიშნავენ გულსისხლძარღვთა, თირკმლისა და ღვიძლის დაავადებების სამკურნალოდ. სამწუხაროდ, მათი დაუფიქრებელი მიღებით შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას უფრო დიდი ზიანი მიადგეს.

# ლიმონათი კიბოს იწვევს?!

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში 2 ჭიქა ან მეტი გაზიანი ტკბილი სასმელი მომნელებელი სისტემის კიბოს გაჩენის რისკს ზრდის. ამ დასკვნამდე მეცნიერები 14-წლიანი კვლევების შემდეგ მივიდნენ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60000-მა კაცმა. მათი აზრით, განსაკუთრებით საშიშია შაქრის შემცვლელზე (ასპარტამზე) დამზადებული გაზიანი უალკოჰოლო სასმელები, რადგანაც მომნელებელ სისტემაში მათი გადასვლისა და შემდგომში სხეულის ტემპერატურაზე გათბობის შემდეგ, ასპარტამი კანცეროგენად გარდაიქმნება და შემდგომში იწვევს ონკოლოგიურ დაავადებას.



# ბიოლოგიური დედები მალე ასაკოვანი ქალბატონებიც გახდებიან

იაპონელმა მეცნიერებმა შეძლეს ასაკოვანი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ქალბატონების კვერცხუჯრედი ხელოვნური განაყოფიერებისათვის გამოეყენებინათ და ემბრიონი შეექმნათ. ამისთვის მათ გამოიყენეს ასაკს გადაცილებული ქალის კვერცხუჯრედი, რომელიც ახალგაზრდა ქალის საშვილოსნოში გადაიტანეს მისი განვითარებისათვის, შემდეგ კი ემბრიონი სუროგატი დედის ორგანიზმში გადაიტანეს. ასე ემბრიონმა სამი ქალის სხეული მოიარა, ვიდრე დაიბადებოდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ასეთი გზით ასაკოვანმა ქალბატონებმაც შეიძლება გააჩინონ ბიოლოგიური შვილი.

გვერდი მოამზადა ეთერ კასრელიშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პირღებული

## ქციის ხრამში



პირღებულის ზედა ეკლესია

**სამშვილდეს ბიბლიურ ხანაში „ციხე ორბისა“ რქმევია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ქალაქის დროებით დაკარგვის გამო მისმა მფლობელებმა ეს ტოპონიმი „ორბეთი“ ქციის ხრამიდან ალგეთის ხეობის შუა წელზე, ზირბითის ხევში გადაიტანეს, სადაც ბირთვისის გვერდით ორბეთის ციხეც ააშენეს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ 1110 წელს „მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა დისწული მისი თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმარჯვითა მოიპარეს სამშვილდე თურქთაგან... მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოთასა“. ამ დიდ საქმეში ორბელის გვარის კაცი შემთხვევით როდი გამოდის ისტორიის ავანსცენაზე — ივანე ორბელი მამა-პაპათა ოდინდელი ბუდის დასაბრუნებლად იღვწის.**



სამშვილდე. „წმიდა თევდორე“

სწორედ სამშვილდის დაბრუნებიდან ახლო პერიოდში არის აგებული ქალაქში ორი ეკლესია. ერთი მათგანი, რომელიც ჩრდილოეთ საზღვრებშია, ძალიან დანგრეულია, მეორე კი ჩვენს წინა წერილში აღწერილი მთავარი ტაძრიდან აღმოსავლეთით, 100 მეტრშია და, ასე თუ ისე, ფეხზე დგას. ეს არის წმიდა თევდორეს სახელობის შვერილაფსიდიანი დარბაზული საყდარი, რომელიც უხეშად დამუშავებული კლდის ქვითაა ნაგები. ფართო, მხარგაშლილი ტაძარი შიგნიდან მოხატულიც ყოფილა.

ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. კარის თავზე ჩადგმული ოქროსფერი ქვიშაქვის ლოდზე შემორჩენილი ასომთავრული წარწერიდან მხოლოდ ეს იკითხება გაჭირვებით: **„სახელითა ღვთისაითა, ბრძანებითა დავით მეფისა...“** ამის ქვევით თავად კარის თაღში არსებული ფრესკული წარწერები დამატებით ინფორმაციას გვაძლევს: წმიდა თევდორეს ეს საყდარი აუგიათ ერისთავთ-ერისთავ ვაჩეს და მის მეუღლე დარეჯანს. ეს მარცხენა წარწერაა, მარჯვენა წარწერა კი გვეუბნება, რომ ერისთავთ-ერისთავს, იპერტიმოსს, აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფის დავითის და მისი შვილის მეფობის ჟამს „თვისითა ფასითა“ სამშვილდისათვის შეუწირავს რაღაც მამული. „ვინაც დაარღვიოს ესე, წყეულიმც იყოს და ცოდვილიო“, — დასძენს იპერტიმოსი.

სამშვილდის ნაქალაქარის შესასვლელიდან ხელმარჯვნივ ერთი გზა დასავლეთით მიემართება და ჩვენც მას ვადგებით. დაახლოებით ერთ კილომეტრში ნასოფლარ კრწანისში შევდივართ...

ნასოფლარის თავზე ნატაძრალია.

რომელი წმინდანის სახელზეა იგი აშენებული, არავინ იცის, ხუროთმოძღვრული ნიშნებით კი განვითარებული შუასაუკუნეებისაა.

უკამაროდ დარჩენილი ტაძრისათვის ჯაგნარს გადაუვლია. საკურთხევლის ისეთი ღრმა და მაღალი თაღოვანი ნიშნები, როგორებიც აქ გვხვდება, გამორჩეულ ცალნავიან საყდრებს აქვთ ხოლმე. ჩანს, რომ სამშვილდის მეზობლად გაშენებული კრწანისი დიდი და ღონიერი სოფელი ყოფილა. ამაზე, საფლავის ის ქვაც ლაპარაკობს, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების დიდგვაროვან ქალბატონს ეკუთვნის. იგი **ხოსროხანიშვილების, სულეიმანიშვილების** ან **ბურდიაშვილების** ოჯახის წარმომადგენელი უნდა იყოს, რადგან 1721 წლის აღწერით, როცა „სამშვილდის კრწანისში“ 23 ყმა ცხოვრობდა, მემამულეებად სწორედ ამ გვარების ოჯახები სახელდებიან.

კრწანისიდან გზა სამხრეთისაკენ, ქციის ხრამის თავზე მიემართება და გზაც პირობითად ეთქმის.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს, რომ თეთრიწყაროს მიდამოებში მოგზაურობისას რუსეთის აკადემიის წარმოგზავნილი ნუმიზმატი ივანე ალექსანდრეს ძე ბარტოლომეი ამაოდ დაეძებდა პირღებულის მონასტერს. და მართლაც, რას წარმოიდგენს ადამიანი, რომ აქ, ამ მიუვალ ადგილებში, დიდი სამონასტრო კომპლექსი შეიძლება იყოს, ხოლო ქვევით, ჭალაში — მშვენიერი საბაღე და სავენახე მიწები. არადა, აქეთ მომავლებს ვახუშტის სიტყვები კარგად გვახსოვდა: **„...ერთვის ქციას ხევი ტორნე — ირაგის ხეობის მდინარე... არამედ ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირ-ფრინველიანი, მოსავლიანი. ამ ხევზედ სამღერეთს ზეით, გვიანას, არს მონასტერი მცირე... მის ქვემორ ხრამსა შინა პირღებულს, კლდე გამოკვეთილი, დიდითა შენობითა და ყოვლით შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა“...**

სანამ მონასტრის პირველ, მორღვეულ ზღუდეს გადავლახავთ გზიდან ხელმარცხნივ, მცირე ხევს უნდა ავუყვეთ. აქ, ასიოდ მეტრში, ძველ ნავენახარ, ამჟამად კი ტყით გადავლილ ადგილზე, მონასტრის პირველ ეკლესიას ვნახავთ.

საერთო ნიშნებით ეს საშუალო ზომის დარბაზული საყდარი XI-XII საუკუნეებისა უნდა იყოს. ყურადღებას იქცევს მისი ნატიფი ლავგარდანი, რომელსაც ნაპირებში წვრილი, გრეხილი თასმა დაუყვება.

ქვევით ვბრუნდებით და მონასტრის სავარაუდო კარიბჭესთან ვჩერდებით. იქვეა წყაროც...

ტაძარი აგებულია სუბსტრუქციით შექმნილ დიდ ბაქანზე. მთავარ ტაძართან მისვლა, რომელიც ღვთისმშობლის სახელზეა აგებული, სამრეკლოს კოშკში გაჭრილი კარიბჭის გავლით შეიძლება. მთ. ეკლესია XII-XIII საუკუნეებისაა და ახლახან აღუდგენიათ. ძველი ლორფინის ნაშთებს ვერ მივაკვლიეთ. შესაძლოა, რომ ლორფინის ის ქვა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რესტავრატორებსაც აღარ დახვდათ, რადგან მას 1970 წლის ექსპედიციის წევრებიც არ ასახელებენ (იხ. „ძეგლის მეგობარი“ 1970 წ. №20 მურმან გრიგოლია, ჯამლეთ ჯღამაია) მისი წარწერების შინაარსი ცნობილია. პირველი წინადადება ასეთი ყოფილა: **„წმიდაო ღმრთისმშობელო შეიწყალე დემეტრე“.** მეორე წინადადება გვეუბნებოდა: **„წმიდაი დედოფალთ-დედოფალი რუსუდანი ასუფევე და შეუნდვენ ღმერთმან“.**



პირღებულის სამრეკლო-კარიბჭე

წარწერები ყოფილა სამხრეთის გვიანდელ მინაშენზეც. ამათგან ერთ-ერთი ნაკლული წარწერა მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილს აქვს ნანახი. იგი, ასომთავრული ყოფილა და ასე იკითხებოდა: **„ესე კარი მე იოვანე არდველმა შევაბი... მიწა და მლოცველი“...**

მინაშენის კედლებზე არსებული სხვა წარწერა XVII საუკუნის ხანისა ყოფილა და ასე იკითხებოდა: **„ნებითა და შეწევნითა ღმრთისა, მე თბილელი საგინაშვილი ელისე ღირს ვიქმენ მეორედ აღშენებად გაოხრებულისა ამის მონასტრისა და განვაახლე შიგნით ხატებით და საკურთხევლითა და შემოვწირე სამი კვამლი კაცი ჩემი ნაყიდი თოფრაყალას და აგიბრუნე წისქვილი. აწ ვინცა იკითხავდეს, შენდობით მომიხსენიებდეს“.** ვახუშტის გადმოცემითაც აქ XVIII საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ მჯდარა არქიმანდრიტი.

მთავარი ტაძარი გარედან არ ჩანს იმხელა, რამხელაც შიგნითაა, რადგან გარედან მხოლოდ მის მთავარ, დიდ დარბაზს ვხედავთ. შიგნიდან ეს დარბაზი თვალშისაცემად მაღალი, გრძელი და განიერია. მის აფსიდში, აქეთ-იქით, ორი მაღალი თაღოვანი ნიშია, ხოლო აფსიდის მზიდ სამხრეთ კონსტრუქციაში ეკლესიის ქვეშ არსებულ სათავსში ჩასასვლელი შენიღბული ხვრელია. ეს რაც შეეხება მთავარ დარბაზს, მაგრამ მის სამხრეთ კედელში გაჭრილ ორ კარს კიდევ ორ სამლოცველოში შევყავართ, რომელიც გარედან არც კი ჩანს, რადგან კლდეშია გამოკვეთილი. ამ ორი სამლოცველოს იატაკი 4-5 საფეხურით მაღლაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ სამლოცველო, რომლის მარჯვენა ნიშიდან ტაძრის კონქში მოთავსებულ ე.წ. სამალავებში ადის ხვრელი. მონასტრის ზედა ტერასაზე კიდევ ერთი, თუმცა გაცილებით მცირე ეკლესია და კლდის რამდენიმე სენაკია. სავენახე და საბაღე მიწების ჩათვლით მონასტერს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია.

ვის კუთვნილებაში უნდა ყოფილიყო პირღებულის მიწები? ქრისტიანობამდელ ეპოქაში, ბუნებრივია ალბათ, რომელიმე ხევისთავს განეკუთვნებოდა — IV-V საუკუნეებში და მას შემდგომაც აქ პიტიახშის პირდაპირი ვასალი იქნებოდა დამკვიდრებული, VIII საუკუნის მიწურულიდან კი ბარათაშვილების შორეული წინაპრის ბირიან აბაშის მმართველობა და უფლება დასტურდება. ბარათაშვილთა საგვარეულო გადმოცემის თანახმად (თუმცა კი ამ გადმოცემის წერილობითი ვერსია გვიან არის შექმნილი), ბირიან აბაში ქვემო ქართლის მმართველად და ერთ-ერთ პატრონად 768 წელს დადგენილა;

გვარის განყოფის შემდეგაც, მისი უფროსი ძე პირღებულში დარჩენილა სამშვილდის პარალელურად. კიდევ უფრო მოგვიანებით, გვარის შემდგომი განტოტვის დროს — აბაშიშვილებს სასახლე მახლობლად მდებარე სამღერეთში ჰქონიათ, ხოლო საძვალე ეკლესია — სწორედ პირღებულში.

პირღებულის მონასტერში XVIII საუკუნეში დაკრძალული პიროვნებებიც უმეტესად აბაშიშვილები არიან: დავით აბაშიშვილის თანამედროვე თინათინი, აბაშიშვილის შვილიშვილები — სარო და თინათინი, მეფის სუფრაჯ აბაშიშვილის თანამეცხედრე მარიამი, თავად სუფრაჯი აბაში და სხვანი.

აი, ასეთია პირღებულის ისტორია, რომლის მონასტერს, თუ უფალმა ინება, მალე ბერმონაზვნებმა უნდა შთაბერონ ახალი სიცოცხლე.

ან კი შეიძლება, რომ აქ ქართულმა აზრმა მხოლოდ ქვათა ენით ილაღადოს?..

**ბელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები



პირღებულის მთავარი ტაძარი და სამრეკლო-კარიბჭე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო

**1769 წლის 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე ტოტლებენს შეხვდა. მოლაპარაკების დროს ერეკლემ თურქეთთან ომში მონაწილეობასა და სოლომონ პირველისათვის დახმარებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსეთის მთავრობა ხუთიათასიან დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. უკიდურეს შემთხვევაში, თუ დაზამთრებამდე გაჭირდებოდა ამ ჯარის მთლიანად გამოგზავნა, 1500 ჯარისკაცი მაინც უნდა ჩამოსულიყო. ამასთან ერთად, ქართლ-კახეთის მეფე საარტილერიო საქმისა და სასარგებლო წიაღისეულის ამოღების ორგანიზაციისათვის სათანადო სპეციალისტებს მოითხოვდა. ტოტლებენმა ერეკლე დააიმედა, რომ დაზამთრებამდე 1500 ჯარისკაცს მიიღებდა, დანარჩენ საკითხებზე კი რუსეთის მთავრობასთან შუამდგომლობას შეჰპირდა.**



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5

ეკატერინე მეორე თურქეთის წინააღმდეგ ომში ერეკლეს მონაწილეობით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, რადგანაც კავკასიის ფრონტზე სოლომონ პირველის ძალები საკმაო არ იქნებოდა. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინემ განკარგულება გასცა, რომ საქართველოში რუსეთის 3700 მეომარი გაეგზავნათ.

26 სექტემბერს ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთის საზღვრებს მიადგა, სადაც მას სოლომონი შეხვდა. 3 ოქტომბერს იმერეთისა და რუსეთის ჯარებმა შორაპნის ციხეს ალყა შემოარტყეს. ამ დროს სოლომონ პირველმა იმერეთში თურქების შემოჭრის ცნობა მიიღო. მეფე იძულებული გახდა, მათ განსადევნად წასულიყო, შორაპანთან ტოტლებენი დარჩა.

ოქტომბრის ბოლოს ტოტლებენის რაზმი ცხინვალში გაჩერდა: მან აუცილებლად ჩათვალა დამხმარე ჯარის მოყვანის თაობაზე თავისი დანაპირების შესრულება და მოზდოკს გაემგზავრა. მალე იქიდან საქართველოში დაბრუნება ჯარის დამატებითი ნაწილით.

1770 წლის თებერვალში საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარი უკვე 1228 კაცს ითვლიდა. 30 აპრილს მოზდოკიდან საქართველოსაკენ დაიძრა სპეციალურად გამოყოფილი ტომსკის პოლკი, რომელშიც 2093 კაცი ირიცხებოდა.

ერეკლე მეორე დარწმუნდა, რომ ეკატერინე მართლაც გზავნიდა საქართველოში ჯარს და თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. მისი გეგმით, გაერთიანებულ ძალებს უნდა დაერტყათ თურქთა ძირითადი დასაყრდენისათვის — ახალციხისათვის, შემდეგ მოესპოთ თურქთა მცირე გარნიზონები იმერეთში.

ტოტლებენმა, როგორც ჩანს, ეს გეგმა მიიღო.

14 აპრილს ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი სადგერში იდგა. ტოტლებენმა ერეკლეს შესთავაზა სადგერის ციხეში ჯარის ერთი ნაწილის დატოვება, ხოლო დანარჩენით ლაშქრობის გაგრძელება. ბუნებრივია, ერეკლე ამაზე არ დათანხმდა და მთელი თავისი ლაშქრით აწყურისაკენ დაიძრა.

ტოტლებენმა კი სადგერში თავისი ჯარის ნახევარი დატოვა და მეორე დღეს ერეკლეს გზას გაჰყვა.

17 აპრილს ქართველებისა და რუსების ლაშქარი აწყურს მიადგა. ერეკლე მეორეს გეგმით, ლაშქარი ახალციხის მიმართულებით უნდა წასულიყო და მესხეთის განთავისუფლება დაეწყო. ერეკლეს უნდა დაესწრო ახალციხის ფაშასთვის, ვიდრე ის დამხმარე ლაშქარს მიიღებდა. ამავე დროს, საქართველოში უნდა ჩამოსულიყო რუსთა დამხმარე ჯარის დანარჩენი ნაწილებიც.

1770 წლის 20 აპრილს მოხდა ასპინძის ცნობილი ბრძოლა.

ერეკლე მეორის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა ქართველებს გამარჯვება მოუტანა. ერეკლეს ლაშქარმა ძალზე მცირე ზარალი განიცადა. მტრის მოლაშქრეთა დიდი ნაწილი კი ბრძოლის ველზე დაიღუპა. ვინც ქართველთა მახვილს გადაურჩა, გაიქცა, მაგრამ ქართველებს წინა ღამით მტკვარზე გადასასვლელი ხიდი მოეშალათ და ხსნის მაძიებელი ოსმალები ადიდებულმა მდინარემ შთანთქა. ასპინძასთან მოპოვებული წარმატება ერეკლემ ვერ გამოიყენა. ტოტლებენის ქართლში წასვლა საფრთხის მომასწავებელი იყო და მეფე ჯავახეთის გზით თბილისისაკენ წავიდა.

ტოტლებენის ბნელი პიროვნება ჯერ კიდევ „შვიდწლიანი ომის“ (1756-1763) დროს გამომჟღავნდა, როცა ის რუსეთის კორპუსს სარდლობდა. მაშინ ტოტლებენმა ფარული მიწერ-მოწერა გააჩაღა პრუსიის მეფე ფრიდრიჰ მეორესთან და მას სამხედრო საიდუმლოებებს აცნობებდა. ღალატში მხილებულს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგში ეკატერინემ იგი შეიწყალა. ასეთი ბოროტმოქმედი სარდლობდა მეფის რუსეთის საექსპედიციო კორპუსს საქართველოში.

საქართველოში ტომსკის პოლკის ჩამოსვლის შემდეგ ტოტლებენი რუსთა ჯარით, რომლის შემადგენლობაშიც 4000 კაცი იყო, 1770 წლის ივნისში იმერეთში გადავიდა.

სოლომონ პირველმა ისარგებლა ასპინძასთან ახალციხის ფაშას დამარცხებით და თურქებისაგან ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა. იმერეთის მეფემ ქალაქი ქუთაისიც დაიკავა და მის ციხეს ალყა შემოარტყა. 2 ივლისს სოლომონი და ტოტლებენი ბაღდადის ციხეს შემოადგნენ.

თურქეთის გარნიზონი, რომელსაც ახალციხის ფაშას დახმარების იმედი არ ჰქონდა, მეფეს დანებდა. ამის შემდეგ სოლომონ-ტოტლებენის გაერთიანებულმა ძალებმა ქუთაისის ციხეს შეუტიეს. 6 აგვისტოს ღამით თურქებმა დატოვეს ციხე და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიარეს რუსთა საყარაულოებს შორის. ამ სადარაჯო პუნქტებში ტოტლებენმა სპეციალურად შეარჩია გერმანელი ოფიცრები, რათა მათ ხელი არ შეეშალათ თურქი მეციხოვნეების გაპარვისათვის.

მალე ტოტლებენსა და სოლომონს შორისაც გამწვავდა ურთიერთობა. ჯიუტი გენერალი მეფის გონივრულ წინადადებებს არ იღებდა.

ტოტლებენმა თავისი ნებასურვილით 1770 წლის 3 ოქტომბერს ფოთის ციხის ალყა დაიწყო. გენერალი სოლომონ პირველის წარმატებებს ციხესიმაგრეების განთავისუფლებაში საკუთარ თავს მიაწერდა და მლიქვნელურად აცნობებდა რუსთ ხელმწიფეს, რომ ფოთს მან ეკატერინეს სახელი უწოდა, ანაკლიას — ალექსეევკა, ხოლო რუხს — წმინდა პავლეს სახელი მისცა. მაგრამ ფოთი კარგად იყო გამაგრებული და ტოტლებენმა ის ვერ აიღო.

დეკემბრის ბოლოს თურქებმა გადაწყვიტეს, ბათუმში ძალებისათვის მოეყარათ თავი და ფოთის გარნიზონს დახმარებოდნენ. სოლომონმა დროულად შეიტყო ეს ამბავი და ტოტლებენს აცნობა. მაგრამ ამ დროს მას უკვე მოესწრო იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე მთავრებთან კონტაქტის დამყარება. გასაგებია, რომ ავანტიურისტმა საერთო ენა გამოძებნა დადიან-გურიელთან და სოლომონს არ დაუჯერა. ახლა კი, როცა სოლომონის ცნობა გამართლდა და თურქთა ავანგარდიც გამოჩნდა, რუსთა კორპუსის ოფიცრებმა: ნ. იაზიკოვმა და ი. ლვოვმა სთხოვეს სოლომონს, რათა თურქებისათვის გზა მოეჭრა გურიაში. სოლომონმა გურიაში ილაშქრა, ოსმალებს გზა ჩაუკეტა, გადააყენა გიორგი გურიელი და მის მაგიერ უფრო სანდო მამია დასვა.

ამ დროს პეტერბურგში განიხილეს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. ამ განხილვას საფუძვლად ედო ნ. იაზიკოვის მოხსენებები. ნ. იაზიკოვი სპეციალურად იყო გამოგზავნილი საქართველოში იმ გაუგებრობათა გამოსარკვევად, რასაც ადგილი ჰქონდა ტოტლებენსა და ქართველ მეფეთა შორის. ეკატერინე მეორეს კარზე დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ტოტლებენი „რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს“, ამიტომაც გადაწყვიტეს საქართველოდან მისი გაწვევა და მის ნაცვლად გენერალი ა. სუხოტინი დანიშნეს.

ქართველი მეფეების დასაიმედებლად სუხოტინს დაავალეს, შეჰპირებოდა მათ, რომ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადებისას საქართველოს საკითხიც აუცილებლად პოვებდა ასახვას. სუხოტინისადმი დარიგებაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ რუსეთის მთავრობა ფოთის ხელში ჩაგდებით დაინტერესებული იყო.

1771 წლის მაისში სუხოტინი საქართველოში ჩამოვიდა. ერეკლემ მას დუშეთსა და თბილისში საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ამის შემდეგ გენერალი გაემგზავრა ქუთაისში, სადაც რუსთა კორპუსი იდგა. ივნისში, ხელთუბანში, ერეკლე მეორეს, სოლომონ პირველსა და რუსეთის კორპუსის ახალ სარდალს თათბირი ჰქონდათ. სუხოტინმა მოითხოვა ფოთზე გალაშქრება ზაფხულში. ამ დროს ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს უნდა უზრუნველეყოთ რუსეთის ჯარის დაცვა ზურგიდან — ახალციხის მხრიდან თურქთა შესაძლო თავდასხმებისაგან. ერეკლემ განაცხადა, რომ ზაფხულში კლიმატური პირობების გამო კოლხეთის ჭაობებში ჯარის მოქმედება შეუძლებელია.

სამაგიეროდ, მან შესთავაზა ახალციხის აღება. სოლომონ პირველმა კი მხარი დაუჭირა სუხოტინის გეგმას. ის ფიქრობდა ამით რუსთა ჯარის იმერეთში გადაყვანას და მის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის. შემდგომ კი, როცა მეფენი ხელთუბნიდან გაემგზავრნენ, მან სუხოტინს ზაფხულში ფოთის ალყის შეუძლებლობაზე დაუწყო ლაპარაკი.

რუსთა ჯარი, რომელმაც ზაფხულის ყველაზე ცხელ დღეებში დაიწყო ფოთის ალყა, მართლაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ციებცხელებითა და სხვა სენით დაავადდა ორი ათას კაცამდე, მათ შორის, თვით სარდალიც.

სუხოტინი არ იცნობდა ქართულ სინამდვილეს, ადგილობრივ პირობებს, მკაცრად იცავდა მხოლოდ მთავრობის ინსტრუქციას, რომელიც ტოტლებენის უხეირო მოხსენებათა საფუძველზე იყო შედგენილი.

**დასასრული შემდეგ ნომერში**




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის**

**«ისტორიული მემკვიდრეობა»**

**მესამე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვინ დასვა კიბოს დიაგნოზი?

**ოთხი წლის ბრიტანელ ბელა ფლინტს თავისი ასაკისათვის უცნაური ხასიათი ჩამოუყალიბდა.**

გოგონა სულ მოწყენილი იყო, თავის ტკივილს უჩიოდა და დილაობით გული ერეოდა. დედამ ბავშვი ექიმთან წაიყვანა, მაგრამ უთხრეს, ამით გოგონა იმ ყურადღების დაბრუნებას ცდილობს, რომელიც ახლადდაბადებული დის გამო მშობლებისგან მოაკლდაო. 25 წლის კარლი ჰორნბაკლი პასუხმა ვერ დააკმაყოფილა და სიმპტომების ძიება google-ს მეშვეობით სცადა. მიაგნო კიდეც. დიაგნოზი თავის ტვინის სიმსივნე იყო. ქალმა ძლივს დაიყოლია ექიმები, ბავშვისთვის სათანადო გამოკვლევები ჩაეტარებინათ და, როგორც საბოლოოდ გაირკვა, ბელას ნამდვილად ჰქონდა ახლადგაჩენილი იშვიათი ტიპის ავთვისებიანი სიმსივნე თავის ტვინში. გოგონას რვასაათიანი ოპერაციის შედეგად თავიდან სიმსივნე ამოჰკვეთეს, შემდეგ კი ექვსთვიანი სხივური თერაპია დაუნიშნეს. ამ თერაპიის შედეგად ბავშვის ხერხემალი სრულფასოვან განვითარებას ვეღარ შეძლებს და, სავარაუდოდ, ის 120 სანტიმეტრზე მეტს სიმაღლეში ვერ მიაღწევს. ქვეყანაში პედიატრიული ონკოლოგიის ერთადერთი პროფესორი რიჩარდ გრანდი ამბობს, რომ ბელას სიცოცხლე მხოლოდ დედამისის წყალობით შეუნარჩუნდა, დიაგნოზის დაგვიანების შემთხვევაში, მას ექიმები ვეღარ უშველიდნენ.

# ვინ სცილდება წვერულვაშიან ცოლს?

**არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში დიპლომატმა, რომლის სახელიც არ ხმაურდება, დაქორწინებისთანავე განქორწინება მოითხოვა. საბრალო ქმარს პირველი კოცნისას ხელში ელამი და წვერულვაშიანი მეუღლე შერჩა.**



ქორწინების თაობაზე გადაწყვეტილება დიპლომატის დედამ მიიღო, მაგრამ ფოტოზე, რომელიც საპატარძლოს ოჯახმა სადედამთილოს აჩვენა, რეალური სარძლოს ნაცვლად მისი და იყო აღბეჭდილი.

საქმროსთან შეხვედრებისას ქალს სახე ტრადიციული თავსაბურავით ჰქონდა დაფარული. გასაგებია, რომ ამ მეთოდით ქალმა წვერის დაფარვა შეძლო, მაგრამ როგორ მოახერხა საქმროსთვის თავისი სიელმეც დაემალა, ამის შესახებ არ გვატყობინებენ.

საბრალო დიპლომატმა დაინახა თუ არა თავისი საცოლის სახე, უმალ ჩაშალა საქორწინო ცერემონია და ქორწინების შეწყვეტის მოთხოვნით სასამართლოში გაიქცა. მოთხოვნა დაუკმაყოფილეს, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებით ის ექსსაცოლისაგან საქორწინო საჩუქრებსა და ოქროულობაზე დახარჯულ 135 ათას დოლარს ვერ დაიბრუნებს.

# როგორ აღმოჩნდა დონას მუცელში პინცეტი?

**ვუსტერშირის საავადმყოფოს 39 წლის მედდამ დონა ბაუეტმა 2009 წლის დასაწყისში ოპერაცია გაიკეთა და ნაღვლის ბუშტს სამუდამოდ გამოემშვიდობა.**

წესით, ამოჭრილ ორგანოსა და მასში განლაგებულ ქვებს აღარ უნდა შეეწუხებინა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ ქალს მუცლის ღრუში მუდმივი ძლიერი ტკივილები ტანჯავდა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ქალს პოსტოპერაციული ინფექცია ან ჩარჩენილი კენჭი აწუხებდა. დაკონკრეტებისთვის მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია გადაუღეს, მაგრამ ძლიერმა მაგნიტურმა ველმა, რომელშიც პაციენტი ამ პროცედურისას აღმოჩნდა, მის მუცელში ოპერაციის დროს ჩარჩენილი პინცეტი აამოძრავა. ბაუეტი ამბობს, რომ ამ დროს უსაშინლეს ტკივილს გრძნობდა. საბოლოოდ, რენდგენული სურათით დადგინდა, რომ პაციენტს მუცლის ღრუში 18 სანტიმეტრი სიგრძის პინცეტი ჰქონდა. პინცეტის ამოღების ოპერაციისას მის სხეულში ქირურგებს მაკრატელი არ ჩარჩენიათ, მაგრამ დონა თავს გამოჯანმრთელებულად კვლავაც ვერ გრძნობს და დამნაშავეებს სასამართლოში უჩივის.

# «ჩრდილოეთ ნაკადს» მწვანე შუქი აუნთეს

**მრავალნატანჯი „Nord Stream“-ი მაინც ამუშავდება. 12 თებერვალს ფინეთის ხელისუფლებამ საბოლოო თანხმობა განაცხადა, გაზსადენის გარკვეული ნაწილი საკუთარ ტერიტორიაზე გაატაროს. ამით პროექტის განხორციელებისათვის უკანასკნელი დაბრკოლებაც გადალახულია.**




ჩრდილოეთ ნაკადი

„Nord Stream“-ს ჯერ კიდევ შარშან აუნთეს მწვანე შუქი დანიამ, გერმანიამ და შვედეთმა, ანუ ქვეყნებმა, რომელთა წყლებშიც უნდა გაიაროს გაზსადენმა. ამრიგად, ფინეთის თანხმობის შემდეგ შეთანხმების პროცესი დასრულებულია და შვედეთის მონაკვეთზე მშენებლობა უკვე 2010 წლის აპრილიდან დაიწყება.

„Nord Stream“-ი რუსული გაზის დასავლეთ ევროპაში ექსპორტირებისათვის პრინციპულად ახალი მარშრუტია. ამ მაგისტრალით საწვავი ბელგიის, ბრიტანეთის, გერმანიის, დანიის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის ბაზრებზე გავა.

როგორც რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე დღის წინათ დააკონკრეტა, აპრილში გაზსადენის საზღვაო მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოები დაიწყება და 2011 წლის მაისში გაზსადენის გერმანულ და რუსულ მონაკვეთებზე მთლიანად დასრულდება როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო მონაკვეთების მშენებლობები. მომავალი წლის ზაფხულისათვის სისტემაში გაზის საცდელი გაშვებაა დაგეგმილი, სექტემბრიდან კი გაზსადენი მუშაობას დაიწყებს.

პუტინის განცხადებით, გაზსადენის ექსპლოატაციისას რუსული მხარე მჭიდროდ ითანამშრომლებს ჰოლანდიურ კომპანიასთან „Gasunie“. „ეს მუშაობა სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ჩვენი კომპანიებისთვის, არამედ ევროპაში ენერგეტიკული რესურსების ყველა მომხმარებლისათვის“, — ბრძანა პრემიერმა და დააკონკრეტა, რომ „Gasunie“-ს გაზსაცავები იმისათვის გამოიყენება, რომ ევროპას ზამთრისთვის გაზის მარაგი ჰქონდეს.

1,22 ათასი კილომეტრი სიგრძის მილი წელიწადში 55 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს გაატარებს. მისი პირველი განშტოების გამტარიანობა წელიწადში 27,5 მილიარდ კუბურ მეტრს გაუტოლდება.

ექსპერტები თვლიან, რომ „ჩრდილოეთ ნაკადის“ ამუშავებით რუსული გაზის ევროპაში ექსპორტირების ყველა პრობლემა ვერ მოიხსნება, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი შვება იქნება რუსეთისთვისაც და რუსული გაზის მომხმარებელთათვისაც. პანაცეად კი ეს გაზსადენი იმის გამო ვერ იქცევა, რომ მას „ცისფერი ოქროს“ საექსპორტო მოცულობის მხოლოდ ორი მესამედის გატარება შეეძლება. დანარჩენი კი უნდა გაატაროს „სამხრეთ ნაკადმა“, რომლის მთავარი მიზანი პრობლემური უკრაინის გვერდის ავლა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უკვე გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტში, ექსპერტები თვლიან, რომ ამგვარ საქმეში უკრაინის ნდობა ჯერ ნაადრევია.

შეგახსენებთ, რომ 900-კილომეტრიანი „სამხრეთ ნაკადი“ რუსულ-იტალიური პროექტია და 2015 წლიდან მისი მეშვეობით ევროპას რუსული გაზის 35 პროცენტი უნდა მიეწოდოს. რუსეთმა პროექტის „სახმელეთო ნაწილის“ რეალიზებისათვის სამთავრობო ხელშეკრულებები გააფორმა ბულგარეთთან, სერბიასთან, უნგრეთთან, საბერძნეთთან, სლოვენიასთან. პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ავსტრიამაც.

„ჩრდილოეთ ნაკადთან“ დაკავშირებით საქმე გაცილებით რთულად იყო. ბალტიის ქვეყნები შფოთავდნენ, გაზსადენის მშენებლობა და შემდგომ მისი ექსპლოატაცია ზღვის ფსკერზე ჩაძირული იარაღის დეტონაციას გამოიწვევსო. შვედეთის მთავრობა დიდხანს არ იძლეოდა მშენებლობის ნებართვას იმის გამო, რომ ამით ბალტიის ზღვის ფსკერზე ჩაძირული უნიკალური ფლოტილია დაზიანდებოდა.

ამ ყველაფერზე გაცილებით სერიოზული საკითხი, რომელიც გაზსადენის მშენებლობას აფერხებდა, ეკოლოგიური საფრთხე იყო. რუსეთმა დაამტკიცა, რომ პროექტი აბსოლუტურად უსაფრთხო იქნება და მისი მშენებლობისათვის მხოლოდ უახლესი ტექნოლოგიები გამოიყენება.

# ოლიმპიადა — კონფლიქტების პროვოცირების შეჯიბრი

**საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები ადამიანების ხასიათში ყველაზე ნეგატიურ თვისებებს აღვიძებს და მთელ მსოფლიოში კონფლიქტების პროვოცირების ფუნქციას ასრულებს. სწორედ ასე აფასებს „NEWSWEEK“-ი ოლიმპიადასაც, რომლის გახსნის ცერემონიაზე ვანკუვერში გარდაცვლილ ქართველ მოციგავეს — ნოდარ კუმარიტაშვილს წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.**



იანვრის დასაწყისში ანგოლაში ერთ-ერთმა ყაჩაღურმა დაჯგუფებამ ის ავტობუსი დაცხრილა, რომლითაც ტოგოს საფეხბურთო ნაკრები გადაადგილდებოდა. სამი ადამიანი გარდაიცვალა. ადგილობრივმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ვიდრე ანგოლის ტერიტორიაზე აფრიკულ ერთა თასის მოსაპოვებლად თამაშები არ შეწყდება, მკვლელობებიც არ დასრულდებაო.

ანგოლა და კონგო ერთმანეთს იმ პრინციპების გამოც დაერივნენ, რომელთა მიხედვითაც აფრიკულ ერთა თასსა და კეიპტაუნის მსოფლიო ჩემპიონატზე უსაფრთხოება უნდა უზრუნველეყოთ.

1945 წელს ჯორჯ ორუელი წერდა: „კონკრეტული შემთხვევები (მაგალითად, 1936 წლის ოლიმპიადა) რომც არ ვიცოდეთ, რომ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს ზიზღის ორგიები მოსდევს თან, ამის გამოთვლა საერთო პრინციპებიდანაც შეიძლება“.

1969 წელს გამართული საფეხბურთო მატჩის სადაო ანგარიში სალვადორსა და ჰონდურასს შორის ომის მიზეზად იქცა. სულ ახლახან ეგვიპტისა და ალჟირის საფეხბურთო მატჩი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მნიშვნელოვნად დაძაბვის მიზეზი გახდა. ამ ავადსახსენებელ მატჩამდე ეგვიპტესა და ალჟირს ერთმანეთთან სადაო არაფერი ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, არ დაობდნენ. მატჩის შემდეგ კი ქაიროში სრული სერიოზულობით ამბობდნენ, რომ ქვეყანაში 1967 წელს ეგვიპტის მიერ ომის წაგების მსგავსი მდგომარეობა დაბრუნდა.

ამ ყველაფრის ფონზე პოლიტიკური რიტორიკა გამუდმებით სესხულობს სპორტულ მეტაფორებს და ამით დეგრადირების პროცესს ამძაფრებს. ეს თავისთავად ამყარებს იმ სევდიან ტენდენციას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიების სისტემა სიმპათიის ყველაზე ბანალურ და შეზღუდულ ფორმამდე — გულშემატკივრების მხრიდან საყვარელი გუნდისადმი ერთგულებასა და თავგანწირვამდე დადის.

სპორტზე აქცენტი კი მიზანმიმართულად აქვეითებს უდაბლეს საერთო მნიშვნელს — დონეს როგორც თავად სპორტში, ასევე ნებისმიერ სხვა სფეროში, რომელიც სპორტული შეჯიბრებების სენითაა შეპყრობილი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საბერძნეთმა მთელი ევროპა გადაიყოლა

**საბერძნეთის ბიუჯეტის დეფიციტი მთელი ევროზონის ფინანსურ სტაბილურობას ემუქრება. ამიტომაც ევროპამ გადაწყვიტა, ბერძნებს დახმარება გაუწიოს, თუმცა ამ დახმარების ვადებსა და მექანიზმებზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.**



პოლიტკორექტულობა პოსტკრიზისული პერიოდისთვის გადაიდო, მანამდე კი პორტუგალიამ, ირლანდიამ, საბერძნეთმა და ესპანეთმა მთელ ევროპას ფეხი დაუდეს და იმისათვის, რომ მათთან ერთად მთელი ევროპის გადაჩეხვის საშიშროება გაეთვალათ, ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა ჟანკლოდ ტრიშემ სიდნეიში მიმდინარე ბანკირების სამიტი ერთი დღით ადრე დატოვა და არც თუ უშედეგოდ — სულ რამდენიმე საათში საქმეში ჩახედული წყაროების მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბერძნეთს დაეხმარებიან. ამ ამბის მხოლოდ გაჟღერებაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბაზარზე დაეჯერებინათ — ევროპა ათენს გახვრეტილი ჯიბის ანაზარა არ მიატოვებს. მაგრამ როგორ? ევროპული მონეტარული კავშირის შეთანხმების თანახმად, პირდაპირი ფინანსური დახმარება აკრძალულია. ეს ღარიბი პარტნიორებისაგან ბერლინის მიერ თავის დროზე დაწესებული დაცვაა, მაგრამ ახლა გერმანია თანახმაა, დათმობებზე წავიდეს. ბერძნულ კომპანიებს გერმანული ბანკების 43 მილიარდი დოლარი მართებთ.

„არსებობს ასეთი მცნება — ფინანსური ინჟინირინგი. ფინანსისტი ყოველთვის მონახავს მეთოდს, როგორ გაზარდოს ლიკვიდურობა. მაგალითად, ახლა ევროპული ცენტრალური ბანკი ლიკვიდურობას შექმნის იმ ობლიგაციების მიღებით, რომლებიც დე ფაქტო შესაძლოა დეფოლტურიც იყოს“, — განაცხადა ფინანსური აკადემიის ფინანსური ბაზრების ინსტიტუტის დირექტორმა იაკობ მირკინმა.

ფინანსურმა ნაკადმა შეიძლება ნებისმიერი ტრაექტორიით იდინოს — ობლიგაციები, კრედიტების გარანტიები, მსხვილი ბანკების მხრიდან დახმარება და თვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერაც.

საბერძნეთმა „სტაბილურობის პაქტი“ დაარღვია. ევროპულად სტაბილურობა ნიშნავს, რომ ბიუჯეტის დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს, სახელმწიფო ვალი კი — იმავე მაჩვენებლის 60%-ს. არადა, საბერძნეთში ბიუჯეტის გარღვევამ ლამის 13%-ს მიაღწია, ვალმა კი — საერთო შიდა პროდუქტის 112%-ს. ეს დეფოლტის საშიშროებას ქმნის. ბერძნული კომპანიების გაკოტრება ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს მეზობელ ქვეყნებში, პროცენტული ნიხრები აიწევს, ეკონომიკები შემცირდება. ევროპული ხელისუფლებები ასეთ სცენარს არც კი განიხილავენ, მაგრამ ბირჟაზე მოთამაშეები შექმნილ მდგომარეობას მშვენივრად იყენებენ ევროს წინააღმდეგ. საბაზრო კანონზომიერებაა: ვალუტის ძალა კაპიტალის მოძრაობაზეა დამოკიდებული. ახალი საბირჟო მახასიათებელი: რაც მეტად იაფდება ბერძნული ობლიგაციები, მით მეტად ეცემა ევროს კურსი.

საბერძნეთში გადარჩენის გეგმა უკვე შეიმუშავეს — ორ წელიწადში ოთხჯერ უნდა შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი და ვალები უნდა დაიფაროს. ევროკომისია გეგმასთან დაკავშირებული დასკვნების გამოტანას არ ჩქარობს. პარტნიორებმა ნდობის ყველანაირი ლიმიტი ამოწურეს. ქვეყნის ბიუჯეტი რომ დაბზარულია, ათენმა ბრიუსელისგან შეიტყო. შემოწმებამ გამოააშკარავა, რომ საბერძნეთის ხელისუფლება ფინანსური უბედურების მასშტაბებს მანამდე არ ამხელდა, ვიდრე უარყოფამ ყველანაირი აზრი არ დაკარგა. მაგრამ ბერძნებს ფალსიფიკაციაც აპატიეს, ერთობის ხათრით.

ყველასათვის იდეალური გამოსავალი საბერძნეთის ევროზონიდან გარიცხვა იქნებოდა, მაგრამ დე იურე ამის შესაძლებლობა არ არსებობს. დე ფაქტო კი საბერძნეთს ულტიმატუმი წაუყენეს — გაზარდოს გადასახადები და შეამციროს დანახარჯები. გეორგიოს პაპანდრეუს კაბინეტმა უმალ განაცხადა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასები 5,5%-ით შემცირდება, სოციალური პაკეტები გაუქმდება, საპენსიო ასაკი გაიზრდება და ამ ყველაფრით გამოთავისუფლებული 23 მილიარდი ევრო ვალების დაფარვას მოხმარდება. პროფკავშირები დაუყოვნებლივ გაიფიცნენ, სკოლები, პრეფექტურები, საბაჟო სამსახურები და ათენის აეროპორტიც კი დღე-ღამის განმავლობაში დაკეტილი იყო.

„საბიუჯეტო დეფიციტის სინდრომი“ უკვე გადასწვდა იტალიას, პორტუგალიასა და ისლანდიას, სადაც სახელმწიფო ვალი წელს საერთო შიდა პროდუქტის 74%-ს გაუტოლდება. და თუ ბერძნული პრობლემები გაერთიანებული ევროპისათვის მტკივნეულია, მაგრამ არა მომაკვდინებელი, ესპანეთის ფინანსური ციებ-ცხელება მთელ ევროპას გადაუხდელობის ეპიდემიით ემუქრება.

# ბებერი დიქტატორები

**სიცოცხლეშივე გასამართლებული დიქტატორების მსოფლიო სიას სულ ახლახან კიდევ ერთი სახელი შეემატა: ურუგვაიში სასჯელის უმაღლესი ზომა — 30-წლიანი პატიმრობა შეეფარდა 81 წლის ხუან მარია ბორდაბერის, რომელიც 1972-1976 წლებში მართავდა ქვეყანას.**



1971 წელს, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში მეცხოველეების მდიდარი ოჯახის წარმომადგენელმა ხუან მარია ბორდაბერიმ გაიმარჯვა, ეკონომიკა მწვავე კრიზისს განიცდიდა. მისმა წინამორბედმა პრეზიდენტმა ქვეყანაში საპროტესტო მოძრაობებისა და პარტიზანული ორგანიზაცია „ტუპამაროსის“ აღსაკვეთად ორჯერ შემოიღო საგანგებო მდგომარეობა. „ტუპამაროსი“ ფულს ადამიანების გატაცებით, ბანკების ძარცვით, ყაჩაღობითა და მკვლელობებით შოულობდა. 1972 წლის 1 მარტს ბორდაბერი ოფიციალურად შეუდგა პრეზიდენტობას და უკვე 15 აპრილს პარლამენტს მოქალაქეების კონსტიტუციური თავისუფლებების შეზღუდვის გადაწყვეტილება მიაღებინა. ქვეყანაში „შიდა ომის მდგომარეობა“ გამოცხადდა. ჯარს პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირ ჩარევის უფლება მიეცა.

1973 წელს ქვეყანაში ფაქტიურად სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. პრეზიდენტმა სამხედროებთან შეთანხმებით (თუ მათი ზეწოლის შედეგად) პარლამენტი დაითხოვა, აკრძალა პოლიტიკური პარტიები და აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ეროვნული უშიშროების საბჭო შექმნა. ამრიგად, ურუგვაიში დამყარდა დიქტატურა, რომელიც ქვეყანას 1985 წლამდე მართავდა. პრეზიდენტი თანამდებობაზე 1976 წლამდე დარჩა, ვიდრე გენერლებმა უფრო მოსახერხებელი ფიგურით არ ჩაანაცვლეს.

2006 წელს ბორდაბერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე საზღვარგარეთ, არგენტინაში ჩადენილი ოთხი მკვლელობისათვის აღიძრა და უფრო მეტიც, განსასჯელს ჩილის, არგენტინის, ურუგვაის, ბრაზილიის, პარაგვაის, ბოლივიისა და სხვა ქვეყნების მიერ 70-იან წლებში ამერიკული სპეცსამსახურების ორგანიზებულ ოპერაცია „კონდორში“ მონაწილეობაც დაბრალდა. ამ ოპერაციის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა, ექსპერტები თვლიან, რომ მას 60 ათას ადამიანზე მეტი შეეწირა.

**ჩილელმა დიქტატორმა აუგუსტო პინოჩეტმა სასამართლომდე ვერ იცოცხლა და შინა პატიმრობაში გარდაიცვალა. სერბეთის ყოფილი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი ჰააგის ტრიბუნალში პროცესისას საკუთარ კამერაში გარდაიცვალა. კორეის ყოფილი პრეზიდენტები რო დეუ და ჩონ დუ ხვანი ჯერ გაასამართლეს, შემდეგ კი შეიწყალეს. პერუს ყოფილი პრეზიდენტი ალბერტო ფუხიმორი გაასამართლეს და 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. სუდანის პრეზიდენტი ომარ ალ-ბაშირი გახდა მსოფლიოში პირველი მოქმედი სახელმწიფო მეთაური, რომლის დაკავების ორდერიც ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ გასცა.**

## რატომ დახატა მოდილიანმა თავდაყირა?

**კითხვას, რომელიც, დიდი ხანია, აწუხებს სპეციალისტებსა და მოყვარულებს, გეტას მუზეუმის დირექტორმა და კურატორმა ოფრა რიმონმა პასუხი მოუძებნა.**

საუბარია ამადეო მოდილიანის ნამუშევრებზე „მოდ აბრანტეს პორტრეტი“ და „შიშველი ქუდით“, რომლებიც ერთი ტილოს ორ მხარეზეა დახატული, ოღონდ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით.

ახლა ტილო გეტის მუზეუმში ისეა გამოფენილი, რომ მსურველს ორივე ნახატის ხილვის საშუალება ჰქონდეს, თუმცა ამ ორიდან ერთ-ერთი — „შიშველი ქუდით“, რა თქმა უნდა, თავდაყირაა. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გამოცანად რჩებოდა, რატომ მოექცა მხატვარი ასე თავის მომავალ თაყვანისმცემლებს.

ოფრა რიმონი ირწმუნება, რომ „მოდ აბრანტეს პორტრეტში“ სხვა ნახატის კვალი შენიშნა. სავარაუდოდ, მოდილიანს ახალი ტილო არ ჰქონდა, ამიტომ ნახატი „შიშველი ქუდით“ გადააბრუნა და ხატვა დაიწყო. შემდეგ ნამუშევარი არ მოეწონა, გადაღება და თავდაყირა ამოატრიალა, რომ წარუმატებელი მცდელობის კვალი რაც შეიძლება ნაკლებად აღქმადი გამხდარიყო.

## ვინ არის ჟან-ბატისტ ბოტული?

**ოდიოზური ფრანგი ინტელექტუალი ბერნარ-ანრი ლევი ბუნებაში არარსებული ფილოსოფოსის ფრაზების ციტირებაში გამოიჭირეს.**



ბერნარ-ანრი ლევიბერნარ-ანრი ლევი

კანტის ნაშრომების სპეციალისტი, ფილოსოფოსი ჟან-ბატისტ ბოტული ფრანგულ სატირულ ყოველკვირეულ გამოცემაში „Le Canard enchaine“ ჟურნალისტ ფრედერიკ პაჟეს წყალობით მოხვდა. კერძოდ, გამოგონილი ფილოსოფოსი ბოტული წიგნის „ემანუელ კანტის სექსუალური ცხოვრება“ ავტორად აქციეს. როგორც ახლა გაირკვა, ლევი თავის უკანასკნელ წიგნში „ომისა და ფილოსოფიის შესახებ“ და, როგორც თავად აღიარა, უამრავ გამოსვლაშიც სწორედ ამ გამოგონილ მონოგრაფიას იმოწმებდა. ამ აღიარებაში მან ისიც აღნიშნა, რომ ბოტულის გამომგონებელი ჟურნალისტი თავადაა შესანიშნავი ფილოსოფოსი, ვინაიდან მხოლოდ ლევი კი არა, კიდევ ბევრი წამოეგო ამ ხუმრობას და „იმანუელ კანტის სექსუალურ ცხოვრებას“ უამრავმა ავტორმა მიუძღვნა რეცენზია. „მე ქუდს ვიხდი ჟან-ბატისტ ბოტულის გამომგონებლის წინაშე,“ — განაცხადა ლევიმ.

## რას გვირჩევს მსოფლიოში ყველაზე მსუქანი?

**მსოფლიოში ყველაზე მსუქანმა ადამიანმა, ბრიტანელმა პოლ მეისონმა ავტობიოგრაფიულ წიგნზე მუშაობა დაიწყო და მასში სხვა ყველაფერთან ერთად გახდომის საკუთარ რეცეპტებსაც დაგვიწერს.**

რატომ არ იმოქმედეს ამ რეცეპტებმა თავად 445-კილოგრამიან პოლზე და რა გარანტია გვაქვს, რომ ვინმეზე იმოქმედებს — ამაზე წიგნში, იმედია, ორიოდე წინადადებით მაინც გვიპასუხებენ. მეისონი სულ ორიოდე დღის წინათ გამოწერეს საავადმყოფოდან, სადაც წონის შემცირების მიზნით კუჭის დაპატარავების ოპერაცია გაუკეთეს. ამ ოპერაციისთვისაც კი მას გარკვეული რაოდენობის კილოგრამებთან გამომშვიდობება საკუთარი ძალისხმევით მოუხდა. მუცლის ღრუმდე მიღწევისათვის ექიმებს მუცლის წინა კედლიდან ცხიმის ამოღებაც დასჭირდათ. შედეგად მეისონმა 311 კილოგრამამდე დაიკლო და კიდევ აპირებს გახდომას. როგორც ამბობს, მისი ცხოვრების მიზანი იმ წონის მიღწევაა, რომელიც ინვალიდის მოტორიზებული სავარლით სარგებლობისა და მანქანით გადაადგილების საშუალებას მისცემს. მანამდე კი წერს წიგნს სახელწოდებით „მოგზაურობა“, რომლის ძირითადი ნაწილი გახდომის მცდელობების ისტორიაა. 49 წლის მეისონი მსოფლიოს უმსუქნეს ადამიანად მას შემდეგ იქცა, რაც ამ ტიტულის მანამდელმა მფლობელმა 43 წლის მექსიკელმა მანუელ ურიბემ თავისი 572 კილოგრამიდან უამრავი კილოგრამი დაქორწინების სურვილს ანაცვალა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პატრიცია ჰერსტი — ტერორის პატარძალი და სტოკჰოლმის სინდრომი




**პატი ჰერსტი უახლესი დროის უცნაური ტერორისტული პროექტის გმირია. ძნელია, წარმოიდგინო იმაზე შესაფერისი ხატება „საბრალო პატარა მდიდარი გოგონასი,“ ვიდრე ეს დიდრონთვალება სიფრიფანა ქალია. აგერ უკვე 30 წელია, ჟურნალისტებსა და „ფსიქოტექნიკის სპეციალისტებს“ მოსვენებას არ აძლევს ასპროცენტიანი ბურჟუაზიული ზღაპრიდან პატი ჰერსტის ნახტომის გამოცანა პირდაპირ კრიმინალურ-პოლიტიკური ქრონიკის ფურცლებზე.**



პატრიცია ჰერსტი ლეგენდარული მედიამაგნატის უილიამ რენდოლფ ჰერსტის შვილიშვილია. პატრიციას კოლეჯის მეგობრები მოგვიანებით იხსენებდნენ, რომ ეს მდიდარი საპატარძლო თავშეკავებული, ქედმაღალი და მორალური წესების უსიტყვო დამცველი გახლდათ. თუმცა მისი ნამდვილი ისტორია 19 წლის ასაკში იწყება. 1974 წლის თებერვალში რენდოლფ ჰერსტ უმცროსს შეატყობინეს, რომ მისი ერთდერთი ქალიშვილი უცნობმა თავდამსხმელებმა პირდაპირ ბერკლის უნივერსიტეტის კამპუსიდან გაიტაცეს, მისი 26 წლის საქმრო სთივენ ვიდი კი უმოწყალოდ სცემეს. რამდენიმე დღის შემდეგ მედიაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ გოგონას გატაცებაზე პასუხისმგებლობას იღებდა სიმბიონისტური გამათავისუფლებელი არმია (SLA) — ექსტრემისტული დაჯგუფება, რომელიც იმხანად რადიკალურ წრეებშიც კი ნაკლებად იყო ცნობილი. დაჯგუფების დამაარსებელი და ბელადი, აფრო-ამერიკელი დონალდ დეფრიზი ორგანიზაციის მიზნებს „რასისტული ისტებლიშმენტის“ წინააღმდეგ შეურიგებელ რევოლუციურ ძალადობაში ხედავდა. „სიმბიოტების“ პროგრამას ერქვა „სიკვდილი ფაშისტ მწერებს“ და თავისი არსით ტროცკიზმის, მაოიზმის, „შავი ავაზების“ იდეოლოგიისა და „ნიუ-ეიჯის“ ეკოლოგიური ფილოსოფიის ნაზავს წარმოადგენდა. დაჯგუფებაში ქალთა სიმრავლის გამო (აღსანიშნავია, რომ სიმბიონისტურ-გამათავისუფლებელი არმიის — SLA-ს რიცხოვნობა 15 კაცს არასოდეს აღემატებოდა), მას ამერიკელი ჩარლი მენსონის კომუნას — „ოჯახს“ ადარებდნენ, თუმცა ამ სექსუალური მეოჯახის „სიყვარულისა და შიშის კულტს“ არაფერი ჰქონდა საერთო დეფრიზისა და მისი ხალხის რეალურ ძირგამომთხრელ პრაქტიკასთან. მისი ქალიშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ დეფრიზმა ჰერსტს უსახლკაროთა დახმარების ფონდში მილიონი დოლარის გადარიცხვა მოსთხოვა. ეს სიუჟეტი გამოსასყიდის ტრადიციული მოთხოვნის დამცინავ ინვერსიას წარმოადგენდა.

თვეზე მეტხანს გამტაცებლებთან მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია. როგორც შემდგომში გაზეთები იუწყებოდნენ, პატი ჰერსტი, რომელსაც კონსპირაციულ ბინაში მალავდნენ, ფიზიკური და მორალური ძალადობის მსხვერპლი შეიქნა, თუმცა ისიც და SLA-ს წევრებიც ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ. მათი ვერსიით, გულითადი საუბრების შემდეგ პატი დაჯგუფებისა და, ზოგადად, პროლეტარული რევოლუციის მტკიცე მომხრედ იმთავითვე იქცა და ტანიად მოინათლა... ასე იყო თუ ისე, 1974 წლის აპრილში (ანუ ორი თვის შემდეგ) მასმედიამ სენსაციური განცხადება გააკეთა — სგა-ს (SLA-ს) ბოევიკებმა ექსპროპრიაცია მოახდინეს — მარტივად რომ ვთქვათ, სან-ფრანცისკოში ბანკის შეიარაღებული ძარცვა მოაწყვეს. ვიდეოფირზე, რომელზეც ბოევიკების მოქმედება იყო დაფიქსირებული, კარგად ჩანდა გატაცებული ქალიშვილი წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებული შავი ბერეტითა და ხელში კარაბინით. პატის მშობლებმა და ჟურნალისტებმა ერთხმად განაცხადეს, რომ პატი ფსიქოტროპული პრეპარატის ან ჰიპნოზის გავლენის ქვეშ იყო. უფრო მეტიც, შესაბამისმა ორგანოებმა დახმარებისთვის ცნობილ ამერიკელ ფსიქოლოგს, ადამიანის ემოციური მდგომარეობის ამოცნობის უდიდეს სპეციალისტს — პოლ ეკმანსაც კი მიმართეს — ზემოხსენებული ფირი უჩვენეს იმის დასადგენად, თუ როგორ გადაიქცა ჰეტეროსექსუალი და მშობლების მორჩილი პატი ბისექსუალ და რევოლუციონერ ტანიად...

მედიამაგნატის შვილიშვილის ადვოკატები იმასაც ირწმუნებოდნენ, რომ პატრიცია ჰერსტი „ტვინის გამორეცხვის“ სუპერტექნიკის მსხვერპლი შეიქნა, რამაც მისი ცნობიერება შეცვალა და ტერორისტად აქცია.

ლაპარაკობდნენ ასევე „სტოკჰოლმის სინდრომზეც,“ რომლის ფსიქოლოგიური მექანიზმიც შემდგომში მდგომარეობს: **აგრესიულად განწყობილ ტერორისტზე სრული ფიზიკური დამოკიდებულების შემთხვევაში მსხვერპლი მისდამი ემპათიური ხდება — თანაგრძნობით იმსჭვალება და ხშირ შემთხვევაში მის თანამოაზრედაც იქცევა. ასეთი სინდრომს უმეტესწილად მაშინ აქვს ადგილი, თუ მსხვერპლის თვალწინ ტერორისტმა სხვა მძევალი მოკლა ანდა მრავალგზისი ფიზიკური და მორალური ტკივილი მიაყენა... ადვოკატების აზრით, პატი სწორედ ამ სინდრომმა აქცია ტანიად...**

ჰერსტმაც და გაზეთების რედაქციებმაც მაგნიტოფონის ფირები მიიღეს, სადაც პატი აცხადებდა, რომ კომუნისტური იდეებით განიმსჭვალა და უგულებელყო „ბურჟუა ღორები“ — თავისი მშობლები. შემდგომ სგა-მ „ამხანაგ ჰერსტთან ერთად“ კიდევ რამდენიმე თავდასხმა განახორციელა ბანკებსა და სახელმწიფო დაწესებულებებზე, რის კულმინაციადაც იქცა პატის მიერ ციანმჟავა კალიუმის ტყვიებით დასავლეთ სან-ფრანცისკოში სკოლების სუპერინტენდანტის — მარკუს ფოსტერის დაცხრილვა. ცხადია, ამ ამბის შემდეგ, სგას კვალში ჩაუდგნენ და 54-ე ქუჩაზე მათ შტაბს ალყა შემოარტყეს ასობით პოლიციელმა და გფბ-ს სპეცნაზის მებრძოლებმა. დაჯგუფების რამდენიმე წევრი შტურმისას ადგილზევე მოკლეს, სამი კაცი დააკავეს, დონალდ დეფრიზმა კი ტყვია დაიხალა. **პატი ჰერსტმა გაურკვეველ ვითარებაში ალყაშემორტყმული სახლიდან მიმალვა მოახერხა.** ერთ კვირაში კი სამართალდამცავებმა ახალი ფირი მიიღეს, პატის ხმის ჩანაწერით: „მე 54-ე ქუჩის ცეცხლში დავიფერფლე, მაგრამ ფენიქსივით აღვდექი, რათა ბრძოლა გავაგრძელო!“

პატრიცია ჰერსტის დაკავება უკვე წმინდა ტექნიკურ ამოცანად იქცა. 1975 წელს ის ჩრდილოეთ კალიფორნიაში დააპატიმრეს. აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სასამართლო პროცესი რამდენიმე თვეს გაგრძელდა. რაკი ადვოკატები გაუთავებლად ლაპარაკობდნენ ფსიქოტროპულ ზემოქმედებაზე, ტერორის საპატარძლოს შესაბამისი ანალიზები ჩაუტარეს, მაგრამ **სისხლში ნარკოტიკების ან ტრანკვილიზატორების კვალი ვერ აღმოუჩინეს.** ნაფიცმა მსაჯულებმა ყურად არ იღეს „ტვინის გამორეცხვის,“ ჰიპნოზური მეთოდისა და ნეიროლინგვისტური პროგრამირების ვერსიაც, მით უფრო, რომ თავად ბრალდებული ჩვენების მიცემაზე სასტიკ უარს ამბობდა, და ჰერსტს 30 წლით პატიმრობა მიესაჯა.

ორი წლის შემდეგ პრეზიდენტმა კარტერმა პატრიცია ჰერსტს სასჯელი შეუმსუბუქა. ტერორის პატარძალი გაათავისუფლეს, სიცოცხლის ბოლომდე ზოგიერთი უფლების შეზღუდვისა და ფსიქიატრთან ხანგრძლივი მკურნალობის პირობით...

2001 წლის 20 იანვარს, თავისი მოვალეობების შესრულების ბოლო დღეს, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ბევრი ამერიკელი პატიმარი შეიწყალა და პატრიცია ჰერსტსაც სრული შეწყალება გამოუცხადა.

ტერორის პატარძლის შემდგომი ცხოვრება კი ასე წარიმართა: რამდენიმე წლის განმავლობაში ის სოციოლოგიას სწავლობდა, შემდეგ მსახიობი გახდა და მოკლე ხანში მამამისის ყოფილ მცველს მისთხოვდა, თუმცა თავის ერთადერთ სიყვარულად სგა-ს განადგურებისას დაღუპულ ჭაბუკს, კუჯოს მიიჩნევდა. ახლა 50 წელს გადაცილებული პატი მშვიდად ცხოვრობს კონექტიკუტში და თავის ბობოქარ წარსულზე დუმილს ამჯობინებს. მისი ისტორია დღემდე იდუმალებითაა მოცული, თუმცა მისსავე ყოფილ გურუსა და მეგობარ-გამტაცებელს თუ ვერწმუნებით, „რევოლუცია მხოლოდ უწყვეტი შეიძლება იყოს“.

## პატრიცია ჰერსტი „ტვინის გამორეცხვის“ სუპერტექნიკის მსხვერპლი შეიქნა, რამაც მისი ცნობიერება შეცვალა და ტერორისტად აქცია.



სტივენ ვიდთან ერთად



ერთ-ერთი ბანკის ძარცვისას

# რაფაელ ლეონიდას ტრუჰილიო და ღმერთი

**1938 წლის 30 მაისის ჟურნალი „თაიმი“ წერდა: „შარშან პრეზიდენტმა რაფაელ ლეონიდას ტრუჰილიო მოლინამ, რომელიც 7 წლის განმავლობაში რკინის ხელით მართავდა დომინიკელთა რესპუბლიკას, განაცხადა, რომ „პოლიტიკიდან მიდის“ და მოსალოდნელ არჩევნებში თავის კანდიდატურას აღარ წარადგენს. თუმცა ტრუჰილიო რომ დიქტატორად დარჩებოდა, თუნდაც „კერძო პირი“ ყოფილიყო, თვალსაჩინო შეიქნა, როცა მან მემკვიდრედ თავისი დამქაში იასინტო პეინადო დაასახელა. თუ რა ადგილი ეკავა პეინადოს ცნობიერებაში ტრუჰილიოს, მის სახლთან დაკიდულ ნეონის აბრაზეც ჩანდა, რომელზეც ეწერა: ღმერთი და ტრუჰილიო. „სანამ პირში სული მიდგას, ეს აბრა აქ დარჩება,“ — აცხადებს არჩეული პრეზიდენტი პეინადო.**





ტრუჰილიო და ამერიკის სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰალი

გასულ კვირას საარჩევნო ყუთებთან 345.174 ამომრჩეველი მივიდა, რომელთაგან 92 %-მა ხმა პეინადოს მისცა.

1940 წლის მარტში პეინადო გარდაიცვალა და მისი ადგილი ვინმე დე ლა კონჩამ დაიკავა. 1942 წელს კი ტრუჰილიო კვლავ პრეზიდენტი გახდა, ხოლო 1952 წელს ეს პოსტი ფორმალურად გადასცა თავის ძმას. სინამდვილეში კი რესპუბლიკას თვითონ მართავდა.

1961 წლის 30 მაისს ტრუჰილიო შეთქმულებმა მოკლეს. ზოგიერთი ცნობით, მკვლელები იარაღით ცსს-მ აღჭურვა.

რაფაელ ლეონიდასი 1891 წლის 24 ოქტომბერს დაიბადა ხელმოკლე ოჯახში, ამიტომ ბავშვობიდან ლუკმა-პურის შოვნაზე ფიქრობდა და ზოგჯერ წვრილმან ქურდობასაც არ ერიდებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დომინიკელთა რესპუბლიკაში სხვადასხვა კლანი, დაჯგუფება და პარტია ერთმანეთს ძალაუფლებისთვის ებრძოდა. 1904 წელს კი აშშ-მა სრული კონტროლი დაამყარა რესპუბლიკაზე. 1916 წელს ამერიკის საზღვაო ქვეითმა ჯარმა მისი ოკუპაცია მოახდინა. ნაციონალური არმია დაშალეს და მის ნაცვლად, აშშ-ის ოფიცერთა კორპუსის უშუალო მონაწილეობით, ნაციონალური გვარდია შექმნეს.

სწორედ ამ გვარდიაში ჩაეწერა 1918 წელს ტრუჰილიო. მანამდე ადგილობრივ მოსახლეობაში ცხენიპარიასა და კონტრაბანდისტის რეპუტაცია ჰქონდა. ნაციონალური გვარდიის წევრობა გარკვეულად სოციალურად დაცულს ხდიდა. ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტის თქმით, „ჩვეულებრივ დროში ტრუჰილიო სიცოცხლეს, ალბათ, სახრჩობელაზე დაასრულებდა ან სოფლის ბანდიტივით დაიღუპებოდა, მაგრამ ამერიკულმა ინტერვენციამ სწორედ ამ ჯურის ადამიანებს მისცა ფართო ასპარეზი.“

ნაციონალური გვარდია, ამერიკელთა პატრონაჟით, ამა თუ იმ რაიონში სახალხო აჯანყებების ჩახშობით იყო დაკავებული. ტრუჰილიო განსაკუთრებული სისასტიკით მეამბოხეების მიმართ გამოირჩეოდა და ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა: ის ჯერ დააწინაურეს, შემდეგ კი სასწავლებლად ამერიკის სამხედრო სკოლაში გაუშვეს.

სწავლის დასრულების შემდეგ ტრუჰილიოს კაპიტნის წოდება მიენიჭა. 1924 წელს აშშ-ის ჯარებმა დომინიკელთა რესპუბლიკა დატოვეს, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებში საკვანძო ადგილებზე მათი აღზრდილები დარჩნენ. ამ დროისათვის პოლკოვნიკ ტრუჰილიოს შეიარაღებულ ძალთა შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა.

**1930 წელს ქვეყანაში არჩევნები ჩატარდა და კენჭისყრის შედეგების გაყალბებით, ტრუჰილიო პრეზიდენტად აირჩიეს. რესპუბლიკაში მაშინვე დამყარდა მკაცრი სამხედრო დიქტატურა, რომელიც მალე სისხლისმღვრელ დესპოტიაში გადაიზარდა.** მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ათობით ათასი კაცი დახვრიტეს ან საპყრობილეებში ჩაყარეს. „ტრუჰილიოს ერა“ 1961 წლის მაისამდე გაგრძელდა. ნახევრად გაუნათლებელი პოლკოვნიკი, ყოფილი კონტრაბანდისტი ქვეყნის სრულუფლებიან მმართველად იქცა და საკუთარი წესრიგი დაამყარა.

თავისი მმართველობის 31 წლის განმავლობაში ის ოთხჯერ აირჩიეს პრეზიდენტად ამომრჩეველთა ერთსულოვანი მხარდაჭერით. 1930-1938 და 1942-1952 წლებში მას ოფიცილურად ეკავა ეს პოსტი, ხოლო 1952 წელს ნომინალური პრეზიდენტი მისი ღვიძლი ძმა — ჰექტორი გახდა, თუმცა **ქვეყნის ფაქტობრივ პატრონად ყოველთვის რაფაელ ლეონიდასი რჩებოდა, რომელსაც წინდახედულად ეკავა შეიარაღებულ ძალთა მეთაურის პოსტი**.

კონგრესმა ტრუჰილიოს გენერალისიმუსისა და ფლოტის ადმირალის წოდება, „ქველი მამულიშვილის,“ „დამოუკიდებლობის აღმდგენის,“ „ნაციის გამათავისუფლებლის,“ „ნატიფი ხელოვნების დამცველის,“ „პირველი სტუდენტის,“ „პირველი ექიმისა“ და „მეცნიერებათა პირველი დოქტორის“ ტიტულები მიანიჭა.

მრავალწლიანი შეუზღუდავი მმართველობის განმავლობაში ტრუჰილიო დომინიკანის რესპუბლიკის ყველაზე დიდ და გავლენიან ბიზნესმენად გადაიქცა. მარილით, ხორცით, თამბაქოთი ვაჭრობა, მრეწველობის მრავალი სფერო, შაქრის წარმოება მისი კონტროლით ხორციელდებოდა. წელიწადში მისი შემოსავალი 30 მლნ დოლარს აღწევდა.

ტრუჰილიომ თავის ქვეყანაში საუკეთესო მიწები, ხოლო საზღვარგარეთ უძრავი ქონება შეისყიდა. თუ რომელიმე ფერმერი დიქტატორს მიწის მიყიდვაზე უარს ეტყოდა, რამდენიმე დღის შემდეგ ამას მისი ქვრივი აკეთებდა.

ხელისუფლების სათავეში ყოფნისას **ტრუჰილიოს თავისი ნათესავებიც არ დავიწყებია. მის ძმებს, შვილებს, ბიძებს, დანარჩენ სანათესაოს ქვეყანაში მინისტრების, ელჩების, დეპუტატებისა და სხვა მაღალი სახელმწიფო პოსტები ეკავათ. ქვეყანას არმია და პოლიცია აკონტროლებდა, ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი „წესრიგის დამცველთა“ შენახვაზე იხარჯებოდა**. გაზეთი „თაიმი“ წერდა: „დომინიკელებს ციხეში სვამენ იმის გამოც კი, თუ ამინდით უკმაყოფილებას გამოთქვამენ.“ ყველა პარტია და მოძრაობა აკრძალული იყო, გარდა ტრუჰილიოს პარტიისა — „პარტიდო დომინიკანო.“ თანამდებობაზე მოხვედრილი კაცი ავტომატურად ხდებოდა ამ პარტიის წევრი და ვალდებული იყო, თავისი ხელფასის 10 პროცენტი სისტემატურად პარტიის საწევროს სახით ეხადა.

ტრუჰილიოს თვალსაზრისით, პოლიტიკას სამი ასპექტი ჰქონდა: დიპლომატიური, ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქვეყანაში).

დიქტატორი-გენერალისიმუსი თვლიდა, რომ ამ მიზნების მისაღწევად ნებისმიერი საშუალება გამოდგებოდა: მკვლელობა, პროვოკაცია, გატაცება, მიწისქვეშა საპყრობილეებში გამოკეტვა. **„ის, ვინც ჩემი მეგობარი არ არის, ჩემი მტერია და ამისთვის მიეზღვება კიდეც,“** — ხშირად იმეორებდა ტრუჰილიო.



აშშ ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და ტრუჰილიო

1937 წელს ჰაიტისთან გამოუცხადებელი ომი დაიწყო. საქმე ისაა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ათასობით ჰაიტელი ყოველწლიურად იგზავნებოდა დომინიკის რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოებზე შაქრის ლერწმის მოსაჭრელად. ასე მოხდა 1937 წელსაც. სექტემბრის ბოლოსა და ოქტომბრის დასაწყისში **ტრუჰილიოს მთავრობამ, რომელმაც არ იცოდა, როგორ გამოეყვანა ქვეყანა გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისიდან, გადაწყვიტა, ნაცადი ზომებისთვის მიემართა — მოეძებნა „განტევების ვაცი,“ დაედანაშაულებინა ჰაიტელები, რომლებიც თითქოსდა თვითნებურად მოაწყდნენ სანტო-დომინგოს. ჰოდა, მათ სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყვეს: 20.000-ზე მეტი უდანაშაულო კაცი დახოცეს.**

1946 წელს პლანტაცია „ლარომანიას“ მუშებმა აჯანყება მოაწყვეს. ტრუჰილიომ ბრძანება გასცა, ყველა მოჯანყე დაეპატიმრებინათ. **რამდენიმე დღის შემდეგ გამოცხადდა, რომ ამბოხის ორგანიზატორებმა საპყრობილეში თავი ჩამოიხრჩვეს**.

50-იანი წლების დასაწყისში ამერიკაში დიდი ხმაური ატყდა პროფესორ გალინდესის იდუმალი გაუჩინარების გამო. 1956 წლის 12 მარტს უნივერსიტეტიდან შინ მიმავალი პროფესორი, დღისით-მზისით, ნიუ იორკში გაუჩინარდა. გალინდესის ნათესავებმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განგაში ატეხეს. გფბ-ის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ **პროფესორი ტრუჰილიოს სპეცსამსახურების აგენტებმა გაიტაცეს და, სავარაუდოდ, დომინიკის რესპუბლიკისაკენ მიმავალ გემზე დაწვეს ან ზვიგენებს გადაუგდეს შესაჭმელად. ასე იძია შური ტრუჰილიომ პროფესორზე აშშ-ში გამოცემული წიგნის გამო, რომელშიც გალინდესი გენერალისიმუსს არცთუ სახარბიელოდ მოიხსენიებდა**.

ტრუჰილიოს შეუნიღბავი სისასტიკე ქვეყანაში უკმაყოფილების ტალღას იწვევდა. 1954 წელს შაქრის ერთ-ერთი საწარმოს 20.000-კაციანი კოლექტივი აჯანყდა, ხოლო 1956 წელს შეიარაღებულმა ამბოხებამ იფეთქა, რომელიც სისხლში ჩაახშვეს. 1958 წელს სამხედროთა მონაწილეობით სამთავრობო შეთქმულება მოეწყო. ტრუჰილიოს დიქტატურის წინააღმდეგ მოძრაობის გააქტიურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სწორედ იმ ხანებში, 50-იანი წლების ბოლოს, დიქტატორული რეჟიმები დაემხო პერუში, კოლუმბიაში, ვენესუელასა და კუბაში.

1959 წლის 14 ივნისს კონსტანსში პატრიოტ-ემიგრანტთა შეიარაღებული ჯგუფი გადმოსხდა და ტრუჰილიოს ჯარებთან ბრძოლა გააჩაღა. თავად დიქტატორმა ხალხს მიმართა და საჯაროდ განაცხადა, რომ ადგილი აქვს „კუბის აგრესიას.“ რეზერვისტებისგან მობილიზებული იქნა 10.000-კაციანი არმია. ტრუჰილიომ დაუყოვნებლივ დაიწყო იარაღის შესყიდვა და „ უცხოური ანტიკომუნისტური ლეგიონის“ ჩამოყალიბება.

1960 წლის აგვისტოში სანტო-დომინგოში ამერიკელი მრჩევლები ჩამოვიდნენ. მათი რეკომენდაციით, ჰექტორ ტრუჰილიომ „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ პრეზიდენტის პოსტი დატოვა, რომელზეც ის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ბალაგერმა შეცვალა. თავად **ტრუჰილიო გაეროში დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენლად დაინიშნა, თუმცა იქ არასდროს გამოჩენილა**...

მაგრამ ამით ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ დასრულებულა. ლათინური და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში დიქტატორული რეჟიმების დამხობის შემდეგ პოლიტიკური ელიტა შეიცვალა. აშშ-მა ტრუჰილიოს შესთავაზა, მთავრობა ახალი, უფრო რესპექტაბელური შემადგენლობით შეეცვალა, მაგრამ დიქტატორმა ცივი უარი განაცხადა და ვაშინგტონში თავის ხალხთან ინტენსიური მოლაპარაკებები გამართა. სწორედ იმხანად, დიქტატურათა კრიზისის პირობებში ბრაზილიაში, ჩილესა და ნიკარაგუაში რევოლუციის ტალღა აგორდა.

აშშ-ის გავლენიანმა წრეებმა გამოსავალი მოძებნეს. მდგომარეობის „გაჯანსაღების“ მიზნით ტრუჰილიოს ოპოზიციურ წრეებში შეთქმულება მომზადდა. დიქტატორის ლიკვიდაციის ოპერაცია ცერე-უმ (ცსს) თავის კონტროლს დაუქვემდებარა. მისი განხორციელება 1961 წლის 30 მაისისთვის დაიგეგმა.

იმ დღეს ტრუჰილიო ავტომანქანით გაემართა ქალაქგარეთ მდებარე თავისი აგარაკისკენ. კორტეჟს გზაში ჩაუსაფრდნენ და ტრუჰილიო მოკლეს, ტრუჰილიო, რომელსაც ღმერთთან ნეონის აბრაზე გამოსახული ერთადერთი სიტყვა „და“ აკავშირებდა...

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

## მოკლედ



### კიოლნის ცენტრი ინგრევა

კიოლნის მთავრობა ქალაქის ცენტრში მდებარე ისტორიული შენობებიდან ხალხის გამოსახლებას აპირებს. მათი სერიოზული დაზიანება ქალაქში მეტროს მშენებლობისას უპრეცენდენტო ძარცვამ განაპირობა. 2009 წელს კიოლნის ისტორიული არქივის ჩამოშლის მიზეზად ახლახან მეტროსადგურ „Waidmarkt“-ის შიდა კედლის არასაკმარისი გამძლეობა დასახელდა. ერთ-ერთი მშენებლის თქმით, კედლის გასამაგრებელი ფოლადის ბოძები ჯართად გაყიდეს. ამჟამად მშენებარე სადგურის მასალის 80% უკვე გაყიდული აღმოჩნდა.



### კანში ბომბი იპოვეს

კანში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ამერიკული ბომბის გაუვნებელყოფის ოპერაციისთვის ქალაქის მოსახლეობის 15%-ის — 20 ათასამდე ადამიანის ევაკუირება გახდა საჭირო. მათთვის დროებითი თავშესაფარი ქალაქის უსაფრთხო შენობებში მოეწყო.

500-კილოგრამიანი ბომბი, რომელიც 265 კილოგრამ ასაფეთქებელ ნივთიერებას შეიცავს, ქალაქის ცენტრში მშენებარე შენობის ტერიტორიაზე იანვრის ბოლოს აღმოაჩინეს. მისი ნეიტრალიზებისთვის 800 მეტრის რადიუსი მთლიანად გათავისუფლდა.

## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებს და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტური კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**

## სტომატოლოგიური კლინიკა «Dental House»



სტომატოლოგიურ კლინიკა „Dental House“-ში, **სიახლეებია:** აქ დაინერგა მსოფლიო სტანდარტის ტექნოლოგიები, ასევე გთავაზობთ მომსახურების სრულ პაკეტს და ხელმისაწვდომ ფასებს:

**— ჰელიობჟენი — 25 ლარიდან;**

**— მეტალოფაიფური — 85 ლარიდან;**

**— პროთეზები — 165 ლარიდან;**

**— კბილების გაწმენდა-გაპრიალება — 40 ლარიდან;**



**— უახლესი აპარატის მეშვეობით შესაძლებელია კბილის გათეთრება 40 წუთში (პროცედურა უსაფრთხოა კბილის ქსოვილისთვის);**

— კლინიკაში ფუნქციონირებს **კომპიუტერული ვიზიოგრაფი**, რომელიც ზრდის დიაგნოსტიკის ხარისხს და უსაფრთხოა, როგორც ორსულებისთვის, ასევე ბავშვებისთვის, რადგანაც პაციენტი არ ღებულობს დასხივებას, რენტგენისგან განსხვავებით.

**— კლინიკის მთავარი პრიორიტეტია — მაქსიმალური სტერილიზაცია;**

**— კონსულტაცია უფასოა;**

**— კლინიკა მუშაობს ყოველდღე 10-დან 20 საათამდე.**



მისამართი: ტაშკენტის ქ. 31.
ტელ. 38-00-67
e-mail:info@dentalHouse.ge.

სადაზღვევო პროვაიდერები: აისი ჯგუფი, Tao Insurance
www.dentalhouse.ge

**კუპონი!**

გაზეთში განთავსებული ფასდაკლების კუპონის წარმომდგენი მიიღებს 15-დან 20 პროცენტამდე ფასდაკლებას მომსახურებაზე.

## უნივერსალური წყალი „ისიდა“



### მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (Y, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ მიკროელემენტებით პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**




მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net